ყურბან საიდი

ალი და ნინო

https://www.facebook.com/groups/ELLIB/



ყურბან საიდი
ალი და ნინო

Kurban Said
Ali und Nino

მთარგმნელი
მაია მირიანაშვილი

რედაქტორები
ნინო ბაქანიძე
ანა ჭაბაშვილი

კონსულტანტი
გიორგი ლობჟანიძე

გარეკანის დიზაინი
მამუკა ტყეშელაშვილი
ბესიკ დანელია

დაკაბადონება
გიორგი ტაბლიაშვილი

აშშ-ში პირველად გამოიცა სახელწოდებით
ALI AND NINO by Kurban Said
საავტორო უფლება © 1937 ლეელა ერენფელსი
ქართული გამოცემა განხორციელდა
The Overlook Press, Peter Mayer Publishers, Inc.-თან
შეთანხმებით

საავტორო უფლება ქართულ გამოცემაზე © 2002
გამომცემლობა „დიოგენე"
პირველი ქართული გამოცემა 2002
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 99928-593-2-2

გამომცემლობა „დიოგენე"
თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 97
ტელ. 95 63 94, ტელ./ფაქსი 96 79 71
ელფოსტა diogene@ip.osgf.ge

ყურბან საიდი
ალი და ნინო

Kurban Said
Ali und Nino

მთარგმნელი
მაია მირიანაშვილი

რედაქტორები
ნინო ბაქანიძე
ანა ჭაბაშვილი

კონსულტანტი
გიორგი ლობჟანიძე

გარეკანის დიზაინი
მამუკა ტყეშელაშვილი
ბესიკ დანელია

დაკაბადონება
გიორგი ტაბლიაშვილი

აშშ-ში პირველად გამოიცა სახელწოდებით
ALI AND NINO by Kurban Said
საავტორო უფლება © 1937 ლეელა ერენფელსი
ქართული გამოცემა განხორციელდა
The Overlook Press, Peter Mayer Publishers, Inc.-თან
შეთანხმებით

საავტორო უფლება ქართულ გამოცემაზე © 2002
გამომცემლობა „დიოგენე"
პირველი ქართული გამოცემა 2002
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 99928-593-2-2

გამომცემლობა „დიოგენე"
თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 97
ტელ. 95 63 94, ტელ./ფაქსი 96 79 71
ელფოსტა diogene@ip.osgf.ge

წინასიტყვაობა

ეს წიგნი თბილისში მცხოვრებმა ინგლისელმა მეგობრებმა გამაცნეს. მწერალი პიტერ ნეისმიტი, რომელსაც საქართველოს შესახებ ორი თუ სამი წიგნი აქვს გამოცემული, აღელვებული ტონით, თვალებგაბრწყინებული მეუბნებოდა – ასეთი წიგნი კავკასიის შესახებ არ დაწერილა და აუცილებლად უნდა წაიკითხოო. პიტერის გემოვნებაში ეჭვი არ შემიტანია, მაგრამ ვიცოდი, რომ მას გარკვეული ინტერესი ჰქონდა საქართველოში ინგლისურენოვანი ლიტერატურის გავრცელების მიმართ და ნათქვამი გადაჭარბებულ შეფასებად აღვიქვი. მაგრამ, როცა ჟურნალისტმა ვენდელ სტივენსონმა (წერს ჟურნალ Time-ისათვის) მითხრა, ეს ნაწარმოები ჩემს ხუთ უსაყვარლეს წიგნს შორის არისო, მივხვდი, რომ საქმე განსაკუთრებულ ლიტერატურულ მოვლენასთან მქონდა.

მოკლედ, ვენდელმავე მათხოვა ეს წიგნი და მითხრა – რამდენ ხანსაც გინდა იკითხე, სახლში კიდევ ორი ცალი მაქვსო. ამის მიუხედავად, ორ დღეში წავიკითხე. იმიტომ, რომ ვერ მოვწყდი; იმიტომ, რომ ეს რომანი დაწერილია მათთვის, ვისაც უყვარს მხატვრული ლიტერატურა; იმიტომ, რომ ეს არის რომანტიკული ისტორია, სიყვარულით, თავგადასავლებით, პოლიტიკით, იუმორით, სახალხო ფილოსოფიით. მისი წაკითხვის შემდეგ მივხვდი, როგორ შეიძლება წიგნი საერთაშორისო ბესტსელერი გახდეს, ისე, რომ თრილერი, ან სკანდალური ავტორის ნაწარმოები არ იყოს.

რომანის პირველ გვერდზე აღწერილი ბაქოს სკოლაში ჩატარებული გეოგრაფიის გაკვეთილიდან დაწყებული და წითელი არმიის მიერ აზერბაიჯანის დაპყრობით დამთავრებული, ნაწარმოების ყოველ წინადადებაში დასმულია კითხვა – პროგრესული ევროპა, თუ ჩამორჩენილი აზია?

მიუხედავად იმისა, პასუხი ამ კითხვაზე გაქვთ თუ არა, წიგნის წაკითხვა მაინც ღირს; თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში საშუალება მოგეცეთ ცხოვრება მუსლიმის თვალით დაინახოთ. ეს კი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ქრისტიანული სამყაროსათვის მუსლიმური ცხოვრების წესი ძალიან ხშირად გაუგებარი და მიუღებელია.

წიგნი სავსეა ბრწყინვალე ფრაზებით და დაწერილია სიტყვაკაზმული, მაგრამ არა სიტყვაჭარბი ენით. აქ შეხვდებით ძალიან ნაცნობ ადგილებს (თბილისი, ბაქო, ყარაბაღი, დაღესტანი), ძალიან ნაცნობ ტიპებს (ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი) და სიტუაციებს; ნაწარმოების ყოველი სცენა ისე გადადის შემდეგ ეპიზოდში, რომ თხრობის ძაფს შეუნელებელი ინტერესით მიჰყვები. და, რაც მთავარია, დღესაც ყველაფერი ზუსტად ისევეა, როგორც 80 წლის წინათ, როცა რომანის მოქმედება ვითარდება.

რომანზე არანაკლებ მიმზიდველია და საიდუმლოებით მოცული ავტორის ვინაობა – ამ შესანიშნავ წიგნს ძალზე საინტერესო და ერთობ ბუნდოვანი ისტორია აქვს. მისი ავტორის შესახებ მანამდე არაფერი მსმენია. არც არის გასაკვირი, რადგან ყურბან საიდი ფსევდონიმია და, ვეჭვობ, ვინმემ იცოდეს იმ ადამიანის სახელი, ვინც ეს ფსევდონიმი შეირჩია.

ებრაელი ბიზნესმენის შვილი, ლევ ნასიმბაუმი (იგივე ყურბან საიდი) 1905 წელს ბაქოში დაიბადა. ახალგაზრდობაში მაჰმადიანობა მიიღო და ასად ბეი დაირქვა. როცა აზერბაიჯანში რევოლუცია მოხდა, მამასთან და გერმანელ აღმზრდელ ქალთან ერთად (დედა ადრე მოუკვდა) სტამბოლს შეაფარა თავი. იქიდან ბერლინში ჩავიდა, სადაც უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა. ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაიწყო წერა და მალე სრულფასოვან ჟურნალისტად და მწერლად ჩამოყალიბდა. 30-იანი წლების ბოლოს გერმანულ ფაშიზმს ავსტრიაში გაექცა. როცა ნაცისტებმა იქაც შეაღწიეს, იძულებული გახდა იტალიაში გადასახლებულიყო. 1942 წელს დეპორტაციისათვის თავის ასარიდებლად ფეხი დაიჭრა, მაგრამ სისხლი მოეწამლა და გარდაიცვალა. დაკრძალულია იტალიაში მაჰმადიანური წესით. ლევ ნასიმბაუმს ასად ბეის სახელით გამოცემული აქვს მუჰამადის, რეზა შაჰის, ნიკოლოზ მეორის და ლენინის ბიოგრაფიები, ეს რომანი კი ყურბან საიდის ფსევდონიმით გამოაქვეყნა.

„ალი და ნინო" დაწერილია გერმანულად და გამოცემულია ვენაში 1937 წელს. საავტორო უფლება ეკუთვნოდა ავსტრიელ ბარონესას, ელფრიდე ერენფელსს, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ის და ყურბან საიდი მეგობრები იყვნენ. მაგრამ, მთავარი ის არის, რომ ბარონესას განცხადებით, წიგნი მისი დაწერილი იყო.

თუმცა, ყველაფერი ამით არ მთავრდება. გამოჩენილი აზერბაიჯანელი სცენარისტის, რუსტამ იბრაჰიმბეკოვის თქმით, მის სამშობლოში თვლიან, რომ „ალი და ნინო" იუსიფ ვეზიროვის დაწერილია, ხოლო ყურბან საიდი უბრალოდ პლაგიატორია. ცნობილი აზერბაიჯანელი მწერალი იუსიფ ვეზიროვი ჩემინზემინლის ფსევდონიმით წერდა. ის

სტალინური რეპრესიების მსხვერპლია: 1940 წელს დააპატიმრეს, 1943-ში დახვრიტეს, 1956-ში კი რეაბილიტირებულ იქნა. დღეს მისი შვილი ფიქრეთ ვეზიროვი აცხადებს, ნასიმბაუმი თაღლითი იყო, ავანტიურულ რომანებს წერდა, ხოლო „ალი და ნინო“ მამაჩემმა გამოსცა ვენაში იქ მცხოვრები ბიძაშვილის საშუალებითო.

იმ დროს, როცა რომანი გამოქვეყნდა, ანუ ნაციზმის აყვავების დროს, ეროვნებათშორისი ქორწინება სრულიად მიუღებელი სალიტერატურო თემა იყო. ასე რომ, ის დროებით დაივიწყეს და ხელახლა მხოლოდ ომის შემდეგ აღმოაჩინეს. რომანი ითარგმნა და რამდენჯერმე დიდი წარმატებით გამოიცა ინგლისსა და ამერიკაში. დღეს, როცა წიგნის გამოქვეყნებიდან 65 წელია გასული, ჭეშმარიტი ავტორის დადგენა ძალიან სერიოზულ ძიებას მოითხოვს. პირადად ჩემთვის კი ავტორობის სამივე პრეტენდენტის პრეტენზია მისაღებია. სრულიად შესაძლებელია, რომ არსებობდა ამ ისტორიის აზერბაიჯანული ვერსია, რომელიც ნასიმბაუმმა გაამდიდრა სათავგადასავლო-ავანტიურული ელემენტებით, ხოლო ბარონესამ ყველაფერ ამას საბაზრო-ევროპული სახე მისცა. თუმცა ჯერ დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ „ალი და ნინო“ ძალიან ნიჭიერი ადამიანის მიერ არის დაწერილი.

წაკითხვის შემდეგ ამ წიგნის ინგლისური გამოცემის ოთხი ეგზემპლარი ვიყიდე საჩუქრად დასარიგებლად. ერთი ცალი შოტლანდიაში გავუგზავნე ახლობელ ოჯახს. როცა წიგნი მიიღეს, ცოლ-ქმარმა ცალ-ცალკე დამირეკა, რაც უცნაური იყო, რადგან საერთოდ წელიწადში ერთხელ თუ მირეკავდნენ ხოლმე. ორივემ ერთი და იგივე მითხრა: დიდ მადლობას გიხდით წიგნისათვის, რომელიც მთელს

მსოფლიოში ბესტსელერია, შოტლანდიაში კი ჯერ არ იყიდება და ვერსად ვიშოვეთო.

აი, ასეთი წიგნი გიჭირავთ ხელში და, დარწმუნებული ვარ, მანამ არ გადადებთ გვერდზე, სანამ ბოლო წინადადებას არ წაიკითხავთ.

ბიძინა მაყაშვილი

თბილისი, 2002

I თავი

ბაქოს მეფის რუსეთის ჰუმანიტარული გიმნაზიის მესამე კლასში ორმოცი მოსწავლე ვიყავით: ოცდაათი მაჰმადიანი, ოთხი სომეხი, ორი პოლონელი, სამი სექტანტი და ერთი რუსი. ვისხედით და სულგანაბულნი ვუსმენდით პროფესორ სანინის ნაამბობს ჩვენი ქვეყნის უჩვეულო გეოგრაფიულ მდებარეობაზე:

— ევროპის კონტინენტის ბუნებრივ საზღვრებს ჩრდილოეთით — ჩრდილო-ყინულოვანი ოკეანე, დასავლეთით — ატლანტის ოკეანე და სამხრეთით ხმელთაშუა ზღვა შეადგენენ. ევროპის აღმოსავლეთი საზღვარი რუსეთის იმპერიაში ურალის გასწვრივაა გადაჭიმული, კასპიის ზღვას კვეთს და შემდგომ ამიერკავკასიაზე გადის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მეცნიერი კავკასიონის სამხრეთით განლაგებულ მხარეს აზიას მიაკუთვნებს, ზოგი კი თვლის, რომ ეს ქვეყანა თავისი კულტურული განვითარების თვალსაზრისით ევროპის ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს. ისე, ნაწილობრივ, ეს თქვენზეცაა დამოკიდებული, ბავშვებო, განვითარებულ ევროპას გსურთ მიეკუთვნებოდეთ, თუ ჩამორჩენილ აზიას? — თავმომწონედ გადმოგვხედა ოქრომკედით ნაქარგ მუნდირში გამოწყობილმა პროფესორმა და თვითკმაყოფილად ჩაიცინა. სუნთქვა შეგვეკრა, ამხელა პასუხისმგებლობა რომ დაგვაკისრეს. უკანა მერხიდან მეჰმედ ჰაიდარმა ხელი აიწია და თქვა:

— ბატონო პროფესორო, ჩვენ ისევ აზიაში ყოფნა გვირჩევნია.

კლასში ყურისწამღები სიცილი ატყდა. მეჰმედ

ჰაიდარი უკვე მეორე წელი იყო, მესამე კლასის მერხს ვერ გასცილებოდა და, როგორც ჩანს, მესამე წელსაც იგივე მოელოდა. და, თუკი ბაქო კვლავაც აზიად დარჩენას ამჯობინებდა, სამინისტროს განკარგულების თანახმად, აზიური რუსეთის მკვიდრს იმდენ ხანს შეეძლო მჯდარიყო ერთ კლასში, რამდენსაც ინებებდა.

პროფესორმა სანინმა შუბლი შეიჭმუხნა:

– მაშ შენ აზიაში დარჩენა გინდა? ეგებ გამოხვიდე და დაგვისაბუთო კიდეც, რატომ?

მთლად გაწითლებული მეჰმედ ჰაიდარი პირდაღებული იდგა და დუმდა. და იმ დროს, როცა ოთხი სომეხი, ორი პოლონელი და სამი სექტანტი მის გონებაშეზღუდულობაზე ხითხითებდა, ხელი მეც ავიწიე და ჩემი მოსაზრება წარმოვთქვი:

– ბატონო პროფესორო, მეც აზიაში ვარჩევდი დარჩენას.

– ალი ხან შირვანშირ! შენცა? გამოდი და იქნებ შენ მაინც დაგვისაბუთო, რატომ? – პროფესორი, ალბათ, გულში თავბედს იწყევლიდა, ცხოვრებამ კავკასიას რომ მიაჯაჭვა.

– დიახაც, აზიაში. აქ თავს მშვენივრად ვგრძნობ.

– ისე როდისმე ნამდვილ ველურ აზიურ ქალაქში, მაგალითად, თეირანში თუ ყოფილხარ?

– რა თქმა უნდა, სწორედ გასულ ზაფხულს.

– მერე, ნახე იქ რამე ევროპული კულტურის დიდი მონაპოვრისმაგვარი, ვთქვათ, მანქანა?

– კი, როგორ არა, სხვათა შორის, კარგა მოზრდილები, ოცდაათადგილიანი, უფრო დიდებიც, – თან გარეუბნების ერთი ბოლოდან მეორეში დადიოდნენ.

– ეგ ხომ ავტობუსებია! რკინიგზა რომ არა აქვთ, იმიტომ დადიან ეგრე. სწორედ ეგაა ჩამორჩენილობა. დაჯექი, შირვანშირ!

ყველა აზიელი თანხმობის ნიშნად გახარებული

შემომცქეროდა. პროფესორი სანინი სიმწრისაგან დუმდა. მისი მოვალეობა იყო, მოსწავლეები კარგ ევროპელებად გამოეზარდა.

– რომელიმეს გინახავთ ბერლინი? – იკითხა მან უცბად. როგორც ჩანს, უიღბლო დღე გაუთენდა. აღმოჩნდა, რომ სექტანტი მაიკოვი ყოფილა იქ ბავშვობაში. ხმაურიანი რკინიგზის სადგურიც გაიხსენა, სადაც დედას ლორიანი პური უჭმევია.

ოცდაათივე მაჰმადიანმა პირები დავაღეთ, როცა მოულოდნელად სეიედ მუსტაფა წამოდგა და გარეთ გასვლა ითხოვა. ეტყობა, სიტყვა „ლორის" ხსენებამ ცუდად იმოქმედა. ამით ბაქოს გეოგრაფიულ მდებარეობაზე დისკუსია შეწყდა.

ზარი დაირეკა. პროფესორმა შვებით ამოისუნთქა და კლასი დატოვა. ჩვენც გარეთ გავცვივდით. დიდი შესვენება იყო და სამი არჩევანი გვქონდა: ეზოში გავქცეულიყავით და რეალური გიმნაზიის მოსწავლეებთან გვეჩხუბა, რახან იმათ ფორმებს ოქროს ღილები და კოკარდები ამშვენებდა მაშინ, როცა ჩვენ ვერცხლისას უნდა დავჯერებოდით; ან ხმამაღლა აზერბაიჯანულად გველაპარაკა, თუმცა ეს სასტიკად გვეკრძალებოდა; ან კიდევ ქუჩაში გავსულიყავით და იქიდან წმინდა თამარის სახელობის ლიცეუმის ეზოში გოგოების სანახავად შევპარულიყავით. მე ეს ვარჩიე. ბაღში გოგოები დასეირნობდნენ, ცისფერი ფორმები ეცვათ თეთრი წინსაფრებით. ჩემმა ბიძაშვილმა აიშემ ხელი დამიქნია, ნინო ყიფიანთან ერთად ხელიხელჩაკიდებული მოდიოდა. ნინო მსოფლიოში ულამაზესი გოგო იყო. გოგოებს ჩვენს გაკვეთილზე მომხდარი ამბავი ვუამბე. მსოფლიოში ულამაზესმა ასულმა მსოფლიოში ულამაზესი ცხვირი აიბზუა და დასძინა:

– ალი ხან, რა სულელი ხარ. კიდევ კარგი, ღვთის მადლით, ევროპაში ვართ, თორემ, ნამდვილ აზიაში რომ ვცხოვრობდეთ, ჩემს ნახვას ვერასოდეს ეღირსებოდი, ჩადრი

მეხურებოდა.

გონს მოვეგე. გეოგრაფიის გაკვეთილზე წამოჭრილ პრობლემაზე მსოფლიოში ულამაზესმა ასულმა ამიხილა თვალი.

თავისუფალ დროს დაღონებული დავეხეტებოდი ქალაქის ქუჩებში. ვაკვირდებოდი აქლემებს, ზღვას, ვფიქრობდი ევროპაზე, აზიაზე, ნინოს მშვენიერ თვალებზე და სევდა მეუფლებოდა. ზოგჯერ მათხოვრებს ფულს ვურიგებდი, მაგრამ ერთხელ ერთ უსიამოვნო მათხოვარს, რომელმაც მადლობის ნიშნად ხელზე კოცნა დამიპირა, შეშინებული გავექეცი, მერე კი ორი საათი დავეძებდი, ბოდიში მინდოდა მომეხადა. სინდისი მქენჯნიდა, გული რომ ვატკინე.

ეს ყველაფერი ხუთი წლის წინ იყო. ამ ხუთ წელიწადში უამრავი რამე მოხდა. სკოლაში ახალი დირექტორი მოვიდა. დასჯის უცნაური მეთოდი შემოიღო: მოსწავლეს საყელოში სწვდებოდა და მთელი ძალით ანჯღრევდა, რადგან გიმნაზიელისათვის სილის გაწვნა სასტიკად იკრძალებოდა. რელიგიის მასწავლებლის განმარტებით, ალაჰმა ჩვენზე წყალობა მოიღო, მაჰმადიანებად რომ მოგვავლინა ამქვეყნად. ამ წლებში კლასში კიდევ ორი სომეხი და ერთი რუსი შემოგვემატა, ორი მაჰმადიანი კი გამოგვაკლდა; ამათგან ერთი თექვსმეტი წლისა დაქორწინდა, მეორე კი სისხლის აღების ადათის მსხვერპლი გახდა. მე კი, ალი ხან შირვანშირი, ამ ხანებში სამჯერ ვიყავი დაღესტანში, ორჯერ — თბილისში, ერთხელ — კისლოვოდსკში, სპარსეთშიც ჩავედი ბიძასთან. ერთ წელს კი კინაღამ კლასშიც ჩავრჩი, რადგან გერუნდიუმი ვერ გავარჩიე გერუნდიუმისაგან. ამის გამო მამაჩემს მოლასთან მისვლაც კი მოუხდა. იმან კი დაამშვიდა და აუხსნა, რომ მთელი ლათინური ცარიელი ილუზიაა. მერე მამაჩემმა თავისი თურქული, სპარსული თუ რუსული ყველა მედალი აისხა და დირექტორთან მივიდა. სკოლას ფიზიკის კაბინეტისათვის საჭირო

მოწყობილობა აჩუქა. მეც, რაღა თქმა უნდა, გადამიყვანეს შემდეგ კლასში.

სკოლის შესასვლელში კედელზე გაკრული პლაკატი გიმნაზიელებს დატენილი რევოლვერებით შესვლას უკრძალავდა. ქალაქში ტელეფონები შემოიტანეს, ორი კინოთეატრი გახსნეს. ნინო ყიფიანი კი ჩემთვის კვლავ მსოფლიოში ულამაზეს გოგოდ რჩებოდა.

ასე გავიდა ეს ხუთი წელი. ერთი კვირაღა მაშორებდა გამოსაშვებ გამოცდებს და ყველაფერი დამთავრდებოდა. ვიჯექი სახლში, ჩემს ოთახში, კასპიის ზღვის სანაპიროსთან და ჩავკირკიტებდი უაზრო ლათინურის სახელმძღვანელოს. მშვენიერი ოთახი მქონდა. კედლებს ბუხარიდან და ისპაანიდან ჩამოტანილი ხალიჩები ამშვენებდა, რომლებზეც მქსოველთა ფანტაზიის მიხედვით სხვადასხვაგვარად იყო ასახული ტყეები, მდინარეები, ბაღები — ამას საქმეში ჩაუხედავი ვერ ჩასწვდებოდა, მაგრამ პროფესიონალისათვის, მართლაც რომ საუცხოო რამ გახლდათ. ამ ნაზი ფერების შესაქმნელად ბალახებს შორეულ უდაბნოში, ველურ ეკლიან ბუჩქებში აგროვებდნენ ქალები. თავისი გამხდარი თითებით შიგ იდუმალ სურნელს აქსოვდნენ. ერთი ხალიჩის დასრულებას წლები სჭირდებოდა და ის მერე კედლებს ამშვენებდა, როგორც საიდუმლოებით აღსავსე სანადირო სცენებისა თუ ბრძოლების სიმბოლო. ზოგჯერ ამგვარ ხალიჩას კიდეში ორნამენტებით ამოქსოვილი ფირდოუსის ლექსი ან საადის რომელიმე ბრძნული გამონათქვამიც ახლდა. ეს უამრავი ხალიჩა აბნელებდა ოთახს. შიგ ერთი დაბალი დივანი და სადაფით მოპირკეთებული ორი პატარა ტაბურეტი იდგა. აქეთ-იქით უამრავი რბილი ბალიში ეწყო და მათ შორის უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი დასავლური ცოდნის წიგნები მოჩანდა: ფიზიკის, ლათინურის, ტრიგონომეტრიის — მთელი ეს სულელური ნაბოდვარი, ურწმუნოებმა რომ მოიგონეს თავისი ბარბაროსობის მისაჩქმალად. წიგნი

დავხურე, ოთახიდან ვერანდის გავლით ბანზე გავედი. აქედან ჩემი სამყარო მოჩანდა: ძველი ქალაქის ციხე-სიმაგრის განიერი კედელი, სასახლის ნანგრევები არაბული წარწერით. ქუჩაში აქლემები დაზოზინებდნენ, ისე ნაზად მიირხეოდნენ, მოფერება მოგინდებოდა. წინ ქალწულის კოშკი აღმართულიყო, რომლის მიღმაც, შორს, ტყვიისფერი უკიდეგანო კასპიის ზღვა გადაშლილიყო, ზურგს უკან კი – თვალუწვდენელი უდაბნო: კლდეები, ქვიშა, მშვიდი და წყნარი, შეუდარებელი, სამყაროს უმშვენიერესი ლანდშაფტი.

მდუმარედ ვიჯექი ბანზე. რაში მჭირდებოდა სხვისი ქალაქები, სხვა სახურავები და სხვა ბუნება. ჩემი ზღვა, ჩემი ქვიშიანი სანაპირო, ეს უძველესი ქალაქი, ხმაურიანი ხალხი მიყვარდა. აქ აუარება ხალხი ჩამოდიოდა. ისინი ნავთობს ეძებდნენ, მდიდრდებოდნენ და ისევ უკან ბრუნდებოდნენ, რადგან მათ უდაბნო არ უყვარდათ.

მოსამსახურემ ჩაი შემოიტანა. შევექცეოდი და თან გამოსაშვებ გამოცდაზე ვფიქრობდი. გულსატკენი იყო სკოლასთან განშორება. იმედი მქონდა, ჩავაბარებდი. თუ ჩავრჩებოდი, დიდი უბედურება არც ეს იქნებოდა. ამაზე ჩვენი კუთხის გლეხები იტყოდნენ, ცოდნის კერასთან განშორება უმძიმსო. ისე მართლაც მიმძიმდა სკოლასთან, ვერცხლისფერღილებიან, სამხრეებითა და კოკარდით დამშვენებულ, მართლაც საოცრად ელეგანტურ ფორმასთან განშორება. სამოქალაქო ტანსაცმელი თითქმის არც მცმია. ერთი ზაფხულიც, და მერე, დიახ, მერე მოსკოვში გავემგზავრები, ლაზარევის ინსტიტუტში აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე. მე თვითონ გადავწყვიტე ასე. რუსებთან მართლაც მექნებოდა უპირატესობა, რადგან ის, რაც მათ ეძნელებათ, ჩემთვის უადვილესია. ამას გარდა, ლაზარევის ინსტიტუტს ძალიან ლამაზი ფორმა აქვს: წითელი პიჯაკი ოქროსფერი საყელოთი, ვიწრო

მოოქროვილი ხმალი და ტყავის ხელთათმანები. თუ გინდა, რუსები პატივისცემით მოგეპყრან, ფორმა აუცილებლად უნდა ატარო. მეც მეტი რაღა დამრჩენია, უნდა მეცვას, რადგან თუ რუსები პატივს არ მომაგებენ, არც ნინო ჩამთვლის კაცად. ეს კი რას მარგებს? მე ხომ ნინოს ცოლად შერთვა მინდა, მერე რა, რომ ქრისტიანია! ქართველ ქალზე მშვენიერი დედამიწის ზურგზე არავინ მეგულება. თუ უარს მეტყვის, შევარჩევ რამდენიმე კუნთმაგარ ბიჭს და სპარსეთით თეირანისკენ გავიტაცებ. მერე რაღას იზამს, გამოსავალი რომ აღარ ექნება?

ცხოვრება ჩვენი სახლის ბანიდან ლამაზი და იოლი ჩანდა.

„დროა" – მხარზე მოსამსახურის ხელის შეხებამ ოცნებებისაგან გამომაფხიზლა. მართლაც დრო იყო. ჰორიზონტზე, კუნძულ ნარგინის უკან, გემი მოჩანდა. და თუ კაცი ქაღალდის ფურცელს დაუჯერებდა, სახელმწიფო ფოსტის მოხელემ შინ რომ მოგვიტანა, ამ გემზე ბიძაჩემი უნდა ყოფილიყო, თავისი სამი ცოლითა და ორი საჭურისით. ბიძაჩემს უნდა დავხვედროდი. კიბე ნაჩქარევად ჩავირბინე. ხმაურიან ნავსადგურთან მანქანით მივედი. ბიძაჩემი სპარსეთში დიდად დაფასებული პიროვნება იყო. შაჰმა ნასრ ედ-დინმა მას „ასად ოდ-დავლეს" – „იმპერიის ლომის" ტიტული მიანიჭა და არავის ჰქონდა მისი სხვაგვარად მოხსენიების უფლება. ჰყავდა სამი ცოლი, უამრავი მსახური, თეირანში სასახლე ჰქონდა და დიდი მამულები – მაზანდარანში. ბაქოში ერთ-ერთი ცოლის, თვრამეტი წლის ზეინაბის გამო ჩამოდიოდა.

ბიძაჩემს ის სხვა ცოლებისაგან გამორჩეულად უყვარდა. შვილი არ უჩნდებოდა, არადა სწორედ მისგან უნდოდა შვილის ყოლა. ამ მიზნით გაემგზავრა ჰამადანშიც, სადაც შუაგულ უდაბნოში წითელი აგურებით ნაშენი იდუმალთვალებიანი ლომის ქანდაკება იდგა. ეს ქანდაკება უკვე კარგა ხნის მივიწყებულმა, უძველესი დროის მეფეებმა ააგეს

Jm 1750

საუკუნეებია, ქედს იხრიან ამ ქანდაკებასთან ქალები, მის მძლავრ ასოს კოცნიან და იმედოვნებენ, რომ დედობისა და შვილის შეძენის სიხარულს ეზიარებიან. მაგრამ საბრალო ზეინაბს ვერც ლომმა, ვერც ქარბალელი დერვიშის თილისმამ, ვერც მაშჰადელ ბრძენთა შელოცვებმა და ვერც ყოველგვარ სასიყვარულო საქმეებში გამოცდილი თეირანელი ქალების იდუმალმა ხელოვნებამ ვერ უშველა. ახლა ბაქოშიც იმიტომ ჩამოდიოდნენ, რომ ადგილობრივმა სიბრძნემ ვერ გაჭრა და უნდოდათ, დასავლელი ექიმების გამოცდილებაც ეცადათ. საბრალო ბიძაჩემი! თავისი ორი ცოლიც თან უნდა ხლებოდა. ადათი ასე მოითხოვდა: „შეგიძლია, ერთი, ორი, სამი და ოთხი ცოლიც იყოლიო, თუკი მათ თანაბარი უფლებები ექნებათ." თანაბარ უფლებებში კი იგულისხმებოდა – დანარჩენებსაც ისე მოეპყარი, როგორც ერთს; აი, თუნდაც, ბაქოში ერთად გამგზავრება ავიღოთ.

თუმცა იმავე ადათების მიხედვით, ამ ყველაფერთან არაფერი მესაქმება. ცოლები ხომ მხოლოდ და მხოლოდ ანდარუნს, სახლის შინაგანაწესს მიეკუთვნებიან. კარგად აღზრდილი კაცი სხვის ცოლს არც უნდა მიესალმოს და არც ქმარს უნდა ჰკითხოს რამე მის შესახებ. ცოლები თავიანთი ქმრების აჩრდილები არიან და ამ ჩრდილში ხშირად შეიძლება კარგადაც კი გრძნობენ თავს. ჩვენში გავრცელებული ანდაზისა არ იყოს, ქალს ქათამზე მეტი ჭკუა არც მოეკითხება, უჭკუო არსება კი გვერდით უნდა იყოლიო და თვალ-ყური ადევნო, თორემ თავის თავსაც უბედურებას მოსწევს და სხვასაცო. ჩემი აზრით, მართლაც ბრძნული ნათქვამია.

პატარა გემი ნავმისადგომს მოუახლოვდა. მხარ-ბეჭიანმა, თმაგაბურძგნულმა მეზღვაურებმა კიბე მიადგეს. უამრავი მგზავრი ჩამოვიდა: რუსი, სომეხი, ებრაელი. ისე ჩქარობდნენ, თითქოს ყოველ წამს ითვლიდნენ, ვინ უფრო ადრე დაადგამდა დედამიწაზე ფეხს. ბიძაჩემი ჯერ არსად

ჩანდა. „სიჩქარე ეშმაკისააო“ – იტყოდა ხოლმე. მხოლოდ მაშინ, როცა ყველა მგზავრმა დატოვა გემი, „იმპერიის ლომიც“ გამოჩნდა, მთელი თავისი ბრწყინვალებით: აბრეშუმის ლაცკანებიანი სერთუკი ეცვა, თავზე პატარა შავი ბოხოხი ეხურა, ფეხთ ქოშები ემოსა, ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის წამებული ჰუსაინის პატივსაცემად წვერიც და ფრჩხილებიც ინით შეეღება. პატარა, დაღლილი თვალები ჰქონდა. დინჯი ნაბიჯებით მოდიოდა. უკან აშკარად აღელვებული, თავით ფეხამდე შავებით მოსილი ცოლები მოჰყვებოდნენ. სულ ბოლოს კი ორი საჭურისი მოსდევდა. ერთ მათგანს განსწავლული, გამოფიტული ხვლიკის სახე ჰქონდა, მეორეს კი – ამაყი და გასიებული. ეს უკანასკნელნი მისი აღმატებულების მცველები იყვნენ.

ბიძაჩემი კიბეზე ნელ-ნელა დაეშვა. გადავეხვიე და პატივისცემით მარცხენა მხარზე ვეამბორე, თუმცა ქუჩაში ეს აუცილებელი არც იყო. ცოლებისათვის თვალიც არ შემივლია. მანქანაში ჩავსხედით. ჰარამხანა და მსახურები დახურული ეტლით უკან მოგვყვებოდნენ. ბიძაჩემის პატივსაცემად პრომენადას გარს შემოვუარეთ. იქ ნინო იდგა და მომღიმარი თვალებით შემოგვცქეროდა.

ბიძაჩემმა წვერზე ხელი ჩამოისვა და მკითხა:

– ახალი რა არის ქალაქში?

– განსაკუთრებული არაფერი. – მოვალეობა მკარნახობდა, ჯერ უმნიშვნელოთი დამეწყო და მერე გადავსულიყავი მნიშვნელოვანზე.

– გასულ კვირას დადაშ ბეგმა ახუნდ ზადე ქალაქში დაბრუნებისთანავე მოკლა. არადა, უკვე რვა წელი იყო გასული, რაც ახუნდ ზადემ დადაშ ბეგს ცოლი წაართვა. ახლა დადაშ ბეგს პოლიცია ეძებს, მაგრამ ვერ პოულობს. თუმცა ყველამ იცის, რომ სოფელ მარდაკიანშია. ჭკვიანი ადამიანები ამბობენ, დადაშ ბეგმა სამართალი აღასრულაო.

ბიძაჩემმა თავი დამიკრა თანხმობის ნიშნად.

— კიდევ რა იცი ახალი?

— ბიბი-აიბატში რუსებმა აუარებელი ნავთობი აღმოაჩინეს. ნობელმა უზარმაზარი გერმანული მანქანა შემოიტანა, რომ ზღვის პატარა ნაწილი მიწით ამოავსოს და ნავთობი ამოტუმბოს.

გაოგნებულმა ბიძაჩემმა თავი გადააქნია და ჩაიბუტბუტა: "ალაჰ, ალაჰ!"

— ჩვენთან, შინ, ღვთის წყალობით, ყველაფერი წესრიგშია, — განვაგრძობდი მე. — მომავალ კვირას ცოდნის სახლს ვამთავრებ.

განუწყვეტლივ ვლაპარაკობდი და მოხუციც დაფიქრებული მისმენდა. სახლს რომ ვუახლოვდებოდით, მაშინღა ვუთხარი სასხვათაშორისოდ, თან გვერდზე გავიხედე:

— რუსეთიდან ქალაქში ცნობილი ექიმია ჩამოსული. როგორც ხალხი ამბობს, ძალიან გამოცდილი უნდა იყოს. ადამიანს სახეზე ატყობს წარსულს, აწმყოს და მომავალს.

ბიძაჩემი ნახევრად მოჭუტული თვალებით მისმენდა, მერე კი ყასიდი გულგრილობით იმ ბრძენი ექიმის სახელი მკითხა. მივხვდი, ჩემი ქცევით კმაყოფილი დარჩა, რადგან ჩვენში ეს კარგ ჩვევად და წესიერ აღზრდად ითვლებოდა.

II თავი

ჩვენი სახლის ბრტყელ, ქარისგან დაცულ ბანზე გაფენილ ყარაბაღულ ხალიჩაზე ფეხმორთხმული ვისხედით მამაჩემი, ბიძაჩემი და მე. უკან ფარნებით ხელში მსახურები იდგნენ. ძალიან ცხელოდა. წინ კი მადის აღმძვრელი აღმოსავლური ნუგბარი კერძების მთელი წყება ეწყო: თაფლის ნამცხვარი, დაშაქრული ხილი, შამფურზე აგებული ცხვრის ხორცი, ქათამი ბრინჯით და ქიშმიშით.

როგორც ყოველთვის, ახლაც აღფრთოვანებული ვიყავი მამაჩემისა და ბიძაჩემის მოხერხებულობით. მარცხენა ხელს არც კი ხმარობდნენ, ისე მოატეხდნენ ლავაშს, დაახვევდნენ, ამოავსებდნენ ხორცით და მადიანად შეექცეოდნენ. მთელი გრაციოზულობით ჩაყოფდნენ მარჯვენა ხელს ცხიმიან ბრინჯის ფაფაში, რომელსაც ჯერ კიდევ ასდიოდა ოხშივარი და ისე ჭამდნენ სამი თითით, ერთი მარცვალიც არ უვარდებოდათ.

რუსები კი თავისი ჭამა-სმის ხელოვნებით ტრაბახობენ. არადა, დანა-ჩანგალს ხომ ყველაზე სულელიც კი ერთ თვეში გაართმევს თავს. მეც მშვენივრად ვხმარობდი დანა-ჩანგალს და ევროპული სუფრის ყველა წესს ვფლობდი მაშინ, როცა თვრამეტი წლისაც ისე დახვეწილად ვერ ვჭამდი თითებით, როგორც ბიძაჩემი და მამაჩემი. გასაოცარი იყო, მაგრამ ისინი სამი თითით აღმოსავლურ კერძებს ისე მიირთმევდნენ, რომ ხელისგულებიც კი არ ესვრებოდათ. ჩვენი ჭამის წესებს ნინო ბარბაროსულს უწოდებდა. ვერაფრით ვერ წარმოედგინა, როგორ ვიჯექი ხალიჩაზე და როგორ ვჭამდი ხელით. თუმცა ერთი რამე ავიწყდებოდა: მამამისიც, ალბათ, ოცი წლისა იქნებოდა, პირველად ჩანგალი რომ აიღო ხელში.

ჭამის შემდეგ ხელები დავიბანეთ. ბიძაჩემმა ერთხანს ილოცა. მსახურებმა კერძები ააღაგეს, პატარა ფინჯნებით

მუქი ჩაი შემოიტანეს და, როგორც ძველად იტყოდნენ, კარგ ჭამას კარგი საუბარი მოსდევსო, ბიძაჩემმა ძველი ამბების გახსენება დაიწყო. მამაჩემი შიგადაშიგ თუ ჩაურთავდა ერთ-ორ სიტყვას, მე კი ვდუმდი. წესი მოითხოვდა ასე. მხოლოდ ბიძაჩემი ლაპარაკობდა. ყოველთვის ასე იყო, როცა ბაქოში ჩამოდიოდა ხოლმე. შაჰ ნასრ ედ-დინის დროს იხსენებდა, რომლის კარზეც მან მნიშვნელოვანი, თუმცა ჩემთვის გაურკვეველი როლი შეასრულა.

„პატივი მქონდა, ოცდაათ წელიწადს დედოფლისა და მეფის გვერდით ერთ ხალიჩაზე ვმჯდარიყავი. სამჯერ ვახლდი მის უდიდებულესობას საზღვარგარეთ. ალბათ ჩემზე უკეთ ურწმუნოთა სამყაროს არავინ იცნობს. ბევრი რამ ვნახე კაიზერის სასახლეებში, ჩვენი დროის ცნობილი ქრისტიანები გავიცანი. უცნაურია მათი სამყარო. მაგრამ ყველაზე უცნაური კი ისაა, როგორ ეპყრობიან ისინი ქალებს. მეფისა და კაიზერის ცოლები ყველას თვალწინ თითქმის შიშვლები დადიან და ეს არავის აღელვებს. ალბათ ქრისტიანები ნამდვილი მამაკაცები არ არიან, ან იქნებ რამე სხვა მიზეზიც კი არსებობს. ღმერთმა უწყის, არადა, ურწმუნოები შეიძლება ზოგჯერ უმნიშვნელო რამემაც კი ააღელვოს. ერთხელ მისი უდიდებულესობა რუსეთის მეფის კარზე იყო მიწვეული. შაჰმა თავის თეფშზე დადებულ ქათმის ნაჭერს მარჯვენა ხელის სამი თითით ხორცის საუკეთესო ნაწილი მოაცილა და დედოფალს თეფშზე დაუდო. უნდოდა, ასეთი თავაზიანობით მისთვის თავი მოეწონებინა; ის კი გაფითრდა და შიშისგან ხველა აუტყდა. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ უფლისწული და სასახლის დიდებულები საშინლად აღუშფოთებია შაჰის ამ საქციელს. ისინი რომ თავის სიშიშვლეს მთელ მსოფლიოს უჩვენებენ, არაფერია, თავაზიანობას კი არაფრად დაგიდევენ. ის კი არა, მეფემ საფრანგეთის ელჩს ნებაც კი დართო, რომ დედოფალი რაღაც ხმაურიან მუსიკაზე მთელ დარბაზში ებზრიალებინა. მეფეც და უამრავი ოფიცერიც

შესცქეროდა ამას და აზრად არავის მოსვლია, მეფის ღირსება დაეცვა.

ბერლინში კიდევ უფრო უცნაური სანახაობის მოწმენი გავხდით. ოპერაში ვიყავით. ოპერის სახელწოდება იყო „აფრიკელი ქალი". ერთი მსუქანი ქალი იდგა სცენაზე და საშინლად მღეროდა. კაიზერი ვილჰელმი მიხვდა, რომ მომღერლის ხმა არ მოგვეწონა და ჩვენი გულის მოსაგებად ბრძანა, მომღერალი ადგილზევე დაესაჯათ. უკანასკნელ აქტში უამრავი ზანგი გამოჩნდა, დიდი კოცონი დაანთეს, ქალი შეკრეს და დაწვეს, რაც ძალზე გვეამა. მოგვიანებით კი გვითხრეს, რომ ცეცხლი ნამდვილი არ იყო, მაგრამ არ დავიჯერეთ, რადგან ქალი ისეთი განწირული ხმით გაჰკიოდა, როგორც ის ერეტიკოსი ქალი პიურიით იულ აინი, ამ ცოტა ხნის წინ შაჰმა თეირანში რომ დააწვევინა".

ბიძაჩემი ცოტა ხანს გაჩუმდა. ფიქრებსა და მოგონებებში ჩაძირულმა ამოიოხრა და განაგრძო:

„ამ ქრისტიანებისა ერთი რამე არ მესმის: საუკეთესო შეიარაღება აქვთ, საუკეთესო ჯარები, ფაბრიკები, ყველაფერი, რაც მტრის გასანადგურებლად არის საჭირო. ერთი მხრივ, ყველა, ვინც რამეს შექმნის, სხვები მოხერხებულად, სწრაფად და მრავლად რომ ამოხოცოს, დიდად პატივდებულია და უამრავ ფულსა და ჯილდოს იღებს. კარგი, ეს გასაგებიცაა და მისასალმებელიც. ომი მართლაც უნდა არსებობდეს. მეორე მხრივ კი, ევროპელები საავადმყოფოებს აგებენ. და მათ, ვინც სასიკვდილო იარაღს იგონებს, და იმათაც, ვინც მტრის ჯარისკაცზე ზრუნავს და აჭმევს, პატივს ერთნაირად მიაგებენ და აჯილდოებენ. მისი უდიდებულესობა შაჰი გაოგნებულია მათი ამ ურთიერთსაპირისპირო მოქმედებით. ერთხელ ვენაში კაიზერსაც კი ჰკითხა და ვერც იმან აუხსნა.

ევროპელები ჩვენ ვერ გვიტანენ, რადგან ჩვენთვის მტერი მტერია და დაუზოგავად ვხოცავთ. გვძრახავენ იმისთვისაც, რომ ოთხი ცოლის ყოლის უფლება გვაქვს მაშინ,

როცა თავად შეიძლება უამრავი ქალი ჰყავდეთ. ჩვენ ისე ვცხოვრობთ და ისე ვმართავთ ქვეყანას, როგორც უფალმა გვიბრძანა".

ბიძაჩემი გაჩუმდა. სიბნელეში მისი ჩრდილი გამხდარ, ბებერ ჩიტს ჰგავდა. მოხუცმა ჩაახველა და კვლავ ომახიანად განაგრძო:

„და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყველაფერს ისე ვაკეთებთ, როგორც ღმერთი ჩვენგან მოითხოვს, ევროპელები კი არაფერს, რასაც იმათი ღმერთი მოითხოვს, მაინც ძლიერდებიან, ჩვენ კი ვსუსტდებით. ვინ ამიხსნის ამას?"

ამის ახსნა ჩვენც არ შეგვეძლო. მოხუცი წამოდგა, დაღლილი, ღონემიხდილი გაემართა თავისი ოთახისაკენ. მამაც გაჰყვა. მოსამსახურეებმა ჩაის ფინჯნები გაიტანეს. ბანზე მარტო დავრჩი. არ მეძინებოდა. ქალაქი სიბნელეში ჩაიძირა და ღამით ჩასაფრებულ, ნახტომისთვის შემართულ მხეცს დაემსგავსა. თითქოს ბაქოში მართლაც ორი ქალაქი იყო და ერთი მეორეში ისე იყო შერწყმული, როგორც კაკლის გული ნაჭუჭში. ნაჭუჭი ქალაქის ძველი კედლის გარე ნაწილი იყო: ფართო ქუჩებით, მაღალი სახლებით, ხმაურიანი, ფულს დახარბებული მდიდარი ადამიანებით. ეს ნაწილი ჩვენი მიწის წიაღის ნავთობმა წარმოშვა. იქ იყო უამრავი თეატრი, სკოლა, საავადმყოფო, ბიბლიოთეკა, პოლიცია, ლამაზი ქალები შიშველი მხრებით. ქალაქის ამ ნაწილში დროდადრო ისროდნენ, ისიც ფულის გამო. სწორედ აქ იწყებოდა ევროპის გეოგრაფიული საზღვარი. ნინოც ამ ნაწილში ცხოვრობდა.

ძველი კედლის შიგნით კი დაბალი, ვიწრო, აღმოსავლური სახლები იდგა. სამლოცველოების კოშკები მშვიდად მიილტვოდა მთვარიანი ცისაკენ და სულ არ ჰგავდა აღმოსავლეთ კედელთან აღმართულ საბურღ კოშკურას. ძველ ქალაქს ეკუთვნოდა ქალწულის კოშკიც, რომელიც მეჰმედ იუსუფ ხანმა ქალიშვილის პატივსაცემად ააგო. ხანს თავისი ქალიშვილის ცოლად შერთვა სურდა, მაგრამ ქორწილი არ შედგა. გოგონა კედლიდან გადმოხტა, როცა

სიყვარულს დახარბებული მამა მისი ოთახისაკენ მიიჩქაროდა. ქვას, რომელზეც გოგონა დაენარცხა, ქალწულის ქვა ჰქვია. ზოგჯერ, ქორწილის წინ, აქ წყვილებს ყვავილები მიაქვთ ხოლმე.

საუკუნეების მანძილზე ჩვენი ქალაქის ქუჩებში უამრავი სისხლი დაღვრილა. და, ალბათ, ეს დაღვრილი სისხლი გვაძლიერებს და გვაძლებინებს.

ჩვენს სახლთან ახლოს აღმართულია თავად ციციანაშვილის ჭიშკარი. აქაც მრავალი მამაცი ადამიანის სისხლია დაქცეული. ეს იყო მრავალი წლის წინ, როცა ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ სპარსელებს ეკუთვნოდათ და აზერბაიჯანის გუბერნატორს ხარკს უხდიდა. თავადი ციციანაშვილი მეფის რუსეთის ჯარების გენერალი იყო. მაშინ ჩვენს ქალაქს ჰასან ყული ხანი განაგებდა. ამ უკანასკნელმა თავადს ქალაქის კარიბჭე გაუღო და შიგნით შემოუშვა, როცა ის თავისი ჯარებით ქალაქს მოადგა. თავადი შიგნით რამდენიმე ოფიცრის თანხლებით შემოვიდა, რადგან ჰასან ყული ხანმა დააჯერა, რომ ნებდებოდა დიდი რუსეთის მეფეს. კარიბჭის წინ მოედანზე ღრეობა მოაწყვეს, კოცონი გააჩაღეს, უამრავი ცხვარი შეწვეს შამფურზე. თავადი ციციანაშვილი დათვრა, დაღლილმა ჰასან ყული ხანს მკერდზე მიაყრდნო თავი და ჩაეძინა. ჩემმა წინაპარმა იბრაჰიმ ხან შირვანშირმა დიდი ხმალი იძრო და ჰასან ყული ხანს მიაწოდა. იმან კი თავადს ყელი გამოსჭრა. თავი მარილიან ტომარაში ჩადეს და თეირანში მეფეთ მეფეს მიართვეს ჩემი წინაპარის ხელით. რუსეთის მეფე განრისხდა და გადაწყვიტა შური ეძია. მან ბაქოსკენ დიდი ჯარი გამოგზავნა. ჰასან ყული ხანი სასახლეში ჩაიკეტა და ლოცულობდა. როცა ჯარისკაცებმა შიგნით შეაღწიეს, ის საიდუმლო გასასვლელით სპარსეთისაკენ ზღვით გაქცეული დახვდათ. გაქცევამდე გასასვლელში ასეთი ბრძნული წარწერა დაეტოვებინა: „ვინც ხვალინდელ დღეზე ფიქრობს, მამაცი ვერასოდეს იქნება".

სკოლიდან რომ ვბრუნდებოდი, ხშირად ჩავივლიდი ხოლმე დანგრეულ სასახლესთან, რომლის მავრიტანული, სვეტებიანი დარბაზები ეულად და უკაცრიელად გამოიყურებოდა.

თუ ვინმე ჩვენს ქალაქში სამართალს ეძიებდა, კედლის იქითა მხარეს, რუს მოსამართლესთან უნდა წასულიყო. თუმცა ასე ცოტანი იქცეოდნენ. იმიტომ კი არა, რომ რუსი მოსამართლეები ცუდები ან უსამართლონი იყვნენ. არა, შეიძლება შემწყნარებლები და სამართლიანებიც ყოფილიყვნენ, მაგრამ ისინი ჩვენს ხალხს არ მოსწონდა. ქურდებს აპატიმრებდნენ, მაგრამ ისინი სუფთა საკანში ისხდნენ და ჩაის შეექცეოდნენ, თანაც შაქრით. ჩვენი ხალხი ამაზე მხრებს იჩეჩავდა და სამართალს თვითონვე ეძიებდა. მომჩივანნი ნაშუადღევს მეჩეთში მიდიოდნენ. ბრძენი მოხუცები წრეში ისხდნენ და შარიათის, ალაჰის კანონით ასამართლებდნენ: „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ". ღამღამობით ქუჩაში იდუმალი აჩრდილები დაბორიალებდნენ. სადღაც ხანჯალი იელვებდა, ვიღაც იყვირებდა და სამართალიც გაჩენილი იყო. ყველგან, სახლიდან სახლში, სისხლის ასაღებად შურისმაძიებელნი დაძრწოდნენ. სამართალს ბრძენი ადამიანები იცავდნენ და რუსი მოსამართლეები არავის სჭირდებოდა, მათ ბავშვები ქუჩაში დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ.

ხანდახან ღამეულ ქუჩებში ზურგზე მოკიდებული ტომრები დაჰქონდათ, საიდანაც ვიღაცის ყრუ კვნესა მოისმოდა. მერე ზღვასთან ჩუმი ტყლაშუნის ხმას გაიგებდი და ტომარაც სადღაც ქრებოდა. მეორე დღეს კი თავის ოთახში იატაკზე ვიღაც იჯდა შემოფლეთილი ტანსაცმლით და მწარედ მოთქვამდა. მან ალაჰის კანონი აღასრულა – მოღალატე ცოლი მოკლა.

ჩვენი ქალაქი უამრავ საიდუმლოს იტევს. მისი ყოველი კუთხე-კუნჭული სავსეა საოცრებებით. მე მიყვარს ეს საოცრებები, ეს კუთხეები, ღამით მოჩურჩულე სიბნელე

და მდუმარე მედიტაცია მეჩეთის მტვრით და[illegible]ადი
უფალმა ჩემი დაბადება მუსლიმად, შიიტური [illegible]
იმამ ჯაფარის სარწმუნოების მიმდევრად აქ ინე[illegible]
უფალი ინებებდა, აქ მოვკვდებოდი, ამავე ქუჩაზე [illegible]
სახლში, სადაც ქვეყანას მოვევლინე. ნინოც აქ ცხოვრ[illegible]ა,
მშვენიერი ქართველი ქრისტიანი, დანა-ჩანგლით რომ
ჭამდა, მომღიმარი თვალები ჰქონდა და გამჭვირვალე,
ჰაეროვანი წინდები ეცვა.

III თავი

აბიტურიენტების სადღესასწაულო ფორმებს ვერცხლისფერი საყელოები, ვერცხლისბალთიანი ქამრები და ვერცხლისფერი ღილები ამშვენებდა. თვითონ ნაჭერი კი ისე იყო გატკიცინებული, რომ უთოს სითბოს სუნი ჯერაც ასდიოდა. გიმნაზიის დიდ დარბაზში თავშიშვლები ჩუმად ვიდექით. დაიწყო გამოცდის საზეიმო პროცესი. ჩვენ ყველა მართლმადიდებლური ეკლესიის ღმერთს დახმარებას ვთხოვდით, ორმოცივე გიმნაზიელი, რომელთაგანაც მხოლოდ ორი ეკუთვნოდა ამ ეკლესიას.

მღვდელს საზეიმო, მოოქროვილი ანაფორა ემოსა, გრძელი, სურნელოვანი თმა ჰქონდა და ხელში დიდი ოქროს ჯვარი ეჭირა. ლოცვა დაიწყო. დარბაზი საკმევლის სურნელით აივსო. ყველამ დაიჩოქა.

მღვდლის წამღერებით წარმოთქმული მართლმადიდებლური ეკლესიის ლოცვა ყრუდ ჩაგვესმოდა. უკვე მერამდენედ გვესმოდა ამ რვა წლის განმავლობაში:

„ყოვლადმორწმუნე, ყოვლადძლიერ, ყოვლადქრისტიან ხელმწიფეს, მეფე ნიკოლოზ მეორე ალექსანდრეს ძეს წყალობა ღვთისა... და ყველა მეზღვაურს, მოგზაურს, ყველა სწავლულს, ყველა ტანჯულს და ყველა მებრძოლს, ყველას, ვინც მთელი ცხოვრება რწმენისთვის, მეფისთვის და სამშობლოსთვის იბრძვის და ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს წყალობა ღვთისა“.

გაბეზრებული მივშტერებოდი კედელს; ფართო ოქროს ჩარჩოდან ყოვლადძლიერი და ყოვლადწმინდა მბრძანებელი მეფე ნიკოლოზ მეორე შემოგვცქეროდა, თითქოს მართლაც იქ იდგაო. სურათი იმხელა იყო, ბიზანტიურ ხატს მოგაგონებდა. მეფეს მოგრძო სახე, ქერა თმა და ცივი, ნათელი თვალები ჰქონდა. მკერდს უამრავი

მედალი უმშვენებდა. მთელი ეს რვა წელი ვცდილობდი დამეთვალა, რამდენი მედალი ეკიდა, მაგრამ სულ მერეოდა.

ადრე მეფის სურათის გვერდით დედოფლის სურათიც ეკიდა. მაგრამ მაჰმადიანებმა ერთი ამბავი ატეხეს მისი მოშიშვლებული მკერდის გამო; იმუქრებოდნენ, ბავშვებს სკოლაში აღარ ვატარებთო და ამიტომ ჩამოხსნეს.

მღვდელი ლოცულობდა. ჩვენ ყველას სადღესასწაულო განწყობა გვქონდა. ეს დღე განსაკუთრებულად ამაღელვებელი იყო ჩემთვის და ძალ-ღონეს არ ვიშურებდი, რომ ღირსეულად დამესრულებინა. დილიდანვე გადავწყვიტე, ამ დღეს ყველას თავაზიანად მოვპყრობოდი. მაგრამ სახლში ყველას ეძინა. ისღა დამრჩენოდა, რომ გზად შემხვედრი მათხოვრებისთვის ფული დამერიგებინა. აღელვებისაგან ერთ მათხოვარს ხუთი კაპიკის ნაცვლად მანეთი მივეცი და, როცა ის გაუთავებლად მადლობას მიხდიდა, ამაყად განვუცხადე: მე კი ნუ მიხდი მადლობას, ალაჰს უმადლოდე, ჩემი ხელით ის შეგეწია-მეთქი.

შეუძლებელი იყო ასეთი ღვთისნიერი მოქცევის შემდეგ ჩავჭრილიყავი.

ლოცვა დამთავრდა. საგამოცდო მაგიდისაკენ ბატებივით მარშით გავემართეთ და პირდაპირ ურჩხულის დაღებულ ხახაში – კომისიის წინაშე აღმოვჩნდით. ოქროსფერ საზეიმო მუნდირებში გამოწყობილი გრძელწვერა კომისიის წევრები მოქუფრული მზერით შემოგვცქეროდნენ. ყველაფერი საზეიმო და თანაც საოცრად შიშისმომგვრელი იყო. რუსებს მაჰმადიანთა ჩაჭრა მაინცდამაინც არ ეხალისებოდათ, რადგან ყველას უამრავი მეგობარი გვყავდა, სულ კუნთმაგარი ბიჭები, ხანჯლებითა და რევოლვერებით შეიარაღებულები. იცოდნენ, შეიძლება სადმე ბნელ კუთხეში დახვედროდნენ და ეცემათ. ეს ყველაფერი კი მხოლოდ იმით მთავრდებოდა, რომ დამნაშავის ვინაობას ვერ ადგენდნენ, მასწავლებელი კი სხვაგან გადაჰყავდათ. ბაქოში მასწავლებლად გამოგზავნას

რუსები ღვთის სასჯელად თვლიდნენ. ამიტომაც ხუჭავდნენ თვალს, როცა მოსწავლე ალი ხან შირვანშირი თითქმის მოურიდებლად იწერდა მათემატიკას გვერდით მჯდომი მეტალნიკოვისაგან. მხოლოდ ერთხელ, ისიც მორიდებით ჩამჩურჩულა მასწავლებელმა: „ასე აშკარად ნუ აკეთებ, შირვანშირ, მარტონი ხომ არა ვართ". მათემატიკის გამოცდამ მშვიდობიანად ჩაიარა, კმაყოფილები მივაბიჯებდით ნიკოლოზის ქუჩაზე. ცოტაც და, მოსწავ-ლეები აღარ ვიქნებოდით. მეორე დღეს რუსული წერა გვქონდა. თემა, როგორც ყოველთვის, თბილისიდან დალუქული მოვიდა. დირექტორმა საჯაროდ გახსნა და წაიკითხა: „ქალთა სახეები, როგორც რუსი ქალის სულის იდეალური გამოხატულება, ტურგენევის შემოქმედებაში".

კარგი თემა იყო. შემეძლო დამეწერა. რაც შეიძლება უნდა მექო და მედიდებინა რუსი ქალები და თამაშსაც მოვიგებდი. ყველაზე ძნელი ფიზიკა წერა იყო, მაგრამ ცოდნა თუ გიმტყუნებს, გადაწერის ხელოვნებას უნდა მიმართო. მშვიდობიანად ჩაიარა ფიზიკის გამოცდამაც და, რაღა თქმა უნდა, კომისიისთვისაც მშვიდობიანი დღე იქნებოდა.

მერე იწყებოდა ზეპირი გამოცდები. მთავარი იყო, იოლ შეკითხვებზე რთული პასუხები გაგეცა. პირველი გამოცდა რელიგიაში გვქონდა. ჩვეულებრივ ყოველთვის მოკრძალებული გიმნაზიის მოლა ამჯერად ჩვენ წინ მაგიდასთან იჯდა გრძელი, ფარფარა მოსასხამით და განიერი მწვანე ბაფთით, რომელსაც წინასწარმეტყველის მიმდევრები ატარებდნენ. ის კეთილად იყო განწყობილი თავისი მოსწავლეებისადმი. მე მხოლოდ ისლამური სარწმუნოების ძირითადი მცნება მკითხა და მას მერე, რაც ბრწყინვალედ ჩამოვუყალიბე შიიტური მიმდინარეობის ძირითადი არსი, მაღალი ნიშანიც დავიმსახურე: „არ არს ღმერთი, თვინიერ ალაჰისა, და მუჰამადია მოციქული მისი, ალი კი ალაჰის შემწე დედამიწაზე." ყველაზე მნიშვნელოვანი ბოლოს იყო, განსხვავება შიიტ ღვთისმოსავთა და სუნიტ

ცდომილ ძმებს შორის, რომელთაც მაინც არ წაართვა ალაჰმა თავისი წყალობა. ასე გვასწავლა მოლამ, რომელიც ძალზე ლიბერალი გახლდათ.

რაც შეეხება ისტორიას, მასწავლებელი ლიბერალობით არ გამოირჩეოდა. ბილეთიც ისეთი შემხვდა, არ მესიამოვნა: „მადათოვის გამარჯვება განჯასთან". თვითონ მასწავლებელსაც დაეტყო აღელვება. ეს ის ბრძოლა იყო, სადაც რუსებმა მზაკვრულად მოკლეს ჩემი წინაპარი იბრაჰიმ ხან შირვანშირი, რომლის დახმარებითაც ჰასან ყულიმ თავად ციციანაშვილს მოაჭრა თავი .

„შირვანშირ, თქვენ შეგიძლიათ თქვენი უფლება გამოიყენოთ და ბილეთი გამოცვალოთ". მე უნდობლად გავხედე მინის საფარს, რომელშიც ლატარიის ბილეთებივით ეწყო საგამოცდო ბილეთები. ყოველ მოსწავლეს ჰქონდა უფლება, აღებული ბილეთი ერთხელ გამოეცვალა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მაღალ ნიშანსაც უნდა გამომშვიდობებოდა. ეს არ მინდოდა და ბედს დავემორჩილე, მითუმეტეს, რომ ჩემი წინაპრის სიკვდილზე ასე თუ ისე რაღაც ვიცოდი, ამ მინის ქვეშ კი, ვინ იცის, ჩემთვის უცნობი რამდენი საკითხი ეწყო – პრუსიის ომზე თუ ამერიკის გამათავისუფლებელ ბრძოლაზე. ამიტომაც ბილეთის გამოცვლაზე უარი ვთქვი: „გმადლობთ, ჩემს საკითხს დავიტოვებ". და მოვყევი, როგორც შემეძლო აბას მირზაზე, როგორ დაიძრა ორმოციათასიანი ჯარით თავრიზიდან, რომ აზერბაიჯანიდან რუსები განედევნა, როგორ დახვდა მათ მეფის გენერალი სომეხი მადათოვი ხუთი ათასი კაცით განჯასთან და ბრძანა, ცეცხლი გაეხსნათ სპარსელებისათვის. სროლის შედეგად უფლისწული აბას მირზა ცხენიდან ჩამოვარდა და თხრილში ჩაიმალა. მთელი ჯარი დაიფანტა. იბრაჰიმ ხან შირვანშირი კი ცდილობდა, მდინარე გადაელახა, მაგრამ დაიჭირეს და დახვრიტეს. რუსთა გამარჯვება ჯარის სიმამაცემ კი არა, მადათოვის ძლიერმა აღჭურვილობამ განაპირობა. ამ გამარჯვებით გათავისუფლდა თურქმენჩაი.

ამასთან, ომის შემდგომ სპარსელებისაგან დაკისრებული ხარკის შედეგად ხუთი პროვინცია მთლად გაპარტახდა".

სწორედ ასეთი დასასრულის გამო დამიწერეს ოთხიანი. არადა, უნდა მეთქვა: „გამარჯვება განაპირობა რუსების სიმამაცემ, რომელთაც შეძლეს მტრის მრავალრიცხოვანი ჯარების მოგერიება. გამარჯვების შედეგად გათავისუფლდა თურქმენჩაი, ამით სპარსელებს გზა გაეხსნათ დასავლეთის ბაზრებისა და კულტურისაკენო."

რაში მეკითხებოდა ჩემი წინაპრის ღირსების დაცვა? ამან ხუთიანი დამაკარგვინა.

როგორც იქნა, გამოცდებიც დასრულდა. დირექტორმა საზეიმო სიტყვა წარმოთქვა. მან სიამაყით და მთელი სერიოზულობით განაცხადა, რომ ჩვენ უკვე მზად ვართ ცხოვრებისთვის.

მერე კი თავისუფლებამინიჭებული მსჯავრდებულებივით კიბეზე დავეშვით. მზე თვალს გვჭრიდა, ქუჩები ყვითელი ქვიშით იყო დაფარული. სკოლის ახლოს მდგომმა პოლიციელმა, მთელი რვა წელი ღირსეულად რომ გვიცავდა, მოგვილოცა და ყოველი ჩვენგანისაგან ხუთ-ხუთი კაპიკი მიიღო. მთელ ქალაქს ყაჩაღებივით ხმაურითა და ღრიანცელით მოვედეთ.

სახლისაკენ მივიჩქაროდი. ისე მიმიღეს, როგორც სპარსელებზე გამარჯვებული ალექსანდრე ომის შემდეგ. მსახურები კრძალვით შემომცქეროდნენ. მამამ გადამკოცნა და სამი სურვილის შესრულებას დამპირდა. არჩევანი ჩემზე იყო. ბიძაჩემმა დაასკვნა, რომ ისეთი ჭკვიანი კაცისათვის, როგორიც მე ვიყავი, მხოლოდ თეირანის კარზე თუ მოიძებნებოდა ადგილი.

როგორც კი პირველი ემოციები ჩაცხრა, ტელეფონთან მივიპარე. ორი კვირა ნინოსთან არ მილაპარაკია. ბრძენ კაცს უთქვამს, თუ საპასუხისმგებლო საქმე გაქვს, ქალისგან თავი შორს დაიჭირეო. ავკრიფე 33-81 და ნინოს ხმაც გავიგე:

— ჩააბარე, ალი?

– კი, ნინო!

– გილოცავ, ალი.

– სად და როდის, ნინო?

– ხუთზე გუბერნატორის ბაღთან, აუზთან.

მეტის თქმა აღარ შემეძლო. ზურგით ცნობისმოყვარე მსახურებისა და ნათესავების მზერას ვგრძნობდი. ნინოსაც, ალბათ, დედამისი ედგა გვერდით. თანაც, არც თუ ისე სასიამოვნოა, როცა საყვარელი ადამიანის ხმა გესმის და ვერ ხედავ.

მერე დიდ ოთახში გავედი მამასთან. ის და ბიძაჩემი ტახტზე ისხდნენ და ჩაის შეექცეოდნენ. კედელთან მსახურები იდგნენ და მომშტერებოდნენ. სიმწიფის გამოცდა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. ვიდრე ცხოვრების კარს შევაღებდი, ჯერ მამის დარიგება უნდა მიმეღო. ეს ამაღელვებელი და ცოტა ძველმოდური იყო, მაგრამ მამამ შვილს ყველა წესის დაცვით ცხოვრების სიბრძნე უნდა გაუზიაროს:

„შვილო ჩემო, ახლა, როცა შენ უკვე ცხოვრების კარი უნდა შეაღო, ვალდებული ვარ, მუსლიმის ყველა მოვალეობა კიდევ ერთხელ შეგახსენო. ჩვენ ურწმუნოთა ქვეყანაში ვცხოვრობთ და, რადაც უნდა დაგიჯდეს, მტკიცედ უნდა დაიცვა ძველი ადათ-წესები. გამუდმებით ილოცე, არასოდეს დალიო, არასოდეს აკოცო სხვის ცოლს, კეთილად მოეპყარი ღარიბებსა და სუსტებს. ყოველთვის მზად იყავი ხმლის ამოსაღებად და რწმენის დასაცავად. ბრძოლის ველზე თუ დაეცემი, მოხუც მამას გულს მომიკლავ, მაგრამ შენი უღირსი სიცოცხლის გამო სირცხვილით დავიწვები. შვილო ჩემო, მტერს ნუ დანებდები, ჩვენ ქრისტიანები არა ვართ. ხვალინდელ დღეზე ნუ იფიქრებ, ეს მხოლოდ მხდალის ხვედრია. ნუ დაივიწყებ მუჰამადის რწმენას, იმას, რასაც შიიტური მოძღვრების მიმდევარი იმამ ჯაფარი გვიქადაგებს!“

ბიძაჩემი და მსახურები მამაჩემს ისეთი გაბრწყინე-

ბული სახეებით უსმენდნენ, თითქოს გამოცხადება ყოფილიყო. მერე მამაჩემი წამოდგა, მომიახლოვდა და მავედრებელი ხმით მითხრა, მხოლოდ ერთსა გთხოვ, პოლიტიკაში არასოდეს გაერიოო.

პოლიტიკისაგან შორს ვიყავი და ამიტომაც იოლად დავიფიცე. ჩემი აზრით, ნინო პოლიტიკურ პრობლემას არ მიქმნიდა. მამა კიდევ ერთხელ გადამეხვია. ახლა კი ნამდვილად დავასრულე სიმწიფის გამოცდა.

ხუთის ნახევარზე სახლიდან გამოვედი. ისევ გიმნაზიელის ფორმა მეცვა. ციხე-სიმაგრის ქუჩაზე, პრომენადის მარჯვნივ გავუხვიე, გუბერნატორის სასახლესთან, რომელსაც წინ ბაღი ჰქონდა. ეს ბაღი ბაქოს გახრიოკებულ, მწირ მიწაზე დიდი ვაი-ვაგლახით გააშენეს.

საოცრად თავისუფალი, უჩვეულო შეგრძნება მქონდა. სახელმწიფო მოხელემ ჩამიარა მანქანით და არ დამჭირვებია არც სამხედრო მისალმება და არც გაჭიმვა, როგორც მთელი ამ რვა წლის მანძილზე მევალებოდა. ქუდს ვერცხლისფერი წარწერა „ბაქოს გიმნაზია" საზეიმოდ მოვაცალე. და ახლა, როგორც სრულიად დამოუკიდებელი ვინმე, ქალაქში დავსეირნობდი. წამით სიგარეტის მოწევის სურვილიც კი გამიჩნდა. მაგრამ თამბაქოს სიძულვილი თავისუფლების შეგრძნებაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ასე რომ, მოწევა გადავიფიქრე და ბაღისაკენ გადავუხვიე.

დიდ, მტვრით დაფარულ ბაღში, გამხმარი ხეები მოწყენილად გამოიყურებოდა. სავალი ბილიკები სულ მოასფალტებული იყო. მარჯვნივ ძველი ციხე-სიმაგრის კედელი მოჩანდა. შუაში ქალაქის კლუბის მარმარილოს სვეტები თეთრად ბრწყინავდა. ხეებს შორის უთვალავი ძელსკამი ჩაედგათ. რამდენიმე მტვრით დაფარული პალმის ქვეშ სამი ფლამინგო შეყუჟულიყო და უძრავად მიშტერებოდა ჩამავალი მზის ათინათს. კლუბის მახლობლად ქვებით მოპირკეთებული, ღრმა, მრგვალი აუზი გაეკეთებინათ. ერთი პირობა უნდოდათ, აუზი წყლით

აევსოთ და შიგ გედები გაეშვათ, მაგრამ ამის განხორციელება ვერ შეძლეს: ჩვენში წყალი ძვირად ფასობდა, გედები კი იშვიათობა იყო. ამიტომაც აუზი, მკვდარი ციკლოპის თვალის ღრმულივით, მუდამ ცარიელი შეჰყურებდა ცას.

ერთ ძელსკამზე ჩამოვჯექი. მზე მიყოლებით ჩამწკრივებული ნაცრისფერი სახლების უკან ეშვებოდა. ვიღაც ჩადრიანმა ქალმა ფლოსტების ფრატუნით ჩამიარა, მარტო ნისკარტივით ცხვირი მოუჩანდა. თვალი მოვარიდე. უჩვეულო დაღლილობა მომეძალა. კიდევ კარგი, ნინო ჩადრს არ ატარებს, და არც ასეთი გრძელი ცხვირი აქვს. არა, ნინოს ჩადრს ვერ ჩამოვაფარებ. ჰა, იქნებ მაინც? ჯერ ზუსტად არ ვიცი. ჩამავალი მზის ნათებაში ნინოს სახე დამიდგა თვალწინ. ნინო ყიფიანი – მშვენიერი ქართველი ქალი, დიდგვაროვანი წარმომავლობისა, ევროპულად აღზრდილი, შეუდარებელი სილამაზის მქონე: თეთრი, ქათქათა კანით, მომღიმარი, დიდი, მუქი, მოციმციმე კავკასიური თვალებით, გრძელი, ნაზი წამწამებით; მხოლოდ ქართველებსა აქვთ ასეთი თბილი, სიცოცხლით აღსავსე თვალები, სხვას – არავის, არც ევროპელს, არც აზიელს. ვიწრო, ნახევარმთვარისებური წარბები, ღვთისმშობლის პროფილი. სევდა მომერია. ამ შედარებებმა და წარმოდგენებმა დამთრგუნა. საერთოდ, მდიდარია აღმოსავლელი კაცის წარმოსახვა, მაგრამ ამჯერად ერთი რამის თქმა შემიძლია: ნინო უცხო, გაუგებარი ქრისტიანული სამყაროს, წმინდა მარიამის სიმბოლოა.

თავდახრილი ვიჯექი და მტვრითა და ქვიშით შთანთქმულ გზას მივშტერებოდი. ქარი ქვიშას თვალებში მაყრიდა და მაბრმავებდა. თვალები დავხუჭე და უცბად გვერდიდან ლაღი ხმა ჩამესმა: „წმინდაო გიორგი, ვხედავ, რომეოს ჯულიეტას მოლოდინში ჩასძინებია“. მაშინვე წამოვხტი, გვერდით ნინო მედგა. ჩვეულებისამებრ, ლიცეუმის ცისფერი ფორმა ეცვა. გამხდარი იყო, აღმოსავლელის

გემოვნებისათვის მეტისმეტად გამხდარი, რაც კიდევ უფრო ნაზ გრძნობას მიღვიძებდა. ჩვიდმეტი წლისა იყო. იმ დღიდან ვიცნობდი, რაც ლიცეუმში დაიწყო სიარული და ნიკოლოზის ქუჩაზე გამოჩნდა.

ნინო ჩამოჯდა. დახრილი, გრძელი წამწამების მიღმა თვალები უბრწყინავდა:

– ჩააბარე? ძალიან მეშინოდა.

მხრებზე ხელი მოვხვიე:

– ცოტა ვიღელვე, მაგრამ ღვთის წყალობით ყველაფერი კარგად დასრულდა.

ნინოს გაეცინა:

– ერთ წელიწადში შენ მოგიწევს ჩემთვის ღვთის როლის შესრულება, ჩემი მერხის ქვეშ ჯდომა და გამოცდაზე მათემატიკის ამოცანის პასუხების კარნახი.

სწორედ ასე მოხდა რამდენიმე წლის წინ. თორმეტი წლის ატირებული ნინო ჩემს კლასში შემოიჭრა. მე მის საკლასო ოთახში შეპარვა მომიხდა. მთელი საათი ვიჯექი მერხის ქვეშ და მათემატიკის ამოცანას ვკარნახობდი. იმ დღის მერე ნინოს თვალში გმირი გავხდი.

– როგორ არის ბიძაშენი თავისი ჰარამხანით? – მკითხა ნინომ.

სერიოზული სახე მივიღე, რადგან, რაც ჰარამხანას ეხებოდა, საიდუმლო იყო. მაგრამ ნინოს უწყინარი ინტერესი აღმოსავლური ადათ-წესების ყოველგვარ კანონს გაალღობდა:

– ბიძაჩემის ჰარამხანა სამშობლოში გასამგზავრებლად ემზადება. დასავლეთის მედიცინის ყველა მეთოდი იქნა გამოყენებული, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ.

ნინომ ბავშვური შუბლი შეიჭმუხნა და წამოიწყო:

– რა საშინელებაა, ეს ხომ სირცხვილია. მამაჩემიც და დედაჩემიც ჰარამხანის წინააღმდეგნი არიან.

სკოლის მოწაფესავით ლაპარკობდა, თითქოს გაკვეთილს ჰყვებაო. ბაგეებით მის ყურს შევეხე და

ჩავჩურჩულე:

– მე არ მეყოლება ჰარამხანა, დამიჯერე, ნინო.

– ჰო, მაგრამ შენ, ალბათ, ჩადრს ჩამოაფარებ შენს ცოლს.

– ალბათ ჩადრი ნამდვილად საჭიროა, მზისაგან, მტვრისაგან, უცხო თვალისაგან დასაფარავად.

ნინო გაწითლდა:

– შენ მაინც აზიატად დარჩები, ალი. რას გიშლის უცხოების მზერა? ქალი იმისთვისაა, რომ მოეწონოთ.

– ჰო, მაგრამ მხოლოდ თავის ქმარს. მშვენიერი სახე, მოშიშვლებული ზურგი და მკერდი, გამჭვირვალე წინდები ფეხებზე. ამ ყველაფერს დამალვა სჭირდება, თორემ კაცი რაც მეტს ხედავს ქალში, მით მეტის დანახვა სურს. ამიტომაცაა ჩადრი კარგი.

ნინომ გაოცებულმა შემომხედა.

– შენ ფიქრობ, ევროპაში ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის გოგო-ბიჭებიც ასეთ თემებზე საუბრობენ?

– ალბათ არა.

– მაშინ ჩვენც ნუ ვილაპარაკებთ. – თქვა ნინომ მკაცრად და ტუჩები მოკუმა.

თმაზე მოვეფერე, ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივები თვალებს უელვარებდა. მისკენ გადავიხარე და მის პატარა ნოტიო ბაგეებს, უნებურად, ნაზად რომ გაპობოდა, მოურიდებლად დავეწაფე. დიდხანს ვკოცნიდი. მესმოდა მისი გახშირებული სუნთქვა. თვალები მილულული ჰქონდა. მერე კი უცბად გაითავისუფლა თავი. ჩუმად ვისხედით და ბინდს მივჩერებოდით. ცოტა ხნის შემდეგ დარცხვენილები წამოვდექით და ხელიხელჩაკიდებულნი გამოვედით ბაღიდან.

– იქნებ მართლა გინდა, ჩადრი ვატარო? თუ შენს დაპირებას შეასრულებ? – მკითხა მან გამოსასვლელთან. ნინო სახლამდე მივაცილე. გამომშვიდობებისას მითხრა:

– აუცილებლად მოვალ თქვენს გამოსაშვებ საღამოზე.

მე ისევ მისი ხელი მეჭირა და ვკითხე:

– ზაფხულში რას აპირებ, ნინო?

– ზაფხულში? ყარაბაღში, შუშაში მივდივართ. ახლა ნუ მოიგონებ რაღაცეებს, ეს იმას სულ არ ნიშნავს, რომ შენც შუშაში უნდა წამოხვიდე.

– მაშ კარგი, ზაფხულში შუშაში შევხვდებით.

– აუტანელი ხარ. არც კი ვიცი, რატომ მიყვარხარ. – თქვა მან და შინ შევიდა.

სახლში დაგბრუნდი თუ არა, მამაჩემის ოთახისაკენ წავედი. გზად ბიძაჩემის საჭურისი შემომხვდა. გამოფიტული ხვლიკის სახით გამიცინა და მითხრა: „შეუდარებელი სილამაზისანი არიან ქართველი ქალები, ხან. მაგრამ არ შეიძლება ასე აშკარად, სხვების დასანახად ბაღში ხვევნა-კოცნა". ფერმკრთალ ლოყაზე ვუჩქმიტე. საჭურისთან ყველანაირად შეიძლებოდა მოქცევა, არც ქალი იყო, არც კაცი, რაღაც საშუალო. მერე კი მამაჩემისაკენ გავემართე. შესვლისთანავე წამოვიწყე: „მამა, შენ სამი სურვილი მაჩუქე. პირველი უკვე ვიცი. ამ ზაფხულს მინდა ყარაბაღში მარტო წავიდე". მამა დიდხანს მიმზერდა და ღიმილით დამეთანხმა.

IV თავი

ზეინალ აღა უბრალო გლეხი იყო სოფელ ბინიგადიდან. მშრალი ქვიშიანი სანაპიროს რაღაც ნაწილი ეკუთვნოდა. იმდენი თხარა, ვიდრე მიწიდან ნავთობმა არ ამოხეთქა. მას მერე გამდიდრდა, მაგრამ, რაც უფრო მდიდრდებოდა, უფრო მეტს ფიქრობდა. იცოდა, რომ ბედნიერებას სასჯელიც მოჰყვებოდა და, თითქოს ამ სასჯელის მოლოდინშიაო, განუწყვეტლივ აშენებდა მეჩეთებს, საავადმყოფოებს, ციხეებს, მექაში ლოცულობდა, ბავშვთა თავშესაფარიც ააშენა. მაგრამ უბედურებამ მაინც არ დააყოვნა.

თვრამეტი წლის ცოლი, რომელიც ჩვიდმეტი წლისამ შეირთო, გაექცა და ოჯახი დაინგრა. თავის ცოლზე მკაცრად და დაუნდობლად იძია შური, მაგრამ მას მერე სასტიკად დაძაბუნდა. ერთმა ვაჟმა მიატოვა, მეორემ კი გაუგონარი ცოდვა ჩაიდინა და თავს ლაფი დაასხა – თავი მოიკლა. და ახლა მოხუცი ბაქოში ცხოვრობდა, ორმოცოთახიან სასახლეში და თავის ერთადერთ ვაჟთან ილიას ბეგთან ერთად ნაღვლიანად ატარებდა დარჩენილ დღეებს. ილიას ბეგი ჩემი მეგობარი და კლასელი იყო. გამოსაშვები საღამოც სწორედ მასთან გვქონდა.

რვა საათზე შევაბიჯე ამ სასახლის კარში და მარმარილოს განიერ კიბეებს ავუყევი. მაღლა ილიას ბეგი იდგა და სტუმრებს ესალმებოდა. იმასაც ჩემსავით ჩერქეზული ტანსაცმელი ეცვა, ელეგანტურად გამოიყურებოდა, ქამარში ვიწრო ხანჯალი ჰქონდა გარჭობილი, კრაველის ბოხოხი არც იმას მოეხადა თავიდან, არადა, ახლა ეს მიღებული აღარ იყო. „სალამ ალეიქუმ, ილიას ბეგ!" – მივესალმე და ერთმანეთს ხელი ძველი ადათის მიხედვით ჩამოვართვით: ჩემი მარჯვენათი მის მარჯვენას მოვუჭირე ხელი, მან კი თავის

მარცხენა – ჩემს მარცხენას.

– დღეს ლეპროზორიუმი დაიხურება. – ჩამჩურჩულა მან. კმაყოფილმა თავი დავუქნიე.

ლეპროზორიუმი ჩვენი კლასის საიდუმლო აღმოჩენა იყო. რუსი მასწავლებლები, რომლებიც ბაქოში მუშაობდნენ და ქალაქზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, დავარწმუნეთ, თითქოს ბაქოს სიახლოვეს ლეპროზორიუმი იყო. როცა ვინმეს გაკვეთილის გაცდენა მოუნდებოდა, ჭორებს ვავრცელებდით მასწავლებლებში, რომ ლეპროზორიუმიდან რამდენიმე ავადმყოფი გამოიქცა და ქალაქში დაძრწიანო. მთელი კვირით ან ორი კვირით გვითხოვდნენ, ვიდრე ავადმყოფებს არ დაიჭერდნენ. არც ერთ მასწავლებელს თავში არ მოსდიოდა სანიტარიული პუნქტებისათვის შეეტყობინებინა და რამე გაეგო ამ ლეპროზორიუმის შესახებ. დღეს კი ლეპროზორიუმი საზეიმოდ უნდა დახურულიყო.

დარბაზი ხალხით იყო სავსე. კუთხეში ჩვენი სკოლის „ღირსება" – დირექტორი იჯდა, ვასილი გრიგორიევიჩ ხრაპკო. სახეზე საზეიმო განწყობა გადაჰფენოდა, გარს უამრავი მასწავლებელი ეხვია. მაჰმადიან მოსწავლეთა შორის ერთადერთი ვიყავი, ვისაც საოცარი მიდრეკილება მქონდა ენებისა და დიალექტებისადმი. ზოგს რუსული წინადადების სწორი გამოთქმაც კი უჭირდა, მე კი უკვე რამდენიმე რუსულ დიალექტს ვფლობდი. დირექტორი პეტერბურგელი იყო, ამიტომ მასთან პეტერბურგულად უნდა გელაპარაკა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ხმოვნები უნდა ჩაგეყლაპა და თანხმოვნები კბილებში გამოგეცრა, ამაში იგი ვერანაირ დაცინვას ვერ ამჩნევდა და უხაროდა ჩვენი ქვეყნის ასეთი წარმატებული გარუსება. მოკრძალებულად მივეახლე დირექტორს:

– საღამო მშვიდობისა, ბატონო დირექტორო.

– საღამო მშვიდობისა, შირვანშირ, გადაგიარა უკვე გამოცდების ციებ-ცხელებამ?

– დიახ, ბატონო დირექტორო, მაგრამ ამჯერად სხვა რამ მაწუხებს.

– მაინც რა?

– არაფერი გაგიგიათ, ბატონო დირექტორო, ლეპროზორიუმის შესახებ?

– ლეპროზორიუმის? რა უნდა გამეგო?

– გუშინ იქიდან ავადმყოფები გამოქცეულან და ქალაქისაკენ დაძრულან. შეიარაღებული ჯარისკაცები გაუგზავნიათ მათ წინააღმდეგ. ავადმყოფებს ორი სოფელი დაუკავებიათ. ჯარისკაცებს ალყა შემოუტრტყამთ სოფლებისათვის და ცეცხლი გაუხსნიათ ავადმყოფებისათვისაც და ჯანმრთელებისათვისაც. სახლები ცეცხლის ალშია გახვეული. განა საშინელება არ არის, ბატონო დირექტორო?! ლეპროზორიუმი აღარ არსებობს. ქალაქის კარიბჭესთან ყრია ავადმყოფთა დაჩეხილი გვამები, რომელთაც ბენზინს გადაასხამენ და დაწვავენ.

დირექტორს შუბლზე ოფლმა დაასხა. ალბათ იმ წუთას იმაზე ფიქრობდა, მინისტრისათვის ხომ არ ეთხოვა სხვა, ცივილიზებულ მხარეში გადაყვანა: „საშინელი ქვეყანაა, საშინელი ხალხი, მაგრამ ხომ ხედავთ, ბავშვებო, რა დიდი მნიშვნელობა აქვს კარგი და მოხერხებული ძლიერი მმართველობის ყოლას."– ამბობდა დათრგუნული.

მთელი კლასი გარს შემოგვერტყა და ისმენდა მის ქადაგებებს წესრიგის აუცილებლობაზე.

– ბატონო დირექტორო, იცით, რომ მეჰმედ ჰაიდარის ვაჟი უკვე ორი წელია ჩვენს გიმნაზიაში დადის? – ვკითხე მე უცბად დირექტორს.

– რაა?

დირექტორს თვალები გადმოსცვივდა. მეჰმედ ჰაიდარი გიმნაზიის სასჯელი იყო. ის ყოველ კლასში სამ-სამჯერ რჩებოდა, თექვსმეტი წლის ასაკში ცოლი შეირთო, მაგრამ სკოლაში მაინც დადიოდა. მისი ცხრა წლის ვაჟიც იმავე კლასში გადავიდა, რომელშიც მამამისი იჯდა. პირველად

ამაყი მამა ამის დამალვას ახერხებდა, მაგრამ ერთხელ კლასში შემოვიდა იმისი პატარა, მსუქანი ბიჭი საქმიანი, უმანკო სახით და მამამისს აზერბაიჯანულად განუცხადა: „მამა, თუ ხუთ კაპიკს არ მომცემ შოკოლადის საყიდლად, დედას ვეტყვი, რომ მათემატიკის დავალება გადაიწერე“.

მეჰმედ ჰაიდარი სირცხვილისაგან მთლად გაწითლდა, თავისი უტაქტო ბიჭი დატუქსა და გვთხოვა, შვილის ამბავი დირექტორის ყურამდე არ მიგვეტანა.

– თქვენ ამტკიცებთ, რომ მოსწავლე მეჰმედ ჰაიდარს ვაჟი ჰყავს და ჩვენს სკოლაში დადის? – გვკითხა დირექტორმა.

– დიახ, მაგრამ ის პატიებას გთხოვთ და უნდა, რომ მისი შვილი თქვენსავით სწავლული გამოვიდეს. ხომ ხედავთ, ბატონო დირექტორო, რა ფართო მასები მოიცვა დასავლური ცოდნისკენ ლტოლვამ?

დირექტორი კმაყოფილებისაგან გაწითლდა. დუმდა და, ალბათ, იმაზე ფიქრობდა, რომ ეს სასკოლო წესების დარღვევა იყო. სად გაგონილა მამა-შვილის ერთ სასწავლებელში ყოფნა! თუმცა ისიც კარგად იცოდა, რომ ამ საკითხს ვერ მოაგვარებდა და მამა-შვილი დასავლეთის ცოდნის კერაში ერთად სიარულს კვლავაც გააგრძელებდა.

გვერდითი კარი გაიღო. ოთხ მუქანიან ბრმა მუსიკოსს ათი წლის ბიჭი შემოუძღვა. სპარსეთიდან მოწვეული მუსიკოსები კუთხეში ხალიჩაზე მოკალათდნენ, იშვიათი უძველესი საკრავები ეჭირათ. აღმოსავლური ჰანგები დაირხა. ერთმა მომღერალმა ყურთან ხელი მიიტანა. ეს იყო აღმოსავლელი მომღერლის კლასიკური ჟესტი. დარბაზში სიჩუმე ჩამოწვა და ტამბურინის ველური ხმაც გაისმა. ერთ-ერთმა მომღერალმა სევდიანად დააკვნესა:

„სახე სპარსული ხმალივით ბასრი,
პირი ცეცხლოვან ბადახშს მიგიგავს,
თურქთა სულთანი რომ ვყოფილიყავ,
უმალვე ცოლად შენ შეგირთავდი,

მარგალიტებით თმას მოგირთავდი
დაგიკოცნიდი ფეხის გულებსაც,
და ოქროს თასით საკუთარ გულსაც
შენ მოგიძღვნიდი, შენ მოგიძღვნიდი."

ის რომ გაჩუმდა, ტამბურინის ველურ ხმას ვიოლინოც აჰყვა და მეორემ წამოიწყო:

„შენ ყოველ ღამით,
ვითარცა ვირთხა,
მიძვრები მეზობლის ეზოსკენ."

მერე კი მესამე მომღერლის ტანჯული ხმაც გაისმა:

„ო, ურწმუნო ტურავ!
ო, უბედურებავ, ო, უწმინდურებავ!"

წამით სიჩუმე ჩამოწვა და სამი-ოთხი მოკლე მუსიკალური ტაქტის შემდეგ მეოთხე მომღერლმა, თითქოს ოცნებებში ჩაძირულაო, ნაზი ხმით დაიწყო:

„სამი დღეა ვლესავ ჩემს ხმალს,
მეოთხე დღეს ჩემს მტერს მოვკლავ
და მას ნაკუწ-ნაკუწ ვაქცევ.
შენ კი, ჩემო სიყვარულო, უნაგირზე შემოგისვამ,
სახეს მებრძოლის საფარველით შევიბურავ
და შენთან ერთად მთებს მივაშურებ."

დარბაზის ერთ კუთხეში, ფარდასთან ვიდექი. ჩემ ახლოს სკოლის დირექტორი და გეოგრაფიის მასწავლებელი ისხდნენ. აქა-იქ ჩურჩული გაისმა.

— რა საშინელი მუსიკაა. კავკასიური ვირის ყროყინს ჰგავს. ან ეს სიტყვები რაღას ნიშნავს? — ჩუმად ჩაილაპარაკა დირექტორმა.

— სიტყვებიც ისეთივე უაზროა, როგორც მელოდია. — კვერი დაუკრა გეოგრაფიის მასწავლებელმაც.

მინდოდა, იქიდან ფეხაკრეფით გავბრუნებულიყავი, მაგრამ უეცრად ფარდა შეირხა, უკან მივიხედე და ფარდის იქით თეთრთმიანი მოხუცი კაცი შევნიშნე. ილიას ბეგის მამა ზეინალ აღა იყო. მუსიკას ყურს უგდებდა და ტიროდა,

ცისფრად დაძარღვული დამჭკნარი ხელები ერთთავად უცახცახებდა. ეს გამხდარი ხელები, საკუთარ სახელსაც კი გაჭირვებით რომ დაწერდა, შვიდ მილიონს ფლობდა.

თვალი მოვარიდე. ამ მოხუცს, ოდესღაც უბრალო გლეხს, უფრო მეტი ესმოდა მუსიკის ხელოვნებისა, ვიდრე მასწავლებლებს, ჩვენი განათლება რომ ევალებოდათ.

სიმღერა დასრულდა. მუსიკოსებმა საცეკვაო მელოდია წამოიწყეს. დარბაზში მიმოვიხედე. მოსწავლეები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ღვინოს სვამდნენ, მაჰმადიანებიც კი. მე არ ვსვამდი.

აქა-იქ კუთხეში გოგონები იდგნენ. მათ შორის ქერა-თმიანი ცისფერთვალება რუსი ქალიშვილებიც იყვნენ, ისინი სომხებს, რუსებს, ქართველებს ესაუბრებოდნენ, მაგრამ თუ რომელიმე მაჰმადიანი დაელაპარაკებოდა, მაშინვე ხითხითს იწყებდნენ და ზურგს აქცევდნენ.

ვიღაც როიალს უკრავდა. დირექტორი გუბერნატორის ქალიშვილთან ცეკვავდა.

და აი, როგორც იქნა, კიბეზე მისი ხმაც გაისმა:

– საღამო მშვიდობისა, ილიას ბეგ, ცოტა დამაგვიანდა, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის.

უკან მივიხედე. ნინოს არც საღამოს კაბა ეცვა, არც წმინდა თამარის ლიცეუმის ფორმა. თასმები ისე მჭიდროდ ჰქონდა შემოჭერილი წელზე , მეგონა, მუჭაში მოვიქცევდი. მხრებზე მოკლე ოქროსფერღილებიანი პელერინა მოესხა. კოჭებამდე გრძელი შავი ქვედა კაბა ეცვა, მხოლოდ ტარსიკონის ფეხსაცმლის მოოქროვილი ჭვინტები მოუჩანდა. თავზე პატარა ქუდი ეხურა. შუბლზე ორ წყებად ოქროს ფირფიტები ეფინა. საქართველოს დედოფლის უძველესი სადღესასწაულო ტანსაცმელი ეცვა ჩემს პრინცესას, ბიზანტიელ ღვთისმშობელს ჰგავდა და სახე უღიმოდა.

– არ გამიწყრე, ალი ხან, ამ თასმების შეკვრას ერთი საათი მოვუნდი. ბებიას ნაქონია. თქვენს პატივსაცემად

ჩავიცვი.

— პირველი ცეკვა ჩემთან. — დაიძახა ილიას ბეგმა. ნინომ კითხვის ნიშნად გამომხედა. მე თავი დავუქნიე, რადგან ცუდად ვცეკვავდი, ილიას ბეგისთვის კი ნინოს მინდობა შეიძლებოდა.

— შამილის ლოცვა! — დასძახა ილიას ბეგმა და ბრმა მუსიკოსებმაც მაშინვე დასცხეს ველური მელოდია... ილიას ბეგმა ხანჯალი იშიშვლა და შუა დარბაზში ისკუპა. კავკასიელი მთიელების ცეკვის ცეცხლოვან რიტმს ფეხები ააყოლა. ხელში ხანჯალი უელვარებდა. მის წინ ნინო დასრიალებდა. ფეხებს პატარა ძვირფას თოჯინასავით ამოძრავებდა. დაიწყო შამილის მისტერიები. ნინო საცოლეს განასახიერებდა, რომელიც უნდა მოეტაცათ. მის ყოველ მოძრაობაში შიში, სასოწარკვეთა, თუ უსასოობა გამოკრთოდა. მარცხენა ხელში მანდილი ეჭირა. მთელი სხეული უცახცახებდა, მაგრამ მონეტები ქუდზე ოდნავაც არ ირხეოდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ეს იყო ამ ცეკვის ურთულესი ნიუანსი: მონეტები ერთხელაც არ უნდა გაწკრიალებულიყო.

დარბაზში მყოფნი მელოდიას რიტმულად ვაყოლებდით ტაშს. მხოლოდ ქართველს თუ შეეძლო ასე სხარტად მოძრაობა. ბიჭი გასაქანს არ აძლევდა. რაც მეტი სიმტკიცე შეიგრძნობოდა ვაჟის მოძრაობაში, მით მეტი სინაზე იფრქვეოდა ქალის სხეულის მოძრაობიდან. უცბად ნინო შეჩერდა. ის ნადირობის ჟამს დამფრთხალ შველს წააგავდა. ილიას ბეგი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა და გზას უღობავდა. ნინოს თვალებში მორჩილება და სინაზე გამოკრთოდა. მოულოდნელად მუსიკის ველურ ჰანგზე მარცხენა ხელი გაშალა და ცხვირსახოცი იატაკზე დაეშვა. არც ილიას ბეგის ხანჯალმა დააყოვნა, უცბად გაიზუზუნა და ცხვირსახოცის შუაგულში ჩაერჭო. სასიყვარულო ცეკვის სიმბოლოც აღსრულდა.

მე, რა თქმა უნდა, ეს გათვალისწინებული მქონდა და

ცეკვის წინ ილიას ბეგს ჩემი ხანჯალი მივეცი. ასე რომ, ნინოს მანდილი იატაკზე ჩემი ხანჯლის წვერით იყო დამაგრებული. ნათქვამია: „ვიდრე აქლემს ალაჰს მიანდობ, ჯერ შენს ბაგაზე მაგრად მიაბიო“.

V თავი

„როცა ჩვენმა წინაპრებმა ამ მიწაზე ფეხი დაადგეს, რათა თავიანთი მოკრძალებული სახელი განედიდებინათ, უცბად შესძახეს: „ყარა ბაყ! – ნახე, აქ თოვლია!" მთებს რომ მიუახლოვდნენ და უღრანი ტყე დაინახეს, მაშინაც იყვირეს: „ყარა ბაღ! – შავი ბაღი!" და მას მერე ჰქვია ამ ქვეყანას ყარაბაღი. უწინ სიუნიქი ერქვა, სულ ადრე კი აგვარი. შენ უნდა იცოდე, ხან, ჩვენ უძველესი და ცნობილი ქვეყანა გვაქვს."

ჩემი მსახური, მოხუცი მუსტაფა, რომელიც შუშაში თან მახლდა, სიამაყით აღვსილი დუმდა და თან ერთ ჭიქა ყარაბაღულ ხილის არაყს შეექცეოდა, ზედაც ერთ ნაჭერ ყველს ატანდა, უჩვეულოდ, ძაფებივით რომ იყო გადაწ-ნული. მერე ისევ წამოიწყო ლაყბობა:

– ჩვენს მთებში ყარანლიყები, ბნელი სულები ცხოვრობდნენ და უზარმაზარ განძს დარაჯობდნენ. ტყეში წმინდა ქვები იყო აღმართული, წმინდა ნაკადულები მოედინებოდა. ჩვენ ყველაფერი გვაქვს. წადი, ქალაქში გაიარე და ნახე, ვინმე თუ მუშაობს, ან ვინმე თუა მოწყენილი. – თითქმის არავინ! არის ვინმე მშიერი? – არავინ! გაგიკვირდება, ბატონო!

მაოცებდა ამ ხალხის ტყუილების თხზვის არაჩვეუ-ლებრივი უნარი. შემთხვევას არ გაუშვებდნენ ხელიდან, თავისი ქვეყნის განსადიდებლად რომ არ გამოეყენებინათ. ერთ მსუქან სომეხს უნდოდა ჩემი დარწმუნება, რომ მარას ქრისტიანული ეკლესია შუშაში ხუთიათასი წლის წინ ააგეს.

– ასე რატომ ცრუობ? ქრისტიანობა ჯერ ორიათასი წლისაც არ არის და ქრისტიანული ეკლესია ქრისტიანო-ბამდე როგორ აშენდებოდა. – შევუტიე მე.

გაბერილ სომეხს ძალიან ეწყინა და გულნატკენმა

მითხრა: „რა თქმა უნდა, შენ განათლებული კაცი ხარ, მაგრამ რატომ არ გინდა, მოხუცსაც დაუჯერო რამე. შეიძლება სხვა ხალხში ქრისტიანობა მხოლოდ ორი ათასი წლის წინ მიიღეს, მაგრამ ჩვენთან, ყარაბაღში, სამი ათასი წლით ადრე გაბრწყინდა მესიაო."

ჯერ კიდევ შუშისაკენ მიმავალ გზაზე მეეტლეც კი ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ ქვის ხიდი, რომელზედაც გადავდიოდით, ალექსანდრე დიდმა ააშენა, როცა თავისი დიადი მიზნის მისაღწევად სპარსეთში მიდიოდა. დაბალ მოაჯირზე 1897 წელი იყო ამოკვეთილი და, როცა მეეტლეს ამაზე მივუთითე, მაინც ცივად უარყო: „ბატონო, ეგ წარწერა რუსებმა მოგვიანებით გააკეთეს, რომ ჩვენი დიდება შეელახათ".

შუშა საოცარი ქალაქი გახლდათ. 5000 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობდა და სომხებით და მაჰმადიანებით იყო დასახლებული. საუკუნეების მანძილზე აკავშირებდა ერთმანეთთან კავკასიას, სპარსეთსა და თურქეთს. გარს მშვენიერი მთები, ტყეები და მდინარეები ერტყა. მთებზე და მდელოებზე პატარა თიხის ქოხები იყო ჩადგმული, რომელთაც ბავშვური მოურიდებლობით სასახლეებს უწოდებდნენ. აქ ცხოვრობდნენ სომეხი მელიქები, ნახარარები, მაჰმადიანი ბეგები და აღალარსები. ისინი საათობით ისხდნენ თავიანთი სახლების ზღურბლზე, ჩიბუხს ეწეოდნენ და ერთმანეთს დაუსრულებლად უყვებოდნენ, რამდენჯერ გადაარჩინეს რუსეთი და რუსეთის მეფე ყარაბაღელმა გენერლებმა და, ისინი რომ არა, აღარც დიდი იმპერია იქნებოდა.

რკინიგზის პატარა სადგურიდან შვიდი საათი მივჩაქჩაქებდით ეტლით შუშისაკენ მიმავალ მიხვეულ-მოხვეულ გზებზე. თან ჩემი ყოჩი მახლდა. ყოჩები შეიარაღებულ მსახურებს ერქვათ და განსაკუთრებული თავზე ხელაღებულობით გამოირჩეოდნენ. ყოველთვის შეიარაღებულნი იყვნენ და დუმდნენ. იქნებ სწორედ ამ

იდუმალებით ფარავდნენ თავიანთ „გმირულ ყაჩაღურ საქმეებს". ან იქნებ დასამალი არც არაფერი ჰქონდათ. ყოჩი მამაჩემმა საგანგებოდ გამომაყოლა გზაზე, რომ უცხოებისგან დავეცავი, ან პირიქით, უცხოები დაეცვა ჩემგან. თუმცა, რა საჭირო იყო, თავადაც ვერ გამეგო. ისე, სასიამოვნო კაცი ჩანდა, ეტყობა, შირვანშირების ოჯახს როგორღაც ენათესავებოდა კიდეც და საიმედოდ თვლიდნენ. ასეთები მარტო აღმოსავლეთში თუ მოიძებნებოდა.

შუშაში ნინოს ჩამოსვლამდე ხუთი დღით ადრე ჩავედი და დილიდან დაღამებამდე მიწევდა ამბების მოსმენა, რომ თითქოს დედამიწის ზურგზე რაც კი მდიდარი, მამაცი და პატივსაცემი პიროვნებაა, ყველა წარმოშობით შუშიდან იყო. მთელი დღე გადავცქეროდი ამ მშვენიერ ქალაქს და ვითვლიდი ეკლესიების გუმბათებსა და მინარეთებს. შუშა ჭეშმარიტად ღვთისმოსავი ქალაქი გახლდათ. ჩვიდმეტი ეკლესია და ათი მეჩეთი სრულიად საკმარისი იყო სამოცი ათასი მცხოვრებისათვის. ამას კიდევ უთვალავი სალოცავი ემატებოდა ქალაქის მახლობლად და წმინდა სარი ბეგის სასაფლაოზე ამოსული ორი ხეც, სადაც ყარაბაღელმა მოლაყბეებმა პირველსავე დღეს წამათრიეს.

სასაფლაო ქალაქიდან ერთი საათის სავალზე იყო. აქ ყოველწლიურად ლოცულობდა მთელი ქალაქი და ჭალაში დიდ ნადიმს აწყობდა. ღრმად მორწმუნე ადამიანები ამ გზაზე მუხლის ჩოქით დადიოდნენ. ეს რთული რიტუალი უჩვეულო სანახავი იყო. სასაფლაოს ხეს არავინ უნდა შეხებოდა. ვინმეს ერთი ფოთლისთვისაც რომ შეევლო ხელი, მაშინვე დაკოჭლდებოდა. სასწაულმოქმედი იყო წმინდა სარი ბეგის ძალა. თუმცა, რა სასწაული მოახდინა, წესიერად მაინც ვერავინ ამიხსნა. მხოლოდ ის გავიგე, რომ, როცა მტერი დაედევნა, რაშით მთაზე ასულა, სწორედ იმ მთაზე, სადაც ახლა შუშაა გაშენებული. მერე კი კლდეებს და მთელ შუშას გადავლებია. იქ, სადაც მისი რაში დაეშვა, დღესაც ჩამარხული ყოფილა ცხენის ნალის ანაბეჭდიანი ქვა.

საოცარი ნახტომის გამო გაკვირვება რომ გამოვთქვი, აღშფოთებულებმა ამიხსნეს: „კი, მაგრამ, ბატონო, ეგ ხომ ყარაბაღული ცხენი იყოო!".

ამას ყარაბაღულ ცხენზე თქმულებაც მოაყოლეს: „ყველაფერი მშვენიერია ამ ქვეყანაში, მაგრამ ყარაბაღულ ცხენს ბადალი არ ჰყავს. ამ ცხენის სანაცვლოდ სპარსეთის შაჰი აღა მაჰმადი მზად იყო მთელი ჰარამხანა დაეთმოო (ნეტა, ის თუ იცოდნენ ჩემმა მეგობრებმა, აღა მაჰმადი საჭურისი რომ იყო?) საუკუნეების მანძილზე ბრძენკაცებმა ბევრი იფიქრეს და აჯვარეს, ვიდრე ეს საოცრება არ გამოიყვანეს – ყარაბაღული ჯიშის ოქროსფერ-წითელი რაში."

იმდენი აქეს, დავინტერესდი და ვთხოვე, ეჩვენებინათ ერთი ამ საოცრებათაგანი, მაგრამ თანაგრძნობით გადმომხედეს და მითხრეს: „სულთნის ჰარამხანაში უფრო იოლად შეაღწევ, ვიდრე ყარაბაღული ცხენების თავლაში. ასეთი ცხენი სულ თორმეტია. ვინც ერთხელ მაინც მოჰკრავს მათ თვალს, ცხენის ქურდად იქცევაო."

იძულებული გავხდი ნაამბობით დავკმაყოფილებულიყავი. ვიჯექი შუშაში, ვუცდიდი ნინოს და თავს მშვენივრად ვგრძნობდი ამ ზღაპრულ ქვეყანაში. თან მოხუცი მუსტაფას მონათხრობ ჭორებს ვისმენდი:

– ო, ხან, შენი წინაპრები იბრძოდნენ, შენ ცოდნის სახლი დაამთავრე და ნასწავლი კაცი ხარ, უამრავი რამე იცი. სპარსელები საადით, ჰაფეზით და ფირდოუსით ამაყობენ, რუსები – პუშკინით, შორს, დასავლეთში კი ვიღაც პოეტი, გოეთე ყოფილა, ეშმაკზე დაუწერია პოემა.

– შენ გინდა თქვა, რომ ისინიც ყარაბაღიდან არიან? – შევაწყვეტინე მე ბრაზმორეულმა, მაგრამ ის თავისას განაგრძობდა:

– კარგი, ძვირფასო სტუმარო, ეგ არა, მაგრამ ჩვენი წინაპარი პოეტები მაინც ხომ ყველას სჯობიან? ისინი მკვდარ ასოებსაც კი აყღერებენ და თანაც კი არ წერენ,

ზეპირად, პაექრობისას გამოთქვამენ.

– რომელ პოეტებს გულისხმობ, აშუღებს?

– დიახ, აშუღებს, – თქვა მოხუცმა მრავალმნიშვნელოვნად. – ისინი შუშის ახლო-მახლო სოფლებში ცხოვრობენ. ხვალ ლექსებით პაექრობა იმართება. არ გინდა, წავიდეთ? ნამდვილად გაგაოცებენ, ბატონო.

რა თქმა უნდა, მინდოდა. მეორე დღეს მიხვეულ-მოხვეული გზებით სოფელ ტაშ-კენდასკენ გავემგზავრეთ; ეს სოფელი კავკასიური პოეტური ხელოვნების ბურჯად ითვლებოდა.

თითქმის ყოველ ყარაბაღულ სოფელში სახლობდნენ ადგილობრივი მგოსნები თუ მომღერლები, რომლებიც ზამთარში შინ ისხდნენ და ლექსებს თხზავდნენ, გაზაფხულზე კი მათ გარე სამყაროს აცნობდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა სამი სოფელი, სადაც ძირითადად პოეტები ცხოვრობდნენ. აღმოსავლური პოეზიისადმი ღრმა პატივისცემის ნიშნად ეს სამი სოფელი ადგილობრივი ფეოდალების მიერ ყოველგვარი გადასახადებისაგან ოდითგანვე იყო განთავისუფლებული. ერთ-ერთი ასეთი სოფელი იყო ტაშ-კენდა.

ერთი თვალის შევლებაც კმაროდა, დარწმუნებულიყავით, რომ ამ სოფლის მცხოვრებნი ჩვეულებრივი გლეხები არ იყვნენ. კაცებს გრძელი თმა ჰქონდათ, აბრეშუმის ტანსაცმელი ეცვათ და ერთმანეთს უნდობლად უმზერდნენ. ქალები თავიანთ ქმრებს შეფიქრიანებული სახით დასტრიალებდნენ თავს და ხელში მუსიკალური საკრავები ეჭირათ. სოფელში ქვეყნის ყველა კუთხიდან მოეყარა თავი უამრავ მდიდარ სომეხსა და აზერბაიჯანელს, რომ აშუღთა ხელოვნებით დამტკბარიყო. სოფლის მგოსნები მთავარ მოედანზე შეკრებილიყვნენ. იქ მოპაექრეთა ორივე ჯგუფი იდგა და ერთიმეორეს გამომწვევად უმზერდა. უცბად ერთმა აშუღმა წამოიძახა:

– ტანსაცმელი გიყართ, სახეები ღორებს მიგიგავთ: ნიჭი

ქალწულის მუცლის ბეწვივით სუსტი გაქვთ. ორ შაურად თქვენივე თავის დასაცინ ლექსებსაც კი შეთხზავთ.

საპასუხოდ გაისმა:

— მასხარასავით გაცვია, ხმა საჭურისივით წვრილი გაქვს, ნიჭს ვერც გაყიდი იმიტომ, რომ არ გაბადია, ჩემი ნასუფრალით ძღები.

ასე გაცეცხლებულები ლანძღავდნენ ერთმანეთს, ვიდრე მოციქულის მსგავსი შეევერცხლილთმიანი ვიღაც მოხუცი არ გამოჩნდა. მან შეჯიბრისათვის ორი თემა დაასახელა, ერთი ლირიკაში და მეორე ეპოსში: „მთვარე არაქსზე" და „სიკვდილი აღა მაჰმად ხანისა".

მგოსანთა ორივე ჯგუფი ცას მიაჩერდა. მერე სიმღერა წამოიწყეს. ისინი უმღეროდნენ საჭურის აღა მაჰმადს, როგორ ჩავიდა იგი ქალაქ თბილისში, რომ იქ გოგირდის აბანოში მამაკაცობა აღედგინა. მაგრამ ამანაც რომ ვერ უშველა, განრისხებულმა ბრძანა, დაუნდობლად გაენადგურებინათ ქალაქი, დაეხოცათ ქალები და კაცები. მაგრამ ყარაბაღში რომ ბრუნდებოდა, ცოდვებმა უწია, ვიღაცამ ღამით კარავში მახვილით განგმირა. დიდ შაჰს არაფერი რგებია ცხოვრებისაგან. ბრძოლის ველზე შიმშილით ხდებოდა სული. შავ პურსა და მყავე რძეს სვამდა და უამრავი ქვეყნის დამპყრობელი უდაბნოს უღარიბეს მათხოვარს ჰგავდა. ასეთი ბედი ერგო საჭურის აღა მაჰმადს.

ამ ყველაფერს მოლექსეები მშვენიერი სტროფებით გადმოსცემდნენ. ერთმა აშუღმა დაწვრილებით ასახა საჭურის აღა მაჰმადის ტანჯვა მშვენიერ ქალთა ქვეყანაში, მეორემ კი იმ ქალთა წამებით დასჯა. აღფრთოვანებული მაყურებელი ტაშს უკრავდა. მერე მეორე თემის გალექსვაც დაიწყეს.

— ვისა ჰგავს მთვარე არაქსზე? — წამოიწყო ერთმა მშვიდად.

— შენ ვინც გიყვარს, იმის სახეს. — გამოეპასუხა მეორე, მრისხანე სახე ჰქონდა ამ მგოსანს.

— მიმზიდველია ოქრო ამ მხარის. — განაგრძო ისევ პირველმა.

— მთვარე კი ფარია დიდი ომისა. — გამოეპასუხა ისევ მრისხანე ხმა.

ასე ერთიმეორესთან პაექრობაში იქვე ქმნიდნენ აშუღები სტროფებსა და ტაეპებს. ისინი უმღეროდნენ მთვარეს, მდინარე არაქსს, გოგონას, ნაწნავივით აქეთ-იქით რომ მიირხეოდა, შეყვარებულებს, ღამით რომ ჩადიოდნენ მდინარესთან და შიგ არეკლილ მთვარეს შესცქეროდნენ.

გამარჯვებულად ის მრისხანე სახის მქონე აშუღი გამოცხადდა. მივუახლოვდი. დაფიქრებული შესცქეროდა, როგორ ივსებოდა მისი თასი ფულით.

— გიხარია გამარჯვება? — ვკითხე აშუღს.

გადააფურთხა. „ეს რა გამარჯვებაა, ბატონო. გამარჯვება უწინ უნდა გენახათ. მაშინ გამარჯვებულს უფლება ჰქონდა, თავი მოეკვეთა დამარცხებულისათვის. მაშინ ხელოვნებას მართლა აფასებდნენ. ახლა კი ჩვენ გააზიზებულები ვართ. ლექსისთვის სისხლს აღარავინ ღვრის.

— ახლა შენ ხომ ქვეყნის საუკეთესო აშუღად ითვლები?

— არა, — თქვა მან და თვალები დაუნაღვლიანდა. — არა, — გაიმეორა კვლავ. — მე მხოლოდ ლექსის შემქმნელი ვარ, მე არა ვარ ჭეშმარიტი აშუღი.

— მაშ ვინღაა ნამდვილი აშუღი?

— რამადანის თვეში — წამოიწყო მრისხანემ, — ერთი იდუმალებით მოცული ღამეა, ალ-კადრის ღამე. იმ ღამით ერთი საათით ბუნებაც იძინებს, აღარც მდინარეების დუდუნი ისმის. ბოროტი სულებიც აღარ უდარაჯებენ განძს. ამ დროს ბალახის ამოსვლის ხმა, ხეების ლაპარაკიც კი შეიძლება გაიგონო. მდინარეებიდან ალები ამოდიან. იმ ღამით ბრძენები და პოეტები იბადებიან. ალ-კადრის ღამეს აშუღმა ყველა პოეტის მფარველი ელია წინასწარმეტყველი უნდა მოიხმოს; როდესაც წინასწარმეტყველი გამოჩნდება, პოეტს თასს მიართმევს და ეტყვის ხოლმე: „ამ წამიდან შენ

ჭეშმარიტი აშუღი ხარ და ყველაფერს ჩემი თვალით დაინახავ". ამგვარად მადლცხებული ყველაფრის მფლობელია, მის ხმას ემორჩილება ყველა – ცხოველი, ადამიანი, ქარი თუ ზღვა. მისი სიტყვა ყოვლისშემძლეა.

მრისხანე ჩამოჯდა, თავი ხელებში ჩარგო და აქვითინდა. მერე კი დასძინა:

– მაგრამ არავინ იცის, როდისაა ალ-კადრის ღამე და რა დროსაა მიძინების საათი, ჭეშმარიტი აშუღიც ამიტომ არ იარსებებს.

მერე კი წამოდგა და წავიდა ეული, ნაღვლიანი და გულჩათხრობილი, როგორც უდაბნოს მგელი ყარაბაღის მწვანე სამოთხეში.

VI თავი

პეხახპიურის წყაროთავის ვიწრო, ქვიან კალაპოტში ნელ-ნელა მიჩუხჩუხებდა. ირგვლივ ხეებს დაღლილი წმინდანებივით ცისკენ აღეპყროთ მზერა. პატარა ბორცვები ფარავდნენ შუშის ხედს. სამხრეთით სომხეთის ნაყოფიერი მდელოები გადაჭიმულიყო, როგორც ბიბლიური მწყემსების ქვეყანა. აღმოსავლეთით ყარაბაღის მინდვრები აზერბაიჯანის მტვრიან სტეპებში ჩაკარგულიყო. იქიდან დიდი უდაბნოს მხურვალე სუნთქვა, ზარათუშტრას ცეცხლი უბერავდა. მშვიდად და უძრავად გამოიყურებოდა ჭალა, თითქოს ეს-ესაა ანტიკური ხანის უკანასკნელ ღმერთებს მიუტოვებიათ და ჩვენ წინ დანთებული კოცონიც მათთვის ყოფილა გაჩაღებულიო. ცეცხლის გარშემო დაფენილ ჭრელ ხალიჩებზე, მოქეიფე ქართველთა საზოგადოებაში ვიჯექი. ირგვლივ ღვინის დოქები, ხილი, მწვანილი და ყველი შემოეწყოთ. შამფურზე ხორცი იწვებოდა. წყაროსთან ისხდნენ მოხეტიალე მუსიკოსები – საზანდარები, ხელში სხვადასხვა საკრავები ეჭირათ, რომელთა თვით სახელებიც კი მუსიკასავით ჟღერდა: დაირა, ჭიანური, თარი, დიპლიპიტო. ქართველების თხოვნით რომელიღაც სპარსულ სამიჯნუროს – ბაიათს მღეროდნენ და ისედაც უცნაურად მშვენიერ გარემოს კიდევ უფრო ამშვენიერებდნენ. ამას ჩვენი ლათინურის მასწავლებელი „დიონისურ განწყობას“ უწოდებდა. ახლახან ჩამოსულმა ყიფიანების ოჯახმა ამ ჭალაში გამართა ნადიმი და აქაური დამსვენებლებიც მოიპატიჟა.

ჩემ წინ ნინოს მამა იჯდა. თამადა იყო და ტრადიციულ სადღეგრძელოებს სვამდა, თვალები უბრწყინავდა. ხშირი შავი ულვაში და წითური სახე ჰქონდა. ხელში თასი ეჭირა და ალავერდს ჩემთან გადმოვიდა. არ ვსვამდი, მაგრამ ცოტა

მოვსვი. სხვა გზა აღარ მქონდა, უნდა დამელია, რადგან თამადა მოითხოვდა.

მსახურებს წყაროს წყალი მოჰქონდათ. ეს წყაროც ყარაბაღის უთვალავ საოცრებათა რიცხვს ეკუთვნოდა. ვინც ამ წყალს დალევდა, იმდენი შეეძლო ეჭამა, რამდენსაც მოისურვებდა. ვსვამდით ამ წყალს და საჭმლის გორაც უფრო და უფრო მცირდებოდა. ცეცხლის შუქზე ვხედავდი ნინოს დედის მკაცრ პროფილს. ის თავისი მეუღლის გვერდით იჯდა. თვალები უცინოდა. ეს თვალები სამეგრელოდან, რიონის მიდამოდან მოსდგამდა, სადაც ოდესღაც გრძნეული მედეა არგონავტ იაზონს შეხვდა.

თამადამ ჭიქა ასწია:

— ეს ღირსეულ დადიანებს გაუმარჯოს!

ერთმა მხცოვანმა, ბავშვურთვალება კაცმა მადლობის ნიშნად თავი დახარა. ჭიქები კვლავ დაიცალა. პეხახპიურის წყარო მართლაც სასწაულმოქმედი იყო. არავინ დამთვრალა. ეს მხოლოდ გულის თრობა იყო, ქართველი რომ განიცდის სუფრაზე. გონება კი ისევ პეხახპიურის წყაროსავით ანკარა ჰქონდათ.

ამ ჭალაში მარტო ჩვენ არ ვქეიფობდით. შორიახლოს უამრავი კოცონი დაენთოთ. წესად ჰქონდათ: ყოველ კვირას მთელი შუშა მიედინებოდა სხვადასხვა წყაროებთან. ნადიმები დილამდე გრძელდებოდა. და ამ წმინდა ჭალის წარმართულ ჩრდილში ქრისტიანებიცა და მაჰმადიანებიც ერთად დღესასწაულობდნენ.

მე ნინოს ვუყურებდი. ჩემს გვერდით იჯდა და ჭაღარა-თმიან დადიანს ესაუბრებოდა. ასეც უნდა ყოფილიყო — მოხუცები პატივისცემას იმსახურებენ, ახალგაზრდები კი სიყვარულს.

— ერთხელ ჩემთან უნდა ჩამოხვიდეთ ზუგდიდში ალი ხანთან ერთად და იქ ნახავთ სამეგრელოს ტროპიკულ, უღრან ტყეებს ათასწლოვანი ხეებით, — მოგვმართა თავადმა დადიანმა.

– სიამოვნებით ჩამოვალთ, მაგრამ ხეების სანახავად კი არა, თქვენს პატივსაცემად.

– მაინც რა გაქვთ ხეების საწინააღმდეგო, ჩემთვის ხეები სრულქმნილი სიცოცხლის განსახიერებაა.

– ალი ხანს ისე ეშინია ხეების, როგორც ბავშვს – მოჩვენებებისა.

– ეგ არაფერია. მაგ საქმეს ეშველება. მაგრამ ერთი კია, იმ შეგრძნებას, რასაც თქვენ ხეები განიჭებთ, მე უდაბნო მგვრის. ხეების სამყარო გონებას მირევს, შიშსა და იდუმალებას აღმიძრავს. ტყე დემონებითა და მოჩვენებებით არის სავსე. ტყის ჩრდილი, მზის სხივებს რომ შთანთქავს, სევდას მგვრის. ხეების შრიალის ხმაც კი მთრგუნავს. ისევ ჩემი უდაბნო მირჩევნია მთელი თავისი უბრალოებით: ქვიშით, ქარითა თუ მზით. უდაბნო ისეთივე იოლი რამაა, როგორც ხანჯლის დარტყმა. ტყე კი გორდიუსის კვანძივით რთულია. ტყე თავგზას მიბნევს.

დადიანმა დაფიქრებით გამომხედა.

– თქვენ უდაბნოს ადამიანის სული გაქვთ. – მითხრა მან. – იქნებ სწორიცაა ადამიანთა ამგვარი დაყოფა: ტყის და უდაბნოს ადამიანები. აღმოსავლელს მშრალი თრობა, ალბათ, უდაბნოდან მოსდგამს. იქ ცხელი ქვიშაც, ცხელი ნიავიც კი ათრობს. უდაბნოს სამყარო უბრალოა და დაბრკოლებებს არ გიქმნის. ტყე კი კითხვებითა და იდუმალებითაა სავსე. უდაბნო არც არაფერს გეკითხება, არც არაფერს გაძლევს, არც არაფერს გპირდება. ჩემი აზრით, უდაბნოს შვილები ერთი გრძნობით არიან აღვსილნი, ერთი ჭეშმარიტება გააჩნიათ. ტყის შვილებს კი უამრავი სახე აქვთ. სულის ცეცხლოვანება ტყიდან მომდინარეობს. უდაბნოში ფანატიკოსები იბადებიან, ტყეში კი – შემოქმედნი. ალბათ ესაა ძირითადი განსხვავება აღმოსავლელსა და დასავლელს შორის.

– ამიტომაც გვიყვარს ჩვენ, სომხებს და ქართველებს, ტყე. – ჩაერია საუბარში მელიქ ნახარარიანი, სომხური

კეთილშობილური წარმომავლობის მსუქანი კაცი, გადმოკარკლული თვალებითა და ხშირი წარბებით. უყვარდა ფილოსოფოსობა და სმა. ერთმანეთისადმი ცუდად არ ვიყავით განწყობილნი. მან ჩემი სადღეგრძელო შესვა და მომაძახა:

– ალი ხან, მთებში არწივებია, ჯუნგლებში – ვეფხვები, მაშ უდაბნოში რაღაა?

– ლომები და მებრძოლები. – არ დავაყოვნე პასუხი. ნინომ აღტაცებით შემოჰკრა ტაში.

შამფურზე აგებული ცხვრის მწვადები ჩამოატარეს. კვლავ და კვლავ ივსებოდა დოქები. ქართველთა სიცოცხლის ხალისი მთელ ტყეს მოსდებოდა. დადიანი ნახარარიანს ებაასებოდა. ნინომ ეშმაკურად, მალულად გამოაპარა ჩემკენ მზერა. მეც თავი დავუქნიე. უკვე ბნელოდა. ცეცხლის შუქზე ადამიანები მოჩვენებებსა ჰგავდნენ. ჩვენთვის არავის ეცალა. შეუმჩნევლად წამოვდექი და წყაროსკენ მიმავალ გზას ნელ-ნელა გავუყევი. წყაროსთან ჩავიმუხლე და მუჭით შევსვი. დიდხანს ჩავცქეროდი წყლის ზედაპირზე არეკლილ მოციმციმე ვარსკვლავებს. უკნიდან ნაბიჯების ხმა შემომესმა. ხმელ ტოტებს ტკაცა-ტკუცი გაუდიოდათ მის პატარა ფეხთქვეშ. ნინოს ხელი ჩავკიდე და ასე ხელიხელჩაკიდებულებმა, ტყის სიღრმისკენ გავწიეთ. ხეები მუქარით შემოგვცქეროდნენ. პატარა მდელოზე ჩამოვსხედით. ნინო ჩემკენ მაცდურად გადმოიხარა. მოხუცი მუსტაფას ნაამბობი გამახსენდა: მას მერე შემცირდა მოსავალი, რაც ამ თვრამეტი წლის წინ ცოლ-ქმრული ურთიერთობა შეილახაო. ერთმანეთს თვალებში ჩავცქეროდით. ამოუცნობად მეჩვენა მთვარის შუქზე გაფერმკრთალებული ნინოს სახე.

– თავადის ასულო,– ჩავიბუტბუტე მე. ოცდაოთხი საათი იქნებოდა, რაც ის თავადის ასული იყო. და ალბათ ოცდაოთხი წელი დასჭირდა მამამისს, ვიდრე ეს წოდება მოიპოვა. სწორედ ამ დილას მიიღო პეტერბურგიდან დეპეშა.

ბავშვივით ხარობდა თავადი, თითქოს დაკარგული დედა ეპოვოს. ნადიმიც ამ ამბის აღსანიშნავად გამართა ჭალაში.

– თავადის ასულო. – გავიმეორე კვლავ და იმისი სახე ხელებში მოვიქციე. არ გამძალიანებია. იქნებ კახური ღვინის ბრალი იყო, ან იქნებ ამ ტყემ, ამ მთვარემ დაათრო? საოცრად ნაზი და თბილი ხელები ჰქონდა. რბილ ხავსზე გადავეშვით და ერთიმეორეს თვალებში ჩავხედეთ. ხელებით მისი მკერდის სიმკვრივეს შევიგრძნობდი. მისგან რაღაც უცნაურ ლტოლვას ვგრძნობდი და მეც გადმომეცემოდა. თითქოს მთელი მისი არსება მიწის წიაღში ჩაკარგული სუნთქვის მსგავსად დაგროვილ ვნებას აევსო. თვალები მიელულა. კაბის ღილები ფრთხილად შევუხსენი. და მთვარის შუქზე მისი ქათქათა კანი ოპალივით ყვითლად გამოკრთა. გული უფართხალებდა და დაუოკებელი ვნებისაგან გონებაარეული, დაბნეულად რაღაცას ჩამჩურჩულებდა. ბაგეებით მის პატარა მკერდში ჩავიკარგე. მისი ტანის სურნელს, მისი კანის მოტკბო გემოსაც კი შევიგრძნობდი. მუხლები უცახცახებდა. თვალებიდან ნეტარების ცრემლები სდიოდა. მე კი ამ ცრემლიან თვალებს ვუკოცნიდი და დანამულ ლოყებს ვუმშრალებდი. უცბად წამოიმართა. დუმდა. საკუთარი გამოუცნობი შეგრძნებებისა თუ მღელვარებისაგან ხმას ვერ იღებდა. ჩვიდმეტი წლის იყო ჩემი ნინო, ჯერ კიდევ წმინდა თამარის სახელობის ლიცეუმში დადიოდა.

– მგონი, მიყვარხარ, ალი ხან, მერე რა მოხდა, რომ თავადის ასული ვარ? – დაარღვია მან დუმილი.

– შეიძლება დიდხანს ვეღარც დარჩე თავადის ასულად. – ვუთხარი მე ხუმრობით.

ნინომ გაოცებით შემომხედა.

– რას გულისხმობ, მეფე წოდებას ჩამოგვართმევს?

– არა, შენ მაგ წოდებას თავისთავად დაკარგავ, როცა გათხოვდები და ხანის წოდებას მიიღებ. ისე არც ხანის წოდებაა ნაკლები.

ნინომ ხელები შემოიწყო კისერზე. თავი უკან გადააგდო და კისკისით მითხრა:

– ხანი, თუ როგორ იტყვიან ქალზე? თუ მაგის შესატყვისი არ არსებობს? ისე, ხელის სათხოვნელად უცნაური ადგილი კი შეარჩიე. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, სადმე ხომ უნდა გეთქვა?

– დიახ, უნდა მეთქვა.

– და თუ მე თანხმობას გეტყვი, შუშაზე კარგი მოგონება დაგრჩება და ხეებიც შეგიყვარდება?

– მგონი, უკვე მიყვარს კიდეც.

– მაგრამ, იცოდე, საქორწინო მოგზაურობაში ბიძაშენთან თეირანში წავალთ და მეც ვნახავ მისი აღმატებულების ჰარამხანას, მაინტერესებს, ერთხელ მაინც შევავლო თვალი სქელ-სქელ ქალებს, ჩაის რომ მიირთმევენ და საუბრობენ.

– მერე?

– და მერე უდაბნოში წამიყვან, რადგან იქ არავინაა, მე რომ მიმზიროს.

– არა, ნინო, უდაბნო შენ არ გჭირდება, არ მოგეწონება.

ნინომ კირესზე შემომაჭდო ხელები, ცხვირი შუბლზე მომადო და მითხრა:

– იქნებ მართლაც გამოგყვე ცოლად, ალი ხან?! მაგრამ იმაზე თუ გიფიქრია, რამდენი რამის გადალახვა მოგვიწევს კიდევ უდაბნოსა და ტყის გარდა?

– მაინც რის?

– ჯერ ერთი, დედაჩემი და მამაჩემი დაიხოცებიან, მე რომ ცოლად მაჰმადიანს გავყვე. მამაშენი კი ჩემგან სარწმუნოების შეცვლას მოითხოვს. მე თუ ამას გავაკეთებ, დიდი მეფე დამსჯის ქრისტიანობის ღალატისათვის და ციმბირში გადამასახლებს. შენც ზედ მოგაყოლებს შეცდენისათვის.

– და მერე ვისხდებით მე და შენ ერთად ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის ერთ-ერთ ყინულზე და თეთრი დათვები შეგვჭამენ, – ვიცინოდი მე. – არა, ნინო, მთლად

ასე საშინლად არ იქნება საქმე. შენ არ მოგიწევს ისლამის მიღება, არც შენი მშობლები დაიხოცებიან დარდისაგან. ჩვენ საქორწინო მოგზაურობით პარიზსა და ბერლინში წავალთ. და შენ იქ ბულონის ტყეში ხეებს, ნაკრძალებში კი ცხოველებს ნახავ. აბა, რას იტყვი?

– შენ ისეთი კეთილი ხარ, უარს ვერ გეტყვი. თუმცა ცოტა ხანს უნდა მოვიცადოთ. სკოლას რომ დავამთავრებ, მშობლებს ვუთხრათ. მაგრამ, იცოდე, მოტაცების ნებას არ მოგცემ, ეგ არა. კარგად ვიცი, როგორც აკეთებთ ხოლმე: ქალს ცხენზე შემოისვამთ, მთებში გააქანებთ და მერე ყიფიანების მოსისხლე მტრები გახდებით. უცბად ნინო საოცარმა სიცელქემ შეიპყრო. თითქოს ყველაფერი უღიმოდა: სახე, ბაგეები, ხელები. ხის ტანს მიეყრდნო, თავი გადახარა და ქვეშიდან მიმზერდა. ხეების ჩრდილში მონადირისაგან დამფრთხალ, ტყეში შემოხიზნულ ნადირს ჰგავდა.

– წავიდეთ. – თქვა მან და კვლავ დიდი ცეცხლისკენ გავწიეთ. გზაში ისევ რაღაც გააახსენდა ნინოს. შეჩერდა, მთვარეს ახედა და მკითხა: – ჰო, მართლა, ჩვენი შვილები რა რჯულისა იქნებიან?

– რაღა თქმა უნდა, ერთი ძალიან საინტერესო და ლამაზი სარწმუნოებისა. – ვთქვი მე დათმობით.

მან უნდობლად გამომხედა და ცოტა ხნის დუმილის შემდგომ კვლავ წამოიწყო: „ძალიან დიდი ხომ არა ვარ შენთვის? მალე ჩვიდმეტისა ვხდები. შენი მომავალი ცოლი ხომ თორმეტისა უნდა იყოს."

– ნუ გეშინია, დიდი არა ხარ, მაგრამ აი, ჭკუას რაც შეეხება, მგონი, საჭიროზე მეტად ჭკვიანიც ხარ. – დავამშვიდე მე. – თუმცა ჭკუა ყოველთვის მისასალმებელი არაა. ვინ იცის, იქნებ ჩვენში, აღმოსავლეთში, ნაადრევად ვიზრდებით და ვბრძენდებით.

ხეებმა, ნინომაც, კოცონის შორეულმა ნათებამ და, განსაკუთრებით კი საკუთარმა თავმა, სულ ამრია. ზედმეტი

ხომ არ მომივიდა კახური ღვინო, უდაბნოს ყაჩაღივით სიყვარულის მშვიდ ბაღში რომ გადავსახლდი? თუმცა ნინო სულ არ ჰგავდა უდაბნოს ყაჩაღის მსხვერპლს, მშვიდად და აუღელვებლად მოაბიჯებდა ჩემ გვერდით. სად გაქრა ის წეღანდელი ლტოლვა, ან ის ცრემლები, ან ის სიცილი. ჩვენი გაუჩინარება არავის შეუმჩნევია. ცეცხლთან რომ დავჯექი, მაშინღა შევნიშნე, როგორ მეწვოდა ტუჩები. ჭიქა პეხახპიურის წყლით შევავსე და ხარბად დავეწაფე. ჭიქას რომ ვდგამდი, ნახარარიანის ეშმაკურ მზერას წავაწყდი, თითქოს თანამიგრძნობდა.

VII თავი

ერთი პატარა სახლის აივანზე ტახტზე ვიწექი და სიყვარულზე ვოცნებობდი. ჩემი სიყვარული სხვა იყო, ჩემი წინაპრების სიყვარულისაგან სრულიად განსხვავებული. მე ნინოს წყაროსთან არ შევხვედრივარ, ნიკოლოზის ქუჩაზე, სკოლის გზაზე გავიცანი. ამიტომაც განსხვავდებოდა მამაჩემის, პაპაჩემისა თუ ბიძაჩემის სიყვარულისაგან. აღმოსავლელის სიყვარული ერთ პატარა მოდუდუნე წყაროსთან, ან შადრევანთან იწყება. ყოველ საღამოს მხარზე სურაშემოდგმული გოგონები წყაროსთან ჩადიან. შორიახლოს, წრეში ყმაწვილკაცები სხედან და გაცხარებით მსჯელობენ ომზე, ქურდობაზე, ჩამვლელებს სულაც არ აქცევენ ყურადღებას. გოგონები ნელა ავსებენ სურას და უკან ბრუნდებიან. პირთამდე ავსებული სურა მძიმეა, ფეხი რომ არ წამოჰკრან, ჩადრს ცოტათი უკან იწევენ და თვალდახრილნი ფრთხილად მიაბიჯებენ. ყოველ საღამოს ჩადიან გოგონები წყალზე, ყოველ საღამოს სხედან ყმაწვილები მოედანზე. აქ იწყება აღმოსავლელის სიყვარული. ზოგჯერ შემთხვევით, სრულიად შემთხვევით, აღაპრობენ გოგონები მზერას და კაცებისკენ თვალს მალულად გააპარებენ. და თუ ამ დროს, ისიც შემთხვევით, ცისკენ მომზირალი ყმაწვილის მზერა გოგონას თვალებს წააწყდება, და მეორე დილით რომელიღაც ყმაწვილებში მჯდომთაგანი ისევ გააპარებს გოგოებისაკენ თვალებს, უკვე ყველამ იცის, რომ სიყვარული დაიწყო.

ყველაფერი დანარჩენი კი თავისთავად ვითარდება. შეყვარებული დაეხეტება ქალაქში და ბაიათებს მღერის. მისი ნათესავები ურვადზე ვაჭრობას იწყებენ. უხუცესები კი უკვე ბჭობენ, როდის მოუვლენს წყვილი სამშობლოს ახალ მებრძოლს. ყველაფერი მარტივია და წინასწარ გათვლილი.

მე კი? სად არის ჩემი წყარო? სადაა ნინოს ჩადრი? რა უცნაურია, ჩადრის ქვეშ ქალის დანახვა შეუძლებელია, მაგრამ კაცებს მაინც არ გამოეპარებათ მისი ჩვევა, აზრი, სურვილები. ჩადრი თვალებს, ცხვირს, პირს მალავს, მაგრამ სულს – არა. სული აღმოსავლელი ქალისა ამოუცნობი არ არის. უჩადრო ქალებში კი ყველაფერი სხვაგვარადაა. კაცი ხედავს თვალებს, ცხვირს, პირს, უფრო მეტსაც, მაგრამ თვალების მიღმა რა იმალება, არავინ იცის, მაშინაც კი, თუ დარწმუნებული ხარ, რომ შეიცანი.

გაგიჟებით მიყვარს ნინო. ნინო ხარობს, ქუჩაში სხვა კაცები რომ უყურებენ. ნამდვილი აღმოსავლელი ამაზე უნდა ბრაზდებოდეს. ნინოს ვკოცნი კიდეც, ვეფერები მკერდზე, თეძოებზე, თუმცა დანიშნულები არა ვართ. უამრავ სასიყვარულო რომანს რომ კითხულობს, ალბათ, ამიტომაც აქვს ხშირად მეოცნება, ვნებიანი თვალები. და, როცა ვეკითხები, რაზე ოცნებობ-მეთქი, დაბნეული გადააქნევს ხოლმე თავს, რადგან წესიერად თავადაც არ იცის. ნინოს მეტი არაფერი მაღელვებს, აღარაფერი მახსოვს, როცა ჩემს გვერდითაა. ის, ალბათ, იმიტომ არის ასეთი, რომ მამამისს ხშირად დაჰყავდა პეტერბურგში, იქ კი გამუდმებით უყურებდა რუს ქალებს, რომლებიც ცნობილნი არიან ქარაფშუტობით, ქმრებს ხშირად ღალატობენ და იშვიათად, რომ ორზე მეტი ბავშვი ეყოლოთ. ასე სჯის მათ ღმერთი! მაინც მიყვარს ჩემი ნინო: ხმა, ლაპარაკი, კისკისი, ფიქრიც კი. და ცოლადაც შევირთავ. ალბათ, კარგ ცოლობას გამიწევს, როგორც ყველა ქართველი. მერე რა, რომ ჯერ ასეთი მხიარული, თავქარიანი და მეოცნებეა. ალაჰმა ინებოს!

გვერდი ვიცვალე. ფიქრებმა გადამღალა. მერჩივნა, თვალები დამეხუჭა და მომავალზე მეოცნება. ჩემი მომავალი კი იმ დღიდან დაიწყებოდა, როცა ნინოს ცოლად შევირთავდი. ყველაზე ამაღელვებელი და რთული ჩვენი ქორწილის დღე იქნებოდა. ამ დღეს საცოლის თვალებში

ჩახედვა არ შეიძლება. საერთოდ, ნახვის უფლებაც კი არა მაქვს. ცხენზე ამხედრებული, შეიარაღებული მეგობრები თავით ფეხამდე ჩადრით შებურულ ნინოს მოიყვანენ. მხოლოდ ამ დღეს იქნება ის ნამდვილი აღმოსავლელი. მოლას შეკითხვებზეც მოუწევს პასუხის გაცემა. ჩემი მეგობრები დარბაზის ოთხივე მხარეს იდგებიან და ცვედანობის საწინააღმდეგო ლოცვებს იბუტბუტებენ. ასე მოითხოვს წესი და ადათი, რადგან ყველა ადამიანს ჰყავს მტერი, რომელიც ქორწილის დღეს ხანჯალს სანახევროდ ამოსწევს, სახეს დასავლეთით მიაბრუნებს და ბუტბუტს დაიწყებს: ანისანი, ბანისანი, მამავერლი კანიანი – ის ვერ შეძლებს, ვერ შეძლებს, ვერ შეძლებს".

მაგრამ, ღვთის წყალობით, კარგი მეგობრები მყავს. ილიას ბეგმა ყველა წყევლის საწინააღმდეგო შელოცვა იცის. საქორწილო რიტუალის შემდეგ მე და ნინოს ისევ დაგვაშორებენ. ჩვენ-ჩვენს მეგობრებთან ერთად ორივე ცალ-ცალკე უნდა გამოვემშვიდობოთ სიყმაწვილეს.

შემდეგ? დიახ, მთავარი შემდეგ იწყება!

თვალი ერთი წამით გავახილე. ბაღში ხეებს მოვკარი თვალი და ისევ დავხუჭე, რომ უკეთ წარმომედგინა, რა იქნებოდა შემდეგ. ყველაზე მნიშვნელოვანი ქორწინების ღამეა, განუმეორებელი და დაუვიწყარი ღამე ცხოვრებაში, თუმცა ამავე დროს საოცრად მძიმეც.

ადვილი არ არის ქორწინების ღამით საცოლის მოპოვება. ყოველ კართან ვინმეა ჩასაფრებული და გზას მხოლოდ მაშინ გაძლევს, თუ ხელში ფულს ჩაუდებ.

საცოლის ოთახში კეთილმოსურნე მეგობრები ქათამს, კატას ან რამე მოულოდნელს დაგახვედრებენ. ზოგჯერ საწოლში შეიძლება მოქირქილე მოხუც ბებრუხანასაც გადაეყარო. ისიც ფულს მოგთხოვს, რომ ოთახი დატოვოს.

როგორც იქნა, მარტო ვრჩები. კარი იღება და ნინო შემოდის. ქორწილის ურთულესი მომენტიც იწყება. ნინო იღიმება და მოლოდინით აღსავსე თვალებით შემომცქერის.

ტანზე ტარსიკონის კორსეტი თასმებითა აქვს შეკრული, უამრავი ჩახლართული კვანძია, მთავარიც სწორედ იმათი გახსნაა. ნინო არ უნდა დამეხმაროს, მარტომ უნდა გავართვა თავი. თუ დამეხმარება, ან თუ თასმებს დანით გადავჭრი, დიდ ცოდვად ჩამეთვლება. სწორედ აქ უნდა გამოავლინოს მამაკაცმა თავშეკავება. როგორც არ უნდა გაგიჭირდეს, თვითონ უნდა გახსნა. კაცის ძალა ამაში გამოიხატება. მეორე დღეს მოვლენ მეგობრები, შეამოწმებენ გახსნილ კვანძებს და, ვაი იმ უბედურს, ვინც ამას თავს ვერ გაართმევს! მთელი ქალაქის დასაცინი გახდება.

ქორწინების ღამით სახლში თუ სახლის გარშემო ჭიანჭველებივით ირევა ხალხი. მეგობრები თუ ნათესავები დგანან სახურავზე, ქუჩაში და მოუთმენლად ელოდებიან შედეგს. დიდხანს თუ გაგრძელდა, აღშფოთებულები კარზე კაკუნს, ყეფას, კნავილს იწყებენ და ბოლოს რევოლვერების ბათქა-ბუთქი ატყდება. მეგობრები გარეთ საპატიო ყარაულში დგანან და, ვიდრე საჭიროდ არ ჩათვლიან, გარეთ არ გამოგვიშვებენ.

მართლაც ლამაზი ქორწილი გვექნება, უძველესი მამაპაპური ადათ-წესების დაცვით.

ეტყობა, ოცნებებში წასულს ტახტზევე ჩამეძინა. თვალი რომ გავახილე, ჩემს ყოჩს მოვკარი თვალი. მიწაზე იჯდა და ხანჯლის წვერით ფრჩხილებს ისუფთავებდა. მისი მოსვლა არც გამიგია.

– რა არის, ძმაო, ახალი? – ვკითხე მთქნარებით.

– დიდი არაფერი, ყმაწვილო. – მიპასუხა გულგრილად, – მეზობლის ქალები წაიჩხუბნენ. ერთი ვირი ამ აყალ-მაყალზე დაფრთხა, მდინარისკენ გაიქცა და ახლაც იქა წევს.

ყოჩი ცოტა ხნით გაჩუმდა, ხანჯალი ქარქაშში ჩააგო და მერე ისევ გულგრილად განაგრძო:

– მეფემ ევროპის სხვადასხვა მონარქებს ომი გამოუცხადა.

– რაა? რა ომი? – წამოვხტი შეშლილივით.

– რა და ჩვეულებრივი ომი.

– რაებს ლაპარაკობ, ვის გამოუცხადა?

– სხვადასხვა ევროპელ მონარქებს. იმდენი სახელი იყო, ვერ დავიმახსოვრე. მუსტაფამ კი ჩაიწერა.

– ახლავე დაუძახე! – ზლაზვნით წამოდგა და თავის ქნევით კარის მიღმა გაუჩინარდა. ცოტა ხანში მუსტაფას თანხლებით დაბრუნდა. სახეგაბრწყინებული მუსტაფა თავისი უპირატესობის შეგრძნებით ამაყად მოაბიჯებდა. მთელმა ქალაქმა გაიგო უკვე, რომ ომი დაიწყო, მარტო მე მეძინა აივანზე. მაგრამ რა იყო ომის დაწყების მიზეზი, არავინ იცოდა.

– კი მაგრამ, ვის გამოუცხადა მეფემ ომი? – ვიყვირე ბოლოს მოთმინებადაკარგულმა.

მუსტაფამ ჯიბიდან ფურცელი დააძრო, ჩაახველა და თავდაჯერებულად, მაგრამ მძიმე-მძიმედ წამოიწყო:

– გერმანელ კაიზერს, ავსტრიელ კაიზერს, პრუსიის მეფეს, საქსონიის მეფეს, ვიურტემბერგის მეფეს, უნგრეთის მეფეს და კიდევ სხვა მთავრებს. შეუძლებელი იყო, ბატონო, ყველას დამახსოვრება, – მუსტაფამ დაკეცა თავისი ქაღალდი და კვლავ განაგრძო, – ამის საპასუხოდ დიდი ოტომანის იმპერიის ხალიფამ და სულთანმა, მისმა საიმპერატორო უდიდებულესობამ მეჰმედ რაშიდმა, ასევე ირანის მეფეთ მეფემ სულთან აჰმად შაჰმა განაცხადეს, რომ ისინი ამ ომში მონაწილეობას არ მიიღებენ. ეს ურწმუნოთა ომია და ჩვენ არაფერი გვესაქმებაო. მეჩეთში მოლა მეჰმედ ალი ფიქრობს, რომ გერმანელები გაიმარჯვებენ...

მუსტაფამ სიტყვების დასრულება ვერც კი მოასწრო, რომ უცბად ქალაქში ჩვიდმეტივე ეკლესიამ ზარს ერთდროულად შემოჰკრა. გარეთ გავიჭერი. აგვისტოს სიცხისაგან ჩაბუღული ცა მუქარით დაჰყურებდა ქალაქს. მთები შორიდან მოწყენით იმზირებოდნენ, თითქოს ამ ყველაფერთან არაფერი ესაქმებოდათ. ნაცრისფერი

კლდეები ზარების რეკვის ექოს გამოსცემდა. ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი. აღელვებული და დასიცხული სახეებით შესცქეროდნენ ეკლესიის გუმბათებს. ჰაერში მტვრის კორიანტელი იდგა. აქა-იქ ყვირილიც გაისმოდა. ეკლესიების კედლები მდუმარედ, მარადიული სიმშვიდით, თითქოს მუქარით შემოგვცქეროდნენ. ზარების ხმა ჩაჩუმდა. ერთი მსუქანი მოლა იქვე ახლოს მინარეთზე ასულიყო, პირთან ხელები მიეტანა და განწირული ხმით გაჰყვიროდა: „აღსდექით სალოცავად, აღსდექით სალოცავად, ძილს ლოცვა სჯობს".

საჯინიბოში შევვარდი. ყოჩი ცხენს კაზმავდა. ცხენს მოვახტი და ქუჩებში გავიჭერი. ირგვლივ ადამიანთა დაბნეულ და შეშინებულ მზერას ვაწყდებოდი. მე კი ცხენს ყარაბაღელ დიდებულთა სახლების წინ მივაჭენებდი. ზოგი ხელს მიქნევდა და მომძახოდა: „საომრად მიიჩქარი, ალი ხან?"

თავში ყველაფერი ამერია. ფიქრმა მაშინვე ერთი სახლისკენ წამიყვანა. შორს, სივრცეში, ბაღის წიაღში ჩაფლული ბრტყელბანიანი სახლი მოჩანდა, რომლის დანახვაზეც მხედრული ვალდებულებების ყველა წესი გადამავიწყდა. გიჟივით მივქროდი ბორცვებზე.და ის სახლიც თანდათან ახლოვდებოდა, რომლის მიღმაც მთები, ცა, ქალაქი, მეფე, თუ მთელი სამყარო უჩინარდებოდა. ცხენი ბაღში შევაჭენე. მსახური გამომეგება, შეშინებული, გაყინული მზერით შემომქცეროდა. სამი საათია, რაც თავადის ოჯახმა აქაურობა დატოვაო" – მაუწყა მან. მექანიკურად ხელი ხანჯალზე წავივლე. მსახური განზე გადგა. მერე ჯიბიდან წერილი ამოიღო და გამომიწოდა: „თავადის ასულმა ნინომ თქვენი უდიდებულესობა ალი ხან შარვანშირისათვის წერილი დატოვა". მოუთმენლად გავხსენი და კითხვა დავიწყე. დიდი ბავშვური ასოებით ეწერა: „ძვირფასო ალი ხან, ომი უცბად დაიწყო. ბაქოში უნდა დავბრუნდეთ. დრო არ იყო, შენთვის შემეტყობი-

ნებინა. არ გამიჯავრდე, ვტირი და მიყვარხარ. სამწუხაროდ, ზაფხული მალე დაგვიმთავრდა. მალე გამომყევი უკან. გელოდები და მენატრები. გზაში მხოლოდ შენზე ვიფიქრებ. მამა თვლის, რომ ომი მალე დიდი გამარჯვებით დამთავრდება. გაგიკვირდება, ალბათ, სულელი ვარ, მაგრამ გთხოვ, შუშაში ბაზარში შეიარო და ჭრელ-ჭრელი, ცხენების თავებით მოქარგული ხალიჩა მიყიდო, მე ველარ მოვასწარი. გკოცნი. ბაქოში, ალბათ, საშინლად ეცხელება. შენი ნინო".

წერილი დავკეცე. კაცმა რომ თქვას, ყველაფერი წესრიგში იყო. მე კი, ალი ხან შირვანშირი, ნამდვილი სულელი ვარ, გიჟივით მოვქროდი აქეთ, იმის მაგივრად, რომ, წესისამებრ, ქალაქის თავთან მივსულიყავი და ომის დაწყება მიმელოცა, ან შუშის რომელიმე მეჩეთში მეფის ჯარებისათვის მელოცა. ტერასის კიბეებზე ჩამოვჯექი და გაშტერებული ვიყურებოდი. მეც კაი შეშლილი ვარ, ნინოს რა უნდა ექნა, თუკი მშობლები მიდიოდნენ. მეც ხომ მეხვეწება, მალე ჩამოდიო. ისე კი, რა თქმა უნდა, როცა ქვეყანაში ომია, სუნამოთი გაჟღენთილი წერილი კი არ უნდა დაწეროს, შეყვარებული შეყვარებულთან უნდა მივიდეს. თუმცა ეს ომი მე და ნინოს არც გვეხებოდა. ომი რუსეთში იყო და არა ჩვენს ქვეყანაში. მე უბრალოდ თავად ყიფიანზე ვბრაზობდი, ასე საჩქაროდ რომ გაარბენინა ნინო სახლში. გამწარებული ვიყავი ომზე, წმინდა თამარის ლიცეუმზე, გოგოებს ქცევის წესებს რომ არ ასწავლიდნენ. როგორ მივისწრაფოდი მისკენ, ყველანაირი სიამაყე და მოვალეობაც კი დავივიწყე, ის კი წავიდა. რამდენჯერმე კიდევ გადავავლე თვალი წერილს და უცბად ხანჯალი ვიძრე, წუილით გავაქანე და ჩემ წინ ხეში ჩავარჭე. მსახური ხეს მიუახლოვდა, ხანჯალი ამოაძრო, მცოდნე სახით შეათვალიერა და უკან დამიბრუნა: „ნამდვილი ყუბაჩური ფოლადია, ძლიერი ხელი გქონიათ, ბატონო" – მითხრა მოწიწებით.

ცხენს შემოვახტი. ქუჩებს ნელ-ნელა მივუყვებოდი. შორს ცისკენ აღმართული გუმბათები მოჩანდა. აღარ

ვბრაზობდი. სიბრაზე ხის ქერქში ჩავტოვე. ნინო კარგად მოიქცა. მამის დამჯერი ქალიშვილია და კარგი ცოლიც იქნება. ფიქრებში ჩაძირული, თავდახრილი მივდიოდი. ქუჩები ქვიშის ბუღში იყო გახვეული. მზე ანათებდა და დასავლეთით ეშვებოდა.

უეცრად ცხენის ჭიხვინმა გამომაფხიზლა. თავი ავწიე და გავშტერდი. წამით ნინოც დამავიწყდა და დანარჩენი სამყაროც. ჩემს წინ საოცრება იდგა – ოქროსფერ-წითელი რაში, მოხდენილი თავით, ამაყი თვალებით, ბალეტის მოცეკვავესავით ჩამოქნილი ფეხებით. მზეზე ოქროსფრად უბრწყინავდა ფაფარი. უნაგირზე წვეროსანი მოხუცი იჯდა. ეს იყო დიდი მემამულე თავადი მელიქოვი მეზობელი ქალაქიდან. ცხენით აღფრთოვანებული, გაოგნებული ხმას ვერ ვიღებდი. გამახსენდა, აქ ჩამოსვლისას ოქროსფერ რაშზე ლეგენდებს რომ მიყვებოდნენ: „ყარაბაღში სულ თორმეტია ასეთი ოქროსფერი რაში. მათ ისე მალავენ, როგორც სულთანი ქალებს – ჰარამხანაში.“ ახლა ჩემ წინ სწორედ ერთ-ერთი მათგანი იდგა:

– საით გაგიწევიათ, თავადო?

– ომში, შვილო ჩემო.

– თავადო, რა საოცარი ცხენია!

– დიახ, იშვიათობაა! – და თავადს თვალებში სითბო ჩაუდგა.

– ამ ცხენის გული ექვს გირვანქას იწონის, ტანს წყლით რომ დაბან, ოქროსავით უბზინავს ხოლმე. თუ თვალებზე მზის სხივები მოხვდა, კამკამა წყალივით უბრჭყვიალებს. ეს სარი ბეგის ერთ-ერთი ცხენია, ჯერ არავისთვის მიჩვენებია. როცა მეფე ომში გამიწვევს, თავადი მელიქოვი ამ ოქროსფერ-წითელ რაშზე ამხედრებული ეახლება.

ამაყად გამომემშვიდობა და გზა განაგრძო.

ბნელოდა, სახლში რომ შევედი. ქალაქი ველურ გაოგნებას მოეცვა. ადგილობრივი დიდებულები მთვრალები დადიოდნენ და ჰაერში თოფებს ისროდნენ:

– სისხლი დაიღვრება! – ყვიროდნენ ისინი, – სისხლი დაიღვრება! ყარაბაღო, შორს გავარდება შენი სახელი!

სახლში დეპეშა დამხვდა. „მალე დაბრუნდი შინ." – მწერდა მამა.

– ჩაალაგეთ ბარგი! მივემგზავრებით. – გავძახე მსახურებს.

ქუჩაში მივდიოდი და ამ ალიაქოთს ვუყურებდი. რაღაც მოუსვენრობამ შემიპყრო, თავადაც ვერ გამეგო, რატომ. ფიქრებში ჩაძირული მაღლა ვარსკვლავებს ავცქეროდი.

VIII თავი

— მითხარი, ალი ხან, ვინ არიან ჩვენი მეგობრები? — მკითხა ჩემმა ყოჩმა.

შუშის მთიან მიხვეულ-მოხვეულ გზაზე მივჩაქჩაქებდით. ჩემი ყოჩი უბრალო სოფლელი ბიჭი იყო და გაუთავებლად მეკითხებოდა ომზე და პოლიტიკაზე. ჩვენში დაბალი ფენის ადამიანები მხოლოდ სამ თემაზე საუბრობენ: რელიგიაზე, პოლიტიკაზე, საქმეებზე, ომის თემა კი სამივეს მოიცავს და დღეს ყველაზე აქტუალური გახდა. ყველგან: ქუჩაში, შინ თუ ყავახანებში მხოლოდ ამ თემაზე ლაპარაკობდნენ.

— ყოჩი, ჩვენი მეგობრები არიან იაპონიის იმპერატორი, ინდოეთის იმპერატორი, ინგლისის მეფე, ბელგიის მეფე და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

დაფიქრებულმა ტუჩები აიბზუა და ჩაილაპარაკა:

— საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ასეთი ცივილიზებული ადამიანი, მინდორში როგორ გაიჭრება და იომებს?

— არ ვიცი, ალბათ, გენერალს წარგზავნის.

— თვითონ უნდა მიდიოდეს ომში, სხვები კი არ უნდა გზავნოს, რა სამართალია? — მერე კი საქმიანად დასძინა, — რუსეთის მეფე ტანდაბალი და გამხდარია, კაიზერი გილიომი კი ძლიერი და მხარბეჭიანი. პირველსავე შეტაკებაზე მ̣ოერევა რუსეთის მეფეს.

ჩემი ყოჩი უბრალო, კეთილი ადამიანი იყო და სჯეროდა, რომ მონარქები ერთმანეთს ცხენდაცხენ შეერკინებიან და ომიც ასე იწყება. სხვაგვარად რომც ამეხსნა, მაინც ვერ დავაჯერებდი.

— გილიომი რომ მეფეს დაამარცხებს, მეფისწულიც იქ უნდა იყოს, ახალგაზრდაა, მაგრამ ავადმყოფი. გილიომს კი,

პირიქით, ექვსი ჯანმრთელი და ძლიერი ვაჟი ჰყავს. შევეცადე, მისი პესიმიზმი გამეფანტა და დამემშვიდებინა: „გილიომს მხოლოდ მარჯვენა ხელით შეუძლია ბრძოლა, მარცხენა დამბლადაცემული აქვს.

– ეგ როგორ, მარჯვენა ხომ ჯერ მარტო სადავეების მოსაწევად სჭირდება, თან მარჯვენა ხელით კიდეც უნდა იბრძოლოს?

ცოტა ხანს დაფიქრდა, მერე კი შუბლშეჭმუხნულმა უცბად მკითხა:

– იმპერატორი ფრანც იოზეფი მართლა ასი წლისაა?

– ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ძალიან მოხუცია.

– საშინელებაა, მერე სად შეუძლია მოხუცს ცხენზე შეჯდომა და ხმლის ამოღება?

– ეგ აუცილებელი არ არის. – ვუთხარი მე.

– როგორ თუ არ არის?! იმას და სერბიას შორის ხომ სისხლია? მოსისხლე მტრები არიან და ფრანც იოზეფმა ხომ უნდა იძიოს შური ტახტის მემკვიდრისათვის? ჩვენი სოფლიდან რომ ყოფილიყო, ალბათ, სისხლი ასი ძროხისა და ერთი სახლის ფასად მაინც დაუჯდებოდა და ახალი სისხლიც აღარ დაიღვრებოდა. თუმცა იმპერატორი სისხლს ვერ აპატიებს. მაშინ ყველა ასე მოიქცევა და სისხლის აღების წესიც აღარ იარსებებს. და ქვეყანაც წახდება.

ყოჩი მართალს ამბობდა. სისხლის აღების წესი, რამდენიც გინდა უარყონ ევროპელებმა, სახელმწიფო წესრიგისა და ძველი ადათ-წესების საფუძველია.

რა თქმა უნდა, სწორია, როცა უხუცესები დაღვრილი სისხლის სანაცვლოდ დიდ საფასურს მოითხოვენ. მაგრამ სისხლის აღების წესში მთავარი ისაა, რომ შიში არ უნდა გიპყრობდეს, ეს ყველაფერი როგორ დამთავრდებაო. ადამიანები ოჯახებად იყოფიან და არა ხალხებად. ოჯახების სიმტკიცე კი დამოკიდებულია კაცის ნაყოფიერებასა და სიძლიერეზე. თუ წონასწორობა სასტიკი ძალით, მოკვლით დაირღვევა, მაშინ ოჯახმა, რომელმაც ღვთის ნების

საწინააღმდეგოდ ეს წესი დაარღვია, ერთი წევრი უნდა გაწიროს. რა თქმა უნდა, სისხლის აღების წესის შესრულება ცოტა რთულია, რადგან ზოგჯერ უფრო მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე საჭიროა და სისხლის აღებასაც დასასრული არ უჩანს. თუმცა ამ წესის არსი გასაგები და ნათელია. ჩემს ყოჩსაც კარგად ესმოდა სისხლის აღების წესი და თავს კმაყოფილი იქნევდა:

— დიახ, ეს ასი წლის კაიზერი, ცხენზე ამხედრებული, სისხლის აღებისათვის რომ იბრძოლებს, სამართლიანიცაა და ბრძენიც. — და მან შვებით ამოისუნთქა, — ალი ხან, თუ ესენი სისხლის აღების წესს დაიცავენ, სხვა მონარქებს რაღა ესაქმებათ?

ეს რთული შეკითხვა იყო, რაზეც პასუხი თავადაც არ გამაჩნდა, მაგრამ მაინც წამოვიწყე:

— მომისმინე, რუსეთის მეფეს იგივე ღმერთი ჰყავს, რაც სერბებს, ამიტომაც ეხმარება იმათ. კაიზერ გილიომი და სხვა მტრულ სახელმწიფოთა მონარქები იმპერატორ ფრანც იოზეფის ნათესავები არიან. ინგლისის მეფე რუსეთის მეფეს ენათესავება და ამგვარადაა ყველაფერი ერთიმეორეზე გადაჯაჭვული.

ყოჩი ჩემმა პასუხმა არ დააკმაყოფილა:

— იაპონიის იმპერატორს ხომ სულ სხვა ღმერთი ჰყავს, რუსეთის მეფეს — სხვა. როგორ უნდა ყოფილიყვნენ სხვა მონარქებთან დანათესავებულნი? ან ის, საიდუმლოებით მოცული ცივილიზებული საფრანგეთის პრეზიდენტი? იქნებ საფრანგეთში არც არსებობს არანაირი ღმერთი? ამიტომაც ჰქვია, ალბათ, ამ ქვეყანას რესპუბლიკა.

ეს ყველაფერი ჩემთვისაც გაუგებარი იყო. ამიტომაც ვაძლევდი ბუნდოვან პასუხებს. ბოლოს თვითონაც შეტევაზე გადავედი და ვკითხე:

— შენ, ჩემო მამაცო ყოჩო, აპირებ ომში წასვლას?

მან მეოცნებე თვალებით დაიხედა იარაღზე და სიამაყით განაცხადა:

– დიახ, რა თქმა უნდა, მივდივარ.

– შენ ხომ იცი, რომ ჩვენ, მაჰმადიანები, თავისუფლები ვართ ამ ომის ვალდებულებებისაგან და აუცილებელი არ არის, წახვიდე?

– კი, მაგრამ მე მაინც მინდა. – ეს უბრალო ბიჭი უცბად ალაპარაკდა, – ომი ძალიან ლამაზია, მთელ მსოფლიოს შემოვივლი. შევიგრძნობ დასავლეთის ქარის სტვენას, მტრის თვალებში ცრემლებს დავინახავ. ცხენს, იარაღს მომცემენ და მეგობრებთან ერთად დაპყრობილ სოფლებს გავივლი. უკან რომ დავბრუნდები, ბევრ ფულს ჩამოვიტან. ყველა გაიგებს ჩემს გმირობას. თუ მოვკვდები, ვაჟკაცური სიკვდილით მოვკვდები და ყველა კარგად მომიგონებს. ჩემს შვილებსა და მშობლებსაც პატივით მოეპყრობიან. არა, ომი მართლაც მშვენიერია. კაცმა ცხოვრებაში ერთხელ ომიც უნდა ნახოს".

კარგა ხანს ლაპარაკობდა აღფრთოვანებული. უკვე მტრისათვის მიყენებულ ჭრილობებსაც კი ითვლიდა, თვალნათლივ ხედავდა მსხვერპლს. თვალებში ბრძოლის სურვილი უბრწყინავდა. ღვთის წიგნის – შაჰნამეს დევგმირს ჰგავდა.

ცოტა არ იყოს, მშურდა კიდეც. უბრალო კაცი იყო და გადაჭრით იცოდა, რა უნდოდა. მე კი შორს სივრცეს გავყურებდი და ვოცნებობდი. როგორც ჩანს, იმდენ ხანს ვიარე გიმნაზიაში, რომ რუსების აზრებმა ჩემზეც იმოქმედა.

სადგურში მივედით. იქაურობა გადაჭედილი იყო ქალებით, ბავშვებით, მოხუცებით, გლეხებით, უამრავი ლტოლვილით საქართველოდან თუ ზაქათალიდან, თავადაც რომ არ იცოდნენ, სად ან რატომ მიემგზავ-რებოდნენ. აქეთ-იქით ძირს ეყარნენ და ჩამოდგებოდა თუ არა მატარებელი, სულ ერთია რომელი მიმართულებისა, ყიჟინით ზედ აწყდებოდნენ. მოსაცდელი დარბაზის კუთხეში ერთი ცხვრის დაფლეთილ ტყავში გახვეული, ამოღამებულთვალებიანი მოხუცი იჯდა. ლენქორანელი

ჩანდა. დარწმუნებული იყო, რომ სახლი დაენგრა და ბავშვები დაეღუპა. შეეცადე დამემშვიდებინა, რომ სპარსელები ჩვენ არაფერს გვერჩოდნენ, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა: „არა, ბატონო, დიდხანს იყო ირანის ხმალი დაჟანგებული და ახლა ალესეს. მომთაბარეები დაგვესხმიან თავს, შაჰზევანელები დაგვინგრევენ სახლებს, ჩვენ ხომ ურწმუნოთა სამეფოში ვცხოვრობთ. ირანის ლომი ქვეყანას გაგვიჩანაგებს, გაგვიუპატიურებენ ქალიშვილებს და მონებად გაიხდიან, ვაჟებს კი „გასართობ ბიჭებად“ აქცევენო“.

მოხუცი დიდხანს და უაზროდ მოთქვამდა. წინ ჩემი ყოჩი მიდიოდა, ხალხის ნაკადს მივაპობდით. ბაქნამდე ძლივს მივაღწიეთ. ჩვენს ვაგონში ავედით და კუპეში ჩავიკეტეთ. გამცილებელს ფული მივეცით, რომ არავის შევეწუხებინეთ. ყოჩი ფეხმორთხმული იჯდა პლუშის გადასაფარებლიან სავარძელზე, რომელზეც სამი ოქროსფერი ასო იყო ჩაქსოვილი: З.Ж.Д. ეს ინიციალები ტრანსკავკასიური რკინიგზის – რუსული კოლონიალური პოლიტიკის სიამაყეს გამოხატავდა.

მატარებელი დაიძრა. ფანჯრებიდან ყვითელი ქვიშა მოჩანდა და ნეტარი სიმშვიდე მეუფლებოდა. ქვიშის ზღვაში პატარა ბორცვები ბრწყინავდა. ფანჯარა ჩავწიე და გარეთ გავიხედე. უხილავი ზღვიდან ცხელ დიუნებში გრილი ნიავი უბერავდა. წითლად მოჩანდა ერთიმეორეში გადახლართული კლდეები. დაბალი მთების გარშემო ალაგ-ალაგ შეფენილი მწვანე ბალახით დაფარული ბილიკები გველივით მიიკლაკნებოდა. ქვიშაში ქარავანი მიირწეოდა. ასი, შეიძლება მეტი აქლემიც ყოფილიყო, ზოგი – ერთკუზიანი, ზოგიც – ორკუზიანი. დიდი, პატარა – ყველა შეშინებული მიშტერებოდა მატარებელს. დინჯად, რხევა-რხევით, მომთაბარული სიმფონიის ერთი რიტმით, თითქოს რაღაც ერთი მთლიანობაააო, ისე მიაბიჯებდნენ. თითოეულს ყელზე ზარი ეკიდა. ზარის ყოველ გაწკრიალებაზე თავს

აბრუნებდნენ, ამიტომაც აუჩქარებლად, თანაბრად მოძრაობდნენ. ერთი მცდარი ნაბიჯი, ერთი წაბორძიკება და ზარიც რეკავდა. აქლემებს ამ ზარის წკრიალზე მოუსვენრობა ეუფლებოდათ, სანამ რიტმს ისევ არ ააწყობდნენ. ესაა უდაბნოს ნეტარება, უდაბნომ შექმნა ეს საოცრება – ცხოველისა და ფრინველის მომხიბვლელობისა და სიმახინჯის ნაჯვარი, რომელშიც მთელი უდაბნო ირეკლებოდა, მთელი თავისი არსებით, სევდით, საზრუნავით, სუნთქვით თუ მიძინებით.

რბილი ქვიშა ნაცრისფერი, უსახური მარადიულობის გრძნობას მიღვიძებდა და ამ მარადიულობაში დაეხეტებოდა აზიის სული. მატარებელი წინ, მაგრამ თითქოს მცდარი გზით მიიწევდა. მე ხომ აქაურობას ვეკუთვნოდი, ამ უდაბნოს, ამ ქარავანს, ქვიშაში რომ მიირწეოდა. წამით მომინდა, საავარიო მუხრუჭს ვწვდომოდი და ჩამომეწია. „უკან! უკან! აღარ მინდა!" – უცხო ხმა მიხმობდა ზარების რიტმული ჟღერით მარადიული ქარავნიდან.

რაში მეკითხებოდა მთისიქითა სამყარო, მისი ბრძოლები, ქალაქები, მეფეები, მათი საზრუნავი თუ სიხარული, მათი სიწმინდე თუ შეცოდებანი? ჩვენ სულ სხვა სიწმინდე და სხვა ცოდვები გვაქვს. შეიძლება მატარებელი დასავლეთისაკენ მიქროდა, მაგრამ მე სულით ხორცამდე აღმოსავლეთს ვეკუთვნოდი. კიდევ უფრო გადავიხარე ფანჯრიდან. ქარავანი უკან ჩამოგვრჩა. გავცქეროდი. უდიდესი სიმშვიდე დამეუფლა. ჩვენს ქვეყანაში მტერი არ იყო. არავინ ემუქრებოდა ამიერკავკასიის მიდამოებს. ჩემს ყოჩს შეეძლო ომში წასულიყო. ამის უფლება ჰქონდა. მას არ აინტერესებდა ბრძოლა არც რუსეთისა და არც დასავლეთისათვის. ომში მარტო თავგადასავლების საძიებლად მიდიოდა. სისხლის დაღვრა, ატირებული მტრის დანახვა სწყუროდა, როგორც ყველა აზიატს. მეც მინდა ომში. მთელი ჩემი არსება სისხლიანი ბრძოლის ველისაკენ, თავისუფალი ჰაერისაკენ, საბრძოლო ველის საღამოსეული

სურნელისაკენ მიილტვის. ომი შესანიშნავი სიტყვაა, მამაკაცური, მახვილივით ბასრი. მაგრამ მე აქ უნდა დავრჩე იმ დღისთვის, როცა მტერი ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს ქალაქში, ჩვენს მიწა-წყალზე შემოვა. მოხალისეებს შეუძლიათ წავიდნენ ამ ომში, მაგრამ ქვეყანაში საკმარისი ხალხი უნდა დარჩეს, რომ მომავალ მტერს დახვდეს. ვგრძნობ: ამ ომში გამარჯვებული რაღაც ახალ საფრთხეს, ახალ საშიშროებას მოაახლოებს. ქარავნის სადავეებს უხილავი ძალები აიღებენ ხელში და მთელი ძალით ახალი გზისაკენ შეაბრუნებენ. ეს შეიძლება დასავლეთის გზა იყოს. გზა, რომლითაც მე არ მინდა სიარული. მეც ხმალზე ხელს სწორედ მაშინ ვიკრავ.

სავარძელს მივეყრდენი. ფიქრი აღარ მინდოდა. ზოგს შეიძლება ისიც ეთქვა, შინ იმიტომ რჩება, ნინოს მუქ თვალებთან განშორება არ უნდაო. იქნებ არც ტყუოდნენ. ეს მუქი თვალები მშობლიური მიწის ძახილსა ჰგავს, უცხო გზაზე შვილის გადარჩენას რომ ლამობს. დიახაც, იმიტომ ვრჩები, სამშობლოს მუქი თვალები უხილავი მტრის მზერისაგან რომ დავიფარო.

ჩემს ყოჩს ვუყურებდი. არხეინად ხვრინავდა და ძილშივე ეტყობოდა, რომ ბრძოლისათვის იყო შემართული.

IX თავი

უძველესი ქალაქი აგვისტოს მცხუნვარე მზეში ნებივრობდა. დაღარული სახე სულაც არ შესცვლოდა. უამრავმა რუსმა დატოვა აქაურობა. ისინი ომში მიისწრაფვოდნენ, რომ მეფისა და სამშობლოსათვის თავი გაეწირათ. პოლიცია გერმანელებისა და ავსტრიელების სახლებს ჩხრეკდა. ნავთობის ფასი ავარდა, რითაც ქალაქის კედლის აქეთა და იქითა მხრის მცხოვრებლები კმაყოფილნი ჩანდნენ. ომის ამბებზე მხოლოდ ჩაიხანაში თუ საუბრობდნენ, ან გაზეთებში კითხულობდნენ. ომი შორს იყო, სხვა სამყაროში. დაპყრობილი ქვეყნების სახელები შორეულად და უცხოდ ჟღერდა. მოსკოვის ინსტიტუტში არ გავემგზავრე. ამ ომის პერიოდში სამშობლოსთან განშორება არ მინდოდა. სწავლა არსად გამექცეოდა. ბევრს უკვირდა, ბრძოლის ველისკენ რომ არ მივილტვოდი. როცა ჩემი სახლის ბანიდან ქალაქის ჭრელი ცხოვრების დინებას გადავცქეროდი, ვიცოდი, ჩემი განშორება ამ კედლებთან, ჩემს მშობლიურ მიწასთან რუსეთის არანაირ გაწვევას არ შეეძლო.

სახლს მივუახლოვდით.

მამა ზღურბლზე გამომეგება და მოსალმებისთანავე გაკვირვებულმა მკითხა:

– მართლა არ გინდა ომში წასვლა, ალი ხან შირვანშირ?

– არა, მამა, არ მინდა.

– ჩვენი წინაპრების უმრავლესობა ბრძოლის ველზე დაეცა, ესაა ნამდვილი სიკვდილი ჩვენს ოჯახში.

– ვიცი, მამა. მეც ბრძოლის ველზე დავეცემი, მაგრამ ახლა არა.

– ღირსების შელახვას ღირსეული სიკვდილი სჯობს!

– მე ღირსებას არ დავკარგავ, მაგრამ ამ ბრძოლაში

არანაირი ვალდებულება არ მაკისრია.

მამამ იმედგაცრუებულმა შემომხედა და უკვე მეასედ წამოიწყო მოყოლა ჩვენს წინაპრებზე:

– ნადირ შაჰის პერიოდში ხუთი შირვანშირი იბრძოდა ვერცხლის ლომის სამეფოსათვის. ამათგან ოთხი ინდოელების წინააღმდეგ ბრძოლაში დაეცა. დელიდან მხოლოდ ერთი დაბრუნდა უკან, თანაც გამდიდრებული. კარმიდამო იყიდა, სასახლეები ააგო. შაჰ რუქი ჰუსეინ ხანის წინააღმდეგ ბრძოლებში ჩვენი წინაპარი ყაჯარის ველური თავადის, აღა მაჰმადის მხარეზე იბრძოდა. რვა შვილის თანხლებით გაჰყვა მას ხორასნისა და საქართველოს გავლით. იმათგან ცოცხალი მარტო სამი გადარჩა, ბოლომდე ემსახურებოდნენ დიდ საჭურისს, მაშინაც, როცა შაჰი გახდა. აღა მაჰმადის მკვლელობის ღამითაც შუშაში, კარვებში იყვნენ მის გვერდით.

ოჯახის ცხრა წევრის სისხლის საფასურად შირვანშირებს აღა მაჰმადის მემკვიდრემ ფათჰ ალიმ მამულები დაურიგა შირვანში, მაზანდარანში, გილანსა და აზერბაიჯანში. სამივე ძმა შირვანში ბატონობდა, როგორც მეფეთ მეფის მემკვიდრის ვასალი. რუსები რომ შემოვიდნენ, იბრაჰიმ ხან შირვანშირმა ბაქო დაიცვა და გმირული სიკვდილით შირვანშირების გვარს ახალი ღირსება შემატა. მხოლოდ თურქმენჩაის განთავისუფლების შემდეგ გაიყო შირვანშირების მამულები, დროშები და საბრძოლო ველები. სპარსული გვარის ღირსების დამცველნი იბრძოდნენ და კვდებოდნენ მოჰამად შაჰისა და ნასრ ედდინ შაჰისთვის თურქმენებისა და ავღანელების წინააღმდეგ. რუსული გვარის ღირსების დამცველნი კი სისხლს ღვრიდნენ ყირიმის ომში რუსეთის მეფისათვის თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში და იაპონელთა ომში. სწორედ ამიტომ გვაქვს მამულები, ღირსება და ჯილდოები. ვაჟიშვილები თავისი ოჯახის ღირსებას მაშინაც იცავენ, როცა გერუნდიუმს გერუნდივუმისაგან ვერ არჩევენ. და

ახლა, როცა ქვეყანაში ბრძოლაა, შენ ზიხარ, ალი ხან შირვანშირ, ხალიჩაზე და მეფის შემწყნარებლური კანონის უკან იმალები. ნუთუ არაფერს გეუბნება შენი მამა-პაპის გმირობა? მკვდარ, მტვრად ქცეულ წიგნის ფურცლებში კი არა, შენს ძარღვებში უნდა წაიკითხო გმირობის სურვილი. – კუშტად დაასრულა მამამ. ის გაოგნებული იდგა, ვერ დაეჯერებინა, რომ ლაჩარი ვაჟი ჰყავდა. ქვეყანაში ომი იყო და მისი შვილი კი ომში არ მიისწრაფვოდა, მტრის სისხლი არ სწყუროდა, მტრის თვალებში ცრემლების დასანახად არ მიილტვოდა. ვერ გაეგო, ასე რამ დასცა მისი ვაჟი.

მე ხალიჩაზე რბილ ბალიშებზე დაყრდნობილი ვიჯექი და გავეხუმრე:

– სკოლა რომ დავამთავრე, მითხარი, სამ სურვილს შეგისრულებო. ერთი უკვე შემისრულე, ახლა მეორის ჯერია. მე ჩემს მახვილს მაშინ გამოვიყენებ, როცა მომესურვება. გვიანი არასოდეს იქნება. თანაც ვფიქრობ, ჩვენი ქვეყანა მშვიდობას დიდხანს ვერ შეინარჩუნებს და დადგება დრო, როცა მამულს ჩემი მახვილი მართლაც დასჭირდება.

– კარგი. – ჩაილაპარაკა მან და ვეღარაფერი მითხრა. მიმზერდა და მაკვირდებოდა. იქნებ არც იყო მისი ვაჟი ჭეშმარიტების გზას აცდენილი.

მოლასაც ველაპარაკე ტაცა-ფირის მეჩეთში. მაშინვე გამიგო. მამაჩემსაც დაელაპარაკა და დაარწმუნა, რომ ამ ომში ჩვენ, როგორც მუსლიმებს, არანაირი ვალდებულება არ გვეკისრებოდა. ამასვე ამბობდა ყურანიც. ამის შემდეგ ჩვენს სახლში კვლავ სიმშვიდემ დაისადგურა. მაგრამ მხოლოდ სახლში, რადგან ომის ქარცეცხლმა ახალგაზრდობა ისე შეიპყრო, რომ ყველა ვერ ახერხებდა თავის მოთოკვას. ზოგჯერ ჩემს მეგობრებთან დავდიოდი. გავივლიდი ციციანაშვილის ჭიშკარს, გადავუხვევდი მარჯვნივ აშუმის ქუჩისაკენ, გადავჭრიდი წმინდა ოლღას ქუჩას და ასე ხეტიალ-ხეტიალით მივადგებოდი ხოლმე მოხუცი ზეინალ აღას სახლს.

ერთ დღეს ჩემს მეგობარ ილიას ბეგთან რომ მივედი, ასეთი სურათი დამხვდა: ილიას ბეგი მაგიდასთან იჯდა და შუბლშეჭმუხნული სამხედრო სტატიას ჩაჰკირკიტებდა. ჩვენს სკოლაში ყველაზე სულელი მეჰმედ ჰაიდარი გვერდით მოსჯდომოდა. ომმა ისიც გამოაფხიზლა. ცოდნის სახლი დატოვა და ილიას ბეგს მიადგა. ოცნებობდა, როდის ეღირსებოდა ოფიცრის სამხრეები. ორივე ოფიცრის გამოცდისათვის ემზადებოდა. ოთახში რომ შევდიოდი, გავიგე მეჰმედის ბურდღუნი: „ჯარისა და ფლოტის ამოცანაა მეფისა და სამშობლოს დაცვა შინაური და გარეშე მტრისაგან".

მე წიგნი ავიღე და შესამოწმებლად ვკითხე:

– გარეშე მტერი ვინ არის, ჰაიდარ?

– ავსტრიელები და გერმანელები.

– ძალიან ცდები, ჩემო ძვირფასო, – ვუთხარი ნიშნის მოგებით და ხმამაღლა წავუკითხე: „გარეშე მტერია ყველა ის სამხედრო ფორმირება, ვინც ჩვენს საზღვრებს მტრული განზრახვით გადმოლახავს".

მერე ილიას ბეგს მივუბრუნდი და ვკითხე:

– სროლაში რა იგულისხმება?

ილიას ბეგმა პასუხი ჩაარაკრაკა.

კითხვა-პასუხობანას თამაში კარგა ხანს გაგრძელდა. გაგვიკვირდა, რა ძნელი ყოფილა მტრის წინააღმდეგ ბრძოლა თეორიული თვალსაზრისით და რა დილენტანტურადაა სამხედრო საქმე ჩვენს ქვეყანაში განვითარებული. ორივენი, მეჰმედ ჰაიდარიც და ილიას ბეგიც, ბრძოლის ველისკენ მიილტვოდნენ. ალბათ, უცხო ქალებიც იზიდავდნენ, დაპყრობილი ქვეყნების ნანგრევებზე რომ იპოვიდნენ. თითქმის ერთი ს

მამაცური სისხლით შენი ზარმაცი ხორცი უნდა დავიცვა.

— ვიდრე შენ ოფიცერი გახდები, ომიც დამთავრდება.

ჩემს ნათქვამს მომავალი გმირები არ აღუშფოთებია. მათთვის სულერთი იყო, ვინ მოიგებდა, ისევე როგორც ჩემთვის. ჩვენსა და ფრონტს შორის მთელი სამყაროს მეექვსედია გადაჭიმული. ამდენის დაპყრობას გერმანია მაინც ვერ შეძლებს. ერთ ქრისტიან მონარქს მეორე ქრისტიანი მონარქი შეცვლის, ეს არის და ეს. ილიას ბეგისთვის ეს ომი თავგადასავალი იყო, მეჰმედ ჰაიდარისთვის კი რამე ახალი ხელობის შეძენა და სწავლისგან თავის დახსნა. რა თქმა უნდა, გამოცდას ორივე ჩააბარებდა და იმათგან ჭეშმარიტი ოფიცრებიც დადგებოდა. ჩვენს ხალხს ვაჟკაცობა არ აკლდა. მაგრამ რა? ბიჭებისთვის ზედმეტი კითხვები აღარ დამისვამს, ან კი რა აზრი ჰქონდა? ორივეს აღმოსავლელის სისხლის წყურვილი გაეღვიძა.

დაფიქრებული წამოვედი ზეინალ აღასაგან. ზღვის სანაპიროსაკენ დავეშვი. მარილიან ზღვას ტყვიისფერი დაჰკრავდა. ვიდრე სანაპიროს მივაღწევდი, სომხების უბნის გავლა მომიხდა. ნაპირს ქვემეხებით დატვირთული ნავი მოსდგომოდა. შორიახლოს ჩამოვჯექი და იალქნიან ნავს შევცქეროდი, მამაცურად რომ ებრძოდა ტალღებს. ასეთი ნავით თავისუფლად ვიმგზავრებდი ასტარამდე, შაჰის ამ მშვენიერ, აყვავებულ ქვეყნამდე. იქ, იმ მშვიდობის ბუდეში ცხოვრობდნენ პოეტები და ნაღვლიან სიყვარულს უმღეროდნენ, იქ ცოცხლობდა მოგონებები რუსტამის საგმირო საქმეებზე, იქ იყო დიდებული სასახლეები სურნელოვან ვარდის ბაღებში. ეს იყო უმშვენიერესი საოცნებო ქვეყანა.

რამდენჯერმე ავუყევ-ჩავუყევი პრომენადს. ნინოსთან სახლში ვაპირებდი მისვლას, თუმცა ეს ურთიერთობის მიღებულ წესებს ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ მოხუცმა ყიფიანმა ეგებ შეხედულებები შეიცვალა ომის გამო! ბოლოს სუნთქვა შევიკარი და ოთხსართულიანი სახლის კიბეები

ავირბინე. მეორე სართულის კარზე წარწერა იყო: „თავადი ყიფიანი“.

თეთრწინსაფრიანმა მოახლემ გამიღო კარი და თავი დამიკრა. ქუდი მივაწოდე. აღმოსავლური წესით ქუდი არ უნდა მომეხადა, მაგრამ ევროპული წესი რას მოითხოვდა, ვიცოდი და ასე მოვიქეცი.

თავადის ოჯახი სალონში ჩაის მიირთმევდა. დიდ ოთახს წითელი აბრეშუმით გაწყობილი ავეჯი ამშვენებდა. კედლები არც მოხატული იყო, არც ხალიჩებით მორთული. თავადის ოჯახი დიდი, ლამაზი ფინჯნებით ინგლისურ ჩაის სვამდა და თან ნამცხვარსაც მიირთმევდა. თავადის მეუღლეს ხელზე რომ ვეამბორე, სულ ვანილისა და ლავანდის სუნი შემომაფრქვია, მერე ნინოს მივუახლოვდი, სამი თითი გამომიწოდა და ქვეშიდან გამოაპარა მზერა ისე, რომ ფინჯნიდან თვალებიც არ აუწევია. თავადმაც ჩამომართვა ხელი. დავჯექი თუ არა, ჩაი მომართვეს.

– მაშ თქვენ გადაწყვიტეთ, რომ ამჟამად ომში მონაწილეობა არ მიიღოთ? – მკითხა თავადმა კეთილგანწყობით.

– დიახ, თავადო.

– მე თქვენს ადგილზე ომში დაზარალებულთა კომიტეტში შევიდოდი, ფორმა მაინც გექნებათ. – მითხრა თავადის მეუღლემ.

– შეიძლება, ქალბატონო, ეს კარგი იდეაა.

– მეც ასე უნდა მოვიქცე. თავისუფალი დრო მამულს უნდა მივუძღვნა. – განაცხადა თავადმა.

– მართალია, თავადო, მაგრამ მე, სამწუხაროდ, თითქმის არა მაქვს თავისუფალი დრო.

– რითა ხართ, ყმაწვილო, დაკავებული?

– ჩემი მამულების ადმინისტრაციული საკითხებით.

ამ წინადადებამ თავადისა და მისი მეუღლის თვალში ამამაღლა. კიდევ ერთი-ორი თავმომწონე წინადადება და ნინოს ოპერაში წაყვანის ნებართვაც მივიღე. გამომშვიდობებისას თავადის მეუღლეს ხელზე კვლავ ვეამბორე.

საუბრისას „ღ"-ს პეტერბურგულად ვუქცევდი. გამოსვლისას დავიბარე, რომ ნინოს რვის ნახევრისათვის შევუვლიდი წასაყვანად.

ნინომ კარამდე მიმაცილა და დამტვრეული აზერბაიჯანულით მითხრა:

— მიხარია, ომში რომ არ მიდიხარ, მაგრამ, ალი, გულწრფელად მითხარი, ომის გეშინია? ვაჟკაცებს ომი უნდა უყვარდეთ. მე შენი ჭრილობებიც მეყვარება.

არ გავწითლებულვარ. ხელი მოვკიდე, მოვუჭირე და ვუთხარი:

— არა, შიში რა შუაშია. როდისმე ჩემი ჭრილობების მოვლაც მოგიწევს. თუ ეს სიამოვნებას მოგანიჭებს, მანამდე რაც გინდა, ის იფიქრე, თუ გინდა, ლაჩრად ჩამთვალე.

ნინო გაოგნებული მიმზერდა. შინ დაბრუნებულმა ქიმიის ძველი წიგნი სიმწრისგან ნაფლეთებად ვაქციე.

მერე ჩაი დავლიე, ნამდვილი ირანული ჩაი და ოპერაში ლოჟა შევუკვეთე.

X თავი

თვალები დავხუჭე, თითებით ყურები დავიცე და საკუთარ თავში ჩავიძირე. როგორ იყო ეს მაშინ, თეირანში?

უზარმაზარი ცისფერი ქვის დარბაზის შესასვლელში ღირსეული შაჰ ნასრ ედ-დინის სახელი ეწერა. მთელი დარბაზი გადაჭედილი იყო მაყურებლებით. ზოგი იჯდა, ზოგი იდგა, აქ იყვნენ პატივცემული, ღირსეული ოჯახის წარმომადგენლები, მეოცნებე ყმაწვილები. ერთი სიტყვით, წარმოდგენას წმინდა ჰუსაინზე ათასი ჯურის მაყურებელი ესწრებოდა. თითქმის ჩაბნელებულ დარბაზში მხოლოდ ოთხკუთხა სცენა გაენათებინათ. სცენაზე წვეროსანი ანგელოზები ყმაწვილ ჰუსაინს ამშვიდებენ. განრისხებული ხალიფა იაზიდი თავის კაცს გზავნის უდაბნოში წმინდა ყმაწვილის თავის მოსატანად. მოთქმა-გოდების საშინელ სიმღერას ხმლების ჟღრიალი ახშობს.

ალი, ფატიმა და ევა სცენაზე დასეირნობენ და ოთხსტრიქონიან რობაის მღერიან. მძიმე ოქროს ლანგრით ურჯულო ხალიფას ყმაწვილის თავს აწვდიან. მაყურებელი კანკალებს და ტირის. მოლა რიგებს შორის დადის და ერთ პატარა ბოთლში, ბამბით აგროვებს მაყურებელთა ცრემლებს, ამ ცრემლებშია სწორედ მაგიური ძალა. და რაც უფრო ღრმაა მაყურებლის რწმენა, მით უფრო მაგიურია წარმოდგენის ზეგავლენა. სცენაზე მოჩანს ალმასებით მოოჭვილი ხალიფის ტახტი, ედემის ბაღისაკენ მიმავალი ფიცარნაგისაგან გაკეთებული გზა, სიღრმეში კი წამებულის ქალიშვილამდე რამდენიმე წვეროსანი დგას.

თვალები გავახილე, ხელები ჩამოვუშვი და მიმოვიხედე. წითელი ხავერდით გაწყობილ ლოჟებს უთვალავი ელექტრონათურის მკაფიო შუქი ეცემოდა. მაყურებელთა დარბაზში ქალების მოშიშვლებული მკლავები და მხრები

თეთრად ელვარებდა. მაყურებლის დარბაზსა და სცენას შორის პატარა ადგილი დაეტოვებინათ, სადაც მოკრძალებით ისხდნენ მუსიკოსები თავიანთი ინსტრუმენტებით. პარტერში აქა-იქ ჩურჩული და პროგრამების შრიალი გაისმოდა. ასე გამოიყურებოდა ბაქოს სახელმწიფო ოპერა „ევგენი ონეგინის" დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე.

გვერდით ნინო მეჯდა, სახე ჩემკენ ჰქონდა გადმოხრილი, ცოტას ლაპარაკობდა. შუქი რომ ჩაქრა, ხელი მხრებზე მოვხვიე. თავი ოდნავ უკან გადასწია და მთელი არსებით ჩაიძირა ჩაიკოვსკის მუსიკაში. ტატიანას არია სრულდებოდა.

ოპერა დრამას იმიტომ მირჩევნია, რომ ოპერაში მოქმედება წინასწარ არის ცნობილი და დაძაბვა არ მჭირდება, რომ გავიგო, სცენაზე რა ხდება. მუსიკაც იშვიათად მიშლის ხელს, ისიც მარტო მაშინ, როცა ძალიან ხმამაღლა შემოსძახებენ. დარბაზში ბნელა და, თუ თვალებს დახუჭავ, ირგვლივ მყოფთ ეგონებათ, რომ მთელი არსებით სიმფონიურ ოკეანეში ჩაიძირე.

მაგრამ ამჯერად თვალს ვერ ვხუჭავდი, ნინოს უნაზეს სახეს ვუმზერდი. ოდნავ წინ გადავიხარე. და ნინოს პროფილის მიღმა, მესამე რიგში ნაცნობ სახეს მოვკარი თვალი: ჩვენი ძველი მეგობარი იყო შუშიდან, მელიქ ნახარარიანი, ღირსეული წარმომავლობის სომეხი, მსუქანი, ფილოსოფოსის გამოხედვით.

– შეხედე, იქ ნახარარიანია. – გადავუჩურჩულე ნინოს.

– სცენას უყურე, შე ველურო! – გამიბრაზდა, თან მაინც შეავლო თვალი სქელ სომეხს, რომელმაც შორიდან თავაზიანად დაგვიკრა თავი.

შესვენებისას, ნინოსთვის კამფეტებს რომ ვყიდულობდი, ბუფეტთან შევხვდი. ჩვენს ლოჟაში გამომყვა და ცოტა ხნით დარჩა კიდეც ეს ჩასუქებული, შემელოტებული სომეხი.

– რამდენი წლისა ხართ, ბატონო მელიქ? – ვკითხე.

– ოცდაათის. – მიპასუხა მან.

– მაშინ თქვენ მალე ვეღარ გიხილავთ ჩვენი ქალაქის ქუჩებში. – უთხრა ნინომ.

– ეგ როგორ, თავადის ასულო?

– თქვენი თაობისა ყველა გაიწვიეს.

მან ხმამაღლა გაიცინა და თავი გადაიქნია:

– სამწუხაროდ, თავადის ასულო, მე ომში წასვლა არ შემიძლია. ექიმმა ამიკრძალა. ნაწლავის ემფიზემა მჭირს.

ამ ავადმყოფობის სახელმა მუცლის ტკივილი მომაგონა.

– ასეთი საშინელი ავადმყოფობაა? – ჰკითხა ნინომ თანაგრძნობით და თან გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა.

– ამ ჩვენი ექიმების ხელში ყველა ავადმყოფობა საშინელია. – ჩაილაპარაკა მელიქ ნახარარიანმა, ამ დათვივით ძლიერმა, ჯერ კიდევ უცოლო კაცმა, რომელიც წარჩინებული სომხური ოჯახის შვილი იყო. მამა გენერალი ჰყავდა. ლოჟიდან რომ გადიოდა, ვთხოვე, წარმოდგენის შემდეგ ჩვენთან ერთად ევახშმა. მან თავაზიანი მადლობა გადაგვიხადა და მიწვევა მიიღო.

ფარდა რომ აიწია, ჩაიკოვსკის ცნობილი ვალსის ჟღერაში, ნინო გადმოიხარა და ჩამჩურჩულა:

– იმასთან შედარებით ნამდვილი გმირი ხარ, შენ ნაწლავის ემფიზემა მაინც არა გჭირს.

– სომხებს უფრო მეტი ფანტაზია აქვთ, ვიდრე მაჰმადიანებს. – ჩავილაპარაკე მე.

ნინომ თავი მხარზე დამადო და მაშინაც არ შერხეულა, როცა ლენსკიმ თავისი ძლიერი ტენორით დასძახა და ონეგინის რევოლვერისაკენ გადადგა ნაბიჯი. ფინალით გათვალისწინებული მკვლელობაც აღსრულდა. ეს მშვენიერი, სრულქმნილი დასასრული ნამდვილად სათანადო აღნიშვნის ღირსი იყო.

ოპერის დასრულების შემდეგ ნახარარიანი გასასვლელთან გველოდებოდა. რაღა თქმა უნდა, ევროპული მანქანა

ჰყავდა, რაც შირვანშირების ცხენებთან შედარებით უპირატესობად ეთვლებოდა. ამ ევროპული მანქანით გავისეირნეთ ჩვენი ქალაქის ღამეულ ქუჩებში. განათებულ კლუბთან ჩამოვედით.

ჩვენი მხრიდან ეს გონივრული არ იყო. ნინო ხომ ჯერ კიდევ ლიცეუმში სწავლობდა. მაგრამ თავადის ასულს ორი ისეთი გვარის ადამიანი ახლდა, როგორიც შირვანშირი და ნახარარიანია. ასე რომ, მშვიდად შეეძლო დაერღვია წმინდა თამარის სახელობის ლიცეუმის წესები.

კლუბის გაკაშკაშებულ ტერასაზე გავედით. აქეთ-იქით ჭიქების წკარუნი გაისმოდა. ნინო და ნახარარიანი შამპანურს სვამდნენ. მსოფლიოში არაფერს, ნინოს უმშვენიერეს თვალებსაც კი, არ შეეძლო ვეიძულებინე, ჩემს მშობლიურ მხარეში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ღვინო დამელია. ამიტომაც, ჩვეულებისამებრ, ვიჯექი და ფორთოხლის წვენს ვწრუპავდი.

მუსიკა რომ შეწყდა და ყურებმაც დაისვენა, ნახარარიანმა მთელი სერიოზულობით მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა:

– აქ ვსხედვართ კავკასიის სამი დიდი ხალხის წარმომადგენელი: ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი, ერთი და იმავე ცის ქვეშ, ერთსა და იმავე მიწაზე დაბადებულნი, სრულიად განსხვავებულნი, მაგრამ მაინც ერთნი ვართ, როგორც ღვთის სამსახეობა. ერთდროულად აზიელებიც და ევროპელებიც!

– ყოველთვის ვფიქრობდი, რომ კავკასიელთათვის ძირითადი ელემენტი ბრძოლაა, – თქვა ნინომ. – ახლა მე ორ კავკასიელს შორის ვზივარ, რომელთაგანაც არც ერთს არ უნდა ომში წასვლა.

ნახარარიანმა მოკრძალებით გახედა და უთხრა:

– ორივეს უნდა, მაგრამ ერთიმეორის წინააღმდეგ არა, თავადის ასულო! ერთი მაღალი კედელი გვაშორებს რუსებისაგან. ეს კედელი კავკასიონია. თუ რუსები

გაიმარჯვებენ, მაშინ ჩვენი ქვეყანა მთლიანად რუსული გახდება. ჩვენ საკუთარ თავს, ენას, ეკლესიებს, თავისთავადობას დავკარგავთ. ჩვენ აზიასა და ევროპას შორის არსებულ ქაოსში მოვექეცით, იმის ნაცვლად, რომ ამ ორ სამყაროს შორის ხიდები ავაგოთ. ვინც რუსეთის მეფისათვის იბრძვის, ის კავკასიის წინააღმდეგაც იბრძვის.

ნინოს ლაპარაკში უცბად თამარის სახელობის ლიცეუმის ცოდნამ იჩინა თავი:

— ირანელები და თურქები ჯიჯგნიან ჩვენს ქვეყანას. შაჰი აცამტვერებს აღმოსავლეთს, სულთანი დასავლეთს, რამდენი ქართველი მონა ხვდება ჰარამხანაში. რუსები თავად ხომ არ შემოჭრილან, ჩვენ დავუძახეთ. გიორგი XII თავისი ნებით არ გადასცა გვირგვინი რუსეთის მეფეს, მანიფესტის სიტყვები მაინც არ გახსოვთ: „არა ძალთა შემატებისათვის, არა ანგარებისათვის ვკისრულობთ ჩვენ საქართველოს სამეფოს მართვას. მხოლოდ ღირსება, პატივი და ადამიანურობა გვაკისრებს ჩვენ წმინდა მოვალეობას, შევისმინოთ ტანჯულთა ვედრება...“

რაღა თქმა უნდა, ჩვენც გვახსოვდა ეს სიტყვები, მთელი რვა წელი რომ გვიჩიჩინებდნენ სკოლაში, რა გააკეთა ალექსანდრე პირველმა ამ ასი წლის წინ. ეს თბილისის მთავარ ქუჩაზე სპილენძის დაფაზეც კი ეწერა. ნინო მართალს ამბობდა. სწორედ მაშინ გაივსო ჰარამხანები მოტაცებული კავკასიელი ქალებით. კავკასიის უამრავი ქალაქი მოირწყა ქრისტიანთა სისხლით. სიამოვნებით ვეტყოდი ნინოს: „მე მაჰმადიანი ვარ, თქვენ — ქრისტიანები. ღმერთმა თქვენი თავი ჩვენ გვაჩუქა“. მაგრამ გავჩუმდი და ნახარარიანის პასუხს დაველოდე.

— იცით რა, თავადის ასულო, პოლიტიკურად მოაზროვნე ადამიანს ობიექტური განსჯის უნარიც უნდა ჰქონდეს. კი, რუსების შემოსვლამ მშვიდობა შემოიტანა ქვეყანაში, მაგრამ დღეს ჩვენ, კავკასიის ხალხები, ამ მშვიდობის შენარჩუნებას მათ გარეშეც მოვახერხებთ. რუსები თვლიან,

რომ მათ ჩვენ ერთიმეორისაგან უნდა დაგვიცვან. ამიტომაც შემოიღეს რუსული რეჟიმი, ამიტომაც გვისხედან აქ რუსი სახელმწიფო მოხელეები, გუბერნატორი. მაგრამ, თავადის ასულო, გჭირდებათ ჩემგან ან ალი ხანისაგან დაცვა? ახლა ხომ ასე არ ვისხდებოდით არც აქ და არც პეხახპიურის წყაროსთან. სპარსეთი დღეს ის მტერი აღარ არის, ვისიც კავკასიელებს უნდა ეშინოდეთ. მტერი ჩრდილოეთშია, რომელიც ბავშვებად გვთვლის და უნდა, რომ ერთიმეორისაგან დაგვიცვას. მაგრამ კაი ხანია, ბავშვები აღარა ვართ.

– ამიტომაც არ მიდიხართ ომში? – იკითხა ნინომ.

ნახარარიანს უკვე ბევრი ჰქონდა დალეული:

– არა, მარტო მაგიტომ არა. – თქვა მან. – ზარმაცი ვარ და კომფორტს მიჩვეული. ეგეც არ იყოს, გულმოსული ვარ რუსებზე, ვერ ვაპატიებ სომხური საეკლესიო მამულების კონფისკაციას. თანაც აქ, ამ კლუბში მირჩევნია ჯდომა, ვიდრე სანგრებში. ჩვენი ოჯახისათვის დღემდე მოხვეჭილი სახელიც კმარა. მე ტკბობა მიყვარს.

– მე სხვა აზრისა ვარ. ტკბობა არ მიყვარს. ომი მიზიდავს, მაგრამ ეს არა.

– თქვენ ახალგაზრდა ხართ, ყმაწვილო. – თქვა მან და კიდევ დალია.

იმდენს ლაპარაკობდა და ისე დამაჯერებლად, რომ მგონი ნინოც დაარწმუნა თავისი აზრების სისწორეში. მერე ისევ მისი მანქანით წამოვედით. გზაში ჩაილაპარაკა:

– რა მშვენიერია ეს ქალაქი. რუსეთი რომ ასეთი ჩამორჩენილი არ ყოფილიყო, ჩვენ უკვე ევროპის ქვეყნად ჩავითვლებოდით.

გეოგრაფიის მასწავლებელი გამახსენდა და გამეცინა.

მშვენიერი საღამო იყო. გამომშვიდობებისას ნინოს თვალები და ხელები დავუკოცნე. ამ დროს ნახარარიანი ზღვას უმზერდა. მერე ციციანაშვილის ჭიშკრამდე მიმიყვანა, იმის იქით მანქანა აღარ მიდიოდა. ამ კარის მიღმა იწყებოდა აზია.

— ნინოზე იქორწინებთ? — მკითხა მან.

— თუ ალაჰი ინებებს.

— თქვენ უამრავი წინააღმდეგობის გადალახვა მოგიწევთ, ჩემო მეგობარო. თუ დახმარება დაგჭირდებათ, ჩემი იმედი გქონდეთ. მე იმის მომხრე ვარ, რომ ჩვენი ხალხი ერთად, ერთ დიდ მეგობრულ ოჯახად ცხოვრობდეს.

გულთბილად ჩამოვართვი ხელი. როგორც ჩანს, მართლაც არსებობენ ღირსეული სომხები.

გადაღლილმა შევაბიჯე სახლში. მსახური იატაკზე იჯდა და ყურანს კითხულობდა. წიგნის ფურცლებიდან მშვენიერმა არაბულმა შრიფტმა შემომანათა. ცოტა ხნით გამოვართვი. ეწერა: „მორწმუნენო, გახსოვდეთ: თამაში, ღვინო საშინელებაა, ეშმაკისაა. უფრთხილდით! ეშმაკს ალაჰისა და ლოცვისაგან თქვენი გადაბირება უნდა". ყურანის ფურცლებს საამო, მოტკბო სურნელი დაჰკრავ-და. მშვენიერ ტყავის ყდაში ჩასმულ შეყვითლებულ ფურცლებს შრიალი გაუდიოდა. გამაფრთხილებლად და მკაცრად ჟღერდა ღვთის სიტყვები. წიგნი მოსამსახურეს დავუბრუნე და ჩემს ოთახში გავედი. განიერ, რბილ ტახტზე წამოვწექი და თვალი დავხუჭე, როგორც ყოველთვის, როცა რამის წარმოდგენა მინდოდა. გარკვევით ვხედავდი ნახარარიანის ცხვარივით თვალებს, შამპანურს, ევგენი ონეგინს სცენაზე, ნინოს საამო ბაგეებს, ქალაქთან მომდგარ მტერს, ძველი კედლების გადმოლახვას რომ ლამობდა.

ქუჩიდან სიმღერის ხმა ისმოდა. შეყვარებული ჰაშიმი მღეროდა. ის უკვე ხანში იყო შესული და არავინ უწყოდა, რომელ სიყვარულს მისტიროდა. პატივისცემით არაბულად მაჯნუნს, სიყვარულით ავადმყოფს, ეძახდნენ. ღამ-ღამობით ქუჩაში გადიოდა, ერთ კუთხეში მიჯდებოდა და გათენებამდე თავის სიყვარულსა და ტკივილს უმღეროდა ხოლმე. მისმა მონოტონურმა ხმამ ძილი მომგვარა. კედლისკენ გადავბრუნდი და უკუნეთსა და სიზმარეთში ჩავიძირე. ცხოვრება ჯერ ისევ მშვენიერი იყო.

XI თავი

ჯოხს ორი მხარე აქვს – თავი და ბოლო. აქედან დაიჭერ, ბოლო თავი გახდება, იქიდან ამოაბრუნებ და პირიქით. ჩემს შემთხვევაშიც ასეა. ისევე ვიყავი, როგორც ამ ერთი თვისა თუ ერთი წლის წინ. გარეთ ისევ ის ომი იყო, იგივე გენერლები იმარჯვებდნენ და მარცხდებოდნენ. და ისინი, ვინც უწინ მშიშარას მიწოდებდნენ, ახლა რომ ჩავუვლიდი, თვალებს ხრიდნენ, ნათესავები და ნაცნობები ჩემს გამჭრიახობას ხოტბას ასხამდნენ და აღარც მამაჩემი მიმზერდა გაოცებული.

ერთ დღეს ქალაქში ასეთი ამბავი გავრცელდა: ოტომანის სამეფოს სულთანმა მეჰმედ V რაშიდმა გადაწყვიტა სამყარო რუსეთისა და ინგლისის ძალებისაგან გაათავისუფლოს. მისი უძლეველი ჯარები მოიწევენ აღმოსავლეთისა თუ დასავლეთისაკენ, რომ მართლმორწმუნენი რუსი და ინგლისელი მწვალებლებისაგან იხსნან. სულთანმა წმინდა ომი გამოაცხადა და მწვანე დროშები აღმართა ხალიფის სასახლეზეო.

ასე გავხდი გმირი. მეგობრები მოდიოდნენ და მაქებდნენ, როგორც შორსმჭვრეტელს. არასოდეს არ უნდა იბრძოლოს მაჰმადიანმა სულთნის წინააღმდეგ. თურქები ბაქოში შემოვლენ და ჩვენი ხალხი ერთიანი სარწმუნოებით გაერთიანდება. მე ვდუმდი, როცა ჩემი მეგობრები რუკას ჩაჰკირკიტებდნენ და გამწარებულები კამათობდნენ, რომელი მხრიდან შემოვიდოდნენ თურქები ბაქოში. გადაჭრით ვამტკიცებდი, რომ თურქები საიდანაც არ უნდა წამოსულიყვნენ, ჯერ ქალაქის სომხურ უბანში შემოიჭრებოდნენ. მეგობრები გაკვირვებულები მიყურებდნენ და გამჭრიახობას მიქებდნენ.

მებრძოლთა სულები ერთ ღამეში შეიცვალა. აღარც

ერთი მუსლიმი აღარ მიილტვოდა ომისკენ. ზეინალ აღას დიდ ფულად დაუჯდა ილიას ბეგის ბაქოს მახლობელ გარნიზონში დატოვება, როცა მისი ვაჟი უცბად სიზარმაცემ შეიპყრო. არადა, საწყალმა ილიას ბეგმა და მეჰმედ ჰაიდარმა ზუსტად ომის გამოცხადების წინ ჩააბარეს გამოცდა ოფიცრის წოდების მისაღებად. გასაოცარი ის იყო, რომ მეჰმედ ჰაიდარიც გაძვრა. ახლა კი ისხდნენ ყაზარმებში და ჩემი შურდათ, ჩემი, რომელსაც მეფის წინაშე არანაირი სამხედრო ფიცი არ მავალდებულებდა. უკან დასაბრუნებელი გზა აღარ ჰქონდათ. მათ ხომ თავისი ნებით აირჩიეს ეს გზა და ფიცი დადეს. ფიცს თუ გატეხდნენ, მე პირველი ვაქცევდი ზურგს.

გამუდმებით ვდუმდი, თავადაც ვერ გავრკვეულიყავი საკუთარ აზრებში, ამიტომაც ვცდილობდი, ცოტა მელაპარაკა. ზოგჯერ, საღამოობით, გვიან სახლიდან გამოვდიოდი და პატარა მეჩეთისაკენ მივდიოდი. იქვე, ახლოს ძველი სახლი იდგა, სადაც ჩემი სკოლის მეგობარი სეიედ მუსტაფა ცხოვრობდა.

სეიედ მუსტაფა წინასწარმეტყველის შთამომავალი იყო. ვიწრო, გამჭოლი თვალები და ნაყვავილარი სახე ჰქონდა. როგორც რწმენის მსახური, მწვანე ფართო ბაფთას ატარებდა. მამამისი იმამი იყო პატარა მეჩეთში, პაპა კი – ცნობილი სწავლული წმინდა ქალაქ მაშჰადში, იმამ რეზას საფლავზე. მუსტაფა დღეში ხუთჯერ ლოცულობდა. ფეხის ქუსლებზე ცარცით იწერდა ურჯულო ხალიფა იაზიდის სახელს, რათა ყოველდღიურად მტერი ფეხით გაეთელა. მოჰარამის თვეში, წმინდა გლოვის დღეს მან ტანიდან სულ სისხლი იდინა. ნინო სეიედს ვერ იტანდა, ველურად თვლიდა. მე კი მიყვარდა წრფელი მზერის გამო. მუსტაფას შეეძლო კეთილი ბოროტისაგან, ჭეშმარიტება არაჭეშმარიტებისაგან გაერჩია.

სეიედი ბრძენის ნათელი მზერით, ღიმილით შემომეგება. დანახვისთანავე მკითხა:

– ალი ხან, უკვე გაიგე? მისმა უდიდებულესობამ იაყუბ ოღლიმ თორმეტი ყუთი შამპანური იყიდა, ქალაქში თურქ ოფიცრებს რომ გაუმასპინძლდეს. წარმოგიდგენია, შამპანური – მაჰმადიანმა – წმინდა ომის პატივსაცემად!

– რა გიკვირს, სეიედ, ადამიანებმა გონება დაკარგეს. – ავიჩეჩე მხრები.

– ვინც ალაჰს განუდგება, უდიდეს ცოდვას სჩადის! – თქვა სეიედმა და გამწარებული წამოხტა, – გუშინ რვა კაცი გაიქცა, რომ სულთნის არმიაში იმსახურონ, რვა კაცი. ამიხსენი, ალი ხან, რა უყრია ამ რვა კაცს თავში?

– მშიერი ვირის მუცლებივით ცარიელი აქვთ. – ვუპასუხე მე.

სეიედი სიმწრისაგან თავს ვერ იკავებდა:

– შიიტები სუნიტი ხალიფისათვის იბრძვიან. განა იაზიდმა არ დაღვარა წინასწარმეტყველის სისხლი? განა მუავიამ არ მოკლა დიდებული ალი? ვის ეკუთვნის მემკვიდრეობა წინასწარმეტყველისა – ხალიფას თუ დროჟამის იმამს, რომლის ძარღვებშიც სწორედ წინასწარმეტყველის სისხლი ჩქეფს? საუკუნეებია, ჩვენი ხალხი შიიზმს მისდევს. სისხლია ჩვენსა და მოღალატეებს შორის, რომლებიც ურჯულოებზე საშიშები არიან – „ჰიე შია, ჰიე სუნა". ჩვენს შორის არანაირი ხიდი არ არსებობს. დიდი ხანი არ გასულა მას მერე, რაც სულთან სელიმ ორმოცი ათასი შიიტის ამოხოცვა ბრძანა. და ახლა? რა გამოდის? შიიტები იბრძვიან ხალიფისათვის, რომელმაც წინასწარმეტყველთ მემკვიდრეობა მოჰპარა? ყველაფერი დაივიწყეს: ღვთისმოსავთა სისხლი, იმამის საიდუმლო. აქ, ჩვენს შიიტურ ქალაქში ზოგიერთები სხედან და მოუთმენლად ელიან, როდის შემოვლენ სუნიტები და როდის შეარყევენ ჩვენს რწმენას. რა უნდათ თურქებს? ენვერი უკვე ურმიას მიადგა; რწმენა დაირღვევა, ირანი დანაწევრდება. ო, ალი, მოდი ცეცხლოვანი მახვილით და გაანადგურე მოღალატეები. ო, ალი, ალი!..

ცრემლები ჩამოსდიოდა სახეზე და მკერდში მუშტებს იცემდა. გაოგნებული შევცქეროდი. ვეღარ გამეგო, სად იყო ჭეშმარიტება. დიახ, ვიცოდი, რომ თურქები სუნიტები იყვნენ და მაინც გულით მინდოდა, ენვერი ჩვენს ქალაქში შემოსულიყო. რა იყო ეს? ნუთუ მართლაც უშედეგოდ დაიღვარა სისხლი ჩვენი წამებულისა?"

– სეიედ, – დავიწყე უცბად, – თურქებიც ხომ ჩვენი წარმომავლობისანი არიან. მათი ენაც ხომ ჩვენი ენაა. თურანის სისხლი ხომ ორივეს ძარღვებში ჩქეფს. იქნებ ხალიფის მთვარის ქვეშ გვიჯობდეს სიკვდილი?

სეიედ მუსტაფამ თვალები შეიმშრალა და ამაყად წარმოთქვა:

– ჩვენს სისხლში მუჰამადის სისხლი ჩქეფს. თურანის სისხლი? მგონი, რაღაც დაგავიწყდა. რა გასწავლეს სკოლაში? გაემგზავრე ალტაის მთებზე, ან კიდევ უფრო იქით, ციმბირის საზღვრამდე. ვინ ცხოვრობს იქ? ჩვენი ენის, ჩვენი სისხლის ადამიანები იქაც სახლობენ, მაგრამ ისინი გზააბნეულნი არიან, კერპებს ეთაყვანებიან – წყლის ღმერთს შუ-თენგრის, ცის ღმერთს – თებ-თენგრის. თუ ეს იაკუტები და ალტაის მცხოვრებნი გაძლიერდებიან და ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრებენ, ჩვენ, შიიტებს უნდა გაგვიხარდეს წარმართების გამარჯვება, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი სისხლისანი ვართ?

– აბა რა ვქნათ, სეიედ? – ვკითხე მე, – ირანის მახვილი დაჟანგდა. ვინც თურქების წინააღმდეგ იბრძვის, რუსეთს ეხმარება. მუჰამადის სახელით ჩვენ მეფის ჯვარი უნდა დავიცვათ ხალიფის ნახევარმთვარისაგან? რა უნდა ვიღონოთ, სეიედ?

მუსტაფას წარმოუდგენლად მოწყენილი სახე ჰქონდა:

– რა უნდა ვიღონოთ, ალი ხან? თავადაც არ ვიცი.

სეიედში სწორედ ეს გულწრფელობა მომწონდა. საოცრად მართალი კაცი იყო. მისი თვალებიდან მომაკვდავი საუკუნის იმედგაცრუება გამოკრთოდა.

– რა უნდა ვიღონოთ, ალი ხან? თავადაც არ ვიცი.

ვდუმდი. ოთახში ნავთის ლამპის ჭვარტლის სუნი იდგა. სუსტ შუქზე სალოცავი ნოხი ფერები ირეკლებოდა. ნოხი ბაღს წააგავდა, რომლის დაკეცვაც და სამოგზაუროდ წაღებაც შეგეძლო. სეიედ მუსტაფას ადამიანების ცოდვა-მადლის გარჩევა შეეძლო. ის აქ, ამ დედამიწაზე მოგზაურს ჰგავდა. კიდევ ათი, ოცი წელი და იმამი გახდებოდა წმინდა რეზას საფლავზე, მაშჰადში. მას ახლავე ჰქონდა დაღლილი მოხუცის თვალები, იმ მხცოვანისა, რომელსაც ჭეშმარიტი რწმენის შეფასება შეეძლო და ჭეშმარიტი რწმენის დაცვისას მცირე შეცდომასაც კი არ დაუშვებდა, მაშინაც, თუ ამით სპარსელები გაძლიერდებოდნენ და განდიდდებოდნენ. ისევ განადგურება ერჩივნა, ვიდრე ბინძური ცოდვებით მიწიერი ბრწყინვალების მიღწევა. ამიტომაც დუმდა და არ იცოდა, რა ეღონა. საოცრად მიყვარდა ეს მარტოსული დარაჯი, ჭეშმარიტი სარწმუნოების ზღურბლთან რომ იდგა.

– ჩვენი ბედი ალაჰის ხელშია, სეიედ, – ჩავილაპარაკე, – მხოლოდ უფალს ძალუძს ჩვენი სწორ გზაზე დაყენება. მაგრამ დღეს სხვა საქმეზე მოვედი.

დუმდა და თავის ინით შეღებილ ფრჩხილებს დასცქეროდა. მერე კი თვალები აღაპყრო და მითხრა:

– ვიცი, ალი ხან, შენ ცოლის შერთვა გინდა.

შეცბუნებული წამოვხტი. აქ იმ განზრახვით მოვედი, რომ მაჰმადიანურ-შიიტური სკაუტური ორგანიზაციის დაფუძნებაზე მემსჯელა, ის კი საქმეში ჩახედულ სულიერ მამასავით შემომცქეროდა.

– საიდან იცი, რომ დაქორწინება მინდა, ან რა შენი საქმეა?

– ამას შენს თვალებში ვხედავ და ჩემი საქმეცაა, რადგან შენ ჩემი მეგობარი ხარ. ვიცი, ნინო გინდა ცოლად შეირთო, ნინო ქრისტიანია და ვერ მიტანს.

– კი, ეგრეა. მერე, რას მეტყვი?

მუსტაფამ გამჭოლად შემომხედა და განაგრძო:

– მე „ჰოს“ გეტყვი, ალი ხან. კაცი უნდა დაქორწინდეს, კარგი ცოლი მოიყვანოს, რომელიც უყვარს და მოსწონს. ჭკვიანი კაცი ქალს კეთილგანწყობის გამო კი არ ირთავს. ქალი ყანაა, რომელიც კაცმა უნდა გაანაყოფიეროს. სულ არ არის საჭირო, ყანასაც უყვარდეს თავისი მხვნელი. შეირთე, მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ ქალი ყანაა.

– შენი აზრით, ქალს არც სული აქვს და არც გონება? – ვკითხე მე. სიბრალულით გამომხედა.

– მაგას როგორ ამბობ, ალი ხან. ქალს სულიცა აქვს და გონიც, იმდენი, რაც შვილების გაჩენისთვის კმარა. ამბობენ, ერთი კაცის ნათქვამი სჯობს სამი ქალის ნათქვამსო. ეს არ დაივიწყო, ალი.

შევცბუნდი, რომ ამ სათნო ღვთისმსახურმა ქორწინება არ დამიშალა. არადა, დარწმუნებული ვიყავი, დამწყევლიდა, როცა შეიტყობდა, რომ ქრისტიანს ვირთავდი. მისმა პასუხმა შემძრა. ჭეშმარიტად ბრძენი და გულწრფელი ადამიანი იყო. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ფრთხილად ვკითხე:

– შენ არ გაწუხებს, რომ ქრისტიანია? თუ ისლამზე უნდა მოიქცეს?

– რისთვის? – მკითხა მან, – გონებისა და სულის უქონელ არსებას რწმენა რაში სჭირდება. ქალს სიკვდილის მერე არც ჯოჯოხეთი ელის და არც სამოთხე. ქალი სიკვდილის შემდეგ არარად იქცევა. ვაჟები კი ნამდვილი შიიტები უნდა იყვნენ.

თავი დავუქნიე.

წამოდგა და წიგნების კარადასთან მივიდა. მაიმუნივით ტლანქი, გრძელი ხელებით მტვრიანი წიგნი გადმოიღო. სათაურს მივაშტერდი – „ამბავი სელჩუკებისა“. წიგნი გადაშალა.

– აი, 207-ე გვერდი. – წამოიწყო სეიედმა. – დაახლოებით 637 წელს კაბადიის სასახლეში სულთანი ალა ედ-დინ ქეიყობადი მიიცვალა. სელჩუკების ტახტზე ღიას ედ-დინ ქაიხოსრო ავიდა. მან ცოლად ქართველი თავადის

ასული შეირთო. და ისე ძლიერ უყვარდა ქრისტიანი ქართველი, რომ ბრძანა, ფულზე მის გვერდით ამ ქალის სახეც ამოეტვიფრათ. მასთან ბრძენკაცები მივიდნენ და უთხრეს, განზრახვა შენი ცოდვაა და ნუ დაარღვევ ღვთის კანონსო. მან კი ბრძენნი უკან გააბრუნა ამ სიტყვებით: „მე უფალმა თქვენს მბრძანებლად მომავლინა და თქვენი ვალია, დამემორჩილოთ". მეორე დღეს უფალმა გონს მოაგო მეფე. მან დაიბარა ბრძენკაცები და განუცხადა: „არ მინდა, დავარღვიო ღვთის წმინდა კანონები, რომელთა აღსრულებაც უფალმა მე მომანდო: ლომი გრძელი ფაფრით და მარჯვენა თათში მახვილით მე ვიქნები, ხოლო ჩემს თავზე ამოსული მზე კი ჩემი საყვარელი ქალი". მას მერე დაკანონდა სპარსეთის სიმბოლოდ ლომი და მზე. ბრძენკაცებმაც აღიარეს, ქართველ ქალზე მშვენიერი არსად მოიძევებაო.

მუსტაფამ წიგნი დახურა და მომაშტერდა.

– ხედავ, რაც გააკეთა ქაიხოსრომ? შენც ასე მოიქეცი. არც ერთი კანონი არ კრძალავს იმას, რაც შენ გსურს. ქართველი ქალები – ესეც იმ ნადავლის ნაწილია, წინასწარმეტყველმა რომ აღუთქვა ღვთისმოსავებს: მიდი და დაეუფლე მას. ასე წერია წიგნში.

სიხარულისგან თვალები უბრწყინავდა. ბედნიერი იყო, რადგან შეძლო წმინდა წიგნის წმიდა სიტყვით გაეფანტა მეოცე საუკუნის ეს უმცირესი ეჭვი. ურწმუნოები უნდა მიხვდნენ, სად არის ჭეშმარიტება.

მეგობარს გადავეხვიე, გადავკოცნე და წამოვედი. თავდაჯერებული მყარად მივაბიჯებდი ღამის სიბნელეში. წმინდა წიგნი, მოხუცი სულთანი და ბრძენი მუსტაფა გვერდში მედგნენ.

XII თავი

უდაბნო იდუმალებით აღსავსე ჭიშკარსა ჰგავს. ცხენის ფლოქვებქვეშ მტვერი და ქვიშა ირევა. თერგული ბედაურის უნაგირი ისეთი რბილია, თითქოს ბუმბულით იყოს სავსე. ამგვარ უნაგირზე დგომა, წოლა და ძილიც კი შეიძლება. უნაგირის ჯიბეებში ინახება მხედრის მთელი ავლა-დიდება – ერთი პური, ერთი ბოთლი არაყი და ყაბარდოს სოფლებში მოპარული ფული. ჩემი უნაგირის ჯიბეები ცარიელი იყო. ყურს ვუგდებდი უდაბნოს ქარის ზუზუნს, გავცქეროდი ნაცრისფერი ქვიშის უსასრულობას. მხრებზე მოგდებული ყაბარდოული ნაბადი მთელ ტანს მიფარავდა. ნაბადი ყარაბაღელმა ცხენოსნებმა აღმოაჩინეს და ძალზე მოსახერხებელი იყო მგზავრობისა და ყაჩაღობისთვის. არც მზის სხივებს ატარებდა, არც წვიმის წვეთებს, ხელის ერთი გაქნევა და ნაბადი კარვადაც შეგეძლო გექცია. ერთი სიტყვით, ნაბადშია მხედრის მთელი ავლა-დიდება. ქალების მოსატაცებლად ხომ სწორედ ზედგამოჭრილი იყო, ნაბადში ისე იყუჟებოდნენ, როგორც თუთიყუშები გალიაში.

რუხი მგლის ჭიშკრისაკენ მივაჭენებდი. ეს ჭიშკარი ბაქოსთან შუაგულ უდაბნოში უძველესი ხანის ტიტანებმა აღმართეს – ქვიშის უდაბნოში ორი ერთიმეორეში გადაგრეხილი კლდე წამომართულიყო. სარი ყურთი, რუხი მგელი, თურქთა მოდგმის მამამთავარი ოდესღაც აქ, ამ კლდე-ღრეში მიუძღოდა ოსმალოთა ტომს ანატოლიისაკენ.

სავსე მთვარისას ამ კლდეებთან ტურები და უდაბნოს მგლები იყრიან თავს. ისინი წინასწარ გრძნობენ ლეშის სუნს, და ყმუიან, როგორც ძაღლები, როცა მომაკვდავი კაცის სუნს იყნოსავენ, რადგან ისინი უდაბნოს მგლებს ენათესავებიან, ისევე, როგორც ჩვენ, რუსეთის ქვეშევრდომნი, ვენათესავებით იმ მგლებს, ენვერ ფაშა რომ

მოუძღვება კავკასიისაკენ.

უკიდეგანო მტვრიან უდაბნოში გვერდი-გვერდ მივაჭენებდით ცხენებს მე და მამაჩემი. უნაგირზე ამხედრებული მამაჩემი კენტავრს ჰგავდა.

– საფარ ხან, – უცბად წამოვიწყე მე, – ჩემი ხმა ძლიერად ჟღერდა. სახელით იშვიათად მივმართავდი მამას. – საფარ ხან, შენთან სალაპარაკო მაქვს.

– ილაპარაკე, შვილო: სჯობს, ცხენებზე ამხედრებულებმა ვილაპარაკოთ, ასე ლაპარაკი უფრო იოლია, როცა მხედარი ცხენთან შერწყმულია და მას შეიგრძნობს.

– იოლი? – მე ცხენს გვერდზე მათრახი შემოვკარი. მამაჩემმა წარბები ასწია და მსუბუქი მოძრაობით დამეწია.

– აბა, მითხარი, შვილო.

– ცოლი მინდა შევირთო.

ხანგრძლივი დუმილი ჩამოწვა, ცხენების თქარათქური არღვევდა ამ დუმილს და ბოლოს, როგორც იქნა, მისი ხმაც გაისმა:

– სანაპიროზე ვილას აგიშენებ. ერთი მშვენიერი ადგილი მეგულება, იქ საჯინიბოს აშენებაც შეიძლება. ზაფხულში მარდაკიანში იცხოვრებ ხოლმე. პირველ ვაჟს იბრაჰიმი უნდა დაარქვა, ჩვენი წინაპრის პატივსაცემად. თუ გინდა, მანქანასაც გაჩუქებ. თუმცა მანქანა უაზრობაა. ქუჩები არ გვივარგა. ცხენებით სავსე საჯინიბო გირჩევნია.

და კვლავ დუმილი ჩამოწვა. ზღვისკენ მივაჭენებდით. რუხი მგლის ჭიშკარი უკან მოვიტოვეთ. განაპირა ქალაქ ბაილოვისკენ ავიღეთ გეზი.

– მე მოგიძებნო კარგი ქალი, თუ უკვე არჩეული გყავს? დღეს ახალგაზრდები თვითონ ირჩევენ ქალებს.

– ნინო ყიფიანი უნდა შევირთო.

მამაჩემს გამომეტყველება არ შესცვლია. მარჯვენა ხელით ცხენს ნაზად ეფერებოდა ფაფარზე.

– ნინო ყიფიანი. ვიწრო თეძოები აქვს, თუმცა, ჩემი აზრით, ყველა ქართველ ქალს ასეთი აქვს. ისე, ჯანმრთელი

ბავშვები გეყოლებათ. – თქვა მან .

– მამა, მამა!

– რა, „მამა“?! – ჩაილაპარაკა მან.

ზუსტად არ ვიცი, რამ, მაგრამ რაღაცამ გამაღიზიანა. მამა კი მიყურებდა და ეცინებოდა:

– ჯერ ახალგაზრდა ხარ, შვილო. არ იცი, რომ ქალისთვის თეძოები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ენების ცოდნა? როდის გინდა იქორწინო?

– შემოდგომაზე, ნინო სკოლას რომ დაამთავრებს.

– ძალიან კარგი. ე.ი. ბავშვი მომავალ მაისში დაიბადება. მაისი ბედნიერების თვეა.

– კი, მაგრამ, მამა?

და კვლავ რაღაც გაურკვეველი სიბრაზე მომაწვა. ისეთი შეგრძნება მქონდა, მამა დამცინოდა. ნინოს თეძოების გამო კი არ ვირთავდი, ან იმიტომ, რომ ენები იცოდა, მე ნინო მიყვარდა. მამაჩემი ისევ იცინოდა. მერე ცხენი შეაჩერა და თქვა:

– რა მოსაწყენი და ცარიელია უდაბნო. ეგებ გვესაუზმა? ძალიან მშია. მოდი, აქ შევისვენოთ.

ცხენებიდან ჩამოვხტით. მამაჩემმა უნაგირის ჯიბიდან პური და გუდის ყველი ამოიღო. ნახევარი მე გამომიწოდა, თუმცა არ მშიოდა. ქვიშაზე წამოვწექით. მამა ჭამდა და შორს იყურებოდა. მერე სერიოზული სახით წამოჯდა, ფეხები მოიკეცა და მითხრა: „ძალიან კარგია, რომ ცოლის შერთვა გინდა. სამჯერ მოვიყვანე ცოლი, მაგრამ შემოდგომის ბუზებივით დამეხოცნენ. ახლა შენც იცი, ცოლი აღარა მყავს. იქნებ შენ რომ დაქორწინდები, მერე მეც შევირთო ცოლი. შენი ნინო ქრისტიანია. ნუ შემოატანინებ სახლში სხვა სარწმუნოებას. კვირაობით ეკლესიაში გაუშვი ხოლმე, მაგრამ სახლში მღვდელს ნუ მოაყვანინებ. ნუ სცემ, როცა ფეხძიმედ იქნება, ნუ დაგავიწყდება, რომ შენ ბატონი ხარ და ის კი შენს ჩრდილში ცხოვრობს. ყოველ მაჰმადიანს სამი ცოლის ყოლის უფლება აქვს, მაგრამ იქნებ სჯობდეს კიდეც,

თუ შენ ერთს დასჯერდები. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ნინოს შვილები არ ეყოლოს. ნუ მოატყუებ შენს ცოლს, მომთმენი იყავი მის მიმართ. მიუხედავად უამრავი ეშმაკობისა და სისულელისა, ქალები მაინც ბავშვებივით არიან. დაიმახსოვრე ეს. საჩუქრებით აავსე, ძვირფასი ქვებით თუ აბრეშუმით. მაგრამ თუ რჩევა დაგჭირდა და იმანაც გირჩია რამე, ნურასოდეს დაენდობი ცოლის რჩევას.

– მამა, მესმის, მაგრამ შენ არ იცი, როგორ მიყვარს.

მან თავი დამიქნია და განაგრძო:

– საყოველთაოდ ასეა მიღებული, მამაკაცს ომი და სამშობლო უნდა უყვარდეს ქალზე მეტად. ზოგს ლამაზი ხალიჩა უყვარს, ზოგს – იშვიათი იარაღი. ასეც ხდება, ზოგ კაცს მარტო ერთი ქალი უყვარს. ალბათ გსმენია სიმღერა ლეილის და მაჯნუნის სიყვარულზე. ან ჰაფეზის სასიყვარულო თავგადასავლები. მთელი თავისი სიცოცხლე ჰაფეზი სიყვარულს უმღეროდა, არადა, ზოგი ბრძენი ამბობს, რომ არც არასდროს წოლილა ქალთან. რაც შეეხება მაჯნუნს, ის ნამდვილი შეშლილი იყო. დაიმახსოვრე, კაცი ქალს უნდა მფარველობდეს, სიყვარული კი ქალის საქმეა. მას უნდა უყვარდეს თავისი ქმარი. ასე ინება უფალმა.

ვდუმდი. ხმას არ ვიღებდი. მამაც გაჩუმდა. უცბად გაიცინა და წამოიძახა:

– კარგი, ხვალ წავალ თავად ყიფიანთან და საქმეს მოვაგვარებ. თუ დღეს ახალგაზრდა კაცები თავად აგვარებენ თავიანთ საქმეებს?

– მამა, ჯერ მე დაველაპარაკები ყიფიანების ოჯახს. – ვუთხარი მე.

მერე ისევ ჩვენს ცხენებს მოვახტით და ბაილოვისკენ გავწიეთ. მალე გამოჩნდა ბიბი-აიბატის ნავთობის კოშკები. ჩვენ ბაილოვის ციხესთან ჩავიარეთ. სროლის ხმები შემოგვესმა.

– ვინმე დახვრიტეს? – ვიკითხე მე.

– არა, ამჯერად სროლის ხმა ბაქოს გარნიზონის ყაზარ-

მიდან მოდის. იქ ომის ხელოვნებას ბეჯითად ეუფლებიან. გინდა, შენი მეგობრები მოინახულო? – მკითხა მამამ.

თავი დავუქნიე. ცხენები ყაზარმის ფართო ალაყაფისაკენ გავაჭენეთ. ილიას ბეგი და მეჰმედ ჰაიდარი თავიანთ ნაწილში ვარჯიშობდნენ.

– მარჯვენა – მარცხენა! მარჯვნივ – მარცხნივ!

მეჰმედ ჰაიდარი მთელი სერიოზულობითა და მონდომებით ვარჯიშობდა. ილიას ბეგი კი მარიონეტს წააგავდა, თითქოს რაღაც უცხო ძალა მართავსო. დაგვინახეს თუ არა, ჩვენსკენ გამოემართნენ და მოგვესალმნენ.

– მოგწონთ აქ სამსახური? – ვკითხე მე. ილიას ბეგი დუმდა. ჰაიდარმა ბურდღუნით მიპასუხა:

– სკოლას ბევრად სჯობია.

– ჩვენ ახალი უფროსი გვეყოლება, ვინმე თავადი მელიქოვი შუშიდან. – თქვა ილიას ბეგმა.

– მელიქოვი? წითელ-ოქროსფერი რაშით?

– ჰო, ეგ არი, მთელ გარნიზონში მაგ ცხენზე ლეგენდებს ყვებიან.

გავჩუმდით. ყაზარმის ეზოს სქელი მტვერი დასდებოდა. ილიას ბეგის მზერაში შური და მონატრება შევნიშნე. მამაჩემმაც შეამჩნია და მხარზე ხელი დაჰკრა:

– შენ, ალბათ, ალი ხანის თავისუფლება გშურს. ნუ შეგშურდება, სწორედ ახლა აპირებს თავისუფლება სხვას აჩუქოს.

ილიას ბეგმა დაბნეულად გაიცინა.

– ვინ, ნინო?

მეჰმედმა ცნობისმოყვარედ ასწია თავი და წამოიძახა:

– სწორედ რომ დროა.

მეჰმედი კარგა ხნის დაოჯახებული იყო, მაგრამ არც მე და არც ილიასმა მისი ცოლისა სახელის მეტი არაფერი ვიცოდით. ჩადრს ატარებდა. მეჰმედი გამოცდილი კაცივით შუბლშეჭმუხნული, დაფიქრებული იდგა და მეუბნებოდა: „ახლა კი გაიგებ, სინამდვილეში როგორია ცხოვრებაო.“ ეს

ნათქვამი, ცოტა არ იყოს, მიამიტურად ჟღერდა ჰაიდარის პირიდან. მერე ორივეს ხელი ჩამოვართვით და ყაზარმა დავტოვეთ. ნეტა, რა უნდა სცოდნოდათ მეჰმედ ჰაიდარსა და მის ჩადრიან ცოლს ცხოვრების შესახებ?

სახლში რომ დავბრუნდი, ტახტზე დავწექი. აზიელის ოთახში ყოველთვის სიგრილეა; ღამით წყაროს წყლის სიგრილე გავსებს, დღისით ისეთი შთაბეჭდილება გეუფლება, თითქოს ცივ აბაზანაში მოხვდი. უცბად ტელეფონმა დარეკა. ნინოს ხმა გავიგე:

– ალი ხან, სიცხისა და მათემატიკისაგან სული მეხუთება. მოდი, გთხოვ, მიშველე.

ათი წუთიც არ იყო გასული, რომ ნინოს მელნით დათხუპნულ თითებს ვუკოცნიდი.

– ნინო, უკვე ველაპარაკე მამაჩემს. თანახმაა.

ნინო გაწითლდა და შეშინებული მზერა სიცილით მიმოავლო ოთახს. მთლად ცახცახებდა. მერე კი მომიახლოვდა და გაფართოებული თვალებით ჩაჰჩურჩულა:

– ალი ხან, მეშინია, იცი, როგორ მეშინია?

– გამოცდის, ნინო?

– არა. – ჩაილაპარაკა მან და თვალები ზღვას მიაპყრო. თან ხელით თმაზე მეფერებოდა. მერე კი, ვითომც არაფერიაო, ამოცანის კითხვა განაგრძო: „მატარებელი ქალაქ ხ-დან ქალაქ ყ-მდე საათში 50 კილომეტრს გადის..." მეც საქმიანად დავაცქერდი მის რვეულს.

XIII თავი

ზღვიდან წამოსულმა ნისლმა ქალაქი ბურუსში ჩაძირა.

პრომენადის გასწვრივ მივრბოდი. ჩამოწოლილ ბურუსში, როგორც დაბინდულ მინაში, შიგადაშიგ თუ ვხედავდი ზოგის შეშინებულ, ზოგის გულგრილ სახეს. უცბად რაღაცას წამოვკარი ფეხი და ვიღაც ამბალს დავეჯახე. ნავსადგურის მტვირთავი პირს აღლაჭუნებდა, ეტყობა, ჰაშიშს ღეჭავდა და შორეულ ველურ ხილვებში ჩაძირულიყო. მუშტები დავუშინე და ისევ გავიქეცი. სანაპიროსთან ჩამწკრივებული სახლებიდან გამოღწეული შუქი თვალებს მჭრიდა. შუშას დავადგი ფეხი. მსხვრევის ხმით დამფრთხალმა მიმოვიხედე და ვიღაც სპარსელის მთლად დასერილ სახეს მოვკარი თვალი. წინ ბურუსში მსუქანი მუცელი მოცურავდა. თავით დავეტაკე. ისეთი რბილი იყო, ლამის შიგ ჩავეფალი. ადამიანის დანახვაზე შევცბუნდი და ისევ გაქცევა ვცადე. ავიხედე, ვიღაცამ კეთილად მომმართა:

– საღამო მშვიდობისა, ალი ხან. – ნახარარიანი შემრჩა, მიცინოდა.

– ფუი ეშმაკს! – დავიყვირე და გაქცევა მინდოდა, მაგრამ ძლიერმა ხელმა დამიჭირა და მკითხა:

– ყმაწვილო, რა გემართება, კავკასიური სიშმაგეა, თუ ამ ქაოსმა შეგიხუთა სული, ასე რომ გარბიხარ? არ გირჩევნია, ჩემთან დარჩე?

უცბად ძალიან დაღლილად ვიგრძენი თავი.

– ფილიპოზიანცის სახლში წავიდეთ. – მითხრა მან. თავი დავუქნიე. იმ წუთს ყველაფერი სულერთი იყო ჩემთვის. ხელი მომკიდა და ბარიატინსკის ქუჩაზე კაფეში შემიყვანა. ღრმა სავარძლებში რომ ჩავეშვით, თანაგრძნობით მკითხა:

– კავკასიური სიბრაზეა, თუ რამე განსაკუთრებული მიზეზი გაქვს?

დარბაზი რბილი ავეჯით და წითელი გადასაფარებლებით იყო მორთული. ცხელ ჩაის დავეწაფე და მოვახსენე, რაც დღეს თავს გადამხდა: როგორ მივედი ყიფიანებთან ნინოს ხელის სათხოვნელად, როგორ ჩამოვართვი თავადს ხელი, როგორ ვაკოცე მის მეუღლეს ხელზე, როგორ მოვუყევი ხელმწიფის შესაშური რუსულით ჩვენი ოჯახის უძველეს წარმომავლობასა და შესაძლებლობებზე, და ნინოს ხელი ვთხოვე.

– მერე? – დაინტერესდა ნახარარიანი.

– მერე? – მე თავადის ხმით, ქართული აქცენტით განვაგრძე, – „ჩემო საყვარელო შვილო, პატივცემულო ხან, დამიჯერეთ, ჩემი შვილისათვის უკეთესს ვერც ვისურვებდი, მაგრამ აბა დაფიქრდით, რა იცის ბავშვმა სიყვარულისა? ჯერ ისევ სკოლაში დადის და თანაც: განსხვავება რელიგიის, აღზრდის, წარმომავლობის მიხედვით? ამას თქვენს სასიკეთოდაც გეუბნებით. ალბათ მამათქვენიც იმავე აზრისა იქნება. ვიცი, ჩემს შვილს ჰგონია, უყვარხართ. არ მინდა, თქვენს ბედნიერებას გზა გადავუღობო, მაგრამ ერთს კი გეტყვი: დავიცადოთ, ვიდრე ომი დამთავრდება. იმ დროისთვის უკვე ორივე დიდები იქნებით და, თუ ისევ გეყვარებათ ერთმანეთი, მერე ვილაპარაკოთ."

– რას აპირებ, ხან? – მკითხა ნახარარიანმა.

– ნინოს მოვიტაცებ და სპარსეთში წავიყვან. ასე გულხელდაკრეფილი ხომ არ ვიჯდები. მე, შირვანშირს, უარი მითხრეს. მაგას რა ჰგონია, შირვანშირები უფრო ძველი წარმომავლობისანი არიან, თუ ყიფიანები? აღა მაჰმადის დროს მთელი საქართველო ხელთ გვეპყრა. ყველა ყიფიანი მოხარული იქნებოდა თავისი ქალიშვილი შირვანშირებისთვის მიეთხოვებინა. რას გულისხმობს რელიგიის განსხვავებულობაში? როგორ, ისლამი ქრისტიანობაზე ნაკლებია? საკუთარი მამა დამცინებს. ქრისტიანი უარს მეუბნება და ქალიშვილს არ მაძლევს. ჩვენ, მაჰმადიანები, მგლები ვართ, ალესილი კბილებით. ასი წლის წინ...

სიბრაზე მახრჩობდა, ვეღარ ვლაპარაკობდი. დავდუმდი. ისედაც ბევრი ვთქვი. ნახარარიანიც ხომ ქრისტიანი იყო.

– მესმის შენი სიბრაზისა, მაგრამ იმას უარი ხომ არ უთქვამს. ომის დამთავრებამდე დაცდა მართლაც სასაცილოა. უბრალოდ ვერ წარმოუდგენია, რომ მისი ქალიშვილი უკვე ზრდასრულია. მოტაცების საწინააღმდეგოდ ვერაფერს გეტყვი, ეს ერთ-ერთი უძველესი ხერხია, ჩვენი ადათების შესატყვისი, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ სხვა გამოსავალი არ არსებობს. ვინმემ უნდა აუხსნას თავადს ამ ქორწინების პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა. ალბათ მერე მიხვდება და დათანხმდება.

– მერე ამას ვინ იზამს?

ნახარარიანმა მკერდზე მჯიღი დაიკრა და შესძახა:

– მე, მე, ეგ საქმე მე მომანდე, ხან.

გაკვირვებით შევხედე. რა უნდოდა ამ სომეხს? უკვე მეორედ შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში. ნუთუ მართლა კავკასიელი ხალხების ერთიანობით იყო დაინტერესებული, თუ სხვა ჩანაფიქრი ჰქონდა? თუმცა ჩემთვის სულერთი იყო. მთავარია, რომ ჩემი დახმარება უნდოდა. ერთმანეთს ხელი მაგრად ჩამოვართვით.

– სიტყვა მომეცი, რომ ჯერ არაფერს მოიმოქმედებ. საქმის ვითარებას შეგატყობინებ, არავითარი მოტაცება. ეს მხოლოდ მაშინ, თუ არაფერი გამოვა.

წამოვდექი. ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ ამ კაცზე დაყრდნობა შემეძლო. გადავეხვიე და იქაურობას გავეცალე. გამოსვლისას მამაჩემის ძველმა მეგობარმა სულეიმან აღამ, რომელმაც, როგორც ჩანს, ნახარარიანთან დამინახა, შემაჩერა:

– ფუი, შირვანშირი სომეხს ეხვევა.

შევკრთი. ის კი ღამის ბურუსში გაუჩინარდა. რა კარგია, რომ მამაჩემს არ ვუთხარი, რისთვის მივდიოდი ყიფიანებთან. ვეტყვი, რომ იმათთან ამ საქმეზე ჯერ არაფე-

რი მითქვამს. სახლში რომ შევდიოდი, გავიფიქრე, რა სისულელეა ეს ბრმა სიძულვილი სომხების მიმართ-მეთქი.

მთელი მომდევნო კვირა ტელეფონთან წრიალში გავატარე. როგორც იქნა, ტელეფონმაც დარეკა. ნინო იყო:

– შენ ხარ, ალი? მომისმინე, აქ ნახარარიანი ზის, დედასთან ერთად ჩაის მიირთმევს და ჩემი დიდი ბაბუის, ილიკო ჭავჭავაძის ლექსებზე ელაპარაკება.

მოგვიანებით ნინომ ისევ დარეკა:

– ალი, ნახარარიანი ამბობს, რომ რუსთაველი და თამარის პერიოდი სპარსეთის კულტურის დიდ ზეგავლენას განიცდის.

მერე:

– ალი ხან, ნახარარიანი ჩაის სვამს მამასთან ერთად და ამ ქალაქის ჯადოსნურ ძალასა და ღირშესანიშნაობებზე საუბრობს. ისეთ გულის ამაჩუყებელ ამბებს უყვება, ნიანგის ცრემლებს აღვრევინებს. უკვე ყოველდღე მოდის და კავკასიელი ხალხების მჭიდრო ურთიერთობებზე საუბრობს.

გავიცინე და ყურმილი დავკიდე.

ნახარარიანი ყოველდღე ყიფიანების ოჯახში ჭამდა, სვამდა, მათთან ერთად დადიოდა სასეირნოდ. სხვადასხვა-გვარ რჩევებს აძლევდა. ტელეფონით ვიგებდი სომეხი ნახარარიანის ეშმაკობებს.

– ნახარარიანი ამბობს, ფული პირველად მთვარემ შთააგონა ადამიანებსო, და მერე ადამიანებში ოქროს მონეტების სიყვარულმა და გავლენამ წარმოშვა სწორედ მთვარის კულტი კავკასიელებსა და ირანელებშიო. – მიყვებოდა ნინო ტელეფონით, – აღარ შემიძლია ამ სისულელეების მოსმენა, ალი ხან, მოდი, ბაღში შევხვდეთ.

ჩვენ ძველი ციხე-სიმაგრის კედელთან შევხვდით. ნინომ მოამბო:

– დედაჩემმა თქვა, მაჰმადიანს ჩემს ქალს ვერ ვანდობო, მამაჩემმა კი ხუმრობით შემახსენა, ჰარამხანაში რომ

გიკრავს თავს, მაშინ მიხვდებიო. მე კი ვუთხარი, მომიტაცებს და ნახავთ-მეთქი.

თმაზე ვეფერებოდი. ვიცოდი, ნინოს შეეძლო, რაც უნდოდა, იმისთვის მიეღწია:

– ომი იქნებ ათ წელს გაგრძელდეს, – ბუტბუტებდა უკმაყოფილოდ, – საშინელებას ითხოვენ მშობლები ჩვენგან. ჩვენ ერთმანეთს ვეკუთვნით. მშობლები ცხოვრებას გვირთულებენ. მე შენ მართლა მიყვარხარ, მაგრამ გულს მატკენ, თუ მომიტაცებ.

გაჩუმდა, რადგან კოცნასაც და ლაპარაკსაც ერთდროულად ვერ ახერხებდა. მერე სახლში გაიქცა და ისევ გააგრძელა ტელეფონობანას თამაში.

– ალი ხან, ნახარარიანი ამბობს, რომ მამამისმა თბილისიდან მოიწერა, თითქოს მეფისნაცვალი შერეული ქორწინების მომხრეა, რადგან ამით აღმოსავლური და დასავლური კულტურის შერევა მოხდებაო. შენც ერკვევი ამაში?

ამისი არაფერი გამეგებოდა.

შინ ვიჯექი და კედლებს ვაწყდებოდი, მაგრამ ვერავის ვერაფერს ვეუბნებოდი. ჩემმა ბიძაშვილმა აიშემ მისაყვედურა, ნინომ ამ დღეებში ხუთი დამაკმაყოფილებელი რომ მიიღო, შენი ბრალიაო, ჯერ იმის სწავლაზე გეზრუნა და მერე მომავალზეო. დარცხვენილი ვიჯექი და ნარდს ვეთამაშებოდი. ბოლოს დამპირდა, ნინოს სწავლაში მივეხმარებიო.

ისევ ტელეფონის ხმა გაისმა.

– შენა ხარ? ნახარარიანი პოლიტიკასა და ეკონომიკაზე საუბრობს საათობით. ამტკიცებს, მაჰმადიანებისა მშურს, მხოლოდ იმათა აქვთ სპარსეთის ქვეყნებში ფულის დაბანდებისა და მიწების შესყიდვის უფლებაო. ვინ იცის, რუსეთს რა ელის? ზუსტად ვიცი, შირვანშირების ოჯახს გილანის ნახევარი ეკუთვნისო. მშობლებზე ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

კიდევ ორი დღეც და ჭადრაკის ამ პარტიას სომეხი

მოიგებდა.

ნინო იცინოდა და ყვიროდა ტელეფონში:

– ჩვენ მშობლები დაგვლოცავენ, ამინ.

– ახლა მამაშენმა უნდა დამირეკოს, რადგან ძალიან მატკინა გული.

მართლაც ასე მოხდა. თავადის ხმა კეთილად და მშვიდად ჟღერდა:

– ჩემი შვილის სიყვარული შევამოწმე. მისი გრძნობა გულწრფელი და წმინდაა. მართალაც ცოდვა იქნება, ალი ხან, თქვენს ბედნიერებას თუ გადავეღობებით.

მათთან რომ მივედი, თავადი სიხარულისაგან ტიროდა და მკოცნიდა. ათასგვარ დარიგებას მაძლევდა ქორწინებაზე, რაც სრულიად განსხვავდებოდა მამაჩემის დარიგებებისაგან: ქორწინება ორმხრივ პატივისცემასა და სიყვარულში გამოიხატებაო, ამბობდა თავადი. დავიფიცე, რომ ნინოს ჩადრს არ ჩამოვაფარებდი და არც ჰარამხანაში ვუკრავდი თავს. ამასობაში ნინოც შემოვიდა. შუბლზე ვეამბორე. ნინომ თავი დახარა და მხრებში ჩარგო. პატარა მტრედს ჰგავდა.

– მაგრამ ეს ამბავი არავინ გაიგოს, ვიდრე ნინო სკოლას არ დაამთავრებს. ისწავლე, შვილო, თორემ ჩაიჭრები და კიდევ ერთი წლით მოგიწევს დაცდა. – დასძინა თავადმა.

ნინომ კალმით ნახატი თვალები აღაპყრო და თქვა:

– ნუ გეშინია, მამა, არც სკოლაში ჩავიჭრები, არც ქორწინებაში. ალი ხანი ორივეში დამეხმარება.

თავადის სახლიდან რომ გამოვდიოდი, ნახარარიანის მანქანა იდგა. თვალები უბრწყინავდა. შორიდანვე გავძახე.

– ნახარარიან, ცხენების ჯოგი გაჩუქო თუ სოფელი დაღესტანში? იქნებ სპარსული ორდენები გირჩევნია ან ფორთოხლის ბაღი ენზელში?

მხარზე ხელი დამკრა და მითხრა:

– არაფერი მინდა, ჩემთვის ისიც კმარა, რომ ბედის შესწორება შევძელი.

მადლიერი თვალებით შევცქეროდი. ქალაქგარეთ ბიბი-

აიბატისკენ გავემგზავრეთ. იქ მუქი მანქანები ნავთობით მდიდარ მიწას ბურღავდნენ. ამ მშვენიერი ბუნების წიაღში ნობელის სახლი ისე შეიჭრა, როგორც ნახარარიანი ჩემს ბედში. სანაპიროს ნაწილი ნავთობის ამოსატუმბად მიწით დაეფარათ. ამიტომ მიწის ეს მონაკვეთი აღარც ზღვას ეკუთვნოდა და აღარც მყარ ნიადაგს. ზოგიერთ მეწარმეს უკვე მოესწრო და თავისი სარფიანი საქმიანობისთვის აქ, ქალაქის ამ უკიდეგანო მხარეში მშვენიერი შენობა ჩაედგა. სწორედ აქ ვისხედით მე და ნახარარიანი და საუკეთესო მუქ და, სხვათაშორის, ალკოჰოლზე უფრო მძიმე ჩაის მივირთმევდით. ჩაის საამო სურნელით მთვრალმა ნახარარიანმა, წამოიწყო ლაპარაკი თურქებზე, რომლებიც, ალბათ, ყარაბაღში შევიდოდნენ. მერე მცირე აზიაში სომხების შევიწროვებაზეც აწუწუნდა. ძლივს ვუსმენდი.

— ნუ გეშინია, როცა თურქები ბაქოში შემოვლენ, ჩემს სახლში გადაგმალავ. — დავამშვიდე მე.

— არ მეშინია. — თქვა ნახარარიანმა.

შორს, ზღვაზე, კუნძულ ნარგინს ვარსკვლავები დასთამაშებდა. სანაპიროზე სიმშვიდე ჩამოწვა. „ზღვა და სანაპირო მარადიული ბრძოლით ერთმანეთთანაა შერწყმული, როგორც ქალი და კაცი." — გავიფიქრე, მაგრამ ნახარარიანსაც ვუთხარი თუ არა, აღარ მახსოვს. სახლში მიმიყვანა. შინ მისვლისთანავე მამას მოვახსენე:

— ყიფიანების ოჯახი მადლობელია, რომ შირვანშირმა მის გვარს ასეთი პატივი დასდო. ნინო ჩემი საცოლეა. წადი ხვალ და დანარჩენი შენ მოაგვარე.

ძალიან ბედნიერი და დაღლილი ვიყავი.

XIV თავი

დღეები დღეებს ცვლიდა, კვირები – კვირებს, თვეები – თვეებს. ბევრი რამ მოხდა ქვეყნად, სამყაროსა თუ სახლში. ღამეები უფრო გახანგრძლივდა. გუბერნატორის ბაღისკენ მიმავალ გზებს შემოდგომის ყვითელი ფოთლები უსიცოცხლოდ და ნაღვლიანად მოჰფენოდა. შემოდგომის წვიმამ თავისი ქნა და გარემო ჩამოაქუფრა. ზღვამ აქა-იქ ყინულები გადაიკრა და კლდოვან ნაპირებს ხმაურით ეხეთქებოდა. ერთ დილას ქუჩებმა თოვლის თხელი საფარი მოიკიდა და წამით თითქოს ზამთარიც დადგა. აქლემები ნაღვლიანად, დინჯად მოაბიჯებდნენ უდაბნოდან. ტანი მთლად ყვითლად ჰქონდათ დაფარული ქვიშით და მარადიულობის ხილვას ნაზიარებნი სივრცეს მიშტერებოდნენ. აქლემები კუზებით მოათრევდნენ ზარბაზნებს, საბრძოლო ვაზნებსა და იარაღს, ბრძოლის ველზე მოპოვებულ ნადავლს, ზღვისკენ მიჰყავდათ დაფლეთილ ნაცრისფერფორმიანი თურქი ტყვეები. მათ კუნძულ ნარგინისკენ უკრავდნენ თავს. იქ კი შიმშილით, დიზენტერიით, ან სამშობლოს ნოსტალგიით სიკვდილი ელოდათ. ზოგი გარბოდა, მაგრამ სპარსეთის მარილიან ქვიშაში ან ტყვიისფერი კასპიის ზღვის დინებაში იძირებოდა.

ომი შორს იყო, მაგრამ ჩვენს სიახლოვესაც შეიგრძნობოდა. დასავლეთიდან ჯარისკაცებითა და დაჭრილებით სავსე მატარებლები ჩამოდიოდა. რუსეთის მეფემ თავისი ბიძა გადააყენა და ათმილიონიან კავკასიაზე გაბატონდა. მისი მძლავრი აჩრდილი ჩვენს ქვეყანას ეცემოდა. დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე! მისი გრძელი, გამხდარი ხელი ანატოლიის გულამდე სწვდებოდა. ბოროტება, რაც მან რუსეთის მეფის წინააღმდეგ ჩაიდო გულში, თავისი დივიზიების ველური შეტევებით გამოისყიდა. დიდი მთავრის რისხვა მოგორავდა ბაღდადის, ტრაპიზონის, სტამბოლის

თოვლიან და ქვიშიან უდაბნოებზე. მას „გრძელ ნიკოლოზს“ უწოდებდნენ, შიშით საუბრობდნენ მის სასტიკ სულზე და ბნელი, მძვინვარე ომის ილუზიებზე.

უამრავი ქვეყანა ჩაითრია ომმა. ფრონტი ავღანეთიდან ჩრდილოეთის ზღვამდე გადაიჭიმა. გაზეთები მოკავშირე სახელმწიფოების, მონარქებისა და ჯარების სახელებით ისე გაივსო, როგორც დაღუპულთა გვამები შხამიანი მწერებით.

ისევ ზაფხული დადგა. ქალაქს ცხელი მტვრის ბუღი ასდიოდა. დასავლეთსა და აღმოსავლეთში გამარჯვებას ზეიმობდნენ.

მე ხან ყავახანაში ვიჯექი მეგობრებთან ერთად, ხან ჩაიხანაში. ბევრი მძრახავდა, სომეხ ნახარარიანთან რომ ვმეგობრობდი.

ილიას ბეგის პოლკი ჯერ კიდევ ქალაქში იდგა და ყაზარმის ქვიშიან ეზოში ვარჯიშობდა. ოპერა, თეატრი, კინო ისევ ძველებურად მუშაობდა. ბევრი რამ მოხდა სამყაროში, მაგრამ შეცვლით არაფერი შეცვლილა არც შინ, არც გარეთ.

ზოგჯერ დაღლილი და შიშით შეპყრობილი ნინო ჩემთან მორბოდა ხოლმე ცოდნის სახლიდან. ვამშვიდებდი და მის ნაზ, გრილ კანს ხელით ვეხებოდი. ჩემი ბიძაშვილი აიშე ხშირად მსაყვედურობდა: ჯერ მაგის სწავლაზე უნდა გეფიქრა, და მერე – ცოლად შერთვაზე, დღეს შირვანშირის მომავალ მეუღლეს მასწავლებელმა „დამაკმაყოფილებელი“ დაუწერა ჟურნალში. ხშირად დავდიოდით ერთად ქალაქის კლუბში, თეატრში, საღამოებზე, მაგრამ მარტონი იშვიათად ვრჩებოდით. გარს ყოველთვის მზრუნველი მეგობრების წრე გვეხვია: ილიას ბეგი, მეჰმედ ჰაიდარი, ნახარარიანი, ზოგჯერ ღვთისმოშიში სეიედ მუსტაფაც. როცა მსუქანი და მდიდარი ნახარარიანი შამპანურს წრუპავდა და კავკასიელი ხალხების ურთიერთსიყვარულზე ლაპარაკობდა, მეჰმედ ჰაიდარს სახე ეცვლებოდა და ეუბნებოდა:

– ჩემი აზრით, ბატონო ნახარარიან, ტყუილად

ირჯებით ასე, ომის შემდეგ აქ სომხების მარტო გარკვეული ნაწილი დარჩება.

– ჰოდა, ნახარარიანიც სწორედ მაგ ნაწილს ეკუთვნის. – ამბობდა ნინო. ნახარარიანი დუმდა და შამპანურს წრუპავდა. როგორც გავიგე, ნახარარიანს მთელი თავისი ფული შვედეთში გაეტანა.

თუმცა ეს ჩემი საქმე სულაც არ იყო.

მეჰმედ ჰაიდარს რომ ვთხოვე, ნახარარიანის მიმართ ცოტა თავაზიანობა გამოეჩინა, შუბლი შეიჭმუხნა და განმიცხადა:

– ვერ ვიტან სომხებს, ღმერთმა უწყის, რატომ.

და აი, ნანატრი დღეც დადგა. ნინო ხიბლით სავსე ქართული თვალებით კომისიის წინაშე იდგა წმინდა თამარის სახელობის ლიცეუმის დარბაზში და თავის ცოდნას ავლენდა მათემატიკაში, ლიტერატურასა თუ ისტორიაში.

გიმნაზიის გამოსაშვები საღამოდან გაბრწყინებული ნინო შინ რომ მივიყვანე, მოხუცმა ყიფიანმა განგვიცხადა:

– ახლა კი დანიშნულები ხართ. ალი ხან, ჩაალაგე ჩემოდნები, თბილისში მივდივართ, მინდა ჩვენს ოჯახთან წარგადგინო.

ასე გავემგზავრეთ თბილისში, საქართველოს დედაქალაქში.

თბილისი უღრან ტყეს ჰგავდა, ყოველ ხეს თავისი განშტოებები ჰქონდა: ბიძა, ბიძაშვილი, დეიდა, დეიდაშვილი. ადვილი არ იყო ამ ტყეში გზის გაკვლევა. მათი გვარები ძველი ფოლადივით ყღერდა: ორბელიანი, ჭავჭავაძე, წერეთელი, ამილახვარი, აბაშიძე.

ქალაქის განაპირას, დიდუბის ბაღში, ახალი სიძის პატივსაცემად ორბელიანების სახლში დიდი ნადიმი მოეწყოთ. ქართული ზურნა მრავალჟამიერს უკრავდა, კახურ საბრძოლო სიმღერას და ველურ ხევსურულ ლილოს. ქუთაისელმა ბიძაშვილმა, აბაშიძემ იმერული საბრძოლო შემოსძახა. ზოგი დავლურს უვლიდა, ზოგიც ბუქნავდა. ქეიფი მთელი ღამე გაგრძელდა. მზის ამოსვლის ჟამს კი ჰიმნი დასცხეს: „აღსდექ,

დედოფალო თამარ, შენს დროს მისტირის საქართველო". ნინოს გვერდით ვიჯექი გაუნძრევლად. დილის რიჟრაჟზე ნინოს ბიძაშვილებმა ქართული ცეკვა გააჩაღეს ხანჯლებით . ისეთი ლამაზი სანახაობა იყო, დადგმული გეგონებოდა. გვერდით მსხდომთა საუბარს ვუგდებდი ყურს, თავიანთი გვარების უძველეს წარმომავლობაზე საუბრობდნენ:

— წერეთელი იყო სწორედ, ჩინგის ხანისგან რომ დაიცვა თბილისი.

— თქვენ, ალბათ, იცით, რომ ჩვენ, ჭავჭავაძეები, უძველესი წარმომავლობისანი ვართ და სულაც არ ჩამოვუვარდებით ბაგრატოვანთა საგვარეულოს.

— პირველი ორბელიანი? სამი ათასი წლის წინ წამოვიდა ჩინეთიდან. ზოგიერთ ორბელიანს დღემდე გამოჰყვა ვიწრო თვალები.

მოკრძალებით ვიყურებოდი აქეთ-იქით. ნინო მიმიხვდა, რასაც ვგრძნობდი:

— ნუ წუხარ, ალი ხან, ჩემი ბიძაშვილები მართლა დიდებული გვარიშვილები არიან, მაგრამ სად იყვნენ მაგათი წინაპრები, როცა შენმა წინაპრებმა თბილისი დაიპყრეს.

არაფერი მითქვამს, მაგრამ მესიამოვნა. ნინო ჯერ ჩემი ცოლი არ იყო და უკვე შირვანშირივით ლაპარაკობდა. მადლიერად გადავხედე. მერე ბრაზმორეულმა ჭიქა ავწიე ორბელიანთა სადღეგრძელებლად. ნამდვილი თხევადი ცეცხლია ეს კახური ღვინო. ერთი მოხუცი ქალი ჩემკენ გადმოიხარა და მითხრა:

— მშვიდად სვით, ალი ხან, ღვინოში თავად ღმერთია, ცოტამ თუ იცის ეს.

უკვე თენდებოდა. სასტუმროში მინდოდა წასვლა, როცა ნინოს ერთმა ბიძამ და ბიძაშვილმა გამაჩერეს და მითხრეს:

— წუხელ ორბელიანის სტუმარი იყავით, ახლა ჩვენი სტუმარი იქნებით. ჩვენ „პურ-ღვინოში" ვისაუზმებთ, შუადღით კი მეგობრებს შევხვდებით.

ერთი სიტყვით, ქართველ თავადთა ტყვეობაში აღმოვ-

ჩნდი. ასე გაგრძელდა ერთ კვირას.

ნინო და მე იშვიათადღა ვრჩებოდით მარტო. მაოცებდა ნინოს გამძლეობა. კვირის ბოლოსაც გაზაფხულის პირველი მერცხალივით მომაჯადოებელი სილამაზისა იყო. თვალები უღიმოდა, არ იღლებოდა ნათესავებთან ლაპარაკით, ცეკვით. მხოლოდ ერთხელ დაიჩივლა, რომ ამდენი დღე და ღამე გადაბმულად ცეკვავდა, სვამდა და თითქმის არ ეძინა.

მერვე დღე გათენდა. გაბრუებული ვიყავი. ჩემს ოთახში სანდრო, დოდიკო, ვამეხი და სოსო შემოვიდნენ. შეშინებულმა გადასაფარებელი წავიფარე.

– ალი ხან, დღეს ჯაყელების სტუმარი ბრძანდებით. – თქვეს მათ დაუნდობლად.

– დღეს არავის სტუმარი არა ვარ, ვკვდები. დღეს ჩემთვის, საცოდავი წამებულისთვის, სამოთხის ჭიშკარი გაიხსნება და მთავარანგელოზი ცეცხლოვანი მახვილით შემიძღვება, როგორც ზნეობრიობის ბილიკზე მოკვდინებულს. – ჩავილაპარაკე მოღუშულმა.

ბიძაშვილებმა შეუბრალებლად გაიცინეს, ერთმანეთს გადახედეს და ერთადერთი სიტყვა ახსენეს – „გოგირდი".

– გოგირდი? – გავიმეორე მე, – მეგონა, სამოთხეში მოვედი, გოგირდი კი ჯოჯოხეთშია. ხომ არაფერი მეშლება?

– არა, გოგირდი, სწორად გაიგე. – ჩაიცინეს მათ.

ადგომა ვცადე, სხეულის ნაწილები ჩემი აღარ იყო, თავი დამძიმებული მქონდა. სარკეში ჩავიხედე, იქიდან ჩამქრალ-ჩაყვითლებული თვალები მიმზერდნენ.

– ჰო, – ჩავილაპარაკე, – მართლა ცეცხლია. – კახურ ღვინოს ვგულისხმობდი. – მუსლიმმა არ უნდა დალიოს.

– ნინოს შევატყობინებთ. – თქვა ვამეხმა, – კოჯორში ოთხი საათის მერე ავალთ, ცოტა რომ გამოკეთდები.

გარეთ გავიდა. მისი ხმა გავიგე, ტელეფონით ლაპარაკობდა:

– ალი ხანი უცბად შეუძლოდ გახდა, ახლა გოგირდი თუ უშველის. ოთხ საათში ისევ კარგად იქნება. ნინოს და

მის ოჯახს გადაეცით, რომ უჩვენოდ გაემგზავრონ. ჩვენც მოვალთ. საშიში არაფერია.

ზლაზვნით ჩავიცვი. თავბრუ მეხვეოდა. ქართული სტუმართმოყვარეობა სრულიად განსხვავდებოდა იმ მშვიდი და საპატიო მიღებებისაგან, ბიძაჩემთან თეირანში რომ იციან. იქ სხედან, ჩაის სვამენ და სიბრძნესა და ლექსებზე საუბრობენ. აქ კი ღვინოს სვამენ, ცეკვავენ, იცინიან. ესაა ევროპის გზა? არა, რა თქმა უნდა, არა. მაშ საით მიდის ეს გზა? იქნებ უკანასკნელი სიბრძნისაკენ, რომელიც შესაძლოა ბავშვური, უზრუნველი თამაშით იტყუებს თავს? არ ვიცი. უსაზღვროდ დავიღალე. ბარბაცით ჩავედი კიბეზე. ეტლში ჩავსხედით.

– აბანოსკენ! – გასძახა სანდრომ მეეტლეს. მეიდნისკენ მივდიოდით. ერთ დიდ შენობასთან შევჩერდით. ნახევრად შიშველი კაცი იდგა ჭიშკართან და ჩვენ მიღმა თითქოს ნირვანას გასცქეროდა.

– გამარჯობა, მექისე! – დაიძახა სანდრომ.

– გამარჯობა, თავადო.

მერე მექისე ბებუთოვის აბანოს დიდ, ქვით მოპირკეთებულ დარბაზში შეგვიძღვა. იქ ცხელოდა და ორთქლის ბუღი იდგა. ირგვლივ ქვის ტახტებზე უამრავი შიშველი სხეული გაწოლილიყო. მიწაში ოთხკუთხა აუზები ჩაედგათ და გოგირდის ცხელი წყლით აევსოთ. ტანთ გავიხადე და ერთ-ერთ ასეთ აუზში ჩავედი. შორიდან როგორც სიზმარში, ისე ჩამესმოდა სანდროს ხმა:

– დიდი ხნის წინ მეფემ შევარდენი გაუშვა ნადირობისას. ბევრი იცადა მეფემ, მაგრამ უკან რომ არ დაბრუნდა შევარდენი, თავადვე გასწია მის საძებნელად. და ცხელ წყალში ჩამხრჩვალი იპოვა. ასე აღმოაჩინა მეფემ გოგირდის წყლები და დააარსა ქალაქი თბილისი.

ჯადოსნურმა ძალამ თავისი ქნა. მთელ სხეულში საამოდ დამიარა. თვალები დავხუჭე და ოცნებებში გავცურე. გავიხსენე ყველა დამპყრობელი და მებრძოლი, ვინც ამ

ქალაქში შემოსულა და ამ წყალში უბანავია. ხვარაზმელი ჯალალ ედ-დინი, ჩაღათა – ჩინგის ხანის შვილი, თემურ ლენგი, სისხლით დამთვრალნი და გამაძღარნი ჩადიოდნენ ამ წყალში და ყველა სისხლიანი ცოდვა ეხსნებოდათ.

– გეყოფა, ალი ხან, ამოდი.

ბიძაშვილების ხმამ ოცნებიდან გამომარკვია. გოგირდის წყლიდან ამოვედი და გვერდით ოთახში გავედი. ქვის ტახტზე მუცელზე დავწექი.

– მექისე, – გასძახა სანდრომ. მექისე ის შიშველი კაცი იყო, წეღან აბანოს შემოსასვლელში რომ იდგა. გადაპარსულ თავზე ჩალმა შემოეხვია.

მექისის ხელები მოქნილად დაცურავდა ჩემს საპნის ქაფით თეთრად დაპენტილ სხეულზე. ძვლებს სულ ჭახაჭუხი გაუდიოდა, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა, უნდა დავმორჩილებოდი მის მოქნილ დარტყმებს. ვგრძნობდი, როგორ გამეშალა თანდათან სხეულის ყველა კუნთი.

– მიდი, მიდი, მექისე, ძალიან ავად არის. კიდევ შეადექი ზურგზე და მაგრად დაზილე! – ბიძაშვილები გარს შემომხვეოდნენ და მარიგებდნენ.

– საკმარისია. – ჩაილაპარაკა მექისემ. მერე კი გაინაბა და ტანჯული სახით წამოიმართა.

მექისემ რომ დაამთავრა, წამოვდექი. მთელი სხეული მტკიოდა. მერე გვერდით ოთახისკენ გავემართე და ყინულივით ცივ წყალში ჩავხტი. სუნთქვა შემეკრა. ჩემი სხეული ახალ ძალებს იკრებდა. ყველა მოლოდინით შემომცქეროდა.

– მშია! – აღმომხდა ბოლოს და წამოვჯექი. ბიძაშვილებმა ერთხმად შესძახეს:

– გამოჯანმრთელდა! ჩქარა საზამთრო, ყველი, მწვანილი, ღვინო!

მკურნალობა დასრულდა.

აბანოს წინა ოთახში ვისხედით და მადიანად შევექცეოდით. ყოველგვარმა დაღლილობამ გადამიარა. ხორცისა და ცივი საზამთროს სასიამოვნო სუნი მთელს აბანოში

დატრიალდა. ბიძაშვილები თეთრ ნაფარეულს სვამდნენ.

– ნახე? – გადმომხედა დოდიკომ, ისე, რომ წინადადებაც კი არ დაუსრულებია. მაგრამ ისეთი სიამაყით იყო წარმოთქმული ეს ერთი სიტყვა, რომ აშკარად იგრძნობოდა, გოგირდს გულისხმობდა. თანაც თანაგრძნობით და მზრუნველობით მიყურებდა, თითქოს მეუბნებოდა, უკვე ვიცი ჩვენი ახალი სიძის სისუსტე, რას იზამ, უცხო ხარ, ქართველთა სტუმართმოყვარეობამ და ნათესაურმა სიყვარულმა გაგაბრუაო.

სულ ახალ-ახალი ხალხი ემატებოდა ჩვენს სუფრას. აბანოდან გამოსულები, ღვინის ჭიქამომარჯვებულები, შიშვლებივე გვიერთდებოდნენ. თავადები, დიდებულები, პოეტები თუ სწავლულები ვისხედით ერთად, როგორც ქართული სუფრის თანაბარუფლებიანობის სიმბოლო. ეს აბანო აღარ იყო, უფრო ჩაიხანას თუ ყავახანას ჰგავდა. ქეიფობდნენ და შეზარხოშებულნი გულითად სადღეგრძელოებსაც წარმოთქვამდნენ.

– ოსმალები მოდიან, დიდი მთავარი სტამბოლს ვერ დაიპყრობს. გავიგე, გერმანელ გენერლებს სტამბოლში ზარბაზანი გაუკეთებიათ. ის თუ გაისვრის, სიონის ტაძრამდეც მოაღწევს თბილისში. – წამოიწყო ერთმა მსუქანმა კაცმა.

– ცდებით, თავადო, ეგ ზარბაზანი ჯერ მხოლოდ დაგეგმილი აქვთ, ჯერ არ გაუკეთებიათ. მაგრამ, თუნდაც მზად იყოს, თბილისამდე ვერ მოაღწევს. ყველა რუკა, რომლის მიხედვითაც გერმანელები ამ ზარბაზნების განლაგებას აპირებენ, რუსებმა შეადგინეს ომის წინ და არასწორადაა შედგენილი. თქვენც ხომ მეთანხმებით? – ჩაერია მეორე.

ვიღაც ოხრავდა. მიმოვიხედე, ერთი თეთრწვერა მოხუცი იჯდა და მოთქვამდა:

– საბრალო ქართველი, თითქოს მაკრატლის ორ ბასრ პირს შორისაა მოქცეული. ოსმალები გაიმარჯვებენ – თამარის ქვეყანა აღარ იქნება, რუსები გაიმარჯვებენ და

მაინც იგივე გვემუქრება. მეფემ თავის მიზანს მიაღწია, მაგრამ დიდი მთავრის ხელი მაინც მოგვწვდა და გვახრჩობს. ომში საუკეთესო ბიჭები გვეღუპება. ვინც გადარჩება, იმათაც შთანთქავს ოსმალი, ამერიკელი, თუ ვინც იქნება. დასრულდა შენი სიცოცხლე, თამარის ქვეყანავ! შეხედეთ, როგორ დაჩიავდნენ და ჩამოხმენ ჩვენი მებრძოლები, რა ღარიბი და მწირია ჩვენი მოსავალი, ღვინოც როგორი მჟავეა.

მოხუცი კვლავ გაჩუმდა. ჩუმად ოხრავდა, ჩვენც ვდუმდით. უცბად ვიღაცამ შეშინებული ხმით ჩურჩული წამოიწყო:

– ბაგრატიონი მაგათ მოკლეს. მეფის ბიძაშვილი შემოუშვა სახლში და რუსებმა ეს არ აპატიეს. თავად მეფემ ბრძანა, ერევნის ფრონტზე გაეგზავნათ. ლომივით იბრძოდა ბაგრატიონი და თვრამეტი ტყვიით განგმირული დაეცა ბრძოლის ველზე.

ბიძაშვილები ღვინოს სვამდნენ. მე ფეხმორთხმული ვიჯექი და გაშტერებული ვიყურებოდი. ბაგრატიონი ქრისტიანული სამყაროს უძველესი წარმომავლობის გვარია. მოხუცი მართალია, საქართველო მაკრატლის ორ ბასრ პირს შორისაა მოქცეული-მეთქი, გავიფიქრე.

– ერთი ვაჟიც დარჩა, თეიმურაზ ბაგრატიონი. ის ჭეშმარიტი მეფეა. სადღაც იმალება. – დასძინა სხვამ.

სიჩუმე ჩამოწვა. მექისე კედელთან იდგა. დოდიკო იზმორებოდა და ამთქნარებდა.

– ლამაზია ჩვენი ქვეყანა: გოგირდის წყლები, ჩვენი თბილისი, ომი, კახური ღვინო. შეხედეთ, როგორ მოედინება ალაზანი. ბედნიერებაა ქართველობა მაშინაც, თუ საქართველო იღუპება. რასაც თქვენ ამბობთ, უიმედოდ ჟღერს, მაგრამ განა თამარის დროს კი სხვაგვარად იყო? მაშინაც მოედინებოდა მდინარეები. მაშინაც იბადებოდნენ და კვდებოდნენ, მაგრამ ლამაზი იყო ჩვენი საქართველო მუდამ და ლამაზად დარჩება ყოველთვის ყველა თავისი

უიმედობით. – წამოიწყო მან.

და მერე წამოიმართა ეს მშვენიერი, წარმოსადეგი ყმაწვილი, პოეტებისა და გმირების ჭეშმარიტი შთამომავალი.

თეთრწვერა მოხუცმა სიყვარულით გახედა დოდიკოს და თავმომწონედ აღნიშნა:

– მადლობა ღმერთს, კიდევ გვყავს ასეთი ახალგაზრდობა.

ვამეხი ჩემკენ გადმოიხარა:

– არ დაგავიწყდეს, ალი ხან, შენ დღეს ჯაყელების სტუმარი ხარ კოჯორში.

წამოვიშალეთ და გარეთ გავედით. მეეტლემ მათრახი შემოჰკრა ცხენებს.

– ჯაყელები უძველესი დიდგვაროვანი წარმომავლობისანი... – წამოიწყო ვამეხმა. მე ეშმაკურად გავხედე და გამეღიმა.

XV თავი

მე და ნინო გოლოვინის ქუჩაზე კაფე „მეფისტოში" ვისხედით. ჩვენ წინ, დავითის მთაზე, დიდი მონასტერი აღმართულიყო. ერთი დღე, როგორც იქნა, თავი დავაღწიეთ ბიძაშვილებს. ნინო მონასტერს გასცქეროდა. ვიცოდი, რაზეც ფიქრობდა. მაღლა, მამადავითზე, სასაფლაო მოვინახულეთ, სადაც ალექსანდრე გრიბოედოვი განისვენებს. საფლავის ქვაზე ეწერა: „შენი გონება და საქმე შენი უკვდავი არის რუსულ ხსოვნაში, მაგრამ რად ვარ მე ცოცხალი შენი სიკვდილის შემდეგ, ჩემო სიყვარულო!" მასაც ნინო ერქვა, ნინო ჭავჭავაძე. მინისტრსა და პოეტს გაჰყვა ცოლად თექვსმეტი წლის ასაკში. ნინო ჭავჭავაძე, ჩემ გვერდით მჯდომი ნინოს დიდი დეიდა, ჩვიდმეტი წლისა იყო, როცა თეირანში ხალხი გარს შემოერტყა რუსი მინისტრის სახლს.

— ია ალი, სალავათ, დიდებულო ალი! — ყვიროდა ხალხი. მინისტრს მხოლოდ ერთი მოკლე ხანჯალი და პისტოლეტი ჰქონდა. ვიღაც მჭედელმა სიულ-სულთნის ქუჩიდან ჩაქუჩი ასწია და მინისტრს მკერდში ჩაჰკრა. რამდენიმე დღის შემდეგ თეირანის გარეუბანში იპოვეს გრიბოედოვის დანაწევრებული სხეული და ძაღლებისაგან დაგლეჯილი თავი. ესღა დარჩა დიდი პოეტისა და მინისტრისაგან. ყაჯარის შაჰი ფათჰ ალი, მემკვიდრე აბას მირზა და ჩემი დიდი ბიძა შირვანშირი, რომელმაც შაჰისაგან გილანში დიდი მამულები მიიღო, ძალზე კმაყოფილები იყვნენ ამ ნამოქმედარით. ეს ასი წლის წინ მოხდა.

და ახლა კი ერთად ვისხედით კაფე „მეფისტოში" მე, შირვანშირი, იმ შირვანშირის შვილთაშვილი და ის, ნინო, მათი შვილთაშვილი.

— ჩვენ შეიძლება მოსისხლე მტრები ვყოფილიყავით.

როცა მოვკვდები, მეც დამადგამ ასეთ ლამაზ ქვას? – გავეხუმრე.

– ალბათ. გააჩნია, როგორ მოიქცევი. – მითხრა ნინომ.

ნინომ ბოლომდე დალია ყავა.

– წამოდი, ქალაქში გავისეირნოთ. – მითხრა მან.

ნინოს მშობელ დედასავით უყვარდა ეს ქალაქი. გოლოვინის ქუჩით ძველ თბილისში გავედით. სიონის ტაძრის წინ შეჩერდა. ჩაბნელებულ ნესტიან შენობაში შევედით. ეს უძველესი ტაძარი მომსწრე იყო ყველა იმ სისხლიანი მოგონებისა, რაც ამ ქალაქს გადახდენია თავს. მაღლა საკურთხეველთან ვაზისგან გაკეთებული ჯვარი იდგა, რომელიც წმინდა ნინომ, საქართველოს განმანათლებელმა, დასავლეთიდან შემოიტანა. ნინომ მუხლი მოიყარა წმინდა ნინოს ხატთან, პირჯვარი გადაიწერა და შეჰღაღადა:

– წმინდაო ნინო, მომიტევე!

ეკლესიის ფანჯრიდან შემოღწეულ შუქზე ნინოს თვალებზე ცრემლები შევნიშნე.

– ნინო, გარეთ გავიდეთ. – წამოვაყენე მე.

გვერდიგვერდ უსიტყვოდ მივუყვებოდით ქუჩებს.

– რა უნდა გაპატიოს წმინდა ნინომ? – ვკითხე უცბად.

– შენი თავი, ალი ხან, შენი თავი.

ნინოს დაღლილი და სევდიანი ხმა ჰქონდა. იოლი არ იყო ნინოსთან ერთად თბილისის ქუჩებში სიარული.

– რატომ ჩემი თავი?

მეიდანზე ვიყავით. ქართველები ან ყავახანებში ისხდნენ, ან შუა ქუჩაში. საიდანღაც ზურნის ხმა ისმოდა. ქვემოთ მტკვარი ხმაურობდა. ნინო სადღაც შორს იყურებოდა, თითქოს იქ თავის თავს ეძებდა.

– შენ და ყველაფერი. – გაიმეორა ნინომ.

კი მივხვდი, რასაც გულისხმობდა, მაგრამ მაინც ჩავეძიე:

– მაინც რა?

ნინო შეჩერდა. დაბლა, მოედნის ბოლოს, ქაშუეთის

ეკლესია მოჩანდა. ტაძრის ყოველი ქვა ქალწულივით ნაზი და თეთრი იყო.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ნინომ წამოიწყო:

– შენ და ყველაფერი... გაიარე თბილისის ქუჩებში, ხედავ აქ ჩადრჩამოფარებულ ქალებს? – არა! აზიის ქარის დაბერვას გრძნობ? – არა. ეს სხვა სამყაროა – ფართო ქუჩები, პირდაპირი ხალხი. ჭკვიანური იქნებოდა, მე რომ თბილისში დავბრუნებულიყავი. აქ არ არიან ისეთი ველურები, როგორიც სეიედ მუსტაფაა. არც ისეთი ბნელები, როგორიც მეჰმედ ჰაიდარია. აქ ცხოვრება იოლია.

– ეს ქვეყანა მაკრატლის ორ ბასრ პირს შორისაა მოქცეული, ნინო! – ჩავურთე მე.

– სწორედ მაგიტომ, სწორედ მაგიტომ, ალი. შვიდჯერ დაანგრია თემურ ლენგმა თბილისი. თურქებმა, სპარსელებმა, არაბებმა, მონღოლებმა გადაიარეს ჩვენს ქვეყანაზე. დაგვანგრიეს, აგვაოხრეს, დაგვხოცეს, მაგრამ ვერ დაგვიმონეს. დასავლეთიდან წამოვიდა წმინდა ნინო წმინდა ვაზის ჯვრით. ჩვენ დასავლეთს ვეკუთვნით და არა აზიას. ჩვენ ევროპის აღმოსავლეთი ქვეყანა ვართ. შენ თავად ვერ გრძნობ?

ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. ბავშვური შუბლი შეეჭმუხნა და ისე ლაპარაკობდა:

– რადგან თემურ ლენგის, ჩინგიზ ხანის, შაჰ აბასის, შაჰ ისმაილის წინააღმდეგ ბრძოლაში თავი შევინარჩუნეთ, ალბათ, ამიტომაც არსებობს დღეს შენი ნინო. და ახლა უმახვილოდ, უომრად მოდიხარ, მაგრამ მაინც სისხლიანი შაჰის მემკვიდრე ხარ. ჩემი შვილები ჩადრს ჩამოიფარებენ, და თუ სპარსეთი ისევ აღმართავს მახვილს ჩვენ წინააღმდეგ, ჩემი ვაჟები თბილისის დასაპყრობად იბრძოლებენ. ალი ხან, ჩვენ დასავლეთის სამყაროში უნდა წავიდეთ.

ხელი წავავლე და ვკითხე:

– ნინო, რას მოითხოვ ჩემგან, როგორ მოვიქცე?

– აჰ, რა სულელი ვარ, ალი ხან. მხოლოდ ის მინდა, რომ

ფართო ქუჩები, მწვანე ტყეები გიყვარდეს, რომ გიყვარდე და ამ სიყვარულისა გესმოდეს, და შენი ქალაქის აზიური კედლის იქითა მხარეს არ მიეჯაჭვო. მეშინია, ათ წელიწადში ღრმადმორწმუნე და ცბიერი არ გახდე. მეშინია, ერთ დღეს არ გაიღვიძო და არ მითხრა, ყანა ხარო. მითხარი, ალი ხან, ჩემი რა გიყვარს?

თბილისმა ნინო არია, თითქოს მტკვრის სანაპიროს ჰაერმა დაათროო.

– შენი რა მიყვარს? შენ, შენი თვალები, შენი ხმა, შენი სურნელი, შენი სიარული! კიდევ რაც შეიძლება, ყველაფერი მიყვარს შენი. სიყვარული საქართველოშიც და სპარსეთშიც განა ერთნაირი არა არის? აქ, ამ ადგილას იდგა ათასი წლის წინ რუსთაველი, თქვენი დიდი პოეტი. ის თამარ მეფის სიყვარულს უმღეროდა. მისი სიმღერა სპარსულ რობაის ჰგავს. რუსთაველის გარეშე არ იქნებოდა არანაირი საქართველო, სპარსეთის გარეშე – არანაირი რუსთაველი.

– ამ ადგილას, – ჩაილაპარაკა ნინომ დაფიქრებით, – შეიძლება საიათნოვაც იდგა, დიდი სიყვარულის პოეტი, შაჰმა თავი რომ მოჰკვეთა, როგორც ქართული სიყვარულის მეხოტბეს.

არ ვიცოდი, რა მომეხერხებინა ჩემი ნინოსთვის. თითქოს სამშობლოს ემშვიდობებოდა და ამ გამომშვიდობებაში უდიდეს სიყვარულს ამჟღავნებდა.

– თვალები, ცხვირი, შუბლი, ყველაფერი გიყვარს ჩემი, ალი ხან?.. – ოხრავდა ნინო, – ჩემი ყველაფერი გიყვარს, მაგრამ ერთი რამ დაგავიწყდა, ალი ხან – სული, სულიც გიყვარს?

– შენი სულიც მიყვარს. – ვთქვი მე დაღლილმა.

ზოგჯერ სეიედ მუსტაფა ამტკიცებდა, ქალს სული არა აქვსო; მეცინებოდა. ნინო ჩემგან მოითხოვდა, მასში სული დამენახა. გავღიზიანდი. რა არის ქალის სული? განა ქალს უფრო არ უნდა უხაროდეს, რომ კაცს მისი სულის უძირო უფსკრულის შესახებ არაფრის ცოდნა არ სურს?

– შენ კი რა გიყვარს ჩემი, ნინო?

უცბად ატირდა – შუა ქუჩაში ბავშვივით ჩამოსდიოდა ცრემლები:

– მაპატიე, ალი, მე მიყვარხარ შენ, უბრალოდ შენ. მაგრამ იმ სამყაროსი მეშინია, რომელშიც შენ ცხოვრობ. შეშლილი ვარ. შენი წინაპრების დაღვრილ სისხლს შენ რად გთხოვ... მაპატიე, ასე აღარასოდეს მოგექცევი. მაგრამ შეხედე: მე, შენი ნინო, ევროპის ნაწილი ვარ, იმ ევროპისა, რომელიც შენ გძულს. აქ, თბილისში, უფრო ვგრძნობ ამას. მე ტყეები და მდელოები მიყვარს. შენ კი – მთები, ქვები და ქვიშა, რადგან შენ უდაბნოს შვილი ხარ. ამიტომაც მეშინია შენი სიყვარულისა.

– მერე? – ვკითხე გაუცნობიერებლად, შეშლილივით.

– მერე და, – თვალები შეიმშრალა და გაიღიმა, – სამ თვეში დავქორწინდებით, მეტი რა გინდა?

საოცარი იყო, როგორ ახერხებდა: უცბად შეეძლო ეტირა, მერე – ეცინა და პირიქით. ჩინგიზ ხანის ყველა შეცოდება მაპატია, ისე ვუყვარდი. ხელი ჩამკიდა და ვერის ხიდით ბაზრისკენ დავეშვით. რაღაც საოცარი დამთხვევა იყო – თბილისში ამ ერთადერთ ადგილს დაჰკრავდა აღმოსავლური ელფერი. ჭრელ-ჭრელი საქონელი გამოეფინათ აქ სპარსელებს, რუსებს, ინგუშებს, არაბებს. აზიის ყველა ხალხს მოეყარა თავი ამ ბაზრის მიდამოებში. კუთხეში ერთი ბოშა მკითხაობდა ხელზე და თვითონვე აოცებდა საკუთარი ყოვლისმცოდნეობა. ბაზრის შესასვლელთან უსაქმურები შეკრებილიყვნენ და კამათობდნენ ღმერთზე, სამყაროზე. თვრამეტ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეთ მოეყარათ აქ თავი, აქ შეიგრძნობოდა ქალაქის სურნელი. ნინოს ამ ჭრელი ქაოსის დანახვამ სევდა შეუმსუბუქა. რა რჯულის ადამიანს არ წააწყდებოდი აქ: სომეხ ჩარჩებს, სპარსელ მზარეულებს, ოსებს, რუსებს, ინგუშებს. ერთ დახლთან დიდი აყალ-მაყალი იყო. ვაჭრები მოჩხუბრებს აშველებდნენ – ერთი ასირიელი გამწარებული

ეჩხუბებოდა ერთ ებრაელს. ჩვენ მხოლოდ ამ სიტყვებს მოვკარით ყური: „ჩემმა წინაპრებმა შენი წინაპრები ბაბილონურ ციხეებში რომ ჩაყარეს...“ გარშემო მყოფნი იცინოდნენ. ნინოსაც ეცინებოდა ამ ებრაელზე, ასირიელზე, ბაზარზე და იმ ცრემლებზეც, წეღან თბილისის ხიდზე რომ დაღვარა.

გზა განვაგრძეთ. ისევ გოლოვინის ქუჩაზე, კაფე „მეფისტოს“ წინ ვიდექით.

– გინდა, კიდევ შევიდეთ? – ვკითხე ყოყმანით.

– არა, მოდი, შერიგების ნიშნად მამადავითის მთაზე ავიდეთ.

გვერდით ქუჩაზე, ფუნიკულიორისკენ გადავუხვიეთ. წითელ ვაგონში ჩავსხედით და ნელ-ნელა მივიწევდით მაღლა. მთელი ქალაქი გადაშლილიყო ჩვენ თვალწინ. ნინომ ლეგენდა მიამბო ამ ტაძრის აგების შესახებ:

– მრავალი, მრავალი წლის წინ ამ მთაზე წმინდა დავითი ცხოვრობდა. მეფის ასული ახალგაზრდა დიდგვაროვნისაგან დაფეხმძიმდა. მამამ ეს რომ გაიგო, უბრძანა თავის ასულს, ეთქვა ბავშვის მამის სახელი. მაგრამ მან თავისი შეყვარებული არ გაამხილა და წმინდა დავითი დაადანაშაულა ამაში. მეფემ ბრძანება გასცა, სასახლეში წმინდა დავითი მოეყვანათ და თავისი ასულიც იხმო, რომ მისივე თანდასწრებით გაემეორებინა. წმინდანი ჯოხით შეეხო მეფის ასულს მუცელზე და სასწაული მოხდა: მუცლიდან ბავშვის ხმა გაისმა: მან ნამდვილი დამნაშავის სახელი დაასახელა. წმინდა დავითის ლოცვის შედეგად კი მეფის ასულმა ქვა შობა. სწორედ ამ ქვიდან მოედინება დავითის მთაზე წყარო. უშვილო ქალები დღესაც ადიან ამ მთაზე, რომ სხეული წმინდა წყლით განიბანონ.

ცოტა ხნის მერე კი ნინომ ნაღვლიანად დასძინა:

– კიდევ კარგი, ალი ხან, აღარც დავითია, აღარც იმისი წმინდა ჯოხი.

მთაზე ავედით.

– ნინო, გინდა, წყაროსთან მივიდეთ?

– არა, მაგისთვის ჯერ კიდევ გვაქვს ერთი წელი.

ტაძრის კედელთან ვიდექით და ქალაქს გავცქეროდით. ქალაქი ბურუსში გახვეულიყო. ეკლესიის გუმბათები კუნძულებივით ამომართულიყო და თავები ცისკენ აეღირათ. აღმოსავლეთით და დასავლეთით ბაღები და მოედნები გადაჭიმულიყო. სადღაც შორს მეტეხის ტაძარი მოჩანდა. უწინ იქ საქართველოს მეფე იჯდა, ახლა კი რუსებს პოლიტიკურ პატიმართა საპყრობილედ ექციათ.

– ნინო, შენი ბიძაშვილებიდან არავინ ზის მეტეხში?

– არა, მაგრამ, საცა წესია, შენ უნდა იჯდე იქ. – გამეხუმრა და ხელი მომკიდა. – წამოდი, ალი ხან!

– სად?

ტაძრის კედელს მოვშორდით და სასაფლაოსკენ მიმავალ გზას დავადექით. გრიბოედოვის საფლავთან გავჩერდით, სადაც ეწერა: „შენი გონება და საქმე შენი უკვდავი არის რუსულ ხსოვნაში, მაგრამ რად ვარ მე ცოცხალი შენი სიკვდილის შემდეგ, ჩემო სიყვარულო!" ნინო დაიხარა, კენჭი აიღო და საფლავის ქვას მაგრად მიაკრა. კენჭი ჩამოვარდა და ჩვენს ფეხებთან დაბზრიალდა. ნინო გაწითლდა. ასე აკეთებდნენ თბილისში ახალგაზრდა გოგონები. ამბობდნენ, თუ ქვა ერთ წუთს გაჩერდება, ქორწილი იმავე წელს იქნებაო. ნინოს ქვა მაშინვე ჩამოვარდა. მე გავიცინე:

– ხედავ? არადა, სულ სამი თვეღა დარჩა ჩვენს ქორწილამდე, ნუ დაუჯერებ ამ ქვას.

– ჰო. – მითხრა ნინომ.

მერე ისევ ფუნიკულიორისკენ წავედით.

– ომის შემდეგ რას გავაკეთებთ?

– ისევ იმას, რასაც ახლა. ქალაქის ქუჩებში ვისეირნებთ, მეგობრებს მოვინახულებთ, ბავშვები გვეყოლება და ყველაფერი კარგად იქნება.

– ერთხელ ევროპაშიც წავიდეთ.

– სიამოვნებით, პარიზში, ბერლინში. თუ გინდა, მთელი ზამთრით.

– ჰო, მთელი ზამთრით.

– ნინო, თუ ჩვენი ქვეყანა აღარ მოგწონს, თუ გინდა, თბილისში ვიცხოვროთ.

– გმადლობთ, ალი, რა კეთილი ხარ. არა, ჩვენ ბაქოში დავრჩებით.

– ნინო, მე მგონი, ბაქოს არაფერი შეედრება!

– ბევრი ქალაქი გაქვს ნანახი?

– არა, მაგრამ შენთან ერთად მზად ვარ, მთელი მსოფლიო შემოვიაროთ.

– შენ შენს ქალაქს, შენი აზიური კედლის მიღმა ცხოვრებას, სეიედ მუსტაფასთან ლაპარაკს ეტრფი. მაგრამ არაფერია, მე ისეთი მიყვარხარ, როგორიც ხარ.

– იცი, ნინო, მე ჩემი ქალაქის ყოველ ქვაზე, ყოველი ქვიშის მარცვალზე ვარ შეყვარებული.

– ვიცი, ეს გრძნობა უცხოა სხვებისთვის, ვისთვისაც ჩვენი ბაქო მხოლოდ ცხელი, ქვიშიანი და ნავთობის სუნით გაჟღენთილი ქალაქია.

– ჰო, იმიტომ, რომ ისინი უცხონი არიან.

ნინომ მხარზე დამადო ხელი. და ტუჩებით ლოყაზე შემეხო:

– მაგრამ ჩვენ უცხონი არა ვართ, არც არასოდეს ვიქნებით. ხომ ყოველთვის გვეყვარება ეს ქალაქი, ალი ხან?

– რა თქმა უნდა, ნინო.

ჩახუტებულები მივუყვებოდით გოლოვინის ქუჩას.

მარცხნივ გისოსებით გარშემორტყმული პარკი იყო, რომელსაც ჯარისკაცები იცავდნენ. უძრავად, გაქვავებულებივით იდგნენ, თითქოს არ სუნთქავდნენ. კარის თავზე კი იმპერიის სიძლიერე – მოოქროვილი ორთავიანი არწივი აღმართულიყო. პარკში შესვლა არავის შეეძლო. იგი დიდ მთავარს, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, კავკასიაში წარმოგზავნილ მეფისნაცვალს ეკუთვნოდა.

უცბად ნინო შეჩერდა.

– შეხედე. – მითხრა მან და პარკზე მიმითითა. გისოსებს იქით თმაშევერცხლილი ხანში შესული მაღალი კაცი ნელი ნაბიჯით სეირნობდა. ვიცანი ცივი მზერა დიდი მთავრისა. ველურ ცხოველსა ჰგავდა. ტუჩები მკაცრად მოეკუმა.

– რაზე ფიქრობს, ალი ხან?

– ალბათ მეფის გვირგვინზე, ნინო!

– ისე კი მოუხდება.

– ამბობენ, მეფეს დაუპირისპირდაო.

– წამოდი, ალი ხან, გავშორდეთ აქაურობას, მეშინია.

და ჩვენც გავშორდით ამ ლამაზად გადახლართულ გისოსებს. მერე ნინო მომიბრუნდა და მითხრა:

– ალი ხან, შენ არც რუს მეფეს უნდა აგინო და არც დიდ მთავარს. ისინი ჩვენ თურქებისაგან გვიცავენ.

– საქმეც სწორედ მაგაშია, შენი ქვეყანა მაკრატლის ორ ბასრ პირს შორისაა მოქცეული.

– ჩემი ქვეყანა? და შენი ქვეყანა კი არა?

– ჩვენთან სულ სხვაგვარადაა, საქმე. ჩვენ გრდემლზე ვართ, დიდ მთავარს კი ჩაქუჩი უჭირავს. ამიტომაც გვძულს.

– და თქვენ ენვერ ფაშას შემოსვლა გირჩევნიათ? არა, სისულელეა, მაგას შენ ვერ გადაიტან, ალი.

– ეგ მხოლოდ ალაჰმა უწყის. – ჩავილაპარაკე მშვიდად.

XVI თავი

დიდი მთავრის ჯარები ტრაპიზონში იდგა, დაიპყრეს ერზერუმი და ყურდიშის მთებით ბაღდადს მიადგნენ. ისინი თეირანთან, თავრიზთან და წმინდა ქალაქ მაშჰადთანაც განლაგდნენ. მტრის შავი აჩრდილი ნახევარ თურქეთსა და ნახევარ სპარსეთსაც ეცემოდა. დიდმა მთავარმა ქართველი თავადაზნაურობის კრებაზე მკაცრად განაცხადა: „რუსეთის მეფის ბრძანების თანახმად, მანამდე ვერ დავმშვიდდები, ვიდრე ბიზანტიური ჯვარი ახალი სხივმოსილებით არ გაბრწყინდება აია-სოფიას გუმბათზე". ცუდი მდგომარეობა იყო ნახევარმთვარის ქვეყნების გარშემოც. ქუჩებში გაისმოდა ლაპარაკი ოსმალების ძლიერებასა და ენვერ ფაშას ცეცხლოვან მახვილზე. აღარც სპარსეთი არსებობდა და მალე თურქეთიც აღარ იქნებოდა.

მამაჩემი მდუმარე, დაფიქრებული დაიარებოდა, ხშირად გადიოდა სახლიდან. ზოგჯერ რუკას დასცქეროდა, ომის შედეგებს თვალს ადევნებდა, ჩურჩულებდა დაკარგული ქალაქების სახელებს. მერე საათობით უძრავად იჯდა და ქარვის კრიალოსანს მარცვლავდა. მე კი საიუველირო, ყვავილების, წიგნების მაღაზიებში დავდიოდი. ნინოს ძვირფას ქვებს, ყვავილებსა და წიგნებს ვუძღვნიდი. მის დანახვაზე ყველაფერი მავიწყდებოდა: ომიც, დიდი მთავარიც, მუქარით აღვსილი ნახევარმთვარეც.

ერთ დღეს მამამ მთხოვა:

— საღამოს სახლში დარჩი, ალი ხან. სტუმრები მოვლენ და მნიშვნელოვან საკითხებზე უნდა ვისუბროთ.

ნირწამხდარი ჩანდა.

— მამა, შენ არ იყავი, რომ დამაფიცე, პოლიტიკაში არ ჩაეროო? — ვუთხარი მე.

— შენს ხალხზე ზრუნვა სულაც არ ნიშნავს პოლიტიკაში

ჩარევას. ზოგჯერ დგება დრო, როცა მოვალე ხარ შენს ხალხზე იზრუნო, მითუმეტეს, თუ შენი ხალხი საგონებელშია ჩავარდნილი.

იმ საღამოს მე და ნინო ოპერაში უნდა წავსულიყავით. შალიაპინი იყო ჩამოსული და ნინო ამ დღით წინასწარ ხარობდა. მე ტელეფონთან მივედი და ილიას ბეგს დავურეკე:

– ილიას, შეგიძლია დღეს ნინოს ოპერაში წაყვანა? მე მოულოდნელად რაღაც საქმე გამომიჩნდა. არადა, ბილეთები უკვე ნაყიდი მაქვს.

ტელეფონში ილიას ბეგის გაღიზიანებული ხმა ჩამესმა:

– შენ სულ გამოთაყვანდი! დაგავიწყდა, რომ ჩემს თავს არ ვეკუთვნი? დღეს მე და მეჰმედ ჰაიდარს ღამის მორიგეობა გვაქვს.

სეიედ მუსტაფასაც დავურეკე.

– ნამდვილად არ შემიძლია. ამ საღამოს დიდ მოლასთან, ჰაჯი მასყუდთან ვარ მიპატიჟებული. რამდენიმე დღითაა სპარსეთიდან ჩამოსული.

სხვა გზა არ მქონდა, ნახარარიანისთვის უნდა დამერეკა.

– შენ თავად რატომ არ მიდიხარ? – მკითხა მან ცოტა არ იყოს დაბნეულმა..

– სტუმრები უნდა მოვიდნენ ჩვენთან.

– სომხების ამოხოცვაზე რომ იმსჯელოთ, არა? ისე, როცა ჩემს ხალხს ასე უჭირს, მე თეატრში არ უნდა დავდიოდე, მაგრამ აბა ნამდვილი მეგობრები რისთვის არიან? მეგობრობას ხომ შალიაპინიც ხოტბას ასხამს.

როგორც იქნა, გამოჩნდა ჭეშმარიტი მეგობარი. ნინოს შევატყობინე და სახლში დავრჩი.

შვიდ საათზე სტუმრები მოვიდნენ, სწორედ ისინი, ვისაც ველოდი. ჩვენს დიდ, წითელი ხალიჩებით მორთულ დარბაზში დადგმული რბილი ტახტები ზუსტად რვა საათზე ერთი მილიარდი მანეთით, ანუ ზუსტად რომ ვთქვათ, იმ ადამიანებით გაივსო, ერთ მილიარდს რომ

ფლობდნენ. მათ კარგა ხანია ვიცნობდი.

პირველი ზეინალ აღა, ილიას ბეგის მამა მოვიდა. დარბაზი მოხრილმა გაიარა, ტახტზე მოიკეცა, გვერდით ჯოხი მოიდო და ნელ-ნელა შეექცა თურქულ თაფლს. მას მოჰყვა ორი ძმა: ალი ასადულაჰი და მირზა ასადულაჰი, რომელთაც გარდაცვლილი მამისგან მილიონები დარჩათ მემკვიდრეობით და არც გონიერება აკლდათ – მშვენიერი განათლება მიიღეს და თავისი კაპიტალი კიდევ უფრო გაზარდეს. მირზას ფული უყვარდა, ჭეშმარიტება და სიმშვიდე. მისი ძმა კი ზარათუშტრას ცეცხლივით იყო, ნაპერწკლებს ყრიდა, მაგრამ არ წვავდა. ომი, თავგადასავლები და ხიფათი ხიბლავდა, ქალაქში მომხდარი უამრავი სისხლიანი ამბის მთავარი გმირი გახლდათ. იდუმალებით მოცულ ბუნიად ზადეს კი, მის გვერდით რომ იჯდა, არანაირი თავგადასავლები არ იზიდავდა. აი რაც შეეხება სიყვარულს, ერთადერთი იყო ჩვენს შორის, ვისაც ოთხი ცოლი ჰყავდა. თავად კი რცხვენოდა, მაგრამ ვერაფერს უხერხებდა თავის ბუნებას. ცოლები ერთმანეთს ვერ იტანდნენ. შვილებისა და ფულის შესახებ თუ ჰკითხავდნენ ბუნიად ზადეს, ორივეზე ერთი პასუხი ჰქონდა – არ ვიცი, ასე თხუთმეტი თუ თვრამეტიო – იტყოდა ხოლმე ნაღვლიანად. იმდენი შვილი ჰყავდა და ფულიც იმდენი ჰქონდა, თავადვე ერეოდა სათვალავი.

იუსუფ ოღლი, დარბაზის მეორე ბოლოში რომ იჯდა, ბუნიად ზადეს ალმაცერად უყურებდა, რადგან თვითონ ერთადერთი ცოლი ჰყავდა და თანაც არც ისე ლამაზი. ქორწილის დღეს ამ ქალს უთქვამს – შენი თესლი რომ სხვა ქალში მოხვდეს, დაიმახსოვრე, იმ ქალს ცხვირს, ყურებსა და მკერდს დავაჭრი. თავად შენ რას გიზამ, ვერც კი წარმოიდგენო. ეს ქალი მებრძოლი გვარის შთამომავალი იყო და მუქარას ტყუილუბრალოდ არ ისროდა.

რვის ნახევარზე დარბაზში ერთი ტანდაბალი, გამხდარი კაცი შემოვიდა. თითები წითლად ჰქონდა შეღებილი.

წამოვდექით და თანაგრძნობის ნიშნად ქედი მოვიხარეთ. ცოტა ხნის წინ მან ერთადერთი ვაჟი დაკარგა. თავისი ვაჟის ხსოვნის პატივსაცემად ნიკოლოზის ქუჩაზე მდიდრული შენობა ააგო. ფასადზე ოქროს ასოებით წააწერინა „ისმაილ" და ქველმოქმედებს აჩუქა. ამ პატარა კაცს აღა მუზა ნაგი ერქვა და მხოლოდ თავისი ორი მილიონის გამო მოხვდა ჩვენს წრეში, რადგან ის კაი ხანია მუსლიმი აღარ იყო და ბაბის მწვალებლურ სექტას ეკუთვნოდა. იმ ბაბისა, რომლის დასჯაც შაჰმა ნასრ ედ-დინმა ბრძანა. თითქმის არავინ ვიცოდით, რა სურდა ბაბის. მხოლოდ ის გვქონდა გაგონილი, როგორ დევნიდა ნასრ ედ-დინი ბაბის მიმდევრებს; როგორ აწამებინებდა მათ გახურებული ლურსმნებით, როგორ აწვევინებდა კოცონზე და მათრახით აცემინებდა სულის ამოხდამდე. როგორც ჩანს, რაღაც საშინელებებს ქადაგებდნენ ბაბის მიმდევრები, რახან ასე სჯიდნენ.

რვისთვის ყველა სტუმარი შეიკრიბა. დარბაზში იჯდა ყველა მდიდარი მენავთობე თავადი. ჩაის მიირთმევდნენ და ზედ ტკბილეულს აყოლებდნენ. შიგადაშიგ საქმეებზე, ცხენებსა და წვეულებებზე საუბრობდნენ. ასე გაგრძელდა ცხრამდე. ცხრაზე კი, როგორც ეს ჩვენში იყო მიღებული, მსახურებმა ჭურჭელი გაიტანეს, კარი დაიხურა და მამამ დაიწყო: „მირზა ასადულაჰს სხვადასხვა მოსაზრებები აქვს ჩვენი ხალხის ბედზე. მოდი, მოვუსმინოთ".

მირზა ასადულაჰი წამოდგა. ლამაზი და დანაღვლიანებული სახით წამოიწყო:

— თუ დიდი მთავარი ომს მოიგებს, აღარცერთი ისლამური ქვეყანა აღარ დარჩება. მეფის ხელიც უფრო დაუნდობელი გახდება. ჩვენ კი ხელს ვერ დაგვადებს, რადგან ფული გვაქვს, მაგრამ სკოლებს, მეჩეთებს დაგვიკეტავს და მშობლიურ ენაზე ლაპარაკს აგვიკრძალავს. უცხოელები შემოვლენ ქვეყანაში და წინასწარმეტყველის ხალხს ველარავინ დაიცავს. ჩვენთვის აჯობებს, თუ ენვერი გაიმარჯვებს. მაგრამ ამისათვის თუ შეგვიძლია რაიმეს

გაკეთება? – არა, – ვამბობ მე. ჩვენ ფული გვაქვს, მაგრამ მეფეს ჩვენზე მეტი ფული აქვს, ჩვენ ხალხი გვყავს, მაგრამ მეფეს უფრო მეტი ხალხი ჰყავს.მაშ როგორ მოვიქცეთ? თუ შევკრებთ ხალხს, შევაიარაღებთ და ჩვენი ხალხისა და ფულის ნაწილს მეფეს მივცემთ, შეიძლება ომის შემდეგ მეფის ხელი უფრო შემწყნარებლური იყოს. იქნებ სხვა გზებიც არსებობს?

ის გაჩუმდა. მისმა ძმამ ალიმ განაგრძო:

– მეფის ხელი მძიმეა. მაგრამ ვინ იცის, იქნებ ომის შემდეგ აღარანაირი ძალაც არ ჰქონდეს მის ხელს.

– მაშინაც ექნება, ჩემო ძმაო. ქვეყნად ხომ უამრავი რუსია.

– მაგრამ მათი რაოდენობა შემცირდება, ჩემო ძმაო.

– ყველას ვერ გაწყვეტ, ალი.

– რატომ, ყველას მოკვლა შეიძლება, მირზა.

მერე კი ორივე ძმა დადუმდა. ზეინალ აღამ ჩუმი, მისუსტებული ხმით წამოიწყო:

– არავინ იცის, რა წერია ბედის წიგნში. დიდი მთავრის გამარჯვება გამარჯვება არაა, თუნდაც სტამბოლი დაიპყროს. ჩვენი ბედნიერების გასაღები სტამბოლში არ არის, ის დასავლეთშია და იქ თურქები, ან იქნებ გერმანელები გაიმარჯვებენ. რუსები დაიკავებენ ტრაპიზონს, თურქები – ვარშავას. რუსები? რუსებსაც გააჩნია. განა რუსები კიდევ არსებობენ? გავიგე, ვიღაც გლეხი, გვარად რასპუტინი, მეფეზე ბატონობს, მეფის ქალიშვილს ეკურკურება. დედოფალს დედას ეძახის. ზოგიერთ დიდ მთავარსაც მეფის დამხობა სურს. არიან ადამიანები, რომლებიც მხოლოდ მშვიდობას ელიან, რომ ამბოხება მოაწყონ. ომის შემდეგ ყველაფერი სხვაგვარად იქნება.

– დიახ, ომის მერე ყველაფერი სხვაგვარად იქნება. – წამოიწყო ერთმა სქელმა, გრძელწვერა მოჭუტულთვალეგბიანმა კაცმა, ეს ფათჰ ალი ხანი იყო, ადვოკატი ხოიადან,

რომელიც ყოველთვის ბევრს ფიქრობდა ადამიანთა ბედზე.

– დიახ, – გაიმეორა მან კვლავ, – მერე ყველაფერი შეიცვლება. ჩვენ არავისთვის ქედის მოხრა არ დაგვჭირდება. ამ ომიდან რომელმა მხარემაც არ უნდა გაიმარჯვოს, დასუსტებული, დაჭრილი და ომით დათრგუნული გამოვა. ჩვენ კი არც დასუსტებული და არც ნაიარევი არ ვიქნებით; ამიტომაც შეგვეძლება, კი არ ვთხოვოთ, არამედ მოვთხოვოთ. ჩვენ ისლამური, შიიტური ქვეყანა ვართ და რომანოვებისა თუ ოსმალებისაგან ერთსა და იმავეს ველით – დამოუკიდებლობას ყველა სფეროში. და, რაც უფრო დასუსტდება მტრის ძლევამოსილება ამ ომში, მით უფრო ახლოს ვიქნებით თავისუფლებასთან. და მერე ამ თავისუფლების გაძლიერებას თვითონაც შევძლებთ, ჩვენი ფულით, ჩვენი ნავთობით. ნურც იმას დაივიწყებთ, მსოფლიოს ჩვენ უფრო ვჭირდებით, ვიდრე მსოფლიო – ჩვენ.

ოთახში შეგროვილი მილიარდერები საოცრად აღაფრთოვანა ამ სიტყვებმა – მშვენიერი სიტყვაა „ლოდინი". დიახ, მხოლოდ ლოდინი დაგვრჩენია. ვინ გაიმარჯვებს, რუსი თუ თურქი? ჩვენ ნავთობი გვაქვს. გამარჯვებულს ჩვენთან სათხოვარი ექნება. და მანამ? მანამ კი ვაშენოთ საავადმყოფოები, ბავშვთა სახლები, თავშესაფრები ჩვენი რწმენის დამცველთათვის.

ჩემთვის კუთხეში ჩუმად ვიჯექი. ალი ასადულაჰმა დარბაზი გადმოკვეთა, გვერდით მომიჯდა და წამჩურჩულა:

– თქვენ რა აზრის ხართ ამაზე, ალი ხან? – და ისე, რომ პასუხსაც არ დალოდებია, ჩემკენ გადმოიხარა და განაგრძო, – კარგი იქნებოდა ყველა რუსის ამოჟლეტა ჩვენს ქვეყანაში. და არა მხოლოდ რუსების, ყველა უცხოელისა, ვინც სხვა ენაზე საუბრობს, სხვაგვარად ლოცულობს, და სხვაგვარად ფიქრობს. გულში, ალბათ, ყველა ჩემნაირად ფიქრობს, მაგრამ ხმამაღლა მარტო მე ვაღიარებ. მერე კი, ჩემი აზრით, ფათჰ ალიმ უნდა იბატონოს. თუმცა, გულახდილად გითხრათ, ენვერის მომხრე ვარ. მაგრამ ჯერ

ყველა უცხოელი უნდა ამოიჟლიტოს.

სიტყვა „ამოჟლეტას“ ისეთი აღტაცებით წარმოთქვამდა, თითქოს სიყვარულზე ლაპარაკობსო. თვალები ერთიანად უბრწყინავდა, მთელი პირისახე თავხედურად უღიმოდა. ვდუმდი. დარბაზში ახლა ბაბისტი აღა მუზა ნაგი ლაპარაკობდა:

– მოხუცი კაცი ვარ და გული მტკივა, რასაც ვხედავ, რაც მესმის. რუსები ამოხოცავენ თურქებს, თურქები სომხებს, სომხები – ჩვენ. არ ვიცი, განა ეს კარგია? მესმის რაზეც ფიქრობენ და რაც აწუხებთ ზეინალ აღას, მირზას, ალის და ფათჰ ალის; ვიცი, მათ ჩვენი ხალხის ბედი აფიქრებთ, ეშინიათ ჩვენი სკოლებისა და ენის, საავადმყოფოების, თავისუფლების დაკარგვის. მაგრამ რაში გვჭირდება სკოლა, თუ იქ მხოლოდ უაზრობას ასწავლიან. ან ისეთი საავადმყოფო რად გვინდა, სადაც სხეულს გამოაჯანმრთელებენ, მაგრამ სულს არად დაგიდევენ. ჩვენი სულები ღმერთს ეკუთვნის. თუმცა ყოველი ხალხი ფიქრობს, რომ სხვა ღმერთი ჰყავს. მე კი ვთვლი, რომ ყველა ჭეშმარიტად ბრძენის ენით ღმერთი ქადაგებს. ამიტომაც ვცემ პატივს ქრისტეს, კონფუცის, ბუდას, მუჰამადს. გვავიწყდება, რომ ყველაფერი ღვთის ნებაა. ჩვენ ყველანი ღმერთისგან მოვდივართ და ბაბის მეშვეობით ისევ მასთან ვბრუნდებით. ეს უნდა შეიგნოს ხალხმა, რადგან არ არსებობს შავი და თეთრი. შავშიცაა თეთრი და თეთრშიცაა შავი. ამიტომ, ჩემი რჩევა იქნება: ნურაფერს გავაკეთებთ ისეთს, რაც დედამიწაზე ვინმეს ზიანს მიაყენებს, რადგან ჩვენ თითოეულში ვართ და თითოეული ჩვენში.

გაოგნებულები ვუსმენდით ბაბის ერესს და ვდუმდით.

გვერდიდან ვიღაცის ზლუქუნი მომესმა, გაკვირვებულმა მივიხედე და აცრემლებული ალი ასადულაჰი დავინახე, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

– ო, ჩემო სულო, როგორი სიმართლეა თქვენს სიტყვებში. ბედნიერებაა თქვენი მოსმენა. ო, ყოვლადძლიერო!

ნეტავ, ყველა ადამიანს ჰქონდეს ასეთი ღრმა შეგნება, – მოთქვამდა ის. მერე ცრემლები შეიმშრალა, კიდევ რამდენჯერმე ამოიზლუქუნა და უცბად ცივად წამოიწყო:

– ეჭვგარეშეა, ღრმად პატივცემულო, ყველაფერში ღვთის ხელი ურევია, მაგრამ ადამიანი ვერ დაუცდის მხოლოდ ყოვლადძლიერის ზეშთაგონებასა და კეთილშობილებას. ჩვენ უბრალოდ ადამიანები ვართ და, თუ შთაგონება გვაკლია, თავად უნდა გამოვძებნოთ გზები, რომ სიძნელეები გადავლახოთ.

ჭეშმარიტი სიტყვები და ჭეშმარიტი ცრემლები იყო. შევნიშნე, როგორი გაოცებით შეჰყურებდა მირზა თავის ძმას.

სტუმრები წამოიშალნენ. ძველი ადათ-წესების თანახმად, შეჭმუხნულ შუბლზე ხელის შეხებით, ქედის მოხრითა და თავის დაკვრით გამოემშვიდობნენ ერთმანეთს. თან გასვლისას ბუტბუტებდნენ: „მშვიდობა ჩვენდა, სიხარული და ღიმილი არ მოგვშლოდეს, მეგობრებო“.

თერთმეტის ნახევარი იქნებოდა, შეკრება რომ დაიშალა და ერთი მილიარდი ქუჩას მოეფინა. დარბაზში სულის შემხუთველმა სიცარიელემ დაისადგურა. მარტოობა მომაწვა და მსახურებს დავუბარე, ყაზარმაში მივდივარმეთქი. ზღვისკენ გავემართე, ნინოს სახლს ჩავუარე და ყაზარმისკენ ავიღე გეზი. ყაზარმის საყარაულოში სინათლე ენთო. ილიას ბეგი და მეჰმედ ჰაიდარი კამათლებს აგორებდნენ. შევედი. ჩუმი თავის დაქნევით მივესალმეთ ერთმანეთს. როგორც იქნა, დაამთავრეს თამაში. ილიას ბეგმა საყელო შეიხსნა და მკითხა:

– რაო, რა მოხდა კრებაზე, ასადულაჰი კიდევ იმუქრებოდა ყველა რუსის ამოხოცვით?

– ჰო, დაახლოებით. რა ისმის ომისა? – ვკითხე მე.

– ომი? – წამოიწყო უკმაყოფილოდ, – გერმანელებმა მთელი პოლონეთი დაიკავეს. დიდი თავადი ბაღდადს დაიკავებს, თურქები, ალბათ, ეგვიპტეს. რა ვიცი, ძალიან

მოსაბეზრებელია ამ დედამიწის ზურგზე.

მეჰმედ ჰაიდარმა მოკლედ შეჭრილი თმა მოიფხანა და შეედავა:

– სულაც არაა მოსაბეზრებელი. ჩვენ გვყავს ცხენები, ჯარისკაცები, ვიცით იარაღის ხმარება. მეტი რა სჭირდება ადამიანს? ზოგჯერ მინდა, მთებზე გადავიდე, სანგრებში ვიწვე და ჩემს წინ მტერს ვხედავდე. მტერს მაგარი კუნთები უნდა ჰქონდეს და ტანზე ოფლის სუნიც უნდა უდიოდეს.

– მერე, რატომ არ მიდიხარ ფრონტზე? – ვუთხარი მე.

აღფრთოვანება გაუქრა ხმაში, დაბალ შუბლში ჩამჯდარი თვალებიდან გამომხედა და სევდიანად განაგრძო:

– მე ის კაცი არა ვარ, ვინც მაჰმადიანს ესვრის, თუნდაც სუნიტი იყოს. თანაც ფიცი მაქვს დადებული და დეზერტირობა არ შემიძლია. ეჰ, ჩვენს ცხოვრებაში სხვაგვარად რომ იყოს ყველაფერი!

სიყვარულით გავხედე. მხარბეჭიანი, ძლიერი იჯდა და თითქოს ბრძოლის სურვილი ახრჩობდა.

– თან მინდა, თან არც მინდა ფრონტზე. – დასძინა მან შეფიქრიანებულმა.

– რა ელის ჩვენს ქვეყანას? – ვკითხე მე.

ის გაჩუმდა და შუბლი შეიჭმუხნა. ფიქრი არ ეხერხებოდა. ბოლოს თქვა:

– ჩვენს ქვეყანას? უნდა მეჩეთები ვაშენოთ, მიწას წყალი ვასვათ, ჩვენი მიწა მართლაც ძალზე მოწყურებულია. არც ის ვარგა, ყველა უცხო რომ მოდის და გვეუბნება, რა სულელები ხართო. თუნდაც სულელები ვიყოთ, ეს მხოლოდ ჩვენი საქმეა. მერე კი, ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ ერთ დიდ კოცონს გავაჩაღებთ და ნავთობის ყველა ჭაბურღილს, ასე უხვად რომაა ჩვენს ქვეყანაში, დავწვავთ. მშვენიერი სანახაობა იქნება. მერე ისევ გავღარიბდებით, აღარავის დავჭირდებით და უცხოელებიც მოგვასვენებენ. ჭაბურღილების მაგივრად ლამაზ, ცისფერ მეჩეთებს

ავაგებთ, კამეჩებს მოვაშენებთ და ნავთობის ქვეყანაში პურის მოსავალს მოვიყვანთ.

მეჰმედი მომავალზე ფიქრებმა გაიტაცა.

ილიას ბეგმა სიცილით განაგრძო:

— მერე წერა-კითხვის სწავლას ავკრძალავთ, სანთლის შუქს შემოვიტანთ და ერთ სულელს დავსვამთ ქვეყანაში მეფედ, არა?

მეჰმედ ჰაიდარმა ხუმრობას წაუყრუა და თქვა:

— ცუდი არ იქნებოდა. გასულ საუკუნეებში უფრო სულელებიც ყოფილან, განა იმათ არ ამოთხარეს წყლის ჭაბურღილები ნავთობის საბადოების მაგივრად? მაგრამ მაშინ ადამიანები ბევრად ბედნიერები იყვნენ.

მომინდა გადავხვეოდი გულუბრყვილო ბიჭებს და გადამეკოცნა.

ფანჯარაზე გამალებული კაკუნი შემომესმა. გარეთ გავიხედე. სიბნელიდან მუსტაფას მოქუფრულმა, ნაყვავილარმა სახემ შემომანათა. კართან მივირბინე. მთლად გაოფლილი მუსტაფა ოთახში შემოვარდა, ჩალმა გვერდზე მოჰქცეოდა, მწვანე ქამარიც შეხსნოდა, მოსასხამი დამტვერილი ჰქონდა. იქვე სკამზე ჩაიკეცა და ჩახლეჩილი ხმით ძლივს წამოიძახა:

— ნახევარი საათის წინ ნახარარიანმა ნინო მოიტაცა. უკვე მარდაკიანის გზაზე იქნებიან.

XVII თავი

მეჰმედ ჰაიდარი წამოხტა. თვალები სულ დაპატარავებოდა.

– ახლავე ცხენებს შევკაზმავ! – შესძახა და გარეთ გავარდა. სახე მიხურდა, სისხლი თავში ამივარდა. ყურები მიწიოდა, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ვიღაცის უჩინარი ხელი თავში ჯოხს მირტყამდა. მეგონა, სიზმარში ვიყავი და ილიას ბეგის ხმა იქიდან მესმოდა:

– დამშვიდდი, ალი ხან, თავს ნუ დაკარგავ, სწორედ ახლა გმართებს ძალების მოკრება, მანამდე მაინც, ვიდრე დაეწევი. – მამშვიდებდა ის, თუმცა თავადაც გაფითრებული იდგა ჩემ წინ. წელზე კავკასიური ხანჯალი შემომარტყა.

– გამომართვი, გამოგადგება. – მითხრა მან და ხელში რევოლვერი ჩამიდო. – დამშვიდდი, ალი ხან, სიშმაგე მარდაკიანის გზისთვის უნდა დაზოგო.

იარაღი მექანიკურად ჯიბეში ჩავიდე. მუსტაფას ნაყვავილარი სახე ჩემკენ გადმოიხარა. მისი ტუჩების მოძრაობით ნაწყვეტ-ნაწყვეტ ვიგებდი:

– ბრძენი მოლა ჰაჯი მასყუდის სანახავად ვიყავი. მისი სიბრძნის კარავი ოპერის ახლოსაა. თერთმეტ საათზე გამოვედი და დავინახე, როგორ გამოვიდნენ ოპერიდან, როგორ ჩაჯდა ნინო ნახარარიანის მანქანაში. მანქანა არ დაძრულა. რაღაცას ლაპარაკობდნენ. ნახარარიანის სახე არ მომეწონა. უკნიდან მივიპარე და ყური დავუგდე: „არა", იმეორებდა ნინო, "მე ის მიყვარს". „მე უფრო მიყვარხართ. ამ ქვეყანაში ქვა ქვაზე არ დარჩება. წაგიყვანთ, მოგაშორებთ ამ საშინელ აზიას." – უთხრა ნახარარიანმა. „არა, სახლში წამიყვანეთ." – ეუბნებოდა ნინო. მანქანა დაქოქა. მოვასწარი და საბარგულს უკან მოვახტი. ყიფიანების სახლისაკენ წავიდა. რაღაცას ლაპარაკობდნენ,

მაგრამ რას, არ მესმოდა. მანქანა ყიფიანების სახლთან გაჩერდა. ნინო ტიროდა. უეცრად ნახარარიანი ნინოს მოეხვია და კოცნა დაუწყო. თქვენ ველურების ხელში არ უნდა ჩავარდეთო, გაიძახოდა, კიდევ რაღაცეებს ეჩურჩულებოდა, მე მხოლოდ ამას მოვკარი ყური, „წავიდეთ ჯერ ჩემთან, მარდაკიანში, ჯვარი მოსკოვში დავიწეროთ, იქიდან კი შვედეთში გავემგზავროთ". დავინახე, როგორ ჰკრა ნინომ ხელი. უცბად მანქანაც მოსწყდა ადგილს. მე კი გამოვიქეცი, რაც ძალა და ღონე მქონდა, რათა...

სათქმელი ვერ დაასრულა, თუ მე ვეღარ გავიგე ბოლომდე. ამასობაში მეჰმედ ჰაიდარმა კარები შემოგლიჯა და იყვირა:

– ცხენები შეკაზმულია!

ეზოში გავცვივდით.

– აქეთ. – მითხრა მეჰმედ ჰაიდარმა.

მთვარის შუქზე ცხენებს მოვკარი თვალი. ფრუტუნებდნენ და მიწას ფლოქვებს სცემდნენ. მეგონა, ჩემი ცხენისკენ მივყავდი, მაგრამ გავშტერდი – ჩემ წინ პოლკის უფროსის, მელიქოვის ყარაბაღული საოცრება, ოქროს რაში იდგა.

– კომენდანტის ცხენია, სასტიკად განრისხდება, რომ გაიგებს, რადგან ჯერ სხვა არავინ მჯდარა ამ ცხენზე. ქარივით დაქრის. ამაზე სწრაფად ვერც ერთი ვერ გაგაფრენს. ნუ დაზოგავ, ალი ხან. – ჩაილაპარაკა მოღუშულმა მეჰმედ ჰაიდარმა.

მაშინვე მოვახტი. ჩემი მათრახის მძლავრი შეხება, ერთი ყოვლისშემძლე ნახტომი და ცხენი მართლაც გაფრინდა ყაზარმის ეზოდან. ზღვის სანაპიროს გასწვრივ მივქროდი, სახლები თითქოს აცეკვდნენ ჩემ თვალწინ. სიმწრისგან ვურტყამდი ცხენს, ისიც ისე მიაჭენებდა, რომ ფლოქვებიდან ნაპერწკლებს ყრიდა. უცბად ველურმა სიბრაზემ მომიცვა, ცხენს აღვირი მოვწიე. ყალყზე შედგა, მერე კი ისევ გაფრინდა. ჩემ უკან უკანასკნელი ქოხმახებიღა

მოჩანდა. წინ მთვარით განათებული მინდვრები გადაიშალა. და აი, მარდაკიანისკენ მიმავალი ვიწრო გზაც გამოჩნდა. ღამის გრილი სიო სახეში მცემდა. მარჯვნივ და მარცხნივ ნესვის მინდვრები ოქროს ზოდებივით ყვითლად გადაშ-ლილიყო. ჩემი ცხენი საოცრად მოქნილად და სხარტად, ბუმბულივით მიქროდა. მთელი ტანით წინ გადავიხარე, თითქმის ცხენის ფაფარს ვუსწორდებოდი.

მაშ ასე! ყველაფერი გარკვევით დამიდგა თვალწინ... მათი ყოველი სიტყვა, ფიქრიც კი მესმოდა; თითქოს იქვე ახლოს ლაპარაკობდნენ: „ენვერი იბრძვის მცირე აზიაში. მეფის ტახტი შერყეულია, დიდი მთავრის ჯარში სომხური ბატალიონებია. თუ ფრონტი დაირღვა, მაშინ ოსმალოთა არმია სომხეთს შეესევა, ყარაბაღს, ბაქოს". ნახარარიანმა წინასწარ იყნოსა შედეგები და მთელი თავისი ფული, მძიმე სომხური ოქრო შვედეთისაკენ გაუშვა. დასრულდა კავკასიელ ხალხთა დამეგობრება. ორივეს თვალნათლივ ვხედავ ოპერის ლოჟაში. „თავადის ასულო, არ არსებობს არანაირი ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და არც სიყვარულის ხიდი არსებობს." – ყურებში მიწიოდა ეს სიტყვები.

ნინო დუმს და უსმენს. ის კი განაგრძობს: „ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ. ოსმალების მახვილი გვემუქრება. ჩვენ ევროპის ელჩები ვართ აზიაში. მე თქვენ მიყვარხართ, თავადის ასულო. ჩვენ ერთმანეთს ვეკუთვნით. სტოკჰოლმში უფრო იოლია ცხოვრება. იქ ევროპაა, იქ დასავლეთია". და მერე, თითქოს იქვე, ჩემ ახლოს ალაპარაკდაო, დასძენს: „ამ ქვეყანაში ქვა ქვაზე აღარ დარჩება."

„და ბოლოს, თქვენი ბედი თავადვე განსაზღვრეთ, ნინო, ომის შემდეგ ლონდონში წავალთ, სასახლის კარზე მიგვიღებენ. თქვენ ევროპელი ხართ და ევროპელმა თავად უნდა შეძლოს თავისი ბედის მოწყობა. მეც ვაფასებ ალი ხანს, მაგრამ ის ბარბაროსია, უდაბნოს ხიბლით დატყვევებული".

ცხენს მივაქროლებ, თან ველურივით ვყმუი. ასე ყმუის ხოლმე უდაბნოს მგელი მთვარის დანახვაზე. დიდხანს, ხმამაღლა, მოთქმით. მთელი ღამე ისმის გაბმული ყმუილი. ხახა მტკივა ველური შეძახილისგან. რატომ ვყივი მარდაკიანისკენ მიმავალ მთვარით განათებულ გზაზე? არა, ძალები უნდა დავზოგო, ჯერ არ მმართებს სიშმაგე! მწველი ქარი სახეში მირტყამს. თვალებიდან ცრემლები მდის. ეს ქარის ბრალია, დიახ, სწორედ ქარის. მე არ ვტირი და არც ვიტირებ! მაშინაც კი, როცა უეცრად ვხვდები, რომ არ არსებობს არანაირი ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, არც სიყვარულის ხიდი არსებობს. მაცდური, მოციმციმე ქართული თვალები! დიახ, მე უდაბნოს მგლების, თურქეთის რუხი მგლების შთამომავალი ვარ. რა კარგად მოუფიქრებია ნახარარიანს, მოსკოვში ჯვარს დავიწერთო, მერე შვედეთში გავემგზავროთო. სასტუმრო სტოკჰოლმში, თბილი, მდიდრული ოთახი, სუფთა, ქათქათა თეთრეული. ვილა ლონდონში. ვილა? – გამახსენდა უცბად და სიმწრისაგან ოქროსფერ რაშს კისერში კბილები ჩავასე. პირი მარილიანი სისხლით ამევსო. ვილა? მარდაკიანში ხომ აქვს ნახარარიანს ვილა, ბაღის შუაში გაშენებული, როგორც ყველა ბაქოელ მდიდარს – ზღვის სანაპიროსთან ახლოს კორინთულ სვეტებზე შემდგარი მარმარილოსაგან ნაგები ვილა ხეხილიან ოაზისში. კარგად ვიცი ეს ვილა. საძინებელში წითელი ხის საწოლი, განიერი თეთრი ზეწრები, როგორც სტოკჰოლმის სასტუმროში. ნეტავ რომელი უფრო სწრაფია – ევროპული მანქანა თუ ყარაბაღული ცხენი? მთელ ღამეს ფილოსოფოსობას ხომ არ მოჰყვება? ალბათ... რაღა თქმა უნდა, რომ... უკვე ვხედავ საწოლს, შიშისა თუ სურვილისაგან არეულ ქართულ თვალებს. კიდევ უფრო ღრმად ვარჭობ კბილებს ცხენს ხორცში. ის გაშმაგებით მიქრის. მიდი, მიდი! დაზოგე შენი სიშმაგე, ალი ხან, ვიდრე დაეწევი!

გზა ვიწრო იყო. უცბად გამეცინა. ერთი მხრივ

ჩენილ, არაცივილიზებულ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს სამანქანო ტრასები. მხოლოდ ვიწრო ბილიკებია, სწორედ ყარაბაღული ცხენისთვის ზედგამოჭრილი. ნეტავ რომელი გაუსწრებს – ევროპული მანქანა თუ ყარაბაღული ცხენი?

აქეთ-იქიდან, მთვარით განათებული მდელოებიდან, მწიფე ნესვები შემომცქეროდნენ და თითქოს მამხნევებდნენ. ცუდი გზაა, ინგლისური მანქანისთვის არ გამოდგება. ეს გზა მხოლოდ ყარაბაღული ცხენისთვისაა.

გაუძლებს ცხენი ამ სისწრაფეს? გამახსენდა მელიქოვის სახე, შუშაში რომ შემხვდა და ამაყად განმიცხადა, თუ მეფე ომში გამიწვევს, შემოვაჯდები ჩემს ყარაბაღულ რაშს და ისე გამოვცხადდებიო. ეჰ, მოუწევს თავადს ცხენთან გამომშვიდობება. მათრახის კიდევ ერთი გადაჭერა, კიდევ ერთი... ქარი სახეში მცემდა, თითქოს მუშტებს მირტყამ-დნენ. ერთ მოსახვევთან გზის პირზე ველური ბუჩქები იყო მოდებული. შორს მანქანის ხმა გავიგე. და აი, გამოჩნდა კიდეც, ნელ-ნელა მიირწეოდა ოღრო-ჩოღრო გზაზე. ევროპული მანქანა! არ იყო აზიის გზებისთვის შექმნილი. ერთი ნახტომიც და საჭესთან მჯდომ ნახარარიანსაც მოვკარი თვალი. კუთხეში ნინო მიკუნტულიყო. რატომ არ ესმით ცხენის თქარათქური? თუ ღამის ხმაურმა შთანთქა ეს ხმა? ეტყობა, თავს იმედიანად გრძნობს თავის ევროპულ მანქანაში. როგორღაც უნდა გავაჩერო, ახლავე ადგილზევე უნდა შევაჩერო ეს გალაქული ყუთი! ხელით ბელგიური რევოლვერი მოვსინჯე – მიდი, საყვარელო, გამიწიე სამსახური, შეასრულე შენი მოვალეობა. თითი გამოვკარი. წამით გაიელვა ცეცხლის ზოლმა. ცხენს აღვირი მოვწიე. კარგი ნასროლი იყო. ყოჩაღ, ჩემო ბელგიურო იარაღო! მარცხენა საბურავი დაეშვა და გალაქული ყუთიც გაჩერდა. მანქანასთან მივაგდე ცხენი. სისხლი მაწვებოდა საფეთქლებში. იარაღი მოვისროლე, ზუსტად რას ვაკეთებდი, არც ვიცოდი. ორი სახე მომჩერებოდა, ველური შიშისგან ლამის ბუდიდან უცვიოდათ თვალები. უცბად

მანქანაში აკანკალებული მსუქანი ბრილიანტისბეჭდიანი ხელი შევნიშნე, იარაღი ეჭირა. ეტყობა, მთლად იმედიანად მაინც ვერ იყო თავის ევროპულ მანქანაში, რადგან იარაღს ატარებდა. ჩქარა, ალი ხან! ახლა კი აღარ გმართებს სიშმაგის დაზოგვა! არ უნდა გაისროლოს ამ აკანკალებულმა მსუქანმა ხელმა. ხანჯალი ამოვიღე. ვერც კი მოვასწარი გააზრება, უკვე მესმოდა გასროლილი ხანჯლის მელოდიური წუილი. სად ვისწავლე ხანჯლის სროლა? სპარსეთში? შუშაში? არსად. ალბათ, ეს ცოდნა სისხლში, ძარღვებში მაქვს, წინაპრებისაგან მომდგამს, იმ პირველი შირ-ვანშირისაგან, ინდოეთში რომ წავიდა და დელი დაიპყრო. უცბად გამყინავი ხმა გაისმა, მსუქანი ხელი კოტიტა თითებს კვლანჭავდა. იდაყვზე სისხლი ჩამოსდიოდა. მშვენიერია მტრის სისხლის დანახვა მარდაკიანისკენ მიმავალ გზაზე. უცბად მანქანიდან მსუქანი მუცელი გადმოხოხდა. წამის მერე კი უკვე ველური ბუჩქნარისაკენ გარბოდა. ცხენიდან გადმოვხტი, ძირს დავარდნილი ჩემი ხანჯალი ავიღე და ქამარში ჩავაგე. ნინო გაქვავებულივით, უძრავად იჯდა მანქანის რბილ სალონში. მთელი სხეული უცახცახებდა. შორიდან ცხენების თქარათქურის ხმა შემომესმა. ბუჩქნარში შევვარდი, წვრილ-წვრილ ტოტებში ვიხლართებოდი, თითქოს უხილავი მტრის ხელები მაბრკოლებდნენ. ფეხქვეშ ხმელი ტოტები ტკაცუნობდა, გამხმარი ტოტები ხელებს მიკაწრავდა. შორს ბუჩქებში დაჭრილი ცხოველი – ნახარარიანი მძიმედ ქშინავდა. სასტუმრო, სტოკჰოლმი! ნახარარიანის მსუქანი მაძღარი ტუჩები ნინოს სახეზე! გონება მერეოდა. უკვე ვხედავდი, ნესვების მინდორზე, ზღვისკენ გარბოდა. რევოლვერი მოვისროლე. ეკლიანი ბუჩქებისაგან ხელები მთლად დასისხლიანებული მქონდა. უცბად ფუყე მრგვალ ნესვს დავადგი ფეხი, გასკდა და ტკაცანი გაიღო. მინდორზე გავრბოდი. ნახარარიანი წაბორძიკდა, მსუქანი ხელებით ბუჩქს ჩაებღაუჭა. მთვარე ცივი, ოქროსფერი ნათებით

ბუჩქს ჩაებღაუჭა. მთვარე ცივი, ოქროსფერი ნათებით დაგვცქეროდა, თითქოს სიკვდილს შეიგრძნობდა. ვერ წაიღებ ოქროებს შვედეთში, ნახარარიან! მხრებში ვწვდი. შემოტრიალდა, გამოყეყეჩებულ თვალებში იმედგაცრუებულის ზიზღი ჩასდგომოდა. მუშტი გამოაქანა, ნიკაპში მომხვდა, მერე მკერდში. ევროპაში ისწავლე მუშტი-კრივი, ნახარარიან? წამით თავბრუ დამეხვა, სუნთქვა შემეკრა. მე აზიატი ვარ, ნახარარიან, კრივის ხელოვნებას ვერასოდეს გავიგებ. მე მხოლოდ უდაბნოს მგელივით გამძვინვარება შემიძლია. გაშმაგებული ვხტოდი, ფეხები მის სხეულს, როგორც ხის ტანს, ისე შემოვაჭდე. ხელები მსუქან ყელში წავუჭირე. ველურივით მირტყამდა მუშტებს. ჩავბუქნე, დაბლა მიწაზე დავეშვით და ერთხანს ასე ვგორაობდით. უცბად ქვეშ მოვყევი, ნახარარიანი მახრჩობდა. მე წიხლებს ვურტყამდი და ვეფლობოდი მის ქონით გავსებულ მუცელში. დასხლტომას ცდილობდა. უცბად შემოხეული პერანგიდან მისმა თეთრმა ქათქათა ყელმა გამოანათა. კბილები ჩავასე მსუქან ხორცში. დიახ, ნახარარიან, ასე ვაკეთებთ ჩვენ აზიაში, მუშტი-კრივის გარეშე! ასე იცის რუხმა მგელმა! პირში მისი ძარღვების ფეთქვა შევიგრძენი. სულ დამავიწყდა ჩემი ხანჯალი ამ ორთაბრძოლაში. ნახარარიანმა დრო იხელთა, თვალწინ ფოლადმა გამიელვა. უცბად ხანჯალი ნეკნებში შემიცურა. რა თბილი სისხლი მქონია! ტკივილისაგან გონსმოგებულმა იმის ყელს თავი ვანებე და დაჭრილი ხელიდან ხანჯალი გამოვგლიჯე. ახლა ის იწვა მიწაზე პირით მთვარისკენ. ხანჯალი მე მეჭირა ხელში. შიშისაგან სიკვდილის კარიბჭესავით ისე ფართოდ დაეღო პირი, რომ ცარიელი ხახაღა მოუჩანდა და გაბმული ხავილი ამოსდიოდა. სტოკჰოლმის სასტუმრო! მარდაკიანის გზა! შე ღორო!

– რაღას უყურებ? – მომესმა ჩემ უკან მეჰმედ ჰაიდარის ხმა, – ჩაარჭე, ალი ხან, ჩაარჭე. გულთან ახლოს, ზემოდან ქვემოთ ჩაარჭე!

ცოტა ხანს კიდევ ვაყოვნებდი. წამით კიდევ მინდოდა, მტრის მავედრებელი ხმა გამეგო.

მერე კი ხანჯალი მაგრად ჩავბღუჯე, კუნთები დავძაბე. ჩემი ხანჯალი მტრის სხეულს შეერწყა. ერთხელ გაფართხალდა, მეორედ... ნელ-ნელა წამოვიწიე. ტანსაცმელი სისხლიანი მქონდა. ჩემი სისხლით, თუ იმისი სისხლით? თუმცა ახლა ეს უკვე სულერთი იყო.

მეჰმედ ჰაიდარი კბილებს აღრჭიალებდა:

– რა ლამაზად გააკეთე, ალი ხან. შენით მუდამ ვიამაყებ.

ნეკნები მტკიოდა. ვბარბაცებდი. ბუჩქებში შევედით და ცოტა ხანში უკვე მარდაკიანის გზაზე ვიდექით, სადაც გალაქული ყუთი, ოთხი ცხენი და ორი მხედარი გველოდა. ილიას ბეგმა ხელი ამიწია მოსალმების ნიშნად. სეიედ მუსტაფას მწვანე ჩალმა კეფაზე მოეგდო. თავის უნაგირზე ნინო შემოესვა და მაგრად მოეხვია ხელი. ნინო ჩუმად იყო.

– ქალს რა ვუყოთ? შენ მოკლავ, თუ მე მოვკლა? – სეიედ მუსტაფა ჩუმად და დინჯად ლაპარაკობდა. თვალები მოჭუტული ჰქონდა, თითქოს სიზმარში იყო.

– მოკალი, ალი ხან. – ახლა მეჰმედ ჰაიდარის ხმა გავიგე. ხანჯალს მიწვდიდა.

ილიას ბეგს გადავხედე. თავი დამიქნია, ცარცივით იყო გათეთრებული:

– მერე ზღვაში გადავაგდებთ.

ფეხი ნინოსკენ გადავდგი. თვალები გაფართოებოდა... შესვენებაზე სულ ჩვენთან მორბოდა, ჩანთით ხელში, ატირებული. გამახსენდა, როგორ ვიჯექი ერთხელ მერხის ქვეშ მოკუნტული და ვკარნახობდი: „რვაას წელს აახენში მეფედ აკურთხეს კარლოს დიდი." რატომ დუმდა ნინო? რატომ არ ტიროდა, როგორც მაშინ, დიდ შესვენებაზე? ხომ შეეძლო ეტირა, როცა არ იცოდა, როდის გამეფდა კარლოს დიდი, ახლა რად არ ტიროდა?

მის ცხენს ყელზე შემოვეხვიე. ნინოს თვალებში ჩავხედე, მაგრამ მისი თვალები არაფერს მეუბნებოდა, ჩემს

ხანჯალს მიშტერებოდა უძრავად... საოცრად ლამაზი იყო, სეიედის ცხენზე ამხედრებული, მთვარის შუქზე გაცის-კროვნებული. ქართული სისხლი, მსოფლიოში საუკეთესო ქართული ბაგეები, ნახარარიანმა რომ დაკოცნა.

ოქროს მონეტები შვედეთში... იმან ნინოს აკოცა...

– ილიას ბეგ, დაჭრილი ვარ. წაიყვანე თავადის ასული ნინო სახლში. ცივი ღამეა, რამე მოახურე. იცოდე, ილიას ბეგ, მოგკლავ, თუ თავადის ასულს უვნებელს არ მიიყვან შინ. დაიმახსოვრე, ილიას ბეგ, ეს ჩემი ურყევი სურვილია.

– მეჰმედ ჰაიდარ, სეიედ მუსტაფა, სუსტად ვარ. დამეხ-მარეთ შინ წასვლაში. თავბრუ მეხვევა, სისხლისგან ვიცლები.

მეჰმედი ოქროს რაშზე ამხედრებაში მომეხმარა. ილიას ბეგმა ფრთხილად გადაიყვანა ნინო თავის ცხენზე და თავისი რბილი ნაბადი მხრებზე ნაზად მოახურა. ის არ ეწინააღმდეგებოდა... ჯერ კიდევ გაფითრებული იყო. მერე ილიას ბეგმა წამიერი მზერა მესროლა, თავი დამიკრა და წავიდა. მას ნინოს შინ უვნებლად მიყვანა ევალებოდა. ჩვენ ცოტა ხანს შევყოვნდით. მეჰმედ ჰაიდარი და მუსტაფა გვერ-დიდან არ მშორდებოდნენ, მათ ვეყრდნობოდი. მეჰმედი უნაგირს მოახტა.

– გმირი ხარ, ალი ხან, ლამაზად იბრძოდი. მშვენივრად აღასრულე შენი მოვალეობა. – არ ჩერდებოდა ჰაიდარი.

სეიედს თვალები დაეხარა.

– მისი სიცოცხლე შენ გეკუთვნის. შეგიძლია მოკლა, შეგიძლია აპატიო, კანონით ორივე დასაშვებია. – თქვა მან და ფიქრებში წასულმა ჩაიცინა, მერე კი სადავეები გამომი-წოდა. მდუმარედ მივაბიჯებდით ღამის სიბნელეში. ბაქო-დან გამოღწეული სინათლე სიყვარულით გვიხმობდა.

XVIII თავი

ვიწრო ქვის ტერასა ხევს გადაჰყურებდა. შორს ხრიოკი, მიტოვებული კლდეები ყვითლად ბრწყინავდა, უზარმაზარი ქვები ერთიმეორეზე მიხერგილიყო. ხევის პირზე ოთხკუთხა უბრალო ქოხები ახლო-ახლო ჩაემწკრივებინათ. მათი ბანები ეზოებს წააგავდა. ქვემოთ მდინარე მიექანებოდა. კლდეზე, ქვა-ღორღში ვიწრო ბილიკი ჩადიოდა, და სადღაც უფსკრულში იკარგებოდა. ასეთი იყო აული – მთის სოფელი დაღესტანში.

ოთახი მუქი სქელი ჭილობით იყო ჩამობურული და ამიტომაც ბნელოდა. ვიწრო სახურავის შვერილი ორ სვეტზე იყო შეყენებული. მაღლა, უკიდეგანო ცაზე, გაშლილი ფრთებით არწივი გადმოკიდებულიყო გაქვავებულივით.

პატარა ბანზე ვიწექი, კბილებს შორის ქარვის მუნდშტუკი მედო და შხამიანი კვამლის სურნელს ღრმად ვისუნთქავდი. საფეთქლები გამეყინა. ცისფერი კვამლი ნიავმა აქეთ-იქით გაფანტა. ვიღაცის მზრუნველ ხელს თამბაქოს ბალახში ჰაშიშის მარცვლები გაერია. უფსკრულს ჩავშტერებოდი. ნისლში მოგონებები ამომიტივტივდა: ჩემი ოთახი ბაქოში, კედელზე გაკრულ ხალიჩაზე გამოსახული მებრძოლი რუსტამი. ოდესღაც იქ ვიწექი, აბრეშუმის რბილ საბანში გახვეული. გონს რომ მოვეგე, გვერდი საშინლად მტკიოდა, უკვე გადახვეული მქონდა. მეორე ოთახიდან ჩუმი ნაბიჯები და თავშეკავებული ხმები მესმოდა. ყურთასმენა დავძაბე, თანდათან ხმაც მაღლდებოდა.

– ვწუხვარ, პოლიციის კომისარო, მე თავადაც არ ვიცი, სადაა ჩემი ვაჟი. ვფიქრობ, თავის ბიძასთან სპარსეთში ხომ არ გაიქცა. – მომესმა მამაჩემის ლაპარაკი და მერე კომისრის გაშმაგებული ხმაც ჩამესმა:

– თქვენი ვაჟის მიერ ჩადენილი მკვლელობის გამო

დაჭერის ბრძანებაა გაცემული. ჩვენ მას სპარსეთშიც მოვძებნით.

— მოხარული ვიქნები, ყოველი მართლმსაჯულება გაამართლებს ჩემს ვაჟს, რადგან მან ეს აფექტის მომენტში ჩაიდინა, მეტსაც გეტყვით, უფრო შემთხვევით, ვიდრე სამართლის აღსავლენად. თუმცა...

მერე დუმილი ჩამოწვა. ფულის ჩხრიალის ხმა გავიგე, თუ მეჩვენებოდა, არ ვიცი... და კვლავ კომისრის ხმა:

— ხო, ხო, ეს ახალგაზრდები, როგორ გაუფრთხილებლად ეპყრობიან ხანჯალს. მე მხოლოდ უბრალო სახელმწიფო მოხელე ვარ, გულწრფელად თანავუგრძნობ. ბიჭი ქალაქში არ უნდა გამოჩნდეს. მაგრამ დაპატიმრების ბრძანება სპარსეთშიც უნდა გავგზავნო.

კვლავ დუმილი ჩამოწვა. ნაბიჯების ხმაც მიჩუმდა. ჩემ წინ ხალიჩაზე ამოქარგულ ასოების მწკრივს თვალი გავადევნე, ლაბირინთივით იყო. მზერა ასო ნ-ზე შევაჩერე. უცბად ჩემკენ ვიღაცეების სახეები დაიხარა, რაღაცას ბუტბუტებდნენ გაურკვევლად. მერე კი საწოლში ვიჯექი, ჩემ წინ ილიას ბეგი და მეჰმედ ჰაიდარი იდგნენ, ფორმები ეცვათ და იცინოდნენ:

— მოვედით, უნდა გამოგემშვიდობოთ, ფრონტის წინა ხაზზე გადაგვიყვანეს.

— როგორ?

— ნინო სახლში მივიყვანე. მთელი გზა ჩუმად იყო. მერე ისევ უაზარმაში დავბრუნდით. რამდენიმე წუთში ყველაფერი გაუგიათ. მელიქოვი, პოლკის კომენდანტი ოთახში ჩაიკეტა და გამოთვრა. ცხენის დანახვაც აღარ უნდოდა. საღამოს ბრძანა, ცხენი მოეკლათ, თავად კი ფრონტზე გაწვევა ითხოვა... მამას კი შეეძლო სამხედრო სასამართლოსთან საქმის მოგვარება, მაგრამ ასე ვარჩიეთ. პირდაპირ ფრონტის წინა ხაზზე გაგვიწვიეს.

— მაპატიეთ, ყველაფერი ჩემს სინდისზეა.

ორივემ იუარა:

— არა, შენ გმირი ხარ, კაცურად მოიქეცი. ჩვენ შენით ვამაყობთ.

— ნინო ნახეთ?

სახეზე ორივეს ღიმილი გაუქრა.

— არ გვინახავს. — თქვეს ცივად. მერე გულმხურვალედ გადამეხვივნენ და გამომემშვიდობნენ:

— ჩვენზე ნუ წუხხარ, ჩვენ კარგად ვიქნებით.

ბალიშებში ჩაფლული ვიწექი. თვალები წითელ ხალიჩაზე მქონდა მიბჯენილი. საბრალო მეგობრები! ჩემი ბრალია. ძილ-ბურანში გავირიყე. ყველაფერი აწმყოსეული ისევ სადღაც გაქრა. ბურუსში ნინოს სახე დაცურავდა, ხან სერიოზული, ხან მომღიმარი. უცბად მხარზე ვიღაც შემეხო, სპარსულად ნათქვამი მომესმა:

— ჰაშიში თუ უშველის ამას დარდის გაქარვებაში. — და პირში მუნდშტუკი ჩამიდეს.

გაბრუებულს ისევ ვიღაცის ხმა ჩამესმა:

— პატივცემულო ხან, ეს რა უბედურება დაგვემართა! იმის სათქმელად მოვედი, რომ ჩემი გოგო თქვენმა ბიჭმა უნდა შეირთოს. მალე უნდა დაქორწინდნენ.

— არა, თავადო, ალი ხანს არ შეუძლია იქორწინოს. ის ახლა ყანლია, რომელსაც ნახარარიანის სისხლისთვის შურის საძიებლად დასდევენ. სპარსეთში გავგზავნე. მისი სიცოცხლე ყოველ წუთს საფრთხეშია. თქვენს ქალიშვილს არ შეეფერება!

— საფარ ხან, მე თქვენ პატივს გცემთ, ჩვენ შვილები უნდა დავიცვათ. გავგზავნოთ ინდოეთში, ესპანეთში. ჩემს გოგონას სახელი გაუტეხეს, ახლა ქორწინება თუ გადაარჩენს.

— ეს ალი ხანის ბრალი არ არის, ჩემო თავადო. მოძებნეთ ვინმე რუსი, თუნდაც სომეხი.

— რას ბრძანებთ! ფარული გაქცევა ღამით?... ეს გასაგებიცაა ჩვენს დროში.... თქვენი ვაჟი ნაჩქარევად მოიქცა, სრულიად მცდარი ეჭვის გამო. თვითონვე უნდა გამოასწოროს.

– არა, თავადო, ალი ხანს არ შეუძლია.

– მეც მამა ვარ, საფარ ხან!

ხმები მიჩუმდა. სამარისებური სიჩუმე გამეფდა. ეს ჰაშიშის მარცვლები ჭიანჭველებს ჰგავდა. ნახვევები ჩამომიცურდა და ხელით შევეხე ჩემს ჭრილობას, ჩემი სხეულის პირველ სიამაყეს. ნელ-ნელა წამოვდექი და ხელის ცეცებით ოთახში გავიარე. გული მძლავრად მიცემდა. შეშინებული მოსამსახურეები გაშტერებულნი შემომცქეროდნენ. უცბად კარი გაიღო და მამა შემოვიდა. ერთ ხანს დუმდა. აქეთ-იქით აწყდებოდა მღელვარედ. მერე გაჩერდა და წამოიწყო:

– პოლიცია ყოველდღე მოდის. ნახარარიანის სისხლისა ყველა შენ გეძებს. ხუთი მათგანი სპარსეთში გასამგზავრებლადაც კი მზადაა. მელიქოვებიც გამწარებულნი არიან ცხენის გამო. ოცი კაცი დავაყენე სახლთან საყარაულოდ.

მდუმარედ დავჩერებოდი იატაკს. მამამ მხარზე ხელი დამადო და თბილად მომმართა:

– ვამაყობ შენით, ალი ხან, ძალიან ვამაყობ. მეც ასევე მოვიქცეოდი.

– კმაყოფილი ხარ, მამა?

– ჰო, ძალიან, მაგრამ ერთი რამე მითხარი, – მომეხვია და თვალებში ღრმად ჩამხედა, – ქალი რად არ მოკალი?

– არ ვიცი, მამა, ძალიან დაღლილი ვიყავი.

– უკეთესი იქნებოდა, შვილო, თუმცა ახლა ძალზე გვიანია. მაგრამ არ გსაყვედურობ. მთელი ოჯახი ვამაყობთ შენით.

– ახლა რა მოხდება, მამა?

ის წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და ამოიოხრა.

– შენი აქ დარჩენა შეუძლებელია. სპარსეთშიც არ შეიძლება წასვლა. პოლიცია და ორი ძლიერი ოჯახი გეძებს. უმჯობესი იქნება, თუ დაღესტანში წახვალ, ერთ-ერთ აულში. იქ, ალბათ, ვერავინ გიპოვის, ვერც სომეხი და ვერც

პოლიცია.

— რამდენი ხნით, მამა?

— ძალიან დიდი ხნით. ვიდრე პოლიციასაც და მოსისხლე ოჯახსაც მომხდარი არ გადაავიწყდება და არ შემოგვირიგდებიან. ხშირად მოგინახულებ ხოლმე.

ღამით გავემგზავრე მახაჩყალისაკენ. მთებში გადავედით და ტანდაბალი, გრძელფაფრიანი ცხენებით ვიწრო ბილიკებით შორეული, უკიდეგანო უფსკრულისპირა აულისაკენ გავემართეთ. ახლაც აქ, დაღესტნური სტუმართმოყვარეობის საიმედო მფარველობის ქვეშ ვიმყოფები. „ყანლი“ — ამბობდნენ ჩემი შემხედვარე სოფლელები და მზრუნველობით მირევდნენ ჰაშიშს თამბაქოში. ბევრს ვეწეოდი და მოჩვენებებით გაწამებული განუწყვეტლივ ვდუმდი. მამაჩემის ძველმა მეგობარმა ყადი მოლამ შემიფარა სტუმართმოყვარე კალთის ქვეშ. გაუთავებლად მიამბობდა ძველ ამბებს და შიგადაშიგ სიზმრისეულ ხილვებს მირღვევდა:

— ნუ თვლემ, ალი ხან, მომისმინე, ნუ ფიქრობ. ანდალალის ამბავი გაგიგონია? იცი კი, რა არის ანდალალი? ეს იყო ერთი ლამაზი სოფელი. ექვსასი წლის წინ ამ სოფელს ჭკვიანი, კეთილი და მამაცი თავადი მართავდა. ხალხმა ვერ იგუა იმისი სიკეთე და ერთ მშვენიერ დღეს განუცხადა, მოგვბეზრდა შენი მმართველობა, უნდა დაგვტოვოო.

თავადი ტირილით გამოემშვიდობა თავისიანებს, ცხენს მოაჯდა და შორს, სპარსეთში გადაიხვეწა. იქ ის დიდი კაცი გახდა. შაჰი აფასებდა იმის სიტყვას. უამრავი ქვეყანა დაიპყრო, მაგრამ გულში, როგორც ჩანს, სოფელ ანდალალზე ბოროტება ჩაიდო და შაჰს უთხრა, ეს სოფელი სავსეა ძვირფასი ქვებით და უნდა დავიპყროთო.

შაჰი დიდი ჯარით მოადგა სოფელს. ანდალალის ხალხმა კი შეუთვალა: „ჩვენ აქ, ზემოთ, ცოტანი ვართ. თქვენ მანდ, ქვემოთ, ჩვენზე ბევრნი ხართ, მაგრამ ორივეზე მაღლა ორივეზე ძლიერი ალაჰი დგას!“ სოფელში თავი მოიყარა

ყველამ, დიდმა თუ პატარამ, მოხუცმა თუ ახალგაზრდამ, ქალმა თუ კაცმა და მტერზე გაილაშქრა. თვით თავადის ვაჟებიც იბრძოდნენ წინა რიგებში. სპარსელები დამარცხდნენ. შაჰი პირველი გარბოდა. მოღალატე თავადიც უკან მისდევდა.

გავიდა ათი წელი. თავადი მოხუცდა, მიატოვა სასახლე თეირანში და სამშობლოში დაბრუნდა. თანასოფლელებმა მოღალატე ამოიცნეს, აფურთხებდნენ და კარს ცხვირწინ უკეტავდნენ. მთელი დღე დადიოდა თავადი სოფელში ცხენით, მაგრამ მეგობარი ვერ იპოვა. მერე მივიდა ყადისთან და უთხრა, მე დავბრუნდი ჩემს სამშობლოში, რათა კანონის თანახმად ჩემი დანაშაული გამოვისყიდოო.

„შეკარით!" – ბრძანა ყადიმ. – „კანონის თანახმად ის ცოცხლად უნდა დაიმარხოს."

ხალხმა ერთხმად იღრიალა: „ეგ მაგის ღირსია!"

ყადი სამართლიანი იყო, მოღალატეს მიუბრუნდა და ჰკითხა: „რა შეგიძლია თქვა თავის დასაცავად?"

„არაფერი, დამნაშავე ვარ. მიხარია, რომ აქ ასე ასრულებენ მამა-პაპეულ ადათებს. მაგრამ ერთი ადათიც არსებობს: ვინც მამის წინააღმდეგ იბრძვის, სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ამიტომ მოვითხოვ: ჩემი ვაჟები ჩემ წინააღმდეგ იბრძოდნენ და მათ ჩემს საფლავზე თავები უნდა მოჰკვეთონ."

„ეგრე იყოს!" – თქვა ყადიმ და ხალხთან ერთად ატირდა, რადგან მოღალატის ვაჟები დაფასებულნი და პატივცემულნი იყვნენ სოფელში. კანონი უნდა აღსრულებულიყო. მოღალატე თავადი ცოცხლად დამარხეს, ქვეყნის საუკეთესო მებრძოლებს, თავადის ვაჟებს კი მის საფლავზე თავები მოჰკვეთეს.

– სულელური მონაჩმახია. უკეთესი არაფერი იცი? შენი გმირი ექვსასი წლის წინ ცხოვრობდა, თანაც მოღალატე ყოფილა. – ჩავიბურდღუნე მე.

ყადი მოლას ეწყინა, მაგრამ მაინც განაგრძო:

– კარგი, მაშინ იმამ შამილზე მოგიყვები. ორმოცდაათი წელი გავიდა მას მერე. მაშინ ხალხი ბედნიერად ცხოვრობდა, არც ღვინო იყო, არც თამბაქო. კანონი კანონობდა, ქურდს ქურდობისთვის მარჯვენა ხელს აჭრიდნენ, ისე, ქურდობა არც იყო, ვიდრე რუსები შემოვიდოდნენ.

იმამ შამილს წინასწარმეტყველი გამოეცხადა და უბრძანა ღაზავათი – წმინდა ომი წამოეწყო. მთის ყველა ხალხი საშინელი ფიცით იყო შამილთან შეკრული. მაგრამ რუსები უფრო ძლიერები გამოდგნენ. ისინი ჩეჩნებს ემუქრებოდნენ, სოფლებს და მინდვრებს უწვავდნენ. ბრძენმა კაცებმა გადაწყვიტეს დარგუში, იმამ შამილის სამფლობელოში ჩასულიყვნენ, რომ მისთვის მთის ხალხის ფიცისაგან განთავისუფლება ეთხოვათ. იმამთან მისულებმა ლაპარაკი ვერ გაბედეს და იქიდან მის დედასთან, ხანუმთან წავიდნენ.

ხანუმს კეთილი გული ჰქონდა. ის ჩეჩნების ტანჯვამ აატირა და დაჰპირდა, იმამს დაველაპარაკები, იქნებ გაგათავისუფლოთ ფიცისგანო. ხანუმს გავლენა ჰქონდა შვილზე, იმამიც პატივს სცემდა დედას. ერთხელ იმამს ასეთი სიტყვებიც უთქვამს – წყეულიმც იყოს ის შვილი, ვინც დედას გულს ატკენსო. როცა ხანუმი იმამს დაელაპარაკა, მან ასე უპასუხა: „ყურანი კრძალავს ღალატს. ყურანი იმასაც კრძალავს, რომ დედას შეეპასუხო. მე აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. ვილოცებ და ვიმარხულებ, რომ ალაჰმა გამინათოს გონება და სწორი გადაწყვეტილება მიმაღე-ბინოს."

იმამი სამი დღე და სამი ღამე გამოიკეტა ოთახში, იმარხულა, ილოცა. შემდეგ ხალხთან გამოვიდა და თქვა: „ალაჰმა მაუწყა, ვინც პირველმა წამოიწყო ღალატზე ლაპარაკი, ჯოხის ასჯერ დარტყმით დაისაჯოსო. ეს დედაჩემი იყო. მე ვსჯი მას." ხანუმი მოიყვანეს. შეიარაღებულმა კაცებმა ჩადრი ჩამოაგლიჯეს, ჩადრი მეჩეთის კიბეზე დაეცა.

ერთი დარტყმა მიიღო მშობელმა იმამისგან, მერე კი მუხლებზე დაეცა ტირილით და იყვირა: „რკინისაა ყოვლადდღეგრძელის კანონები. ვერვინ აღუდგება, ვერც მე. ძნელია მათი დაცვა, ჩემთვისაც ძნელია. ერთის უფლებას მაინც გაძლევს ყურანი – მშობლის სასჯელი შვილს შეუძლია აიღოს." ასე აიღო იმამმა დედის სასჯელი საკუთარ თავზე, ზურგი მოიშიშვლა მთელი ხალხის წინაშე, დაწვა მეჩეთის კიბეზე და ბრძანა: დამკარით, მთელი ძალით დამკარით, ნურაფრად ჩააგდებთ, რომ იმამი ვარ. თუ ვინმეს შევამჩნიე, რომ დარტყმისას მზოგავს, ვებრალები და მთელი ძალით არ მარტყამს, თავს წავაჭრი."

ოთხმოცდაცხრამეტი დარტყმა მიიღო იმამმა. სისხლის ნაკადში იწვა. კანი სულ დაგლეჯილი ჰქონდა. ხალხი შეძრა ამ სანახაობამ. აღარავის გაუბედავს ამის მერე ღალატზე ლაპარაკი. ასე იმართებოდა მთები ორმოცდაათი წლის მანძილზე და ხალხიც ბედნიერი იყო.

ვდუმდი. სადღაც მაღლა ღრუბლებში არწივი გაუჩინარდა. ბინდდებოდა. ყადი მოლამ სალოცავი ნოხი გაშალა. ჩვენ პირით მექისკენ შებრუნებულნი ვლოცულობდით. სიმღერასავით ჟღერდა არაბული ლოცვები.

– ახლა წადი, ყადი მოლა. შენ ნამდვილი მეგობარი ხარ. ახლა იქნებ დავიძინო.

იმედგაცრუებულმა გამომხედა. ოხვრით ამირია თამბაქოში ჰაშიშის მარცვლები. მერე კი წავიდა. გავიგონე, მეზობელს რომ უთხრა:

– ყანლი ძალიან ავადაა.

იმან კი უპასუხა:

– დაღესტანში მალე გამოჯანმრთელდება.

XIX თავი

სოფელში ბატებივით დამწკრივებულნი მოემართებოდნენ ქალები და ბავშვები. ეტყობა, შორი გზიდან ბრუნდებოდნენ. გადაღლილი, დაძაბული სახეები ჰქონდათ. ხელში სასუქითა და მიწით სავსე ტომრები ეჭირათ. თითქოს ძვირფასი განძიაო, გულში ისე იხუტებდნენ. როგორც ჩანს, შორეულ ხეობაში შეეგროვებინათ და ამისათვის თავიანთი ცხვრები, ვერცხლის ფული და ქსოვილები გაეღოთ. უნდოდათ, თავიანთი მშობლიური სალი კლდეების ზედაპირი ძვირფასი მიწით დაეფარათ, რომ ღარიბ მიწას მარცვალი გამოეღო და სოფელი გამოეკვება. დაღესტნის ციცაბო კლდეებზე შეფენილი მინდვრები სამი გოჯი სიგანისა და ოთხი გოჯი სიგრძისა იქნებოდა. ხევზე მინდვრები დამრეცად ეკიდა. გლეხებს ფეხი რომ არ დასცურებოდათ, ფრთხილად, ჯაჭვზე მობმულნი მიიწევდნენ მაღლა. ყოველ მინდორთან კედელი აღემართათ, რომ თხელი მიწის საფარი ქარისაგან და ზვავისაგან დაეცვათ. კაცები დილაადრიან გადიოდნენ მინდორში სამუშაოდ. გლეხი დიდხანს ლოცულობდა, ვიდრე მიწის მადლს შეეხებოდა. დიდი ქარის დროს ქალებს საბნები გამოჰქონდათ და ძვირფას მიწას აფარებდნენ. ყოველ ნათესს ეფერებოდნენ თავიანთი გამხდარი, გარუჯული ხელებით. მომწიფებულ ღეროებს პატარა ცელებით ჭრიდნენ, მერე მარცვალს ლეწავდნენ და მოგრძო, ბრტყელ პურებს აცხობდნენ. პირველ პურში ბუნების საოცრებისათვის მადლობის ნიშნად ვერცხლის ფულს აყოლებდნენ.

პატარა მდელოს კედელ-კედელ მივუყვებოდი. მაღლა კლდეებზე ცხვარი შეფენილიყო. ერთი ფართო ნაბდის ქუდიანი გლეხი ორთვალა ურმით მოდიოდა. თვლები ისე

ჭრიჭინებდა, კარგა შორ მანძილზეც გაიგებდა კაცი.

– ძმაო, ბაქოში მივწერ, ზეთი გამოაგზავნონ, ურმის ბორბლები რომ დაზეთო. – ვუთხარი მე მისალმების შემდეგ.

გლეხი გაბრაზდა:

– მე უბრალო კაცი ვარ, დასამალი არაფერი მაქვს, დაე, ყველამ გაიგოს, რომ მოვდივარ. არასოდეს დავზეთავ ჩემს ურემს, ამას მხოლოდ აბრაგები აკეთებენ.

– აბრაგები?

– დიახ, აბრაგები, განკიცხულნი.

– ბევრი აბრაგია ამქვეყნად?

– საკმაოდ არიან – ქურდები, მკვლელები. ზოგიერთი ხალხის საკეთილდღეოდ სჩადის ამას, ზოგიც ანგარებისათვის. მაგრამ ყოველმა მათგანმა საშინელი ფიცი უნდა აღასრულოს!

– რა ფიცი?

გლეხმა ურემი შეაჩერა, გადმოვიდა და იქვე მინდვრის კედელს მიეყრდნო. მერე მარილიანი ცხვრის ყველი გადმოიღო და გრძელი თითებით ნახევარი მომიტეხა. მეც გამოვართვი. ყველის ნაჭერში ცხვრის ბეწვი იყო ჩახვეული, მაგრამ მაინც შევჭამე.

– იცი, რას ნიშნავს აბრაგის ფიცი? თუმცა შენ რა იცი. ის შუაღამით იპარება მეჩეთში და ფიცს დებს: „ვფიცავ წმინდათა-წმინდა ადგილს, რომელსაც პატივს ვცემ, დღეის მერე განკიცხული გავხდე. მე ადამიანთა სისხლი მწყურია, ვფიცავ, არავინ შევიბრალო; ვფიცავ, დევნა დავუწყო ადამიანებს. ყველას მოვპარო ის, რაც უღირთ და რასაც აფასებენ. დედას მკერდზე დავაკლა ძუძუმწოვარა ბავშვები, უღატაკესი მათხოვრის ქოხს ცეცხლი წავუკიდო. ვფიცავ, ბოროტება დავთესო ყველგან, სადაც აქამდე სიხარული სუფევდა. და, თუ ეს ფიცი არ შევასრულო, თუ ჩემს გულს სიყვარული და სიბრალული შეეპაროს, ვეღარასოდეს ვიხილო მამაჩემის საფლავი, მწყუროდეს და წყალმა წყურვილი ვერ მომიკლას, მშიოდეს და პურმა ვერ დამაპუროს, მოკვდე და ჩემი ლეში

ძაღლების საჯიჯგნი გახდეს."

გლეხის ხმა დამაჯერებლად და გულწრფელად ჟღერდა. სახე მზისკენ ჰქონდა მიშვერილი.

– დიახ, ესაა აბრაგის ფიცი.

– და ვინ დებს ამგვარ ფიცს?

– ადამიანები, რომელთაც უამრავი ტანჯვა აქვთ გადატანილი.

ის გაჩუმდა. შინ წავედი. აულის ოთხკუთხა სახლები კამათლებივით იყო ჩარიგებული. მზე დაჰნათოდა სოფელს. მე თვითონაც აბრაგი ხომ არ ვიყავი, ამ აულში შემოხიზნული? მეც ხომ არ უნდა დავდო ეს ფიცი? სოფელში დავეხეტებოდი. გლეხის ნათქვამი ეს იდუმალი სიტყვები ისევ მაცდურად ჩამესმოდა ყურებში.

ჩემი ქოხის წინ სამი შეკაზმული ცხენი დამხვდა, ერთ-ერთ მათგანს ვერცხლის აღვირი ჰქონდა. სახლის ტერასაზე თექვსმეტი წლის მსუქანი ყმაწვილი იჯდა, ქამარში ოქროს ხანჯალი ჰქონდა გარჭობილი. დანახვისთანავე გამიცინა და ხელი დამიქნია. ეს არსლან აღა იყო, ჩემი ყოფილი სკოლელი. მდიდარი მენავთობის ვაჟი. სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა და ამიტომ ხშირად დადიოდა კისლოვოდსკის წყლებზე. წესიერად არც კი ვიცნობდი, რადგან ჩემზე ბევრად უმცროსი იყო. მაგრამ აქ, ამ მთის სოფელში, ამ მარტოობაში შეხიზნულმა, დავინახე თუ არა, ძმასავით გადავეხვიე. სიამაყისგან გაწითლდა და თქვა:

– მსახურებთან ერთად სოფელს ჩავუარე და გადავწყვიტე, მომენახულებინე.

მხარზე ხელი დავკარი:

– ჩემი სტუმარი იყავი დღეს, არსლან აღა, სამშობლოს პატივსაცემად ვიქეიფოთ.

მერე ქოხში შევძახე:

– ყადი მოლა, სუფრა გაშალე. სტუმარი გვყავს ბაქოდან.

უკვე ნახევარი საათის შემდეგ პირისპირ ვისხედით მე და არსლან აღა. ის მადიანად შეექცეოდა შემწვარ ცხვრის

ხორცს, ნამცხვარს და სიამოვნებისაგან თაფლად იღვრებოდა:

– მიხარია თქვენი ნახვა, ალი ხან. გმირი ხართ, ნამდვილი გმირივით შორეულ სოფელში ცხოვრობთ და მოსისხლე მტერს ემალებით. შეგიძლიათ მშვიდად იყოთ. არავის ვეტყვი თქვენს ადგილსამყოფელს.

როგორ შემეძლო, მშვიდად ვყოფილიყავი?! აშკარაა, მთელმა ბაქომ იცოდა, სად ვიმალებოდი.

– როგორ გაიგეთ, სად ვიყავი?

– სეიფდ მუსტაფამ მითხრა. მე ვთხოვე, ავუხსენი, რომ გზად მაინც აქეთ უნდა ჩამომევლო. მოკითხვა შემოგითვალათ.

– სად მიემგზავრებით, არსლან აღა?

– კისლოვოდკში, წყლებზე. თან ორი მსახური მახლავს.

– ოჰო, ასეა?! – გამეცინა მე, – მითხარით გულწრფელად, პირდაპირ მატარებლით რატომ არ წახვედით?

– მთის ჰაერის ჩაყლაპვა მინდოდა. მახაჩყალაში ჩამოვედით და კისლოვოდსკისაკენ მიმავალ გზას დავადექით. – ლაპარაკობდა და თან ნამცხვრით ჰქონდა პირი გამოტენილი.

– კი მაგრამ, კისლოვოდსკისაკენ პირდაპირ მიმავალი გზა ხომ აქედან სამი დღის სავალზეა?

არსლან აღას ვითომ ძალიან გაუკვირდა:

– მართლა? ალბათ შეცდომით მითხრეს. მაგრამ მე მაინც მიხარია, თქვენი ნახვის შესაძლებლობა რომ მომეცა.

როგორც ჩანს, შემოვლითი გზა აირჩია, რომ მერე შინ მოეყოლა, როგორ მნახა. ეტყობა, იმ ამბის მერე ძალზე პოპულარული გავხდი ბაქოში.

ღვინო დავუსხი. ისიც ხარბად ეწაფებოდა. მალე ისე ალაპარაკდა, ყველაფერი დაფქვა:

– ამ პერიოდში კიდევ ხომ არ მოგიკლავთ ვინმე, ალი ხან? გთხოვთ, მითხარით, ნუ დამიმალავთ, არავის მოვუყვები.

– კი, რამდენიც გინდა.

– არა, მართლა?!

ის აღფრთოვანებული ლაპარაკობდა და ღვინოს ეწაფებოდა. მეც არ ვაყოვნებდი დასხმას.

– ნინოს კიდევ შეირთავთ? ქალაქში ამაზე სანაძლეოებს დებენ. ზოგი ამბობს, რომ ისევ გიყვართ. იცით, მთელი ქალაქი მხოლოდ ამაზე ლაპარაკობს.

– მართლა? ახალი რა არის ბაქოში, არსლან აღა?

– ბაქოში? არაფერი! ახალი გაზეთი დაარსდა. მშრომელები აჯანყებას აპირებენ. სკოლაში მასწავლებლები ისეთი აუტანლები გახდნენ. მითხარით, ალი ხან, როგორ დააღწიეთ მათ თავი?

– ძვირფასო არსლან, კმარა შეკითხვები. ახლა ჩემი ჯერია. ნინო ნახეთ? ან ვინმე ნახარარიანელი? რას შვრებიან ყიფიანები?

საბრალოს ნამცხვარი ყელში გაეჩხირა.

– ოხ, მე არაფერი ვიცი, სრულიად არაფერი, არავინ მინახავს. ძალიან იშვიათად გავდივარ გარეთ.

– რატომ, ჩემო მეგობარო? ავად ხართ?

– დიახ, დიახ, ავად ვიყავი, ძალიან ავად. დიფტერია მქონდა. წარმოიდგინეთ, ყოველდღიურად ხუთ ოყნას მიკეთებდნენ.

– დიფტერიის საწინააღმდეგოდ?

– დიახ.

– დალიეთ, არსლან აღა, ეს კარგია ჯანმრთელობისთვის.

და ისიც სვამდა. მერე მისკენ გადავიხარე და ვკითხე:

– ძვირფასო მეგობარო, უკანასკნელად როდის თქვით სიმართლე?

უმანკო თვალებით მომაჩერდა და გულწრფელად თქვა:

– სკოლაში, როცა ჯერ კიდევ ვიცოდი, რამდენია სამჯერ სამი.

უკვე ძალიან მთვრალი იყო. საცოდავს დაკითხვა მოვუწყე. ღვინო ძალიან მათრობელა იყო, საბრალო ბიჭი კი ჯერ ძალიან ახალგაზრდა. გამომიტყდა, აქ წმინდა წყლის

ცნობისმოყვარეობამ მომიყვანაო. იმაშიც გამომიტყდა, რომ არც დიფტერია ჰქონდა და ბაქოს ყველა ჭორიც იცოდა.

– ნახარარიანები მოკვლით გემუქრებიან. – წამოაყრანტალა მან, – მაგრამ შესაფერის მომენტს ელოდებიან, არ ჩქარობენ. ზოგჯერ სტუმრად ყიფიანებთანაც დავდივარ. ნინომ დიდხანს იავადმყოფა. თბილისში წაიყვანეს. ახლახანს დაბრუნდნენ. ერთ მეჯლისზე ვნახე. იცი, ღვინოს წყალივით ეტანებოდა, მთელი საღამო იცინოდა. მხოლოდ რუსებს ეცეკვებოდა. მშობლებს უნდათ, მოსკოვში გაგზავნონ, მაგრამ თვითონ არ უნდა. ყოველდღე გამოდის სასეირნოდ. თითქმის ყველა რუსი ნინოს ეტრფის.

– ილიას ბეგმა მედალი მიიღო. მეჰმედ ჰაიდარი დაჭრილი იყო. ნახარარიანის ვილა გადაწვეს. როგორც გავიგე, შენი მეგობრების ნამოქმედარია. და კიდევ ერთი: ნინომ ძაღლი შეიძინა, ყოველდღე უმოწყალოდ ეჩხუბება. არავინ იცის, რას ეძახის ძაღლს. ზოგი ამტკიცებს, ალი ხანსო, ზოგიც – ნახარარიანსო. მე კი ვფიქრობ, სეიდ მუსტაფას ეძახის. მამაშენიც ვნახე. სასტიკად გამაფრთხილა, მოგკლავ, რამე რომ დაგცდესო. ყიფიანებმა თბილისში სახლი იყიდეს. შეიძლება იქ გადასახლდნენ.

ისე გამოთვრა, შემეცოდა.

– არსლან აღა, რა გინდა, რომ გამოხვიდე?

მან უაზროდ გამომხედა და მიპასუხა:

– მეფე.

– რა?

– ჰო, ლამაზი ქვეყნის მეფე მინდა ვიყო და მრავალრიცხოვანი კავალერია მყავდეს.

– მერე?

– სიკვდილი.

– როგორ?

– ჩემი სამეფოს დაცვისას.

ძალიან ეწყინა, რომ გამეცინა.

– კარცერში ჩამაგდეს სამი დღით იმ სადისტებმა.

– სკოლაში?

– ჰო, აბა გამოიცანი, რატომ. გაზეთში დავწერე რაღაც, როგორ ეპყრობიან სკოლაში ბავშვებს. ღმერთო ჩემო, უნდა გენახა, ნამდვილი სპექტაკლი იყო.

– კი, მაგრამ, არსლან, ღირსეული ადამიანები როდის წერენ გაზეთებისთვის?

– მაინც დავწერ. მე ხომ შენი მეგობარი ვარ, ნუ გეშინია, შემიძლია საიდუმლოს შენახვა. მაგრამ შინ რომ დავბრუნდები, მაინც დავწერ შენზე, ისე რომ შენს სახელს არც ვახსენებ. აი, მაგალითად, ასე: „ჩვენი ხალხის ღირსეული ადათი ანუ გაქცევა მოსისხლე ეტრისაგან."

ბოლო ჭიქა გამოცალა, იქვე ქვეშაგებზე გადავარდა და მაშინვე ჩაეძინა. მისი მსახური შემოვიდა და უკმაყოფილოდ გამომხედა, თითქოს მეუბნებოდა, გრცხვენოდეთ, ალი ხან, საბრალო ბიჭი ასე რომ გამოათვრეთო.

გარეთ გავედი. ზედგამოჭრილი პატარა ვირთხაა ეს არსლანი, იქნებ ნახევარი მომატყუა კიდეც. რატომ უნდა ეჩხუბებოდეს ნინო ძაღლს? ღმერთმა უწყის, რას ეძახის თავის ძაღლს. სოფლის შარაზე მივაბიჯებდი. იქვე, ქვაზე ჩამოვჯექი. კლდეები მთვარის აჩრდილებივით აღმართულიყვნენ და მოღუშულნი იცქირებოდნენ, თითქოს სიზმრად რაღაცას ხედავენო. ჩაბნელებულ ცაზე ვარსკვლავები ბაქოს პატარა ნათურებივით კიაფობდნენ. შორეული ციდან წამოსული უამრავი სხივი თვალებს მჭრიდა. ერთი საათი ვიჯექი ასე და ცას შევცქეროდი.

„რუსებს ეცეკვება?!" – გამახსენდა არსლანის ნათქვამი და ქალაქში დაბრუნების სურვილი გამიჩნდა, რომ იმღამინდელი შეცდომა გამომესწორებინა. ხვლიკი გამოსრიალდა ჩემკენ. ხელში ავიყვანე. ვგრძნობდი სიკვდილის შიშით აფართხალებული მისი გულის ძგერას. ცივ კანზე ვეფერებოდი. გაშტერებული, დაბნეული თვალებით მიმზერდა. სახესთან ახლოს მივიტანე. შიშისაგან ცოცხალ

ქვას დამსგავსებოდა, კანიც დასჭკნობოდა და დაბერებოდა.

— ნინო! — დავუძახე და მყისვე ნინოს ძაღლი გამახსენდა, — ნინო, მეც უნდა გეჩხუბო? მაგრამ როგორ უნდა ეჩხუბოს ადამიანი ხვლიკს?!

უცბად პატარა არსებამ პირი გააღო. პაწაწინა, ბასრი ენა გამოჩნდა და ისევ გაქრა. გამეცინა ენის მოძრაობაზე, ისეთი სხარტი და გულისამაჩუყებელი იყო. ხელი გავშალე და გავუშვი. ხვლიკი მაშინვე გაუჩინარდა.

ავდექი და შინისაკენ გავბრუნდი. არსლანს ჯერ კიდევ ეძინა. თავი მზრუნველი მსახურის მუხლებზე ედო.

სახურავზე ავედი და ჰაშიშს ვეწეოდი, ვიდრე ლოცვის საათმა არ ჩამოჰკრა.

XX თავი

არ ვიცი, როგორ მოხდა. ერთ დღეს გავიღვიძე და ჩემს წინ ნინო იდგა.

– ძილისგუდა გამხდარხარ, ალი ხან, თანაც ხვრინავ. ეს შენ სულ არ გგავს. – თქვა მან და ლეიბის კიდეზე ჩამოჯდა ჩემს გვერდით.

წამოვდექი და გაოცება სულ არ შევიმჩნიე.

– ჰაშიშმა იცის. – ჩავილაპარაკე მოქუფრულმა.

ნინო ჩემკენ გადმოიხარა და ყურში ჩამჩურჩულა:

– მაშინ შეწყვიტე ჰაშიშის მოწევა.

– რატომ ეჩხუბები ძაღლს, შე შეუბრალებელო?

– ძაღლს? აჰ, ჰო, მარცხენა ხელით კუდით დავიჭერ ხოლმე და მარჯვენათი კი ზურგზე ვურტყამ, სანამ ყეფს.

– რა ჰქვია?

– კილიმანჯაროს ვეძახი. – თქვა მან ჩუმად.

თვალები მოვიფშვნიტე. კვლავ თვალწინ დამიდგა ნახარარიანი, ყარაბაღის ცხენი, მთვარით გაშუქებული მარდაკიანის გზა და ნინო სეიედის უნაგირზე.

უცბად წამოვხტი და ვიღრიალე:

– ნინო, როგორ გაბედე აქ ჩამოსვლა?

– არსლან აღამ მითხრა, რომ ჩემი მოკვლა გდომებია, ჰოდა, მეც მაშინვე ჩამოვედი.

ჩემკენ გადმოიხარა. თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

– შენსკენ მოვილტვოდი, ალი ხან.

უნებურად ხშირ თმაში შევუცურე ხელი. ახლოს მივიზიდე, გაპობილი ბაგეებიდან სახეზე ნოტიო სითბო მომელამუნა, თავი ვერ შევიკავე და მის ბაგეებს დავეწაფე. ფრთხილად გადავაწვინე ლეიბზე, ჭრელი მოსასხამი, ტანს რომ უბურავდა, შემოვაგლიჯე. კანის საამო სურნელებამ

დამათრო. რბილ თეთრ კანზე ნაზად ვეფერებოდი. მესმოდა მისი გახშირებული სუნთქვა. თვალებში შემომცქეროდა. ჩემს ხელებში მოქცეული პატარა მკერდი ერთიანად უფართხალებდა. უცბად მთელი ტანით ისე მძლავრად მივიზიდე, რომ თეძოების მოყვანილობასაც კი შევიგრძნობდი. სახით მის მკერდში ჩავიკარგე. „ნინო!" – ჩავილაპარაკე და თითქოს ამ სიტყვაში ყოფილიყო რაღაც იდუმალი, გამოუცნობი ძალა, უცბად ყველაფერი ხილული და არსებული ბურუსში გაეხვია. მხოლოდ ორ დიდ ცრემლებით დანამულ ქართულ თვალსღა ვხედავდი, რომლებშიც ერთდროულად შიში, სიხარული, ვნება, ცნობისმოყვარეობა თუ მოულოდნელობა, და ამავე დროს მწველი ტკივილიც ირეკლებოდა.

არა, არ ტიროდა, დარცხვენილმა უცბად საბანს დასტაცა ხელი და შიგ შეიყუჟა. მერე კი ჩემს მკერდში ჩარგო თავი. მისი გამხდარი სხეულის ყოველ მოძრაობას შევიგრძნობდი, და ყოველი ეს მოძრაობა მიწის ძახილს ჰგავდა, წყალობასავით გაღებული წვიმა რომ სწყუროდა. გადასაფარებელი კვლავ ჩამოვწიე და დროც გაიყინა...

ბედნიერებისა თუ დაღლილობისაგან ორივე ვდუმდით. ცოტა ხნის შემდეგ ნინომ დაარღვია დუმილი:

– ახლა კი სახლში წავალ, რადგან ვხედავ, შენ ჩემს მოკვლას არ აპირებ.

– მარტო მოხვედი?

– არა, სეიედ მუსტაფამ მომიყვანა. მითხრა, რომ წამომიყვანდა და მომკლავდა, თუ იმედს გაგიცრუებდი. გარეთ ზის რევოლვერით. თუ იმედი გაგიცრუე, დაუძახე.

მე არ დამიძახია. ნინოს ვაკოცე.

– მხოლოდ ამისთვის მოხვედი?

– არა. – თქვა მან გულწრფელად.

– მითხარი, ნინო, რატომ დუმდი იმ ღამეს, სეიედის ცხენზე რომ იჯექი.

– სიამაყისგან.

– და ახლა კი რატომ ხარ აქ?

– ისევ სიამაყის გამო. – მისი პატარა ხელი ავიღე და ხავერდოვან თითებს ვეთამაშებოდი.

– ნახარარიანი? – ვკითხე მე.

– ნახარარიანი? – ჩაილაპარაკა მან დაბნეულად, – არ იფიქრო, თითქოს ჩემი ნების საწინააღმდეგოდ მომიტაცა. ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი და მაშინ სწორად მიმაჩნდა. მაგრამ საშინელი შეცდომა დავუშვი. დამნაშავე ვარ და სიკვდილს ვიმსახურებ. ამიტომაც ვდუმდი მაშინ და ამიტომაც მოვედი აქ.

თბილ ხელისგულებს ვუკოცნიდი. სიმართლეს ამბობდა, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მხარე მკვდარი იყო და შეეძლო, სიცრუე ეთქვა. უცბად წამოდგა. ოთახში მიმოიხედა და მოღუშულმა დასძინა:

– ახლა კი შინ დავბრუნდები, ვალდებული არა ხარ, შემირთო. მოსკოვში წავალ.

წამოვდექი, კარი გამოვაღე და მიწაზე ფეხმორთხმულ სეიედს, რომელსაც რევოლვერი ეჭირა და მწვანე ქამარი მჭიდროდ შემოერტყა წელზე, გავძახე:

– სეიედ, ახლავე მოლა და მოწმეები მოიყვანე. ერთ საათში ცოლს ვირთავ.

– მოლა არ გვჭირდება. ორ მოწმეს მოვიყვან. ამ წესის აღსრულება თვითონაც შემიძლია, მაქვს ამის უფლება.

კარი მივხურე. ნინო ტახტზე იჯდა. შავი თმა მხრებზე ჩამოშლოდა. იცინოდა:

– ალი ხან, დაფიქრდი, რას აკეთებ! დაცემულ ქალს ირთავ ცოლად.

კვლავ გვერდით მივუწექი და ჩვენი სხეულები ერთმანეთს შეერწყა.

– მართლა გინდა ჩემი შერთვა?

– შენ თუ გინდა ჩემი ცოლობა? მე ხომ ყანლი ვარ. მტრები მეძებენ.

– ვიცი, მაგრამ აქ ხომ ვერ მოაღწევენ. აქ დავრჩეთ და

მორჩა.

— ნინო, მართლა გინდა ამ მთის ბუნაგში დარჩენა? სახლისა და მსახურების გარეშე?

— დიახ, თუ შენ აქ უნდა იყო, მეც აქ ვიქნები. სახლს მოვუვლი, პურს გამოვაცხობ და კარგ ცოლობას გაგიწევ. — თქვა მან.

— არ მოგწყინდება?

— არა, რატომ უნდა მომწყინდეს? ჩვენ ხომ ერთი საბნის ქვეშ ვიწვებით.

კარზე დააკაკუნეს. ტანთ გადავიცვი. ნინომ ჩემი ხალათი შემოიცვა. სეიედ მუსტაფა შემოვიდა, თავზე მჭიდროდ მოეხვია ჩალმა, უკან ორი მოწმე მოჰყვებოდა.

სეიედმა ცერემონიალი დაიწყო. იატაკზე დაჯდა. ქამრიდან თითბრის სამელნე ამოიღო. ქაღალდის გრაგნილი გააკეთა, მარცხენა ხელის გულზე დაიდო, მერე ბამბუკისგან გათლილი კალამი მელანში ჩააწო და მშვენიერი შრიფტით დაწერა: „უფლის ნებით, მაღალი ღმერთის სახელით...“ მერე მე მომიბრუნდა:

— თქვენი სახელი, ბატონო?

— ალი ხან, საფარ ხანის ძე შირვანშირი.

— სარწმუნოება?

— მაჰმადიანი, შიიზმის მიმდევარი. იმამ ჯაფარის მოძღვრებისა.

— თქვენი სურვილი?

— მე მსურს ეს ქალი ცოლად შევირთო.

— თქვენი სახელი, ქალბატონო?

— თავადის ასული ნინო ყიფიანი.

— რწმენა?

— ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანი.

— თქვენი სურვილი?

— ამ კაცის ცოლობა.

— თქვენს რწმენას დაიტოვებთ თუ ქმრისას მიიღებთ?

— ჩემსას დავიტოვებ. — თქვა ნინომ თავმომწონედ და

ცოტა გაბრაზებით.

სეიედმა დაწერა, რაც საჭირო იყო. გრაგნილი ხელისგულზე დაიხვია და მერე ლამაზად მოყვანილი ასოებით თარიღი დაასვა.

– ხელი მოაწერეთ! – თქვა მან.

ჩემი გვარი მოვაწერე. ნინოს ჯერი რომ მოვიდა, იკითხა:

– ახლა როგორ უნდა მოვაწერო ხელი?

– თქვენი ახალი გვარი!

და მან გარკვევით დაწერა: „ნინო ხანუმ შირვანშირი". მოწმეებმაც მოაწერეს ხელი. ბოლოს სეიედ მუსტაფამ ამოიღო თავისი წოდების ბეჭედი და ქაღალდს დაასვა. ზედ უმშვენიერესი ქუფური ხელრთვით ეწერა: „ჰაფიზ სეიედ მუსტაფა მაშჰადი, მონა სამყაროთა მეუფისა". და ხელმოწერილი გრაგნილი მე გადმომცა. მერე სეიედი მომეხვია და სპარსულად მითხრა:

– მე არა ვარ კარგი ადამიანი, ალი ხან. არსლან აღამ მიამბო, რომ იტანჯებოდი ნინოს გარეშე. და ამ მთებში ღვინოსა და ჰაშიშში იხრჩობდი თავს. ეს ცოდვაა. ნინომ მთხოვა, აქ ჩამომეყვანა. თუ ყველაფერი მართალია და ის უმანკოა, გიყვარდეს. თუ ტყუის, ხვალ მოვკლათ.

– სეიედ, ახლა აღარაა უმანკო, მაგრამ ნუ მოვკლავთ.

და სამივეს გაგვეცინა. ერთ საათში ჰაშიშის ჩიბუხი საზეიმოდ ჩაიკარგა უფსკრულში. აი, ასეთი ქორწილი გვქონდა.

მოულოდნელად ცხოვრებამ კვლავ დაიბრუნა თავისი ელფერი და ისევ მშვენიერი გახდა, თანაც ძალიან მშვენიერი.

მეც დამიბრუნდა ღიმილი. სოფელში რომ გავდიოდი, მეგონა, სოფელიც იღიმებოდა. საოცრად კარგად ვგრძნობდი თავს. ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ. სიამოვნებით გავატარებდი, ალბათ, მთელ ცხოვრებას აქ, ამ აულში, ამ პატარა ქოხის ბანზე, მხოლოდ ნინოსთან ერთად, ასეთი გამხდარი ფეხები რომ ჰქონდა და დაღესტნური მუქ-წითელი შეიდიში ეცვა. არაფერი შეშლია. არასოდეს უგრძნობინებია,

რომ სხვაგვარ ცხოვრებას, სხვაგვარ ფიქრსა თუ ქცევას იყო ჩვეული. ისევე იქცეოდა, როგორც ამ აულის სხვა ქალები.

სოფელში არავის ჰყავდა მსახური და ისიც უარობდა. თავადვე ამზადებდა საჭმელს, ჭორაობდა მეზობლის ქალებთან, მერე მეც მიამბობდა სხვადასხვა ჭორს. მე კი ცხენს დავაჭენებდი, სანადიროდ დავდიოდი, ნანადირევი მომქონდა და ნინოს ფანტაზიითა და გემოვნებით დამზადებულ უცნაურ კერძებს ვჭამდი.

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება ასე გამოიყურებოდა: დილაადრიან ნინო ფეხშიშველი, ცარიელი დოქით ხელში, წყაროზე ჩარბოდა. უკან რომ ბრუნდებოდა, ფრთხილად, მაგრამ ამაყად მოაბიჯებდა წვეტიან ქვა-ღორღზე, თან გამხდარი ხელით მაგრად ჰქონდა ჩაბღუჯული დოქი, რომელიც მარჯვენა მხარზე შემოედგა. ერთხელ, სულ პირველად, უცბად ფეხი წამოჰკრა და დოქი გაუტყდა. სირცხვილისაგან მწარედ იტირა. მეზობლები ამშვიდებდნენ. ყოველდღე მოჰქონდა წყალი სოფლის ქალებთან ერთად. დაწალიკებით მოაბიჯებდნენ. შორიდან ვხედავდი ნინოს შიშველ ფეხებს, მის ამაყ მზერას. ჩემკენ არ იყურებოდა. არც მე ვიყურებოდი მისკენ. სხვისი თანდასწრებით არასოდეს გამოვხატავდით სიყვარულს. მაშინვე აუღო ალღო აულის წესებს. როცა ქოხში შემოდიოდა, კარს კეტავდა, დოქს იატაკზე დადგამდა და წყალს გამომიწოდებდა, მერე გამოჰქონდა თაფლი, ყველი, პური და იატაკზე ფეხმორთხმულნი შევექცეოდით. ხელით ვჭამდით, როგორც ყველა ამ აულში. ნინომ საოცრად სწრაფად და ლამაზად ისწავლა ფეხმორთხმით ჯდომა. ყოველდღე ვტკბებოდით ერთიმეორის სიყვარულით.

ჭამის შემდეგ მომიცუცქდებოდა, თავის თეთრ კბილებს გამოაჩენდა ხოლმე და მეტყოდა:

– აქაური წესების მიხედვით, ახლა ფეხები უნდა დაგბანო, მაგრამ რადგან ჩვენ მარტონი ვართ, მდინარეზე ფეხშიშველი კი მე დავრბივარ, შენ ხომ არ დამბანდი

ფეხებს?!

და მეც ფეხებს წყალში ვაყოფინებდი პატარა მხიარულ თოჯინას, ისე ატყაპუნებდა, რომ სახეში წვეთები მესხმებოდა. მერე ბანზე ავდიოდით. ნინო მუხლებთან მეჯდა, ბალიშებზე. ზოგჯერ სიმღერას ღიღინებდა. ზოგჯერ კი მდუმარედ, ღვთისმშობლის სახით მომჩერებოდა.

— ბედნიერი ხარ? — მკითხა ერთხელ.

— ძალიან. შენ? ბაქო ხომ არ გენატრება?

— არა. მინდა გიჩვენო, რომ სხვა აზიელი ქალებივით შემიძლია ვემსახურო ჩემს ქმარს. — თქვა მან გულწრფელად.

ღამით ნავთის ლამპას ვაქრობდით და გვერდიგვერდ ვწვებოდით. ნინო სიბნელეს მიშტერებოდა და ბრძნულ აზრებს აფრქვევდა: მართლა სჭირდება თუ არა შემწვარ ცხვრის ხორცს ამდენი ნიორი, რა ურთიერთობა ჰქონდა რუსთაველს თამარ მეფესთან, რა უნდა ექნა, უცბად კბილი თუ ასტკივდებოდა, რატომ ეჩხუბა მეზობელი ქალი თავის ქმარს და ა.შ.

— რამდენი იდუმალებაა ცხოვრებაში. — იტყოდა ხოლმე შეფიქრიანებული და მაშინვე იძინებდა.

ღამ-ღამობით ზოგჯერ ეღვიძებოდა, იდაყვით შემანჯღრევდა, ამაყად ჩამჩურჩულებდა, მე ნინო ვარო, და გადაბრუნდებოდა. მეც მზრუნველად ვაფარებდი საბანს პატარა მხრებზე.

„ნინო მართლაც უკეთეს ცხოვრებას იმსახურებს, ვიდრე აქ, დაღესტნის ამ სოფელში აქვს.“ — გამიფიქრია ჩემთვის ხშირად.

ერთხელ მეზობელ პატარა ქალაქ ხუნძახში გავემგზავრე და უკან შენაძენით დავბრუნდი: ნავთის ლამპით, გრამოფონით, აბრეშუმის ქალაღაიით და კულტურის სხვა მიღწევებით. ნინომ გრამოფონი რომ დაინახა, სიხარულით თვალები გაუბრწყინდა. სამწუხაროდ, მთელ ხუნძახში ორად-ორი ფირფიტა ვიშოვე: ერთი მთიელების ცეკვა იყო, მეორე — არია ოპერიდან „აიდა“. ხან ერთს ვუსმენდით, ხან

– მეორეს, იმდენჯერ, რომ ბოლოს უკვე ერთმანეთისაგან ველარ ვარჩევდით.

ბაქოდან მწირი ამბები აღწევდა. ნინოს მშობლები გვირჩევდნენ, რომელიმე ცივილიზებულ ქვეყანაში გაემგზავრეთ, თორემ თქვენკენ საერთოდ აღარ გამოვიხედავთო. ნინოს მამა ერთადერთხელ ჩამოვიდა ჩვენს სანახავად და გაბრაზდა, თავისი ქალიშვილი ასეთ ქოხში რომ ნახა:

– ღვთის გულისათვის, ახლავე წამოდი, ნინო, თორემ ავად გახდები ამ გადაკარგულში და ველურებში.

– არასოდეს ვყოფილვარ ასეთი ჯანმრთელი, როგორც ახლა. არსადაც არ წავალ. არ მინდა, ნაადრევად დავქვრივდე.

– ჰო, მაგრამ ხომ არსებობს სხვა ნეიტრალური ქვეყანა, სადაც ნახარარიანები ვერ მოგწვდებიან, მაგალითად, ესპანეთი?

– როგორ წავა ახლა კაცი ესპანეთში, მამა?

– მაშინ, შვედეთში.

– არ წავალ შვედეთში, არ მინდა. – განაცხადა ბრაზმორეულმა ნინომ. მამამისი წავიდა. თავადი ნინოს ყოველთვიურად უგზავნიდა თეთრეულს, ნამცხვრებს, წიგნებს. ნინო წიგნებს იტოვებდა, დანარჩენს სხვებს ჩუქნიდა.

ერთ დღეს მამაჩემიც ჩამოვიდა. ნინო მორცხვი ღიმილით შეხვდა.

– საჭმელს შენ ამზადებ?

– დიახ.

– წყალიც შენ მოგაქვს?

– დიახ.

– გზამ დამღალა. შეგიძლია, ფეხები დამბანო? – ნინომ წყალი და ტაშტი მოიტანა და ფეხები დაჰბანა.

მამამ მადლობა გადაუხადა. ჯიბიდან მარგალიტის გრძელი ფარღული ამოიღო და ყელზე გაუკეთა. მერე ისადილა და დაასკვნა:

– შენ კარგი ცოლი გყავს, ალი ხან, მაგრამ ცუდი მზარეულია. ბაქოდან მზარეულს გამოგიგზავნით.

– არა, გთხოვთ, მე მინდა, ჩემს ქმარს თავად ვემსახურო.

მამამ გაიცინა და ქალაქიდან ბრილიანტის საყურეები გამოუგზავნა.

მშვიდობა იყო ჩვენს სოფელში. ომის ამბები ჩვენამდე არ აღწევდა.

მხოლოდ ერთხელ შეშინებული მოქანდა ყადი მოლა. სოფლის განაპირას ვიღაც უცხო შეიარაღებული სომეხი დაუჭერიათ, მე აულის სტუმარი ვიყავი და ვინმე თუ მომკლავდა, ეს თითოეული გლეხის ღირსების შელახვა იქნებოდა და მარადიულ ცოდვაში ჩაეთვლებოდათ. გარეთ გავედი, ის უცხო კაცი რომ მენახა. სომეხი კი იყო, მაგრამ არავინ იცოდა, მართლა ნახარარიანი იყო თუ არა. სოფლის თავკაცები შეიკრიბნენ, ბევრი იბჭეს და გადაწყვიტეს, მაგრად ეცემათ ეს სომეხი და სოფლიდან გაეგდოთ. თუ მართლა ნახარარიანი იქნებოდა, სხვებს გააფრთხილებდა, თუ არა და, ღმერთი ხომ შეიცნობდა სოფლის მცხოვრებთა კეთილ განზრახვას და აპატიებდა.

ომი თითქოს სხვა პლანეტაზე იყო. ჩვენ არაფერი გვესმოდა. მთები კვლავაც შამილისდროინდელი ზღაპრებით სულდგმულობდა. ბრძოლის ამბები ჩვენამდე საერთოდ არ აღწევდა. ზოგჯერ კი გვიგზავნიდნენ ჩვენი მეგობრები გაზეთებს, მაგრამ არ ვკითხულობდით. ერთხელ ნინომ მკითხა:

– იცი, რომ ომი გრძელდება?

გამეცინა:

– მართლა? სულ გადამავიწყდა ომის არსებობა.

ისეთი ბედნიერი ვიყავი, უკეთესს ვერც ვინატრებდი, თუნდაც ეს მომავალსა და წარსულს შორის ბოძებული, ღვთის შემთხვევითი საჩუქარი ყოფილიყო ალი ხან შირვანშირისათვის.

ერთ დღესაც ვიღაც მხედარმა წერილი მოგვიტანა. არც

მამაჩემისგან იყო, არც სეიედისგან. წერილს ეწერა: „არ-სლან აღასაგან ალი ხანისადმი“.

– რა უნდა? – მკითხა გაოცებულმა ნინომ.

– თქვენთვის უამრავი ბარათია, – მითხრა მხედარმა, რომელმაც წერილი მოიტანა, – მაგრამ არსლან აღამ ბევრი ფული მომცა, რომ მისი წერილი პირველი მომეტანა.

წერილი გავხსენი:

„ღვთის სახელით მოგესალმები, ალი ხან. როგორა ხარ? როგორ არიან ცხენები, ცხვრები და ადამიანები, რომლებ-თანაც შენ ცხოვრობ? მე კარგად ვარ, ჩემი ცხენებიც, ცხვრებიც, ხალხიც კარგადაა. იცი, ჩვენს ქალაქში დიდი ამბები მოხდა. პატიმრები, ციხეში რომ ისხდნენ, ახლა გარეთ დასეირნობენ. იკითხავ, პოლიცია სადღააო? ახლა პოლიცია ზის ციხეში. ფიქრობ, ალბათ, ჯარისკაცები სადღააო? აღარც ჯარისკაცები არიან. ვხედავ, ჩემო მეგობარო, თავს იქნევ გაკვირვებული, მაგრამ გაიგე – ჩვენ აღარც გუბერნატორი გვყავს. ჩვენი ჭკვიანი გუბერნატორი გუშინ გაიქცა. აქ მხოლოდ რამდენიმე შარვალი და კოკარდაღა დარჩა. დაიღალა ასეთი აუტანელი ხალხის მართვით. ახლა, ალბათ, იცინი და ფიქრობ, რომ გატყუებ. გაგიკვირდება და – არ გატყუებ! ახლა, ვიცი, იკითხავ, რატომ არ გზავნის მეფე ახალ პოლიციას და ახალ გუბერნატორსო? გაიგე – აღარ არის მეფე! საერთოდ აღარაფერი აღარ არის. არ ვიცი, ჯერ ამას რა დავარქვა. შენ წარმოიდგინე, გუშინ ჩვენი სკოლის დირექტორი ვცემეთ, მაგრამ არავის არაფერი უთქვამს. მე შენი მეგობარი ვარ, ალი ხან, და მინდა, ჯერ ჩემგან გაიგო. ვიცი, დღეს ქალაქიდან ბევრი მოგწერს, რომ ყველა ნახარარიანელი სახლში გაემგზავრა. პოლიციაც აღარ არის ქალაქში. თავისუფალი ხარ, ალი ხან!

შენი მეგობარი და მსახური

არსლან აღა“.

აულის ლამაზი ცხოვრება დასრულდა.

მე ნინოს შევხედე. უცბად ნინო მთლად გაფითრდა.

– ალი ხან, გზა ხსნილია, წასვლა შეგვიძლია! წასვლა

შეგვიძლია! წასვლა შეგვიძლია! – უცნაური ექსტაზით შეპყრობილი ერთსა და იმავეს იმეორებდა. ყელზე შემომეჭდო, ქვითინებდა და სიხარულით ჰაერში ფეხებს იქნევდა.

– ჰო, ნინო, რა თქმა უნდა, გავემგზავრებით.

ეს ამბავი თან მიხაროდა და თან მწყინდა კიდეც. მოშიშვლებული დიადი კლდეები ყვითლად ელვარებდა. ქოხები ფუტკრის სკებივით ჩამწკრივებულიყო. პატარა სამლოცველო უჩუმრად გვიხმობდა.

ჩვენი ცხოვრება აულში დამთავრდა.

XXI თავი

ადამიანების სახეებზე ბედნიერება თუ შიში ერთიმეორეში აღრეულიყო. ქუჩებში უაზრო წარწერებიანი ჭახჭახა წითელი ტრანსპარანტები ეკიდა. კუთხეებში აგიტატორები იდგნენ და ამერიკელი ინდიელებისა და აფრიკელი ლტოლვილების განთავისუფლებას მოითხოვდნენ. ფრონტი უკან იხევდა. დიდი მთავარი გაქრა. ქალაქში თავზეხელაღებული ჯარისკაცების ჯგრო დაეხეტებოდა. დღისით მაღაზიებს ძარცვავდნენ, ღამით სროლის ხმა ისმოდა განუწყვეტლივ.

ნინო ატლასს დასცქეროდა.

– ისეთ ქვეყანას ვეძებ, სადაც მშვიდობაა. – ჩაილაპარაკა და პატარა თითი ჭრელ სასაზღვრო ხაზს გააყოლა.

– იქნებ მოსკოვი ან პეტერბურგი? – ვკითხე დამცინავად. მხრები აიჩეჩა და თითით ნორვეგია მოხაზა.

– მართლაც მშვიდობიანი ქვეყანაა, მაგრამ როგორ მივალთ იქამდე?

– მართალი ხარ. იქამდე ვერ მივალთ. – ამოიოხრა, – ამერიკა? – გამომხედა ისევ.

– წყალქვეშა ნავით ხომ არ აპირებ გადაცურვას? – გავეხუმრე.

– იქნებ ინდოეთი, ესპანეთი, ჩინეთი ან იაპონია?

– ომს მაინც ვერსად წავუვალთ.

– სათაგურში ვართ, ალი ხან.

– ნინო, ხომ ხვდები, გაქცევის ცდა უაზრობაა. რამე უნდა მოვიფიქროთ, რომ ჩვენი ქალაქი გონს მოეგოს, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ თურქები აქ არიან.

– რისთვისა მყავს გმირი ქმარი? – თქვა მან საყვედურით. – ვერ ვიტან ამდენ ლოზუნგებს, ხმაურს და ყვირილს. ასე

თუ გაგრძელდა, ბიძაშენთან გავიქცევი სპარსეთში.

— ასე აღარ გაგრძელდება. — ვუთხარი და სახლიდან გამოვედი.

ისლამურ საქველმოქმედო კავშირში კრება ტარდებოდა. ხალხის მომავლი ბედით შეწუხებული მზრუნველი საუკეთესო ბატონები, ამას წინათ მამაჩემის სახლში რომ შეიკრიბნენ, დაბნეულები ჩანდნენ. მთელი დარბაზი კუნთმაგარი ბიჭებით იყო გადაჭედილი.

კართან ილიას ბეგს გადავეყარე. ის და მეჰმედ ჰაიდარი ფრონტიდან დაბრუნდნენ. ამ ქაოსმა, მეფის ტახტის დამხობამ ისინი ფიცისგან გაათავისუფლა. გარუჯულნი იყვნენ, ამაყად დადიოდნენ ქალაქის ქუჩებში და იმ ადამიანებს ჰგავდნენ, რომელთაც იხილეს ომი — ის სხვა სამყარო და გულში სამუდამოდ ჩაიბეჭდეს მისი იდუმალება.

— ალი ხან, რამე უნდა მოვიფიქროთ. მტერი ქალაქის ჭიშკარს მოადგა. — მომიბრუნდა ილიას ბეგი.

— ჰო, დასაცავად უნდა მოვემზადოთ.

— არა, შეტევაზე უნდა გადავიდეთ. — მითხრა და ტრიბუნაზე ავიდა. შემართული ხმამაღლა ლაპარაკობდა:

— მაჰმადიანებო! მინდა კიდევ ერთხელ აგიხსნათ ჩვენი ქალაქის მდგომარეობა. რაც რევოლუცია დაიწყო, ფრონტის ხაზი დაირღვა. ყაჩაღობის სურვილით შეპყრობილი, თითქმის ყველა პარტიის წარმომადგენელი შეიარაღებული რუსი დეზერტირები უკვე ბაქოს კარიბჭესთან დაბანაკდნენ. ქალაქში ერთადერთი მაჰმადიანური სამხედრო ფორმირება არსებობს, ეს ჩვენ ვართ, მოხალისეების „ველური დივიზია". ვერც რაოდენობით და ვერც შეიარაღებით, რა თქმა უნდა, რუსებთან ვერ მოვალთ. მეორე — ესაა სომხური ეროვნული პარტიის სამხედრო კავშირი „დაშნაკცუთიუნი", რომელსაც სათავეში შტეპა ლალაი და ანდრანიკი უდგანან. ჩვენ მათთან კავშირი შევკარით. ეს დივიზია ძირითადად

ადგილობრივი სომხური მოსახლეობისაგან შედგება. ისინი ყარაბაღისა და სომხეთის დასაცავად შეიკრიბნენ. განზრახული გვაქვს, მოვუწოდოთ იმათ არმიის შექმნა და სომხეთისაკენ სვლა. სომხებთან ერთად რუსებს ულტიმატუმი უნდა წავუყენოთ – მოვითხოვოთ, რომ მათი ჯარისკაცები და ლტოლვილები დაუყოვნებლივ გავიდნენ ჩვენი ტერიტორიიდან, აქ მათ აღარაფერი ესაქმებათ.

თუ რუსები ჩვენს ულტიმატუმს არ მიიღებენ, მაშინ სომხებს შევეკვრებით და ჩვენს მოთხოვნებს სამხედრო გზით მივაღწევთ. მაჰმადიანებო, მოგიწოდებთ, ხელში იარაღი აიღოთ და „ველურ დივიზიაში" გაერთიანდეთ. მტერი კარს მოგვდგომია.

ყურს ვუგდებდი ილიას ბეგს. ქალაქში ბრძოლისა და სისხლისღვრის მოახლოება იგრძნობოდა. უკვე რამდენიმე დღე იყო, რაც ყაზარმის ეზოში ტყვიამფრქვევით სროლაში ვვარჯიშობდი. იმედი მქონდა, ახლად მიღებული ცოდნა გამომადგებოდა.

გვერდით მეჰმედ ჰაიდარი მედგა და ტყვიამფრქვევის ლენტს აწვალებდა. გადავიხარე და ჩავჩურჩულე:

– კრების შემდეგ ილიას ბეგთან ერთად ჩემთან მოდი. სეიედ მუსტაფაც იქნება, უნდა მოვილაპარაკოთ.

თავი დამიქნია. სახლში დავბრუნდი. ნინო დატრიალდა. ჩაი მოამზადა და ამასობაში მეგობრებიც მოვიდნენ. შეიარაღებულები იყვნენ. თვით სეიედ მუსტაფასაც კი მწვანე ქამარში ხანჯალი ჰქონდა გარჭობილი. თითოეულ ჩვენგანს უცნაური სიმშვიდე დაუფლებოდა. ბრძოლის წინა ღამით ქალაქი დათრგუნულად, უცხოდ გამოიყურებოდა. ქუჩებში ხალხი ისევ დადიოდა თავის ყოველდღიურ საქმეებზე, ზოგი სეირნობდა კიდეც, მაგრამ ყოველ მოძრაობასა თუ ქცევას ხვალინდელი დღის შიში დასტყობოდა. ადამიანები აჩრდილებივით დაბორიალებდნენ აქეთ-იქით, თითქოს ჩვეული საქმიანობის უაზრობას გრძნობდნენ.

– იარაღი და ტყვია-წამალი საკმარისად გაქვთ? – იკითხა ილიას ბეგმა.

– ხუთი თოფი, რვა რევოლვერი, ერთი ტყვიამფრქვევი და საბრძოლო ვაზნები. გარდა ამისა, ბავშვებისა და ქალებისათვის სარდაფიც გავამზადეთ.

უცბად ნინომ თავი ასწია და მტკიცედ, მგზნებარედ განაცხადა:

– მე არ ჩავალ სარდაფში, მეც დავიცავ ჩემს სახლს.

– ნინო, – წამოიწყო მეჰმედ ჰაიდარმა მშვიდად, – ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, თქვენ კი ჭრილობები შეგვიხვიოთ.

– ღმერთო ჩემო! – თვალები დახარა ნინომ, ხმაში დაძაბულობა შეეპარა. – რა საშინელებაა! წარმომიდგენია, რა დღეში ჩავარდება ჩვენი ქალაქი, ქუჩები სასაკლაოებს დაემსგავსება, თეატრები შტაბებად იქცევა. მალე, ალბათ, ჩინეთში გამგზავრება უფრო იოლი იქნება, ვიდრე ნიკოლოზის ქუჩაზე, წმინდა თამარის ლიცეუმისაკენ გავლა. ადამიანებს მსოფლმხედველობის შეცვლა, ან მთელი ჯარის მოგერიება მოუწევთ. რამდენი დაიჭრება! უკვე წარმომიდგენია, როგორ მიხოხავთ შეიარაღებულები. გუბერნატორის ბაღში, აუზთან, სადაც ადრე ალი ხანს ვხვდებოდი, ტყვიამფრქვევი იდგება. ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა! რა უცნაურ ქალაქში ვცხოვრობთ!

– არა, საქმე ომამდე არ უნდა მივიდეს. რუსები ჩვენს ულტიმატუმს მიიღებენ. – თქვა ილიას ბეგმა.

მეჰმედ ჰაიდარს მწარედ ჩაეცინა:

– სულ დამავიწყდა, თქვენთვის მეთქვა. აქეთ რომ მოვდიოდი, ასადულაჰი შემხვდა და მითხრა, რუსები მოითხოვენ, ყველამ იარაღი ჩავაბაროთო. მე ჩემს იარაღს არ ჩავაბარებ.

– გამოდის, ომი იქნება. ჩვენთვის და ჩვენთან შეკრული სომხური სამხედრო ფორმირებისათვის. – ჩაილაპარაკა ილიას ბეგმა.

ნინო დუმდა. ფანჯრისაკენ იყურებოდა. სეიედ მუსტაფა

კი აღელვებისაგან თავზე ჩალმას ისწორებდა. მერე კი წამოიწყო:

— ალაჰ, ალაჰ! ომში არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ვიცი ომის დაუნდობელი კანონები. საშინელებაა, როცა მაჰმადიანები ბრძოლაში ურწმუნოთა ერთგულებაზე არიან დამოკიდებულნი. საერთოდ აუტანელია, როცა ვინმეზე ხარ დამოკიდებული და, მით უმეტეს, სომეხზე. მაგრამ ასეთია კანონი, და ასეთია ეს ცხოვრება. მერედა ვინ უდგას სათავეში სომხურ ჯარებს? შტეპა ლალაი? იცნობთ კი მას? 1905 წელს მშობლები მაჰმადიანებმა დაუხოცეს. არა მგონია, დავიწყებული ჰქონდეს. არც იმის მჯერა, რომ სომხები ჩვენთან ერთად რუსების წინააღმდეგ იბრძოლებენ. ეს რუსები ვიღა არიან? — ჩამოძონძილი ბრბო, ანარქისტები, ყაჩაღები. მაგათი მხედართმთავარი შაუმიანია. ისიც სომეხია. სომეხ ანარქისტსა და სომეხ ნაციონალისტს უფრო მეტი აქვთ საერთო, ვიდრე მაჰმადიან ნაციონალისტსა და სომეხ ნაციონალისტს. ესაა სისხლის საიდუმლო. საქმე გათიშვამდე მივა. ასეთი გახლავთ ყურანის ჭეშმარიტება.

— სეიდ, — მიმართა ნინომ, — ჰო, მაგრამ სისხლის გარდა გონიერებაც ხომ არსებობს. თუ რუსები გაიმარჯვებენ, არც ლალაის, არც ანდრონიკს კარგი დღე არ დაადგებათ.

მეჰმედ ჰაიდარს გაეცინა და დასძინა:

— უკაცრავად, მეგობრებო, მე მხოლოდ წარმოვიდგინე, რა დღეში ჩაცვივდებიან სომხები იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გავიმარჯვეთ. თურქებმა რომ სომხები წალეკონ, ჩვენ თითსაც არ გავანძრევთ მათი ქვეყნის დასაცავად.

ილიას ბეგი ძალიან გაბრაზდა:

— ასე ფიქრისა და ლაპარაკის უფლება არავისა აქვს. სომეხთა საკითხი ადვილად გადაწყდება. ბატალიონები, რომლებიც ლალაიმ შეკრიბა, საბოლოოდ სომხეთში წავლენ. ჯარისკაცებთან ერთად მათი ოჯახებიც გადავლენ. ერთ წელიწადში ბაქოში ერთი სომეხიც აღარ დარჩება. იმათ თავისი

ქვეყანა ექნებათ, ჩვენ – ჩვენი. უბრალოდ ორი მეზობელი ხალხი ვიქნებით.

– ილიას ბეგ, სეიედი მართალია. ნუ დაგავიწყდება სისხლის ვალდებულება. შტეპა ლალაი, რომელსაც მშობლები მაჰმადიანებმა დაუხოცეს, გაიძვერა უნდა იყოს, თუ სისხლის ვალი დაივიწყა. – ვუთხარი მე.

– ან კიდევ პოლიტიკოსი, ალი ხან, ადამიანი, რომელმაც შეძლო თავისი სისხლის ყივილი დაეოკებინა თავისი ხალხის საკეთილდღეოდ. თუ ის ჭკვიანია, მხარი უნდა დაგვიჭიროს საერთო ინტერესებისა და თავისი ხალხის ინტერესების სასარგებლოდ.

გვიან საღამომდე ვისაუბრეთ. ბოლოს ნინო მოგვიბრუნდა და გვკითხა:

– თქვენ ვინა ხართ, პოლიტიკოსები თუ, უბრალოდ, ადამიანები? თუმცა, ვინც არ უნდა იყოთ, თუ ქალაქში ბრძოლა გარდაუვალია, მინდა, რომ ერთი კვირის შემდეგ ისევ აქ ისხდეთ ყველანი ერთად ჯანმრთელები და უვნებლები.

მღელვარებისაგან ვეღარ ლაპარაკობდა.

ღამით ნინოს არ ეძინა, ჩემკენ იყო გადმოტრიალებული, ფართოდ გაეღო თავისი პატარა ბაგეები, ფანჯარას მიშტერებოდა და დუმდა. მერე უცბად მომიბრუნდა და ჩამჩურჩულა:

– შენც უნდა იბრძოლო, ალი ხან?

ხელი მოვხვიე და ვუპასუხე:

– რა თქმა უნდა, ნინო.

უცბად ჩემი სახე ხელებში მოიქცია და მკერდში ჩაიკრა. და ერთხანს უსიტყვოდ მკოცნიდა. შიშისაგან თვალები მთლად გაფართოებოდა. მის თვალებში ტანჯვა, რაღაც აღუვსებელი სწრაფვა, სიკვდილის შიში თუ თავგანწირვა იკითხებოდა. მდუმარედ, მთელი სხეულით მომეკრა. გონებით კი თითქოს სხვა სამყაროში გადასახლებულიყო, და ამ სამყაროს კარიბჭესთან თავადვე დამდგარიყო სადარაჯოზე, რომ არავინ შეეშვა. ბოლოს თვალებში

ჩამხედა და თქვა:

– შვილს ალი ხანს დავარქმევ.

მერე კი გაჩუმდა და ისევ ფანჯარას მიაპყრო თვალები.

მთვარის შუქზე სამლოცველოს ვიწრო კოშკი დიდებულად აღმართულიყო. ქალაქის ციხე-სიმაგრის ჩაბნელებული კედლები მკაცრად და მუქარით იმზირებოდნენ. სადღაც შორიდან რკინის ჟღრიალი ისმოდა. ვიღაც ხმალს ლესავდა და თითქოს ლოდინის ჟინს გვიმძაფრებდა. უცბად ტელეფონმა დარეკა. სიბნელეში ძლივ-ძლივობით მივედი, ყურმილი ავიღე. ილიას ბეგის ხმა გაისმა:

– სომხები რუსებს შეეკვრნენ. ისინი ხვალ სამ საათამდე მოითხოვენ მაჰმადიანთა განიარაღებას. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ წინადადებას არ მივიღებთ. შენ ციციანაშვილის ჭიშკართან, მარცხენა მხარეს დადექი ტყვიამფრქვევთან, მე კიდევ ოცდაათ კაცს გამოგიგზავნი. ყველაფერი მოამზადე კარიბჭის დასაცავად.

ყურმილი დავდე. ნინო ლოგინზე წამომჯდარიყო და გაშტერებული მიყურებდა. ხმალი მეჭირა და პირს ვუმოწმებდი.

– რა მოხდა ალი?

– მტერი მოადგა ძველი ქალაქის კედლებს, ნინო.

გადავიცვი და მსახურებს გავძახე. დაძახებისთანავე ოთახში ბრგე, ღონიერი, ტლანქი ბიჭები შემოვიდნენ. ყველას იარაღი დავურიგე. მერე მამის ოთახში შევედი. სარკის წინ იდგა, მსახური ჩერქეზულ ჩოხას უწმენდდა.

– შენი ადგილი სადაა, ალი ხან?

– ციციანაშვილის ჭიშკართან.

– კარგი. მე ქველმოქმედთა სახლში, შტაბში ვიქნები. – ხმალს აჟღრიალებდა, თან წვერზე ხელს ისვამდა, – უნდა ივაჟკაცო, ალი ხან. მტერმა კედელი არ უნდა გადმოლახოს. გამაგრდი, ალი ხან. მტერი კარს მოუახლოვდება თუ არა, ცეცხლი გაუხსენი. ასადულაჰიც ამასობაში გლეხებს შეკრებს სოფლებში და ნიკოლოზის ქუჩიდან მტერს ზურგიდან

დასცხებს. – რევოლვერი ჩაიდო და შეფიქრიანებულმა დასძინა, – რვა საათზე სპარსეთში უკანასკნელი გემი გადის. ნინო უნდა გაემგზავროს. თუ რუსები გაიმარჯვებენ, ყველა ქალს ნამუსს ახდიან.

ოთახში დავბრუნდი. ნინო ტელეფონით ლაპარაკობდა. გავიგე, როგორ ეუბნებოდა დედამისს:

– არა, დედა, არა. მე აქ დავრჩები. აქ არანაირი საშიშროება არ მემუქრება. გმადლობ, მამა. ნუ წუხხართ, ტყვია-წამალი სამყოფად გვაქვს. არ წამოვალ, არა და არა. დამანებეთ თავი. აქ ვრჩები. მორჩა და გათავდა.

ლამის ყვიროდა. რომ შევედი, ყურმილი დაკიდა.

– მართალი ხარ, ნინო, არც შენს მშობლებთან იქნები უსაფრთხოდ. რვა საათზე გემი გადის სპარსეთში. ბარგი ჩაალაგე. – ვუთხარი მე.

მთლად გაწითლდა:

– მგზავნი, ალი ხან?

ნინო ასეთი აჭარხლებული არასოდეს მენახა.

– თეირანში უფრო უსაფრთხოდ იქნები. თუ მტერი გაიმარჯვებს, ყველა ქალს ნამუსს ახდიან.

– მე ვერ ამხდიან ნამუსს, ალი. – თქვა მან და თავი ამაყად ასწია.

– წადი სპარსეთში, ნინო, სანამ დროა.

– გეყოფა, ალი, ძალიან მეშინია მტრის, ბრძოლის, ყველაფრის, რაც ამქვეყნად საშიშია, მაგრამ ყველაზე მეტად იმის მეშინია, რაც ჩვენ დაგვაშორებს. შენი დახმარება არ შემიძლია, მაგრამ მე შენი ვარ და შენთან დავრჩები. და ამით დავამთავროთ. – მითხრა მან მკაცრად.

და მართლაც ამით დავასრულეთ საუბარი.

თვალები დავუკოცნე. ძალიან მეამაყებოდა, ასეთი არაჩვეულებრივი ცოლი რომ მყავდა. მიუხედავად იმისა, რომ არ დამიჯერა.

ირიჟრაჟა. ჰაერში მტვრის ბუღი ტრიალებდა. მაღლა, კედელის თავზე ვიდექი. შეიარაღებული მსახურები კედლის

გადაღმა იდგნენ.

ილიას ბეგის გამოგზავნილი კაცები ყურადღებით აკვირდებოდნენ დუმის მოედანს. ტყვიამფრქვევთან ვიდექი, რუსული – ფართო, განიერი და ზემოთ აპრეხილი ცხვირი რომ ჰქონდა. ირგვლივ საოცარი სიჩუმე ჩამოწოლილიყო. მხოლოდ გაერთიანების წევრები მორბოდნენ შიგადაშიგ და მწირი ცნობები მოჰქონდათ – სადღაც მოლაპარაკებები გაემართათ სასულიერო პირებსა და უხუცესებს. ცდილობდნენ, მშვიდობის შესანარჩუნებლად უკანასკნელ მომენტში რაღაც საოცრება დაეტრიალებინათ.

მზე ამოდიოდა. ცა სიცხეს აფრქვევდა და ქვებს ავარვარებდა.კედლიდან ჩემს სახლს გავხედე. ნინო ბანზე იჯდა, სახე მზისკენ მიეშვირა. საუზმის დროს კედელთან მოვიდა, საჭმელი და წყალი მოგვიტანა. თან ცნობისმოყვარედ შეჰყურებდა ტყვიამფრქვევებს. ისიც ჩვენთან დაჯდა და მდუმარედ შეექცეოდა. ჩვენთან იყო, ვიდრე მე არ გავუშვი შინ.

პირველ საათზე მინარეთიდან სეიედ მუსტაფას მხურვალე მოთქმა და საგანგებო ლოცვა გაისმა. მერე ისიც ჩვენ შემოგვიერთდა. უკან მოუხერხებლად დასთრევდა იარაღი. ქამარში ყურანი ჰქონდა გაჩრილი.

დუმის მოედანს ვუმზერდი. ქალაქი მტვრის ბუღში გახვეულიყო, აქა-იქ შეშინებული ხალხი ჩანდა, მოხრილები გარბოდნენ მოედანზე. ერთი ჩადრიანი ქალი ბავშვების შინ შერეკვას ცდილობდა, იქვე, მოედანზე რომ თამაშობდნენ.

ერთი, ორი, სამი...

ზარებმა მუქარით ჩამორეკეს და ეს უჩვეულო სიჩუმეც დაირღვა. და იმავ წამს, ზარების გუგუნთან ერთად, თითქოს ამ ხმამ სხვა სამყაროს იდუმალი კარის გახსნა გვაუწყაო, პირველი გასროლაც გაისმა...

XXII თავი

უმთვარო ღამე იყო.

იალქნიანი ნავით კასპიის ზღვის ტალღებზე მივცურავ-დით. წყლის შხეფები ნავის ფსკერზეც ეცემოდა. შავი აფრები ღამით უზარმაზარი ფრინველის გაშლილ ფრთებს ჰგავდა. ნავის ფსკერზე დაგებულ ცხვრის ტყავში ვიყავი გახვეული.

ბოცმანი ერთი თექელელი, ფართოსახიანი, პირტი-ტველა ბიჭი იყო. გულგრილად მისჩერებოდა ვარსკვლავებს. თავი წამოვწიე და გავძახე:

– სეიედ მუსტაფა!

ნაყვავილარი სახე ჩემკენ გადმოიხარა. ხელში მარჯნის კრიალოსანი ეჭირა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სისხლის წვეთებით თამაშობსო.

– სეიედ მუსტაფა!? – დავუძახე ხელმეორედ.

კიდევ უფრო მომიახლოვდა და მითხრა:

– მშვიდად იწექი, ალი. აქა ვარ.

თვალებში ცრემლი შევნიშნე. ცოტათი წამოვიწიე.

– მეჰმედ ჰაიდარი მკვდარია. ნიკოლოზის ქუჩაზე დავინახე. ყურები და ცხვირი ჰქონდა მოჭრილი. – ჩავილაპარაკე.

– რუსები ბაილოვიდან შემოვიდნენ, ბაილოვის მხრი-დან შემოარტყეს ალყა სანაპიროს. შენ დუმის მოედანი გაათავისუფლე. – თქვა მან.

– ჰო, მახსოვს, მერე ასადულაჰი მოვიდა და შეტევაზე გადასვლა ბრძანა. ხიშტებითა და ხანჯლებით ხელში წინ მივიწევდით. შენ ლოცვა „იასინს" ღიღინებდი.

– შენ, შენ მგელივით მიიწევდი წინ. პირდაპირ ეწაფე-ბოდი მტრის სისხლს. გახსოვს, აშუმის კუთხესთან ნახარა-რიანის მთელი საგვარეულო იდგა.

– ჰო, ჰო, მახსოვს. ყველა იქ იდგა, – გავიმეორე მეც, –

ტყვიამფრქვევები აშუმის სახლის ბანზე დავდგი. მთელ არემარეს ვხედავდით.

სეიედ მუსტაფა შუბლზე ხელს ისვამდა. სახე სულ გამურული ჰქონდა:

— მთელი დღე ისმოდა ტყვიამფრქვევების კაკანი. ვიღაცამ ამბავი მოიტანა, რომ მოგკლეს. ნინომაც მოჰკრა ყური ნათქვამს, მაგრამ დუმდა, არც სარდაფში ჩადიოდა, ოთახში უძრავად იჯდა და ხმას არ იღებდა. უცბად თავი ხელებში ჩარგო და გულის გამგმირავად იკივლა: „აღარ მინდა, აღარ მინდა!" ტყვიამფრქვევები კი ისევ კაკანებდა. ასე გაგრძელდა საღამოს რვა საათამდე. მერე კი ტყვია-წამალი გაგვითავდა. თუმცა მტერმა არ იცოდა. იმათ ეგონათ, რაღაც მანევრიაო. მუზა ნაგიც მკვდარია, ლალაიმ მოკლა.

ვდუმდი. თექელელი ბოცმანი, წითელი ქვიშის უდაბნოს შვილი, ისევ ვარსკვლავებს მისჩერებოდა. მისი ჭრელი აბრეშუმის ხიფთანი მსუბუქ ნიავზე აქეთ-იქით ფრიალებდა.

სეიედმა განაგრძო:

— გავიგე, როგორ იბრძოდი ციციანაშვილის ჭიშკართან. თავად არ დამინახავს, რადგან კედლის მეორე ბოლოში ვიყავი.

— ჰო, ხელჩართულ ბრძოლაში პირისპირ აღმოვჩნდი მტერთან. იმისი შავი ტყავის ქურთუკი ხანჯლით დავსერე, სისხლმა იფეთქა და სულ წითლად შეღება. ჩემი ბიძაშვილი აიშეც მკვდარია.

ზღვა მშვიდი იყო. ნავში კუპრის სუნი იდგა. ეს ნავიც, წითელი ქვიშის უდაბნოს სანაპიროსავით უსახელო იყო. სეიედი ჩუმად ლაპარაკობდა:

— მეჩეთიდან გამოსვლისას გვამები ავიფარეთ, მერე ხმლები ვიშიშვლეთ და მტერს ვეძგერეთ. თითქმის ყველა დაიხოცა. ილიას ბეგი გადარჩა. სოფელში დაიმალა. თქვენი სახლი სულ გაძარცვეს. არც ხალიჩა, აღარც ავეჯი, აღარც ჭურჭელი — აღარაფერი დატოვეს, მარტო ცარიელი

კედლებიღაა.

თვალები დავხუჭე. სულში მარტო ტკივილს ვგრძნობ-დი. თვალწინ მედგა გვამებით სავსე ურმები, ნინო თავისი ნივთების პატარა ფუთით ხელში, ბიბი აიბატის ნავთობით მდიდარი ღამეული სანაპირო, რომელსაც უდაბნოს მხრიდან იალქნიანი ნავი მოადგა. კუნძულ ნარგინზე კოშკი ბრწყინავდა. ღამეული ქალაქი სიბნელემ შთანთქა. მხოლოდ ნავთობის შავი ჭაბურღილები იმზირებოდნენ კუშტად.

მე კი ვიწექი აქ, ცხვრის ტყავში გახვეული, და გულს ყრუ ტკივილი მიფლეთდა. წამოვდექი. პატარა გადასაფა-რებლის ქვეშ ნინო მოკუნტულიყო. გამხდარი და ფერ-მკრთალი სახე ჰქონდა. მისი პატარა გაყინული თითები ხელში მოვიქციე და ვიგრძენი, როგორ უთრთოდა.

ჩვენ უკან, ბოცმანის გვერდით, მამაჩემი იჯდა. მათი საუბრიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები მესმოდა:

– მართლა ეცვლება ადამიანს თვალების ფერი ჩარჯოუს ოაზისში?

– დიახ, ხან! მსოფლიოში ეს ერთადერთი ადგილია, სადაც ასეთი რამე ხდება. წმინდა კაცმა იწინასწარმეტ-ყველა...

– ნინო, – მოვუბრუნდი ისევ ნინოს, – გესმის, მამაჩემი ჩარჯოუს ოაზისზე და მის საოცრებებზე ლაპარაკობს. ასეც უნდა იყოს, როგორღაც რომ აიტანო ეს სამყარო.

– არ შემიძლია, ალი, არ შემიძლია, – თავი ხელებში ჩარგო, – ქუჩებში ქვიშა სულ წითლად იყო შეღებილი.

ნინო უხმოდ ტიროდა, მთლად ცახცახებდა. ვიჯექი მის გვერდით და მახსენდებოდა სისხლიანი მოედანი, მეჰმედ ჰაიდარის გვამი და მტკიოდა, რომ ცოცხალი ვიყავი.

შორიდან ისევ მესმოდა მამაჩემის ხმა:

– ჩელექინის კუნძულზე გველებია.

– დიახ, ხან, საშინლად გრძელი და შხამიანი გველები. თუმცა არავის უნახავს. მხოლოდ ერთი წმინდანი მერვის ოაზისიდან ყვებოდა ერთხელ...

ვეღარ მოვითმინე და მამასთან მივედი:

– მამა, აზია მოკვდა. მეგობრები დაგვეღუპნენ, ჩვენ გამოვიქეცით. ღვთის რისხვაა ჩვენს თავს და შენ კი კუნძულ ჩელექინზე რომ გველებია, იმაზე საუბრობ?

მამაჩემს წარბიც არ შეუხრია. ჩემკენ გადმოიხარა, დიდხანს მიყურა და აუღელვებლად მითხრა:

– აზია არ მომკვდარა. მხოლოდ მისი საზღვრები შეიცვალა სამუდამოდ. ბაქო ახლა ევროპაა. და ეს შემთხვევითი არ არის. ბაქოში აზიატები აღარ იყვნენ.

– მამა, სამი დღე ზარბაზნით, ხმლით და ხიშტებით ვიცავდი ჩვენს აზიას.

– მამაცი ხარ, ალი. შენც და ყველა, ვინც შენთან ერთად იბრძოდა. მაგრამ აქ სიმამაცე არაფერ შუაშია. ევროპელებიც ძლიერები არიან. არც შენ და არც შენი მეგობრები, კარგა ხანია, აზიატები აღარა ხართ. მე ევროპა არა მძულს. ევროპა ჩემთვის სულ ერთია. შენ კი ევროპა გძულს იმიტომ, რომ შენში თავად არის ნაწილი ევროპისა. რუსულ სკოლაში დადიოდი, ლათინური იცი, ევროპელი ცოლი გყავს. მაინც აზიატი ხარ? კიდეც რომ გაგემარჯვა, გენდომებოდა თუ არა, ევროპა მაინც შემოვიდოდა ბაქოში. განა სულერთი არ არის, ჩვენ გავაშენებდით აქ ახალ ავტოტრასებსა და ფაბრიკებს, თუ რუსები?! სხვაგვარად ვერ იქნება. ჭეშმარიტი აზიატობა მარტო ის როდია, ურიცხვი მტრის სისხლი დაღვარო!

– როდის დაიწყო ეს? – ვკითხე მე.

– შენ ნახევრად ევროპელი ხარ, ალი ხან, ამიტომ მეკითხები ასე. ახსნას აზრი მაინც არა აქვს. ნანახით ხარ შეძრული, მიწიერზე ფიქრობ და ამიტომაც ამჟღავნებ ტკივილს, ამიტომაც გტკივა დამარცხება.

მამაჩემი გაჩუმდა. გამჭოლად მიყურებდა. ბაქოში თუ სპარსეთში მცხოვრები ყველა მხცოვანივით, ისიც იცნობდა რეალურ სამყაროსთან ერთად იმ მეორე იდუმალ სამყაროს, რომელშიც შეეძლო განმარტოებულიყო და შეუცნობლად

დარჩენილიყო. ვგრძნობდი იმ მეორე სამყაროს სიმშვიდეს, რომლითაც შეეძლო ერთდროულად მკვდარი მეგობრების გლოვაც და ოაზისის საოცრებებზე საუბარიც. ვცდილობდი ამ სამყაროს დაკეტილ კარში შეღწევას, მაგრამ კარიბჭეს ვერ ვპოულობდი. მე მხოლოდ მტკვინეული რეალობით ვიყავი შეძრული.

თავად აზიელი აღარ ვიყავი და, როგორც ჩანს, ყველა გრძნობდა ამას, თუმცა არავინ მთხოვდა, აზიელად დავრჩენილიყავი. გავუცხოვდი, მაგრამ ისევ აზიის ოცნებისეულ სამყაროში დარჩენისაკენ მივილტვოდი.

ასე ვიჯექი ნავში, ჩავცქეროდი წყლის შავ ზედაპირს. დაიხოცნენ ჩემი მეგობრები – მეჰმედ ჰაიდარი, აიშე. ჩვენი სახლი დაინგრა. მე კი პატარა იალქნიანი ნავით სპარსეთის სიმშვიდეში, დიდი შაჰის ქვეყანაში მივცურავდი. უცბად ნინო მომიახლოვდა:

– სპარსეთი, – თქვა მან, – იქ რა უნდა ვაკეთოთ?

– დავისვენოთ.

– ჰო, დავისვენოთ. მე მინდა ვიძინო, ალი ხან, ერთი თვე, ერთი წელი. მინდა ვიძინო მწვანე ბაღში, სადაც არ ისვრიან.

– სწორედ ასეთ ქვეყანაში მივდივართ. სპარსეთს უკვე კაი ხნის ძილით სძინავს. იქ იშვიათად ისვრიან.

მერე ისევ ნავის ფსკერზე დავწექით. ნინოს ჩაეძინა, მე კი კარგა ხანს მეღვიძა. ვუყურებდი სეიედის სილუეტს და მის თითებში მოთამაშე კრიალოსნის მძივებს, სისხლის წვეთებს რომ მაგონებდა. ისიც იცნობდა იდუმალ სამყაროს, რეალური სამყაროს მიღმა რომ იწყებოდა.

ამომავალი მზის ბრწყინვალებაში სპარსეთი გამოჩნდა. მისმა სუნთქვამ ჩვენშიც შემოაღწია. ნავის ფსკერზე ვისხედით, გამხმარ თევზს ვჭამდით და წყალს ვაყოლებდით. მამაჩემი ისევ თექელელ ბოცმანს ელაპარაკებოდა ოაზისის საოცრებებზე, მე კი გულგრილად მიმზერდა, თითქოს უმნიშვნელო საგანი ვყოფილიყავი.

მეოთხე დღის საღამო ხანს, შორს, ჰორიზონტზე ვიწრო

ზოლი გამოჩნდა. ღრუბელს ჰგავდა. ეს სპარსეთი იყო. ვიწრო ზოლი თანდათან გვიახლოვდებოდა. ვხედავდი თიხით შელესილ ქოხებს და შაჰის მოკრძალებულ ნავსადგურს – ენზელს. ჩვენ ხის მონჯღრეულ მოაჯირს მივაწყდით. ნავსადგურთან ვიდექით. ერთი კაცი მოგვიახლოვდა, სერთუკი ეცვა და ცხვრის ფაფახი ეხურა, რომელზეც ვერცხლისფერი ლომი და ამომავალი მზე უბრწყინავდა შუბლთან. უკან პორტის პოლიციელი მოჰყვებოდა, ფეხშიშველი, ჩამოფლეთილი ტანსაცმლით.

ფაფახიანი კაცი მრგვალი, გაფართოებული თვალებით შემოგვცქეროდა. მერე კი მოგვმართა:

– ვითარცა ახალშობილი ესალმება ამომავალი მზის პირველ სხივს, ასევე მოგესალმებით, ძვირფასო სტუმრებო. თქვენი საბუთები, თუ შეიძლება.

– ჩვენ შირვანშირები გახლავართ. – უპასუხა მამამ.

– დიდი სამეფოს ლომს ასად ას-სალთანეს, რომლისთვისაც ჩვენი მეუფის კარი მუდამ ღიაა, აქვს ბედნიერება იმავე სისხლისა იყოს, რაც თქვენ?

– დიახ, ჩემი ძმაა!

ნაპირზე გადმოვედით. ის კაციც თან გამოგვყა. და გვაუწყა:

– ასად ას-სალთანე გრძნობდა თქვენს ჩამოსვლას და ძლიერმა, ვითარცა ლომმა, მარდმა, ვითარცა ირემმა, ლამაზმა, ვითარცა არწივმა, და ურყევმა, ვითარცა ციხესიმაგრემ, მანქანა გამოგიგზავნათ.

მოსახვევთან ძველი, კარგად ნახმარი ფორდი იდგა, დაკერებული საბურავებით. ჩავსხედით. მძღოლს გემის კაპიტნის მზერა ჰქონდა. ნახევარი საათი დასჭირდა, ვიდრე მანქანა დაიქოქა. რაშთის გავლით თეირანისკენ დავიძარით.

XXIII თავი

ენზელი, რაშთი, სოფლები თუ ქუჩები – ყველაფერი უდაბნოს სულით იყო აღვსილი. დრო და დრო ჰორიზონტზე სპარსული ფატა მორგანა – აბუ-იაზიდი – ეშმაკის წყალიც მოჩანდა. რაშთისაკენ გზა მდინარის გასწვრივ მიდიოდა. მდინარე დამშრალი იყო, მისი უზარმაზარი ფსკერი კი – დამსკდარი, როგორც, საერთოდ, სპარსეთის უმეტეს მდინარეებში. მხოლოდ რამდენიმე ტბორიღა დარჩენილიყო, რომელთა ნაპირებთანაც, უძველესი დროის გიგანტური აჩრდილებივით აღმართულიყო დიდმუცელა და ნებიერა კლდეები. წინ ქარავანი მიდიოდა ზარების რეკვით. მანქანამ სვლა შეანელა. მთის კიდეზე აქლემები მოაბიჯებდნენ. ქარავანს ხელჯოხიანი კაცი მიუძღვოდა, უკან კი შავებში გამოწყობილი ადამიანები მისდევდნენ. ნელ-ნელა მიირხეოდნენ აქლემები და კისერზე ჩამოკიდებული ზარიც რეკდა ყოველ მოძრაობაზე. ნაცრისფერ ზურგზე გრძელი, მუქი ხურჯინები ეკიდათ და მარჯვნივ თუ მარცხნივ ჩამოსთრევდათ. ხურჯინებში, ალბათ, სხვადასხვა საქონელი ეწყო: ქსოვილები ისპაანიდან, შალი გილანიდან. მანქანა წინ ვეღარ მიდიოდა. აქლემებზე შავ ტილოში გახვეული გვამები ეკიდა. ასი-ორასი გვამი იქნებოდა. უდაბნოებსა თუ გადათეთრებულ მარილიან სტეპებში, მდინარეების ნაპირებსა თუ მთებზე, მწვანე ოაზისებში უხდებოდათ აქლემებს ამ ტვირთის ზიდვა, ვიდრე თურქეთის საზღვარს მიაღწევდნენ. აქ კი ჩაიმუხლებდნენ აქლემები, მესაზღვრეები გასინჯავდნენ გვამებს და ქარავანიც განაგრძობდა გზას წმინდა ქალაქ ქერბელას გუმბათებისაკენ.

ქარავანი წამებული ჰუსაინის აკლდამასთან გაჩერდებოდა. ფრთხილად გადმოიღებდნენ გვამებს, რათა მათ

ქერბელას წმინდა მიწაში ეპოვათ განსასვენებელი, ვიდრე მთავარანგელოზის საყვირი ძილისაგან აღადგენდა.

– ჩვენთვისაც ილოცეთ წმინდანის საფლავთან! – მივაძახეთ ქარავანს.

– ლოცვას თავად ვსაჭიროებთ! – გამოგვეპასუხა წინამძღოლი.

ქარავანი კვლავ მშვიდად მიირწეოდა, როგორც აბიიეზიდი – დიდი უდაბნოს ფატა-მორგანა.

რაშთის ქუჩებში მივდიოდით. აქ გასული საუკუნის სული შეიგრძნობოდა. ყველაფერი მხოლოდ ხისა და თიხისაგან იყო ნაკეთი. თვალში მოგხვდებოდა ვიწრო ქუჩები, ვიწრო შესახვევები, თითქოს სივრცის ეშინიათო. აუტანელი ერთფეროვნება გამეფებულიყო, იქნებ ბედისადმი მორჩილების გამო. მხოლოდ მეჩეთები იყო აღმართული შიგადაშიგ.

კაცებს მრგვალი, ნესვივით ქუდები ეხურათ მოტვლეპილ თავებზე. სახეები თოჯინებს მიუგავდათ.

ყველაფერი მტვერსა და ჭუჭყში ჩაძირულიყო, იმიტომ არა, რომ სპარსელებს ჭუჭყი და მტვერი უყვარდათ. უბრალოდ, მიაჩნდათ, რომ საგანი, როგორიც არის, ისეთადვე უნდა დარჩეს, რადგან ბოლოს ყველაფერი მაინც მტვრად იქცევა. ჩვენ ერთ პატარა ჩაიხანაში შევედით. შიგნით ჰაშიშის სუნი იდგა. ყველა ნინოს უყურებდა გაოგნებული. კუთხეში დერვიში იჯდა, ჯვალოში გახვეული, გაჩეჩილი თმით, პირდაღებული, დორბლიანი და არ იძვროდა, თითქოს ვერავის ხედავსო. მხოლოდ ნიშანს ელოდა. აუტანელი მდუმარება მოდიოდა მისგან. ხელში სპილენძის თასი ეჭირა. უცბად შეხტა, ისედაც დაღებული პირი კიდევ უფრო დააღო და იყვირა:

– ვხედავ, დასავლეთში მზე ამოსულა.

იქ მყოფნი აცახცახდნენ.

კარებში გუბერნატორის კურიერი გამოჩნდა:

– მისმა აღმატებულებამ დაცვის განწესება ბრძანა

შიშველი ქალის გამო.

ნინოს გულისხმობდნენ, მას ხომ ჩადრი არ ეხურა. ნინოს წარბიც არ შეუხრია. სპარსული არ ესმოდა.

ღამე გუბერნატორის სახლში გავატარეთ. დილით ბადრაგმა ცხენები შეკაზმა და ნინოს სიშიშვლის გამო, რომელიც სახეს არ იბურავდა და, შესაძლოა, ყაჩაღების გამოც, ქვეყანაში რომ დაძრწოდნენ, თეირანამდე მიგვაცილეს.

მანქანა ნელ-ნელა მიიწევდა უდაბნოში. კიდევ 80, 70, 60 კილომეტრი... გზა გველივით მიიკლაკნებოდა. შორეული თოვლიანი დამავანდის ფონზე თეირანის კარიბჭის ოთხი კოშკი გამოიკვეთა. ქალაქის კარიბჭე მშვენიერი ფერადი ქვებით იყო ნაგები. ბრძნული წარწერით დამშვენებული არაბული თაღი დემონის შავი თვალებივით შემოგვცქეროდა. იქვე ჩამოფლეთილტანსაცმლიანი დერვიშები, ჭუჭყიანი მაწანწალები, დატილიანებული, ზიზღის მომგვრელი მათხოვრები ეყარნენ და ჩვენს დანახვაზე გამოცოცხლებულნი გაძვალტყავებულ ხელებს იწვდიდნენ. ისინი თეირანის დიდებას უმღეროდნენ. მათ ხმაში ნაღველი და ერთგულება გაისმოდა. ერთ დროს ქალაქში დიდი იმედებით ჩამოვიდნენ, ახლა კი მტვერში იწვნენ, თავადაც მტვრად და ნაგვად ქცეულნი. მაგრამ მაინც უმღეროდნენ ქალაქს, რომელსაც ისინი ასე გაერიყა.

მანქანა მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში მიირწეოდა. ზარბაზნების მოედანზე, სამეფო სასახლის ალმასის ჭიშკართან, კედლების გასწვრივ ფართო ქუჩა გადიოდა გარეუბან შემრანისკენ.

შემრანის სასახლის ჭიშკარი ფართოდ გაეღოთ. ვარდების სუნი შემოგვეგება. ცისფერი ქვით ნაგები კედლები სიმშვიდესა და სიგრილეს აფრქვევდა. აჩქარებული ნაბიჯით გავიარეთ ბაღი, ჩავუარეთ შადრევანს. ჩაკეტილფანჯრებიანი ბნელი ოთახები ცივ წყაროს ჰგავდა. მე და ნინო რბილ ბალიშებში ჩავეშვით და იმწამსვე ძილმა

წაგვიღო.

გვეძინა. ვიღვიძებდით. გვთვლემდა, გვესიზმრებოდა, და ისევ გვეძინა. საუცხოო იყო უთვალავი ბალიშითა და ხალიჩით, რბილ გადასაფარებლიანი დაბალი დივნებით გაწყობილი გრილი ოთახი. იშვიათი ბედნიერებაა ძილი ასეთ მშვიდ და დიდ სახლში! მხოლოდ ბულბულების სტვენა გვესმოდა შიგადაშიგ, ისიც ძილ-ბურანში. შორს, ბაქოს ძველ კედლებთან დავტოვეთ ყველანაირი საფრთხე. საათები გადიოდა. ნინო დრო და დრო ოხრავდა, ძილ-ბურანში თავს წამოსწევდა და მკერდზე მადებდა. სახე მქონდა ჩარგული რბილ ბალიშებში, რომლებიც სპარსული ჰარამხანის სურნელს აფრქვევდა. ძალაგამოლეული ვიყავი. ცხვირი მექავებოდა, მაგრამ ძილს თავს ვერ ვართმევდი, ხელის აწევაც კი არ შემეძლო. კიდევ კარგი ცხვირის ქავილმა თვითონვე გადამიარა და ისევ ჩამეძინა.

უცბად ნინოს გამოეღვიძა, წამოიწია და განმიცხადა:

— მგელივით მშია, ალი ხან.

ბაღში გავედით. შადრევანს გარს ვარდის ბუჩქები ერტყა. კვიპაროსებს ცისკენ აეტყორცნათ კენწეროები. ფარშავანგი თავისი დიდებული კუდით უძრავად მისჩერებოდა ჩამავალ მზეს. შორს დამავანდის თეთრი მწვერვალი მოჩანდა. ხელი ხელს შემოვკარი. საჭურისი მოვარდა მაშინვე, უკან დედაბერი მობრაცუნებდა ხალიჩითა და ბალიშებით. კვიპაროსის ქვეშ გავაშლევინეთ ხალიჩა. საჭურისმა წყალი და თასი მოიტანა ხელ-პირის დასაბანად. ქალმა კი უმალვე გააწყო ხალიჩა მადის აღმძვრელი სპარსული კერძებითა და ტკბილეულობით.

— ტყვიამფრქვევების კაკანს თითებით ჭამა ჯობია. — თქვა ნინომ და მარცხენა ხელი ჩაყო ცხელ ფლავში, ჯერ კიდევ ორთქლის ოხშივარი რომ ასდიოდა. შემცბარმა საჭურისმა გვერდზე გაიხედა. ნინოს ავუხსენი, რომ სპარსეთში ბრინჯს მარჯვენა ხელის სამი თითით ჭამენ. მას მერე, რაც ბაქო დავტოვეთ, ნინო პირველად იცინოდა. საოცარი სიმშვიდე

დამეუფლა. მშვენიერი იყო შაჰის ამ მშვიდ, პოეტთა და ბრძენთა ღვთისმოსავ ქვეყანაში შემრანის სასახლეში ცხოვრება.

უცბად ნინომ მკითხა:

– ბიძაშენი ასად ას-სალთანე და მთელი მისი ჰარამხანა სადღაა?

– ალბათ ქალაქის სასახლეში იქნება. ცოლებიც იქ ეყოლება. ჰარამხანა? აი, ეს ოთახები, ბაღი – სწორედ ესაა ჰარამხანა.

ნინო იცინოდა:

– გამოდის, ჰარამხანაში მოვხვდი? იმათ თუ ვნახავ?

მეორე, გამოფიტული, გამხდარი საჭურისი მოგვიახლოვდა და გვკითხა, სიმღერას ხომ არ ინებებთო. სიმღერა არ გვინდოდა. სამმა გოგონამ ხალიჩა დაახვია, დედაბერმა დარჩენილი საჭმელი აალაგა, პატარა ბიჭმა ფარშავანგს აჭამა.

– ვინ არის ეს ხალხი, ალი ხან?

– მსახურები.

– ღმერთო ჩემო, რამდენნი არიან?

მეც არ ვიცოდი. საჭურისს მოვუხმე და ვკითხე. ის ერთხანს ჩუმად იდგა, ტუჩებს აცმაცუნებდა და ბოლოს დაასკვნა, ოცდარვაო. ქალი რამდენია-მეთქი, რომ ვკითხე, რამდენსაც ინებებთ, ბატონო, ამ წუთას კი მხოლოდ ერთია, თქვენს გვერდით რომ ზისო.

– თუმცა ადგილი სხვებისთვისაც საკმაოდაა. ასადულაჰი თავისი ცოლებით ქალაქში იმყოფება. ეს ჰარამხანა თქვენია. – თქვა მან, ქედი მოიხარა და კვლავ განაგრძო, – მე იაირა ყული მქვია. თქვენი ღირსების დამცველი ვარ. ვიცი წერა, კითხვა, ანგარიში. გაცნობიერებული ვარ ყველა ქალურ და ადმინისტრაციულ საკითხში. შეგიძლიათ, მენდოთ. როგორც ვატყობ, ეს ქალი ველურია, მაგრამ კარგ ჩვევებს შევასწავლი. მითხარით, თუ უწესოდ მოიქცა, უნდა ვიცოდე, რომ მისი დარიგება შევძლო

და მოვარჯულო, რადგან ვატყობ, ეს ქალი უჩვეულო ზნისა უნდა იყოს. მე მას თავად დავბან, მოვაწესრიგებ. ვხედავ, იღლიაში თმა აქვს, ხვალვე გავასუფთავებ. ფრჩხილებს წითლად შევუღებავ. პირის ღრუშიც ჩავხედავ. სამწუხაროდ, ზოგიერთ ქვეყანაში ქალები საშინლად ჩამორჩენილები არიან, რადგან ქალის წესიერად აღზრდას არაფრად დაგიდევენ.

– ღმერთო ჩემო, რისთვისაა ეს საჭირო?

– ქალს თუ ცუდი კბილები აქვს, პირიდან უსიამოვნო სუნი ამოსდის, ამიტომ კბილებიც უნდა შევუმოწმო.

– რაებს ჩმახავს ეს არსება? – მკითხა ნინომ.

– თავის თავს გვთავაზობს კბილის ექიმად. სასაცილო ბუს კი წააგავს, არა?! – მივუგე ცოტა არ იყოს შეცბუნებულმა.

საჭურისს კი მივუბრუნდი და ვუთხარი:

– იაირა ყული, ვხედავ, რომ გამოცდილი ხარ და კარგად ერკვევი ყველაფერში, მაგრამ, ჩემი ცოლი ფეხმძიმედაა და, მოდი, ბავშვის დაბადებამდე გადავდოთ მისი აღზრდა.

ლაპარაკისას ვიგრძენი, როგორ გავწითლდი. ნინო მართლა ფეხმძიმედ იყო, მაგრამ, ასე მეგონა, ვიტყუებოდი.

– მართალი ბრძანდებით, ალი ხან, ფეხმძიმე ქალებს ხასიათი უფუჭდებათ. სხვათა შორის, არსებობს საშუალება, რომ ბიჭი დაიბადოს. – მან ნინოს გამხდარი ფიგურა აათვალიერ-ჩაათვალიერა და საქმის ცოდნით დასძინა, – თუმცა ამას ჯერ კიდევ დრო აქვს, რამდენიმე თვე.

გარეთ, ვერანდაზე უამრავი ფეხის ფრატუნი ისმოდა. საჭურისები და ქალები მიმოდიოდნენ. ათასგვარი იდუმალი წესი ჰქონდათ.

ცოტა ხნის შემდეგ იაირა ისევ დაბრუნდა და მაუწყა:

– მის უდიდებულესობა ჰაფიზ სეიედ მუსტაფა მაშჰადის სურს თქვენი ნახვა. ვერ გავბედავდი თქვენს შეწუხებას ჰარამხანაში, მაგრამ სეიედი ნასწავლი კაცია,

წინასწარმეტყველის გვარისა. ზემოთ გელოდებათ.

სეიედის ხსენებაზე ნინომ თავი ასწია.

– სეიედ მუსტაფაა? – თქვა მან, – შემოვიდეს, ჩაის დავლევთ ერთად.

შირვანშირების სახლის ღირსება ამჯერად მხოლოდ იმიტომ გადარჩა, რომ საჭურისმა რუსული არ იცოდა. დაუშვებელი იყო, ხანს ჰარამხანაში უცხო კაცი მიეღო.

ცოტა დავიბენი და მოკრძალებით ვუთხარი:

– სეიედს არა აქვს აქ, ჰარამხანაში შემოსვლის უფლება.

– აჰ, გასაგებია. სასაცილო ჩვევაა. მაშინ გარეთ შევხვდეთ.

– ნინო, ვშიშობ... როგორ გითხრა, არც ვიცი... სპარსეთში ყველაფერი სხვაგვარადაა. ვფიქრობ... სეიედი ხომ კაცია და...

ნინოს თვალები გაუფართოვდა გაოცებისაგან:

– შენ ფიქრობ, სეიედს ჩემი ნახვის უფლება არა აქვს, სეიედს, რომელმაც დაღესტანში ჩამომიყვანა?

– ვშიშობ, რომ ასეა, პირველ ხანებში მაინც. – ვუთხარი ნინოს.

– კარგი, წადი, წადი. – ჩაილაპარაკა მან მოულოდნელი გულგრილობით.

დათრგუნული გავედი ბაღიდან. დიდ ბიბლიოთეკაში ვიჯექი სეიედთან ერთად, ჩაის შევექცეოდით. სეიედი თავის გეგმებზე მემუსაიფებოდა. უნდოდა, თავის ცნობილ ბიძასთან წასულიყო მაშჰადში, ვიდრე ბაქო ურწმუნოთაგან გათავისუფლდებოდა. მე ვეთანხმებოდი. ნინოზე არაფერი უკითხავს, ერთხელაც კი არ უხსენებია მისი სახელი. სეიედი შეგნებული კაცი იყო. მაგრამ უცბად კარი გაიღო, ბიბლიოთეკაში ნინო შემოვიდა და თბილად მიესალმა:

– საღამო მშვიდობისა, სეიედ, ჩაის კიდევ ხომ არ მიირთმევდი?

ნინოს მშვიდი ხმა ჰქონდა, მაგრამ ოდნავი დაძაბულობაც იგრძნობოდა. მუსტაფა შეშინებული

წამოხტა. ნაყვავილარ სახეზე აფორიაქება დაეტყო. ნინო ჩვენთან, ხალიჩაზე ჩამოჯდა. გარეთ გახშირებული, აბნეულ-დაბნეული ფეხის ფრატუნი ატყდა. შირვანშირების ღირსებას აშკარად საფრთხე დაემუქრა. ასე გაგრძელდა რამდენსამე წუთს, ვიდრე ისევ სეიედმა არ გაფანტა ეს საშინელი დაძაბულობა. ის კვლავ დაჯდა. ნინო სიცილით იგუდებოდა:

— ზარბაზნების სროლისა არ შემშინებია და, როგორ ფიქრობ, შენი საჭურისებისა შემეშინდება?

ასე ვისხედით გვიან საღამომდე. სეიედი ტაქტიანი კაცი იყო და არ უნდოდა, ნინოსათვის გული ეტკინა.

დასაძინებლად რომ მივდიოდით, იაირა მორჩილად მომიახლოვდა:

— დამსაჯე, ბატონო, თვალი ვერ დავიჭირე თქვენს მეუღლეზე. მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ ასეთი ველური იქნებოდა. ჩემი ბრალია, ბატონო. — და ამის თქმაზე მსუქანი სახე სულ დაემანჭა.

XXIV თავი

უცნაურია! ნავთობით გაჟღენთილ ბიბი აიბატის სანაპიროსთან უკანასკნელი სროლა რომ გავიგე, მეგონა, ბედნიერი აღარასოდეს ვიქნებოდი. უკვე ოთხი კვირა იყო, აქ ვიყავი და შემრანის სურნელოვანმა ბაღმა ისეთი სიმშვიდით აღმავსო, თითქოს ისევ ვიპოვე სამშობლო.

ქალაქში იშვიათად გავდიოდი, შიგადაშიგ ვნახულობდი ნათესავებს, მეგობრებს, თეირანის ბაზრის ჩაბნელებულ ლაბირინთებში დავეხეტებოდი მსახურების თანხლებით.

ვიწრო ბილიკებზე დახლები ჩაედგათ და კარავივით გადაეხურათ ერთი უზარმაზარი ქოლგისებური სახურავით. ვათვალიერებდი ხალიჩებს, ქსოვილებს, კაკლებს, ვარდებსა და ძვირფას სამკაულებს. ამდენ საქონელში ერთი უნიკალური დოქი აღმოვაჩინე – ოქროთი მოვარაყებული, უძველესი სპარსული ფილიგრანული ნაკეთობა, აქვე ვნახე ტარსიკონის ბალიშები, იშვიათი ნელსაცხებლები. სპარსელი ვაჭრები კი ვერცხლის ფულით სავსე ქისებს ჯიბეში იცურებდნენ. ჩემი მსახურები, აღმოსავლური ბაზრის ყველანაირი ძვირფასეულობით დატვირთულნი, უკან დამყვებოდნენ. ყველაფერს ნინოსათვის ვყიდულობდი, რომ შემრანის ვარდების ბაღში უცხოდ არ ეგრძნო თავი.

ერთ კუთხეში ტარსიკონის ყდაში ჩასმული ყურანი შევნიშნე, მინიატურებით იყო მოხატული: გოგონა კვიპაროსის ქვეშ და გვერდით უფლისწული, ნუშისებრი ფორმის თვალებით; მეფე ნადირობის ჟამს, შუბი და დამფრთხალი შველი. კვლავ აჩხრიალდა ვერცხლის მონეტები. ცოტა მოშორებით დაბალ მაგიდასთან ორი ვაჭარი იჯდა. ერთმა ვერცხლის თუმნიანი ამოიღო და მეორეს გაუწოდა. ამან კი ჯერ კარგად შეათვალიერა, კბილით გასინჯა, მერე პატარა სასწორზე შემოდო და ისე ჩაუშვა ერთ დიდ ტომარაში.

უწევდა ამ მოძრაობის გაკეთება თავისი მოვალეობის აღსრულებისას. მისი ყოველი მიმოხვრა ღირსებით იყო სავსე. ვაჭრობა! წინასწარმეტყველიც ხომ ვაჭარი იყო.

ბაზარი მაცდუნებელი ლაბირინთია. ერთ დახლთან მოხუცი იჯდა და წიგნს ფურცლავდა. სახე ხავსმოკიდებული კლდის წარწერას მიუგავდა. ფაქიზი თითებიდან სათნოება და სიკეთე გამოსჭვიოდა. ფოლიანტების შეყვითლებული ფურცლებიდან შირაზის ვარდის სუნი იფრქვეოდა და ირანული ბულბულის ხმით სიმღერას აკვნესებდა. მოხუცი ნუშისებრი თვალებით იმზირებოდა და სათუთი ხელით ფურცლავდა ძველ წიგნს.

განუწყვეტელი ჩურჩული, ხმაური და ღრიანცელი ისმოდა. უძველეს ქირმანულ ხალიჩასთან ვიდექი და გამყიდველს ვევაჭრებოდი – ნინოს უყვარდა ნაზ ფერებში ჩაქსოვილი ბაღი. ვიღაც ვარდის წყალსა და ზეთს ყიდდა. ათასობით ვარდისაგან წვეთ-წვეთობით შეგროვილ ზეთში, ალბათ, იმდენი წვეთია, რამდენი ადამიანიცაა თეირანის ბაზრის ამ ლაბირინთებში. უკვე ვხედავდი, როგორ ყნოსავდა ნინო ვარდის ზეთის შუშას.

მსახურები ქანცგამოლეულები დამდევდნენ. მერე მათ მივუბრუნდი:

– ეს ყველაფერი ახლავე მიიტანეთ შემრანში და მეც მალე მოვალ.

მსახურები ქაოსში გაუჩინარდნენ. მე კი იქვე ახლოს დაბალკარიან სპარსულ ჩაიხანაში შევედი. იქაურობა ხალხით იყო სავსე. შუაში წითელწვერა კაცი იჯდა თვალდახუჭული და ჰაფეზის ლექსს წარმოთქვამდა სიყვარულზე. მსმენელები ტკბობისაგან ოხრავდნენ. მერე გაზეთის კითხვა დაიწყო:

– ამერიკაში რაღაც აპარატი გამოუგონიათ, იმაში ნათქვამი სიტყვა მთელ მსოფლიოს ესმის. მისმა უდიდებულესობა მეფეთა მეფემ, რომლის ბრწყინვალებაც მზეს

სამეფოც მსოფლიოს აღაფრთოვანებს, სულთან აჰმად შაჰმა ინგლისის მმართველი მონარქების წარმომადგენლობა მიიღო ფადეშაჰის სასახლეში. ესპანეთში სამთავიანი და ოთხფეხა ბავშვი დაიბადა. მოსახლეობა ამას ავის მომასწავებლად მიიჩნევს.

გაოცებული მსმენელები ენას აწკლაპუნებდნენ. ჟღალწვერამ გაზეთი დაკეცა და ისევ გაისმა სიმღერა. ამჯერად რაინდ როსთამსა და მის შვილ სოჰრაბზე. თითქმის არც ვუსმენდი. ცხელ ჩაის ჩავშტერებოდი და ვფიქრობდი. ყველაფერი ისე არ იყო, როგორც უნდა ყოფილიყო: მე სპარსეთში, სასახლეში ვცხოვრობდი და კმაყოფილი ვიყავი ამით. ნინოც ამ სასახლეში ცხოვრობდა, მაგრამ, ვაი რომ, კმაყოფილი არ იყო. დაღესტანში მზად იყო თავის თავზე გამოეცადა ველური ცხოვრების ყველა სიძნელე. აქ კი სპარსული ეტიკეტის ყველა საპატიო წესს უარყოფდა. უნდოდა, ჩემთან ერთად ევლო ქუჩებში მაშინ, როცა ამას პოლიცია სასტიკად კრძალავდა. ქალს და კაცს ერთად არც სტუმრის მიღება შეეძლო და არც გარეთ გამოსვლა. როცა ვცდილობდი, გადამეთქმევინებინა მისთვის ჩემთან ერთად ქალაქის დათვალიერება, მიბრაზდებოდა. „სიამოვნებით დაგათვალიერებინებდი, ნინო, ქალაქს, მაგრამ უფლება არა მაქვს." ნინო კი იმედგაცრუებული გამომხედავდა ხოლმე თავისი დიდრონი, მუქი თვალებით. ვერაფრით ვარწმუნებდი, რომ ხანის ცოლისათვის ქუჩებში უჩადროდ სიარული არ შეიძლებოდა. არაერთხელ შემითავაზებია: „ნინო, უძვირფასეს ჩადრს გიყიდი. შეხედე, რა მშვენიერია, როგორ იცავს სახეს მზისა და მტვრისაგან. მეც სიამოვნებით დავიხურავდი." ის კი ნაღვლიანად იღიმებოდა და ყველანაირ ჩადრზე უარს მეუბნებოდა: „ქალმა რომ სახე ჩადრით დაიფაროს, ეს უპატივცემულობაა, ალი ხან. ამას თუ გავაკეთებ, საკუთარი თავი შემძულდება."

პოლიციის დადგენილება ვუჩვენე. დახია. შემინული,

დახურული ეტლი შევუკვეთე და ასე ვმგზავრობდი მასთან ერთად მთელ ქალაქში. ერთხელ ზარბაზნების მოედანზე მამაჩემი დაინახა და მისალმება მოისურვა. საშინელება იყო, მერე მთელი ბაზრის ყიდვა მომიხდა მის შემოსარიგებლად.

ეულად ვიჯექი და ჩაის ჭიქას ვუმზერდი. ნინო მოწყენილობისაგან იტანჯებოდა, მაგრამ ამის გამოსწორება არ შემეძლო. მას ევროპელ ქალებთან ერთად უნდოდა სიარული, არადა, ხანის ცოლს ურწმუნოებთან ურთიერთობა ეკრძალებოდა. ევროპელი ქალებიც განუწყვეტლივ ჩასჩიჩინებდნენ, როგორ უძლებ ჰარამხანაში ცხოვრებასო, და იმდენი უჩიჩინეს, რომ მართლაც აუტანელი გახადეს მისთვის აქ ცხოვრება.

ამ ცოტა ხნის წინ ნინო ჩემს ბიძაშვილებსა და ბიცოლებთან იყო სტუმრად. აღშფოთებული დაბრუნდა უკან.

„ალი ხან," – ყვიროდა იმედგაცრუებული, – „იმათ უნდოდათ, გაეგოთ, დღეში რამდენჯერ წვები ჩემთან, როგორ მესიყვარულები და იცი, რატომ? ქმრებს უთქვამთ, რომ სულ ჩემთან ხარ და ჰგონიათ, სულ ამ საქმით ვართ გართულები. სხვაგვარად ვერც წარმოუდგენიათ. რაღაც დემონებისაგან დამცველი შანაც მომცეს, ყოველგვარი ბოროტი სულისაგან რომ დამიფაროს. ბიცოლაშენმა სულთან ხანუმმა ისიც კი მკითხა, არ იღლები, ახალგაზრდა კაცის ერთადერთი ცოლი რომ ხარო? ყველას უნდოდა, გაეგო, როგორ ვახერხებ, რომ დღემდე არ წასულხარ მოცეკვავე „გასართობ" ბიჭთან. შენი ბიძაშვილი სეიდი დაინტერესდა, როდისმე რამე ბინძური დაავადება ხომ არ ჰქონია ალი ხანსო? მთელი დღე მიმტკიცებდნენ, თანაგიგრძნობთო. ალი ხან, თავს ლაფში ამოსვრილად ვგრძნობ."

როგორც შემეძლო, ვამშვიდებდი. ის კი შეშინებული მიმჯდარიყო კუთხეში და დამფრთხალი ბავშვივით იყურე-

ბოდა. კარგა ხანს გონს ვერ მოვიდა.

ჩაი სულ გამიცივდა. ჩაიხანაში დიდხანს ვიჯექი. მინდოდა, ხალხს დაენახა, რომ მთელ დღეს ჩემს ცოლთან, ჰარამხანაში არ ვატარებდი. განუწყვეტლივ ცოლთან ჯდომა არ შეიძლება. მას მხოლოდ გარკვეული საათები ეკუთვნის. უკვე საკუთარი ბიძაშვილებიც დამცინოდნენ. მაგრამ ნინოს ერთადერთი გართობა მე ვიყავი. მე ვიყავი მისი გაზეთი, თეატრი, კაფე, მეგობარი და, ამავე დროს, ქმარიც. ამიტომაც არ შემეძლო მისი მარტო დატოვება. დღესაც სწორედ ამიტომ ვუყიდე მთელი ბაზარი. საღამოს ბიძაჩემთან დიდი მიღება იმართებოდა მამაჩემის პატივსაცემად, მისი აღმატებულება იმპერიის უფლისწულიც იქ იქნებოდა. უნდა წავსულიყავი. ნინოს მარტო მოუწევდა სახლში დარჩენა საჭურისების გარემოცვაში, რომლებიც მის აღზრდას ცდილობდნენ.

ბაზრიდან გამოვედი და შემრანისკენ გავწიე. ნინო დიდ, ხალიჩებით მოფენილ დარბაზში იჯდა და დაფიქრებული მისჩერებოდა საყურეების, სამაჯურების, აბრეშუმის ქალაღაიებისა და ნელსაცხებლების შუშების მთელ გორას. ისე ნაზად და მშვიდად მაკოცა, რომ სასოწარკვეთილებამ კიდევ უფრო მეტად დამრია ხელი. საჭურისი შემოვიდა და საჩუქრების დანახვაზე გამკიცხავად გადმომხედა, კაცმა ასე არ უნდა გაანებივროს თავისი ცოლიო.

სპარსელის ცხოვრება ღამით იწყება. აქ ღამით იღვიძებს ადამიანი და მისი აზრიც და სიტყვაც ღამით იძენს სიფაქიზეს, დღისით კი ჭუჭყი და მტვერი ამძიმებს. ღამით იღვიძებს თეშახიუთიც – სპარსული ღირსების დიდებულება. საოცრად მიყვარს და მაოცებს იგი. ეს განსხვავებული სამყაროა, ბაქოსთან, დაღესტანსა თუ საქართველოსთან შედარებით.

რვა საათზე ბიძაჩემის საპარადო ეტლები მოადგა ჩვენს სახლს, ერთი ჩემთვის, ერთი მამაჩემისთვის. ასე მოითხოვდა ეტიკეტი. ყოველ ეტლს წინ უძღოდა სამი მალემსრბოლი და შათირი გრძელი ფარნებით ხელში, რომელთა

თვალისმომჭრელი სინათლე კიდევ უფრო აკიაფებდა მათ ისედაც გულმოდგინე სახეებს. სიყმაწვილეში მათ ელენთა ამოაჭრეს და მათი მოვალეობა ის იყო, რომ მთელი ცხოვრება ეტლების წინ ერბინათ და ძლიერი შემართებით ეყვირათ: „ყურადღება! ყურადღება!"

მართალია, მთელ ქუჩაზე კაციშვილი არ ჭაჭანებდა, მაგრამ მალემსრბოლნი მაინც მონოტონურად იძახდნენ: „ყურადღება! ყურადღება!" – ესეც ეტიკეტის განაწესს მიეკუთვნებოდა.

ვიწრო ქუჩებით მივდიოდით უსასრულო, ნაცრისფერი თიხის კედლების წინ, რომელთა მიღმაც ყაზარმები თუ ქოხები, სასახლეები თუ სახელმწიფო დაწესებულებები იდგა, მაგრამ თვალი მხოლოდ თიხის ნაცრისფერ კედლებს ხედავდა. ეს კედლები იცავდა სპარსულ ცხოვრებას უცხოს უუფლებო თვალისაგან.

ბაზრის დახლებზე გადაფარებული ამოზნექილი, გუმბათისებური სახურავები, მთვარის შუქზე უთვალავ საჰაერო ბუშტს ჰგავდა, და თითქოს ვიღაცის უხილავ ხელს ყველა ერთად ეჭირა. ერთ კედელთან გავჩერდით თაღებიან თითბრის ჭიშკართან. ჭიშკარი გაიღო და სასახლეშიც შევედით.

ერთხელ, ჩვეულებრივ დღეს რომ მოვინახულე ეს სახლი, ჭიშკართან მხოლოდ ერთი მსახური იდგა ჩამოფლეთილი სერთუკით. დღეს კი სასახლის ფასადთან ყვავილწნულები და ლამპიონები ეკიდა. რვა მსახური დაგვხვდა. ეტლი გაჩერდა თუ არა, ჩვენს წინაშე ქედი მოიხარეს.

უზარმაზარ სასახლეს დაბალი კედელი ყოფდა შუაზე. იქითა მხარეს შადრევნები მოჩანდა, ბულბულების სტვენა ისმოდა – ეს ჰარამხანა იყო. მამაკაცების სამყოფელში კი უბრალო სწორკუთხოვანი აუზი ჩაედგათ, რომელშიც ოქროს თევზები დაცურავდა.

ეტლებიდან გადმოვედით. ზღურბლზე ბიძაჩემი

გამოგვეგება. პატარა ხელი სახეზე მიიფარა, ქედი მოიხარა და სასახლეში შეგვიძღვა. დიდსვეტებიან, ხით მოპირკეთებულ დარბაზში უამრავი ხალხი შეკრებილიყო: ჩალმებში, შავი ცხვრის ტყავის ბოხოხებსა და თხელ, მუქი ყავისფერი ქსოვილის ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი. შუაში ერთი ჭაღარა მოხუცი იჯდა, მოკაუჭებული ცხვირითა და ხშირი წარბებით – ეს მისი უდიდებულესობა იმპერიის უფლისწული გახლდათ. ჩვენი შესვლისთანავე ყველა წამოდგა. ჯერ უფლისწულს მივესალმეთ და შემდეგ – დანარჩენებს. მერე თეთრ რბილ ბალიშებზე დავეშვით. სხვებიც ასევე მოიქცნენ. ორი წუთში კვლავ ფეხზე წამოვიჭერით, ერთიმეორის წინაშე ქედი მოვიხარეთ, ბოლოს დავსხედით და ღირსეულ დუმილში ჩავიძირეთ. მსახურებმა სურნელოვანი ჩაი შემოიტანეს ცისფერი ფინჯნებით. ხილით სავსე კალათები ხელიდან ხელში გადადიოდა. დუმილი მისმა უდიდებულესობა იმპერიის უფლისწულმა დაარღვია:

– ბევრი მიმოგზაურია, უამრავი ქვეყანა მინახავს, მაგრამ არსად გამისინჯავს ისეთი გემრიელი კიტრი და ატამი, როგორც სპარსეთში.

კიტრი გათალა და ნაღვლიანი თვალებით ნელ-ნელა შეუდგა ჭამას.

– თქვენო უდიდებულესობავ, მართალი ბრძანდებით. ევროპაში ვიყავი და სულ მიკვირდა, რა პატარა და უჯიშო ხილი აქვთ ურწმუნოებს. – დაეთანხმა ბიძაჩემი.

– თავისუფლად ამოვისუნთქავ ხოლმე, როგორც კი სპარსეთში ვბრუნდები. მსოფლიოს არაფერი აქვს ისეთი, ჩვენ რომ გვშურდეს. კაცმა რომ თქვას, სწორედ ასეა. არსებობს მხოლოდ სპარსეთი და ბარბაროსები. – დასძინა ერთმა კაცმა, რომელიც ევროპის რომელიღაც სასახლის კარზე სპარსეთის იმპერიის წარმომადგენლად ყოფილა.

– ამას კიდევ რამდენიმე ინდოელიც შეიძლება მივუმატოთ, – განაგრძო ახლა უფლისწულმა, – წლების წინ, ინდოეთში ყოფნისას ვნახე ადამიანები, პატივს რომ

იმსახურებდნენ და თითქმის ჩვენი კულტურის სიმაღლესაც კი აღწევდნენ. მაგრამ ადამიანებში ადვილად შეიძლება შეცდე. ერთი ღირსეული ინდოელი, რომელთან ერთადაც სადილზე მოვხვდი, ბარბაროსი გამოდგა, სალათის გარეთა ფურცლებს ჭამდა.

ამ ფაქტმა სასტიკად აღაშფოთა დარბაზში მყოფნი. ერთმა მოლამ, ჩავარდნილი ლოყები რომ ჰქონდა და დიდი ჩალმა ეხურა, დაღლილი, მშვიდი ხმით აღნიშნა:

— განსხვავება სპარსელებსა და არასპარსელებს შორის ისაა, რომ ჩვენ, მხოლოდ ჩვენ გვესმის სილამაზის ფასი.

— სრული ჭეშმარიტებაა. — თქვა ბიძაჩემმა, — მე ლამაზი ლექსი მირჩევნია ხმაურიან ფაბრიკას. ამიტომაც ვაპატიებ დიდ პოეტს, აბუ საიდს მკრეხელობას, რადგან პირველად მან შემოიტანა ჩვენს ლიტერატურაში ლექსის უმშვენიერესი ფორმა — რობაი. მან ჩაახველა და წარმოთქვა:

„ვიდრე მეჩეთები და მედრესეები
არ გაუკაცრიელდება,
ჭეშმარიტების მაძიებელთა საქმეც
არ აღსრულდება.
ვიდრე რწმენა და ურწმუნოება
ერთი არ იქნება,
ვერც მუსლიმი ეზიარება ჭეშმარიტებას.“

— საშინელებაა, მართლაც საშინელებაა, მაგრამ საოცრად ჟღერს. — თქვა მოლამ. და თან სიყვარულით გაიმეორა: „ვერც მუსლიმი ეზიარება ჭეშმარიტებას.

მერე კი წამოდგა, ყელყარყარა ვერცხლის სურა აიღო და ოთახიდან გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა, დოქი იატაკზე დადგა. ჩვენ წამოვდექით და ხმამაღლა მივულოცეთ შემსუბუქება.

ცოტა ხნის შემდეგ მამაჩემმა წამოიწყო:

— თქვენო უმაღლესობავ, მართალია, რომ ვოსუჰ ოდ-დავლე, ჩვენი პრემიერ-მინისტრი, ინგლისთან ახალი ხელშეკრულების დადებას აპირებს?

უფლისწულმა გაიცინა:

— ეგ თქვენ ასად ას-სალთანეს უნდა ჰკითხოთ, საიდუმლოს უკვე აღარ წარმოადგენს.

— დიახ, — წამოიწყო ბიძაჩემმა, — მართლაც კარგი ხელშეკრულებაა, რადგან ამის შემდეგ ბარბაროსები ჩვენი მონები გახდებიან.

— როგორ?

— როგორ? ინგლისელებს მუშაობა უყვართ, ჩვენ კი — მშვენიერება. მათ ბრძოლა უყვართ, ჩვენ — სიმშვიდე. ერთი სიტყვით, შევკავშირდებით. ჩვენ აღარ დაგვჭირდება ჩვენი საზღვრების დაცვაზე ზრუნვა. ინგლისმა ირანის დაცვა იკისრა; ქუჩებს დააგებს, შენობებს აღმართავს და თანაც ფულსაც ჩაგვითვლის. ინგლისმა იცის, რომ მსოფლიო კულტურა ჩვენ უნდა გვიმადლოდეს.

ახალგაზრდა კაცმა, ჩემმა ბიძაშვილმა ბაჰრამ ხან შირვანშირმა, ბიძაჩემის გვერდით რომ იჯდა, თავი ასწია და იკითხა:

— როგორ ფიქრობთ, ინგლისი ჩვენი კულტურის გამო გვიცავს, თუ ჩვენი ნავთობის?

— ორივე ანათებს მსოფლიოს და ორივეს სჭირდება დაცვა, ყოველ შემთხვევაში, ჯარისკაცებად ყოფნა ჩვენ არ მოგვიწევს . — უპასუხა ბიძაჩემმა.

— რატომ არა? — ამჯერად მე დავსვი შეკითხვა, — მე, მაგალითად, ვიბრძოდი ჩემი ხალხისათვის, და მინდა ვთქვა, რომ კიდევაც ვიბრძოლებ მომავალში."

ასად ას-სალთანემ გამკიცხავად გადმომხედა. უფლისწულმა ჩაის ფინჯანი დადგა:

— მე არ ვიცოდი, რომ შირვანშირებს შორის ჯარისკაცებიც არიან. — აღნიშნა მან ქედმაღლურად.

— მაგრამ, თქვენო უდიდებულესობავ, ის ოფიცერი იყო.

— ეს ერთი და იგივეა, ასად ას-სალთანე. „ოფიცერი", — გაიმეორა მან დამცინავად და ტუჩი აიბზუა.

ხმას არ ვიღებდი. სულ დამავიწყდა, რომ სპარსელი

დიდებულების თვალში ჯარისკაცი საპატიო წოდებას არ წარმოადგენს.

მხოლოდ ჩემი ბიძაშვილი ბაჰრამ ხანი იყო სხვა აზრისა, ისიც, ალბათ, იმიტომ, რომ ახალგაზრდა იყო. მუშირ ოდ-დავლე, დიდად პატივსაცემი და ღირსეული პიროვნება, უფლისწულის გვერდით რომ იჯდა, თავგამოდებით ამტკიცებდა:

— ღვთისაგან დაცულ ქვეყანას, ირანს, მახვილი აღარ სჭირდება, მსოფლიოში რომ გაიბრწყინოს. ეს წარსულში ჩვენმა წინაპრებმა დაასაბუთეს. მეფეთ მეფის საგანძურში ოქროს გლობუსია, რომელზეც ყველა ქვეყანა სხვადასხვა ძვირფასი ქვით არის აღნიშნული. მხოლოდ ირანის ტერიტორიაა წმინდა წყლის ბრილიანტებით დაფარული. ეს მხოლოდ სიმბოლო არ არის, ეს ჭეშმარიტებაა.

გამახსენდა გადამთიელი ჯარისკაცები, ქვეყანაში რომ დათარეშობდნენ, ის ჩამოფლეთილტანსაცმლიანი პოლი-ციელები ენზელის პორტთან. აქ იყო აზია. აზია, რომელ-მაც იარაღი დაყარა ევროპის წინაშე, იმის შიშით, რომ თავად არ გამხდარიყო ევროპა. უფლისწული ჯარისკაცის პროფესიას პატივს არ სცემდა. არადა, თავადვე იყო იმ შაჰის შთამომავალი, რომლის დროსაც ჩემი წინაპარი გმირულად დაეცა თბილისთან ბრძოლაში. მაშინ იცოდა ირანმა იარაღის ტარება და არც თავის სახეს მალავდა. დრო შეიცვალა. სეფიანთა შთამომავალნი ხელოვნებაში გადაეშვნენ. უფლისწულს ტყვიამფრქვევს ლექსი ერჩია. იქნებ იმიტომ, რომ თვითონ ლექსში უკეთ ერკვეოდა. უფლისწულიც და ბიძაჩემიც უკვე მოხუცდნენ. ირანი მოკვდა, მაგრამ ეს გრაციოზული სიკვდილი იყო. რატომ-ღაც უცბად ომარის ლექსი გამახსენდა:

„დიდი ჭადრაკის დაფა იყო დღეცა და ღამეც,
სადაც წყდებოდა ბედისწერით თამაში კაცთა.
ის გვთავაზობდა და ადგენდა ქიშსაც, შამათსაც,
და ყველას ისევ იქ აწყობდა, სად უწინ იდგა".

ვერც შევამჩნიე ფიქრებში წასულმა, ხმამაღლა რომ წარმოვთქვი ლექსი. უფლისწულს სახე გაუნათდა.

– თქვენ მხოლოდ შემთხვევით გამხდარხართ ჯარისკაცი. როგორც ჩანს, განათლებულიც ყოფილხართ. თქვენთვის რომ ბედს არჩევანის უფლება მოეცა, მაინც ჯარისკაცობას აირჩევდით? – მკითხა მან შემწყნარებლურად.

ქედი მოვიხარე:

– თქვენო უდიდებულესობავ, ოთხი რამაა მხოლოდ, რასაც ავირჩევდი: „ლალისფერ ტუჩებს, თარის ჰანგებს, ბრძნულ სწავლებასა და წითელ ღვინოს."

დაყიყის ცნობილმა გამოთქმამ ყველა იქ მყოფი ჩემს მიმართ პატივსცემით განაწყო. თვით ლოყებჩაცვენილი მოლაც კი თბილად მიღიმოდა.

შუაღამე იქნებოდა, სასადილო ოთახის კარი რომ გაიღო. შიგ შევედით. ხალიჩაზე დიდი სუფრა გაეშალათ. კუთხეებში მსახურები იდგნენ ხელში ფარნებით. სუფრაზე თეთრი პურის კვერები ეწყო. შუაში თითბრის დიდი სინით ფლავი იდგა, სხვადასხვაგვარი ხონჩებით ათასნაირი კერძი ელაგა. ყველა კერძს თავისი დრო ჰქონდა და ჩვენც, წესისა და რიგის მიხედვით, ხან რომელი და ხან რომელი ხონჩიდან შევექცეოდით. როგორც ამას ადათი მოითხოვდა, ჩქარა ვჭამდით. ეს ერთადერთი რამაა, რასაც სპარსელები სწრაფად აკეთებენ. მოლამ მოკლე ლოცვა წარმოთქვა. გვერდით ჩემი ბიძაშვილი ბაჰრამ ხანი მეჯდა. ცოტას ჭამდა და ცნობისმოყვარეობით შემომცქეროდა:

– მოგწონს სპარსეთში?

– დიახ, ძალიან.

– კიდევ რამდენ ხანს აპირებ აქ დარჩენას?

– ვიდრე თურქები ბაქოს დაიკავებენ.

– მშურს შენი, ალი ხან.

ხმაში აღტაცება ეტყობოდა. ლავაში დაახვია და ბრინჯით ამოავსო.

– შენ ტყვიამფრქვევთან მჯდარხარ და მტრის თვალებ-

ში ცრემლი დაგინახავს. ირანის მახვილი კი დაჟანგდა, უფრო ლექსებისაკენ მივილტვით, ათასი წლის წინ რომ დაწერა ფირდოუსიმ. რუდაქის ლექსი დაყიყის ლექსისაგან უშეცდომოდ შეგვიძლია გავარჩიოთ. მაგრამ არც ერთმა არ ვიცით, როგორ დავაგოთ გზატკეცილები, ან ჯარს როგორ ვუწინამძღვროთ.

– გზატკეცილი, – გავიმეორე მე და გამახსენდა მთვარით განათებული ნესვების მინდორი მარდაკიანისაკენ. კარგიც იყო, აზიაში რომ არავინ იცოდა, როგორ დაეგოთ გზატკეცილები. ყარაბაღული ცხენი ევროპულ მანქანას სხვაგვარად ვერც დაეწეოდა, – რაში გჭირდება, ბაჰრამ ხან, გზატკეცილები?

– სატვირთო მანქანით ჯარისკაცების გადასაყვანად. მინისტრები კი ამტკიცებენ, რომ არც ჯარისკაცები გვჭირდება, მაგრამ, დიახაც, რომ გვჭირდება! გვჭირდება ტყვიამფრქვევები, სკოლები, საავადმყოფოები, მოწესრიგებული მმართველი სისტემა, ახალი კანონები და შენნაირი ადამიანები. და რაც ნაკლებად გვჭირდება, სწორედ ძველი ლექსებია, რომლის ნაღვლიან ჰანგსაც ირანი უხრის ქედს. არადა, ხომ არსებობს სხვა ლექსებიც? გაგიგია გილანელი პოეტის, აშრაფის ლექსები? ჩემკენ გადმოიხარა და ჩუმად წარმოთქვა:

„სამშობლოს ტანჯვა და უბედურება დაატყდა.

აღსდექ და მიჰყევი ირანის კუბოს დამკრძალავ პროცესიას.

სპარსეთის ახალგაზრდობა ამ სვლისას ამოჟლიტეს.

იმათი სისხლით წითლად შეიღება მთვარე, მდელოები, ბორცვები, ველები“.

– რა საშინელი რითმააო, იტყოდა უფლისწული და ამას ხელოვნებაზე თავისი შეხედულების ღრმა შეურაცხყოფად ჩათვლიდა“

– კიდევ არის უმშვენიერესი ლექსი, მირზა აღა ხანს ეკუთვნის, – განაგრძო ბაჰრამ ხანმა შეუპოვრად, – მისმინე:

„ირანს შეეძლო გაფრთხილებოდა ბედს და
ურწმუნო მტრის ბატონობა აეცილებინა.
ირანის საცოლეს უფლება არა აქვს სარეცელი რუს საქმროს გაუზიაროს.
მისი არამიწიერი მშვენიერება ინგლისის ლორდს არ უნდა ემსახურებოდეს".
– ცუდი არაა. – ვთქვი მე და გავუცინე. ეს ახალგაზრდა სპარსელი მხოლოდ უვარგისი ლექსებით განსხვავდებოდა მოხუცებისაგან. – მითხარი, ბაჰრამ ხან, რას გინდა ამით მიაღწიო?
ის მოწითალო ხალიჩაზე იჯდა და განაგრძობდა:
– ყოფილხარ ზიბეჰის მოედანზე? იქ ასი ძველი, დაჟანგებული ზარბაზანია. ლულები ოთხ-კუთხივ ცისკენ აქვთ მიშვერილი. ამ დამტვრეული, არაფრის მაქნისი, მომაკვდავი გვარისაგან მემკვიდრეობით შემორჩენილი ზარბაზნების გარდა სპარსეთში სხვა ზარბაზანი არ არსებობს. არც ერთი ჯარისკაცი არა გვყავს, გარდა რუსი კაზაკებისა, ინგლისელი მცველებისა და ოთხასი გასიებული ბაჰადარისა, სასახლის ყარაულში რომ დგანან.
შეხედე ბიძაშენს და უფლისწულს, ან ყველა ამ მაღალტიტულოვან ღირსეულ დიდებულს. შეხედე იმათ ნაღვლიან თვალებს, უღონო, იმ დაჟანგებული ზარბაზნების მსგავს, დამჭკნარ ხელებს. ეგენი დიდხანს ვერ იცოცხლებენ და დროა, გადადგნენ. დიდი ხანია, ჩვენი ბედი უფლისწულისა და პოეტების დაღლილ ხელშია. სპარსეთი მოხუცი მათხოვრის გამოწვდილ ხელისგულსა ჰგავს. მინდა, რომ ჩემი სამშობლო ამ გამხმარი ხელისგულიდან ახალგაზრდის ძლიერ მუშტად იქცეს. დარჩი აქ, ალი ხან. შენს შესახებ ბევრი მსმენია: როგორ იდექი ტყვიმფრქვევთან, როგორ იცავდი ბაქოს ძველ კედელს, როგორ გამოღადრე შენს მტერს ყელი მთვარის შუქზე. დარჩი აქ, აქ ძველ კედელზე მეტია დასაცავი. აქ, ტყვიამფრქვევის გარდა, სხვაც ბევრი რამ გექნება. ჰარამხანაში

ჯდომასა და ბაზრის მშვენიერებით ტკბობას ეს სჯობია.

ფიქრმა გამიტაცა და ხმას არ ვიღებდი. თეირანი! მსოფლიოს უძველესი ქალაქი! ბაბილონელები მას როგა-რეის უწოდებდნენ. როგა-რეი მეფურ ქალაქს ნიშნავს. ძველი ლეგენდების მტვერი, დაცემული სასახლეების გაუფერულებული ოქრო, ალმასის ჭიშკრის გრეხილი სვეტები, უძველესი ხალიჩების გახუნებული ხაზები და ბრძნული რობაიების მშვიდი რითმები აქ, ჩემ წინ გადა-შლილიყო, როგორც წარსულის, აწმყოს და მომავლის სურათები!

– ბაჰრამ ხან, თუ შენს მიზანს მიაღწევ,ასფალტის ქუჩებს დააგებ, ციხე-სიმაგრეებს ააშენებ და ამ უგემოვნო ლექსებს სკოლებში ასწავლი, აზიის სული სადღა გაქრება? – წამოვიწყე მე.

– აზიის სული? – გაიცინა მან, – ზარბაზნების მოედნის ბოლოს დიდ შენობას აღვმართავთ და იქ მივიტანთ აზიის სულს: მეჩეთის დროშებს, ხელნაწერ ლექსებს, მინიატურულ ნახატებს, „გასართობ" ყმაწვილებს, რადგან ისინიც აზიის სულის ნაწილია. ფასადზე ქუფური ლამაზი ხელით დავაწერთ „მუზეუმი". ძია ასად ას-სალთანეს შეუძლია ამ მუზეუმის დარაჯი იყოს, მისი უდიდებულესობა იმპერიის უფლისწული კი – დირექტორი. არ გინდა, ამ ლამაზი შენობის აგებაში დაგვეხმარო?

– უნდა მოვიფიქრო, ბაჰრამ ხან.

სადილი დამთავრდა. სტუმრები ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ დარბაზში. წამოვდექი და ღია ვერანდაზე გავედი. სახეზე სუფთა ჰაერი მომელამუნა. ბაღიდან ირანული ვარდების მათრობელა სურნელი იჭრებოდა. ჩავიმუხლე. ბაზრის გუმბათის მიღმა შემრანი მოჩანდა და იქ, ერთ სასახლეში, ბალიშებსა და ხალიჩებს შორის ჩემი ნინო მეგულებოდა. ახლა, ალბათ, ეძინა. გამახსენდა ცრემლებით დანამული წამწამები, გაპობილი ნოტიო ბაგეები და ღრმა ნაღველმა მომიცვა. ალბათ ბაზრის მთელი ძვირფასეულობის ყიდვა

დამჭირდებოდა, მისი თვალები ღიმილით რომ ამევსო.

სპარსეთი! აქ უნდა დავრჩე? ამ საჭურისებსა და უფლისწულებს, დერვიშებსა და სულელებს შორის? გზატკეცილების დაგება, ჯარების გაწვრთნა, ევროპის სულის აზიაში შემოტანა... და ამ ყველაფერში მე უნდა დავეხმარო?

და უცბად მივხვდი, რომ მთელ სამყაროში ნინოს მომღიმარ თვალებზე ძვირაფ არაფერი მიღირდა. მხოლოდ ეს მინდოდა – მის თვალებში ღიმილის დანახვა. როდის უცინოდა ბოლოს თვალები? – ბაქოს ძველ კედელთან?! შინ დაბრუნების ველურმა სურვილმა შემიპყრო. თვალწინ დამიდგა მტვრით დაფარული ძველი კედელი, მზე, ნარგიზის კუნძულს რომ ეფარებოდა.

მესმოდა ტურების ხმა, რუხი მგლის ჭიშკართან მთვარეს რომ შეჰკიოდნენ. ვხედავდი უდაბნოს ქვიშით დაფარულ ბაქოს ტრამალებს, ნავთობით გაჟღენთილ მდიდარ ქვეყანას, სანაპიროს გასწვრივ რომ გადაჭიმულიყო, ქალთა მონასტერთან მოვაჭრე ჩარჩებს, წმინდა თამარის ლიცეუმისაკენ მიმავალ ნიკოლოზის ქუჩასაც თვალნათლივ ვხედავდი. გამახსენდა, ლიცეუმის ეზოში, ხის ქვეშ, წიგნით ხელში რომ იდგა ნინო და დიდრონი გაკვირვებული თვალებით იყურებოდა. და სპარსული ვარდების სურნელი მოგონებებმა შთანთქა. მივტიროდი სამშობლოს, როგორც ბავშვი – დედას და ყრუდ ვგრძნობდი, რომ ეს სამშობლო აღარ არსებობდა. ბაქოს სანაპიროს სუფთა ჰაერი, ზღვის, ნავთობისა თუ ქვიშის სუნით გაჟღენთილი სურნელი მენატრებოდა. უფლება არ მქონდა, დამეტოვებინა ეს ქალაქი. ღმერთმა იქ ინება ჩემი გაჩენა! ქალაქის ძველ სულს ისე ვიყავი მიჯაჭვული, როგორც ძაღლი თავის ბუდრუგანას. ცას შევცქეროდი – სპარსული ვარსკვლავები ჩემთვის შაჰის პატიოსანი თვლებით მოოჭვილი გვირგვინივით თვალმიუწვდომელი, შორეული და უცხო იყო. არასოდეს მიგრძვნია ასე აშკარად, რომ ბაქოს ვეკუთვნოდი, მის ძველ

კედელს, სადაც ნინოს თვალები ღიმილით უბრწყინავდა.

ფიქრებიდან მხარზე ბაჰრამ ხანის ხელის შეხებამ გამომარკვია.

– ალი ხან, ვატყობ, ოცნებამ გაგიტაცა. რა პასუხს მაძლევ, დამეხმარები ახალი ირანის აშენებაში?

– ჩემო ბიძაშვილო, ბაჰრამ ხან, კარგად მესმის შენი. მაგრამ მხოლოდ გადახვეწილმა იცის, რა არის სამშობლო. არ შემიძლია ირანის აშენება. ჩემი ხმალი ბაქოს კედელზე უნდა აილესოს. – ვუთხარი მე.

მან ნაღვლიანად გამომხედა.

– მაჯნუნ. – ჩაილაპარაკა მან არაბულად, რაც შეყვარებულსაც ნიშნავს და შმაგსაც.

ის ჩემი სისხლისა იყო და ჩემს გულისნადებს ჩასწვდა. დარბაზში დავბრუნდით. დიდებულები მისი უდიდებულესობის წინაშე ქედს იხრიდნენ. ვუმზერდი ამ გრძელ გამხდარ თითებს, წითლად შეღებილ ფრჩხილებს. არა, აქ იმისათვის არ ჩამოვსულვარ, რომ ფირდოუსის ლექსები, ჰაფეზის სასიყვარულო კვნესა და საადის ბრძნული გამონათქვამები მუზეუმის დიდებულ შენობას მივაბარო.

მეც დავიხარე მისი უდიდებულესობის ხელისაკენ და ვემთხვიე. კაეშნით სავსე თვალები და დაბნეული მზერა ჰქონდა, თითქოს მუქარით აღვსილი ბედის მოახლოებას გრძნობდა. შემრანში რომ ვბრუნდებოდი, დაჟანგული ზარბაზნების მოედანზე გავლისას კვლავ გამახსენდა მისი უდიდებულესობა უფლისწულის დაღლილი თვალები. თვალწინ დამიდგა ნინოს მორჩილი, იძულებითი სიმშვიდე. და ვერ გამეგო, სად იყო ხსნა, გამოსავალი ამ გამოცანებით აღსავსე დაცემიდან.

XXV თავი

დივანზე ვიჯექი, წინ რუკა მქონდა ფართოდ გაშლილი. ხელში პატარა ჭრელი ალმები მეჭირა. რუკის ფერები ისეთი მკვეთრი და დამაბნეველი იყო, ზედ აღნიშნული მთების, ქალაქებისა თუ მდინარეების სახელები კი ისე იხლართებოდა ერთიმეორეში, რომ წაკითხვა ჭირდა. გვერდით გაზეთი მედო, რომელშიც სვეტებად ჩამოემწკრივებინათ ქვეყნების, მთებისა და მდინარეების სახელწოდებები. ორივეს გაფაციცებით ჩავცქეროდი და ვცდილობდი, გაზეთში შეცდომით დაწერილი სახელი და რუკაზე აბურდული გაურკვევლობა ერთმანეთთან შემეჯერებინა, რომ შესაბამისი ფერის ალამი ზუსტ ადგილზე ჩამემაგრებინა. ერთ პატარა წრეში მწვანე ალამი ჩავარჭე — გვერდით ბეჭდური ასოებით ეწერა „ელიზავეტპოლი (განჯა)", ბოლო ხუთი ასო სანგულდაკის მთებით იყო გადაფარული. როგორც გაზეთი იუწყებოდა, ადვოკატმა ფათჰ ალი ხანმა ქალაქ ხოიდან განჯამდე აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკა გამოაცხადა. განჯის აღმოსავლეთით ჩარჭობილი მწვანე ალმები იყო ჯარი, რომელიც ენვერმა შექმნა ჩვენი ქვეყნის გასათავისუფლებლად. მარჯვნიდან ნური ფაშას პოლკები ქალაქ აგდაშს უახლოვდებოდნენ. შუაში აზერბაიჯანელ მოხალისეთა ბატალიონები იბრძოდნენ. რუსების დაპყრობილი ბაქო ნელ-ნელა თურქების ალყაში ექცეოდა. მწვანე ალმების კიდევ რამდენიმე გადაადგილება და ერთიმეორეში ჩახლართული წითლად აღნიშნული გზები ბაქოს დიდ წარწერას შეეჯახებოდა.

საჭურისი იაირა ყული ზურგს უკან მედგა და ამ უცნაურ თამაშს დაძაბული დასცქეროდა. ეტყობა, ჭრელ ქაღალდზე ალმების გადაადგილება ჯადოქრის ძლიერ,

შავბნელ გრძნეულებად ეჩვენებოდა, ჩემი მოქმედების არსს ვერ ჩასწვდა. ალბათ ფიქრობდა, მწვანე ალმებს ბაქოს წითელ ლაქაზე იმიტომ ვარჭობდი, რომ გრძნეულებით ჩემი ქალაქი ურწმუნოთა ხელიდან გამომეგლიჯა. არ უნდოდა, ხელი შეეშალა ამ იდუმალ საქმიანობაში და სერიოზული, მონოტონური ხმით საქმიანად წამოიწყო:

— ო, ხან, ფრჩხილები მინდოდა მისთვის წითელი ინით შემეღება, მან კი ბოთლი სადღაც გადაისროლა და დამკაწ-რა, არადა, უძვირფასესი ინა შევურჩიე. დილით ადრე ფანჯარასთან მივიყვანე, თავზე ნაზად მოვკიდე ხელი, პირის ღრუ მინდოდა შემემოწმებინა, ო, ხან, ეს ხომ ჩემი მოვალეობაა. ის კი დამისხლტა და მარჯვენა ხელით სილა გამაწნა მარცხენა ლოყაში. ტკენით იმდენად არ მტკენია, რამდენადაც შეურაცხყოფილი დავრჩი. აპატიე შენს მონას, ხან. ვერაფრით ვერ დავიყოლიე სხეულიდან თმის მოშორებაზე. უცნაური ქალია. არც შანას ატარებს, ბავშვზე ხომ მაინც უნდა იფიქროს?! გოგო თუ გეყოლება, მე ნუ დამაბრალებ, ხან, ნინო ხანუმს მოჰკითხე პასუხი. როგორც ჩანს, მის სულს ბოროტი ძალა დაჰპატრონებია, რადგან შევეხები თუ არა, სულ ცახცახებს. ვიცი, მეჩეთთან ერთი მოხუცი ქალია, აბდულ-ასიმი, კარგად ერკვევა ბოროტ სულებში. ხან, კარგი იქნება, თუ მოვაყვანინებთ. იფიქრეთ ამაზე. სახეს სულ ყინულივით ცივი წყლით იბანს და ვერ ხვდება, რომ ეს კანს აფუჭებს. კბილებს ისეთი მაგარი ჯაგრისით იხეხავს, ღრძილებიდან სულ სისხლი სდის, ნაცვლად იმისა, რომ წესიერად, სურნელოვანი მალამოთი, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით გაიწმინდოს. ადამიანის ასეთ აზრებამდე მიყვანა მარტო ბოროტ სულს თუ შეუძლია.

ძლივს ვუსმენდი. ყოველდღე ერთი და იმავე საჩივრით მოდიოდა. თანაც მთელი სერიოზულობითა და შეწუხებული სახით მიამბობდა ამ ყველაფერს, რადგან თავს ვალდებულად გრძნობდა, ნინოსა და მის მომავალ შვილზე

ეზრუნა. ნინომ კი თითქოს სასაცილო, მაგრამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა. ბალიშებს ესროდა, ჯიბრით ჩადრდაუფარებელი დასეირნობდა სახურავზე, შანა რომ მისცა, ფანჯრიდან მოისროლა. თავისი ოთახის კედლები ქართველი ნათესავების ფოტოებით აავსო. საჭურისი ჩემთან მორბოდა და შეშინებული სახით შემომჩიოდა. საღამოობით კი ნინო იჯდა ჩემ წინ და მეორე დღისათვის შეტევის მორიგ გეგმებს სახავდა.

– როგორ ფიქრობ, ალი ხან, – ამბობდა იგი და ნიკაპს ჩაფიქრებით ისრესდა, – იქნებ სჯობდეს, ღამე ჯამით წყალი გადავასხა, ან დღისით ზედ კატა მივაგდო? არა, უკეთესი მოვიფიქრე! ყოველ დილით შადრევანთან ვივარჯიშებ და ჩემთან ერთად იმასაც ვაიძულებ, ივარჯიშოს, მსუქანია და მოუხდება.

ასე ადგენდა შურისძიების გეგმებს, ვიდრე ჩაეძინებოდა და მეორე დღეს ისევ თავიდან იწყებოდა ხადუმის საჩივრები:

– ხან, ნინო ხანუმი შადრევანთან დგას და ხელ-ფეხს უცნაურად იქნევს, მე შინია, ბატონო, ისე იხრება წინ და უკან, თითქოს ძვლები საერთოდ არ ჰქონდეს. ვშიშობ, ბატონო, იქნებ ასე რომელიმე უცნობ ღმერთს სცემს თაყვანს. თან დაუჩემებია, შენც გააკეთეო. მაგრამ მე მორწმუნე მუსლიმი ვარ, ხან, ალაჰის ფეხთა მტვერი. საგონებელში ვარ ჩავარდნილი მისი ძვლებისა და ჩემი სულის გამო.

აზრი არ ჰქონდა ამ საჭურისის დათხოვნას. მის ნაცვლად სხვა მოვიდოდა, რადგან ხადუმების გარეშე წარმოუდგენელია აქ სახლის მართვა. არავის შეუძლია ისე კარგად ჰარამხანაში მოფუსფუსე ქალების ყურისგდება, ფულის ანგარიში, გაფრთხილება და ყველაფრის რიგზე ქონა, როგორც საჭურისს.

ამიტომაც ვდუმდი, ჩაფიქრებული დავცქეროდი მწვანე ალმებს, ბაქოს რომ ერტყა გარს... საჭურისმა მოკრძალებით ჩაახველა:

– დავუძახო იმ მოხუც ქალს მეჩეთიდან?

– რისთვის, იაირა ყული?

– ნინო ხანუმის სხეულიდან ავი სულები რომ განდევნოს.

ამოვიოხრე. აბდულ-ასიმის მეჩეთიდან მოყვანილი დედაბერი რას გააწყობდა ევროპულ სულთან?

– საჭირო არ არის, იაირა ყული – მეც კარგად ვერკვევი სულების შელოცვაში. მაგ საქმეს თვითონაც მივხედავ. აი, ახლაც, ამ ალმებს ხომ ხედავ?

საჭურისის თვალებში შიში და ინტერესი შევნიშნე:

– თუ მწვანე ალმები წითლებს შეავიწროვებს, შენი სამშობლო გათავისუფლდება? ასეა, ხან?

– ასეა, იაირა ყული.

– შეგიძლია, მაშინვე იქ ჩააწყო მწვანე ალმები, სადაც იმათი ადგილია?

– არა, ეგ უკვე ჩემს ძალებს აღემატება.

– ღმერთს უნდა შესთხოვო, ხან, რომ ამისი ძალა მოგანიჭოს. მომავალ კვირას მოჰარამის დღესასწაული იწყება. რასაც ამ დღეს უფალს შესთხოვ, შეგისრულებს. – მირჩია გულწრფელი მზრუნველობით.

რუკა დავკეცე. დავიღალე. მოუსვენრობამ და სევდამ დამრია ხელი. აუტანელი იყო ამდენ ხანს მსახურის ლაყბობის მოსმენა. ნინო შინ არ იყო. მშობლები ჩამოუვიდნენ თეირანში და უმეტეს დროს მათთან ატარებდა. პატარა ვილა ჰქონდათ ნაქირავები. იქ ევროპელი ქალები იყრიდნენ თავს. ვიცოდი, მაგრამ ნინოს არაფერს ვეუბნებოდი – მეცოდებოდა, თუმცა გული მტკიოდა. საჭურისი ისევ უკან მედგა უძრავად და ჩემს ბრძანებას ელოდა. სეიედ მუსტაფა გამახსენდა. ცოტა ხნით ჩამოვიდა თეირანში. მაგრამ დროს ძირითადად მეჩეთებსა და წმინდანთა საფლავებთან, ჩამოფლეთილსამოსიან დერვიშებთან ბრძნულ საუბრებში ატარებდა და იშვიათად ვხედავდი.

– იაირა ყული, წადი სეიედ მუსტაფასთან, სეფაჰსა-

ლარის მეჩეთთან ცხოვრობს. სთხოვე, პატივი დამდოს თავისი სტუმრობით. – მივუბრუნდი ბოლოს.

საჭურისი წავიდა. მარტო დავრჩი. მწვანე ალმების ბაქოსაკენ გადაადგილების სურვილი აღარ მქონდა. სადღაც ჩემი სამშობლოს ტრამალებში თურქების ბატალიონები აზერბაიჯანელ მოხალისეებთან ერთად იბრძოდნენ ახალი დროშით. ეს დროშაც ვიცოდი, ჯარის რაოდენობაც და მათი ბრძოლაც. მოხალისეთა რიგებში ილიას ბეგიც იბრძოდა. საბრძოლო ველისა და ამ ველზე მონანავე დილის სუფთა სიოსაკენ მივილტვოდი. მაგრამ ჩემთვის ფრონტის გზა ჩაკეტილი იყო. საზღვარზე ინგლისელი და რუსი ჯარისკაცები იდგნენ. განიერი ხიდი მდინარე არაქსზე, ბრძოლის ველთან რომ აკავშირებდა ირანს, მავთულხლართებით, ტყვიამფრქვევებითა და ჯარისკაცებით გადაეღობათ. და როგორც კუ თავის ბაკანში, ისე შემძვრალიყო ირანი სიმშვიდეში. ადამიანი კი არა, ბუზიც ვერ შეფრინდებოდა, თაგვიც ვერ შეაღწევდა იმ მოწამლულ ადგილას, სადაც ისროდნენ, იბრძოდნენ და პოეტობისათვის არ ეცალათ. თუმცა ბაქოდან გამოქცეულები მაინც ახერხებდნენ შემოსვლას. მათ შორის ყბედი, მოუსვენარი არსლან აღაც იყო. ჩაიხანებში დარბოდა, წერდა სტატიებს, სადაც თურქების ლაშქრობებს ალექსანდრეს ლაშქრობებს ადარებდა. ერთი მისი სტატია აიკრძალა, ცენზორმა ალექსანდრეს განდიდებაში სპარსეთის საწინააღმდეგო დაინახა, რადგან ალექსანდრემ ერთხელ სპარსეთიც დაამარცხა. ამის მერე არსლან აღა საკუთარი აზრების მსხვერპლად მონათლეს. არსლან აღამ ერთხელ მეც მომინახულა, სულ ბაქოს კედელთან ჩადენილ ჩემს გმირობებზე მელაპარაკა. მისი ფანტაზიით ჩემმა ტყვიამფრქვევმა უამრავი მტერი მიაწვინა, ლეგიონებად რომ მოაბიჯებდნენ ძველი კედლისაკენ. მაშინ თვითონ ერთ სარდაფში, სტამბაში იჯდა. პატრიოტულ მოწოდებებს ქმნიდა, თუმცა სტატიები არსად გამოქვეყნებულა. წამიკითხა თავისი წერილები და მთხოვა გამეზიარებინა, თუ

რას გრძნობს, რას განიცდის გმირი ბრძოლის შემდეგ. მე კი ტკბილეულობით გამოვუტენე პირი და გარეთ გავისტუმრე. არსლანმა ტიპოგრაფიული საღებავების სუნი და სუფთა სქელი რვეული დამიტოვა. მთხოვა, გადმომეცა გმირის განცდები ბრძოლის შემდეგ. თეთრ ფურცელს რომ დავქცეროდი, ნინოს ნაღვლიანი, დაბნეული თვალები დამიდგა თვალწინ, გამახსენდა ჩემი არეული ცხოვრება და ანგარიშმიუცემლად კალამს დავავლე ხელი. არა, იმიტომ არა, რომ ჩემი ბრძოლისშემდგომი განცდები გადმომეცა, არამედ იმიტომ, რომ ის გზა გამომეკვეთა, რომელმაც მე და ნინო შემრანის სურნელოვან ბაღში მოგვახვედრა და ნინოს თვალებიდან ღიმილი გააქრო.

ვიჯექი და ბამბუკისგან გამოთლილი სპარსული კალმით ვწერდი. თავი მოვუყარე გაფანტულ ჩანაწერებს, ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში რომ დავიწყე. მთელი წარსული ამომიტივტივდა გონებაში. მუსტაფა ოთახში ისე შემოვიდა, რომ ვერც გავიგე, მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როცა ჩემს მხრებთან დაიხარა.

– სეიედ, სულ ამერ-დამერია ცხოვრება. ფრონტზე დასაბრუნებელი გზაც მოჭრილია. აღარც ნინო იცინის. მე კი მელანს ვღვრი სისხლის ნაცვლად. რა უნდა ვქნა, როგორ მოვიქცე, სეიედ?! – წამოვიძახე მე.

ჩემი მეგობარი მშვიდად, დაკვირვებით მიმზერდა. შავი ტანსაცმელი ეცვა. სახე უფრო გახდომოდა, ისედაც მოხრილი, კიდევ უფრო მოხრილიყო, თითქოს იდუმალი ტვირთი აწევსო. ერთ ხანს მიმზირა, მერე კი ჩამოჯდა და წამოიწყო:

– ხელებით ვერაფერს მიაღწევ, ალი ხან. ადამიანს მხოლოდ ხელები არა აქვს. შეხედე ჩემს ტანსაცმელს და მიხვდები, რასაც ვგულისხმობ. იდუმალი სამყაროს ძალა ადამიანებშია. შეეხე შენს იდუმალებას და შენი ძალაც ამოქმედდება.

– არ მესმის, შენი, სეიედ. სული მტკივა და ამ უკუნე-

თიდან გამოსასვლელ გზას ვეძებ.

– შენ მიწიერს დამორჩილდი, ალი ხან, და დაგავიწყდა, რომ არაამქვეყნიურიც არსებობს, რომელიც მიწიერს მართავს. 680 წელს მტრისგან დევნილი ჰუსაინი, წინასწარმეტყველის შვილიშვილი, ქარბალასთან დაეცა. ის იდუმალებით მოცული მხსნელი იყო. ყოვლადძლიერმა თავისი სისხლით გამოსახა ჩამავალი და ამომავალი მზე. თორმეტი იმამი ბატონობდა შიიტებზე: პირველი ჰუსაინი იყო, და უკანასკნელი კი ბოლო დღის იმამია – უხილავი, რომელიც შიიტებს ფარულად დღესაც მართავს. ყველგან, ყოველ შენს მოქმედებაში აშკარად თუ ფარულად იდუმალი იმამია. მას მზის ამოსვლის საოცრებაში, ზღვის ტალღებში ვხედავ, მისი ხმა ტყვიამფრქვევის კაკანშიც მესმის, ყველგან, ქალის ოხვრასა თუ ქარის ქროლვაში. გლოვაა ხვედრი შიიტისა! გლოვა ჰუსაინის სისხლისათვის, ქარბალასთან უდაბნოს ქვიშაში რომ დაიღვარა! წელიწადის ერთი თვე გლოვაა გამოცხადებული. ეს მოჰარამის თვეა. თუ ტანჯული მოჰარამის თვეში იგლოვებს, მოჰარამის მეათე დღეს შიას ხვედრი აღსრულდება, რადგან ეს წამებულის სიკვდილის დღეა... ტანჯვა, რომელიც ყმაწვილმა ჰუსაინმა იტვირთა, მორწმუნემ მხრებით უნდა ზიდოს. ვინც ამ ტანჯვის ნაწილს იტვირთავს, მის წყალობასაც ეზიარება. ამიტომაც იმათრახებს თავს მორწმუნე მოჰარამის თვეში და გზააბნეული ამ თვითგვემის ტკივილში შეწყალების გზასა და განთავისუფლების სურვილს ავლენს.

– სეიედ, გეკითხები, როგორ უნდა დავიბრუნო სახლში სიხარული, შიშისაგან ლამის გავგიჟდე, შენ კი ღვთისმეტყველების გაკვეთილებს მიტარებ. გამოდის, მეჩეთებში უნდა ვირბინო და რკინის ჯაჭვები ვიცე ზურგზე? მორწმუნე ვარ და მოძღვრების მოთხოვნებს ვასრულებ. მწამს უხილავთა იდუმალება, მაგრამ არ მჯერა, რომ ბედნიერების გზას ჰუსაინის საიდუმლოთი ვიპოვი. – გაღიზიანებული ხმით ვუთხარი დაღლილმა.

— მე კი მჯერა, ალი ხან. შენ გზა მკითხე და მეც დაგისახელე. მეტი ვერაფრით დაგეხმარები. ილიას ბეგი განჯასთან ღვრის სისხლს. შენ განჯაში ჩასვლა არ შეგიძლია. ამიტომ შენი სისხლი უხილავს უნდა მიუძღვნა, სისხლი, რომელსაც მოჰარამის მეათე დღეს შენგან უხილავი მოითხოვს. ნუ იტყვი, რომ წმინდა მსხვერპლი უაზროა — ტანჯვის სამყაროში უაზრო არაფერია. იბრძოლე მოჰარამში სამშობლოსათვის, როგორც ილიასი იბრძვის განჯასთან.

ხმას არ ვიღებდი. ეზოში შემინული ეტლი შემოვიდა. შუშის მიღმა ნინოს სახე ბუნდოვნად მოჩანდა. ჰარამხანის ბაღის კარი გაიღო და სეიედ მუსტაფა უცბად, ნაჩქარევად წამოდგა:

— მოდი ხვალ ჩემთან სეფაჰსალარის მეჩეთში და მუსაიფი იქ განვაგრძოთ.

XXVI თავი

მე და ნინო დივანზე ვისხედით, შუაში სპილოსძვლის-ფეხებიანი, სადაფით მოოჭვილი ნარდის დაფა გვედგა და კამათლებს ვაგორებდით, ფულზე, საყურეებზე, კოცნასა და ჩვენი მომავალი შვილების სახელებზე ვთამაშობდით. ნინო აგებდა, ითვლიდა თავის ვალებს და თან კამათელს აგორებდა. დაძაბულობისაგან თვალები უბრწყინავდა. თითებით სპილოს ძვლის ფეხებს ჩაბღაუჭებოდა, თითქოს ძვირფასი განძი იყო:

– შენ ბოლოს მომიღებ, ალი! – თქვა ნინომ ოხვრით, როცა წაგებული რვა ვერცხლის ფული ჩამითვალა. მერე დაფა გვერდზე გადადგა, თავი მუხლებზე დამადო და ოცნებებში გაირინდა. კმაყოფილი ჩანდა, შურისძიების მარჯვე შემთხვევა იგდო ხელთ. საქმე კი აი რაში გახლდათ:

უკვე დილიდანვე მთელ სახლში ისმოდა ნინოს დაუძინებელი მტრის, იაირა ყულის ოხვრა და კვნესა. ყბაახვეული, ლოყაგასიებული დადიოდა, კბილი სტკიოდა. რა საშინელებაა ეს კბილის ტკივილიო, ისეთი სახით მოთქვამდა, თითქოს მზად იყო, თავი მოეკლა. ნინოს თვალები უბრწყინავდა, ნიშნის მოგებით შეჰყურებდა, მერე ფანჯარასთან მიიყვანა და პირში ჩახედა. შუბლშეჭმუხნულმა თავი მზრუნველად გადააქნია. მერე მაგარი ძაფი აიღო, ერთი ბოლო იაირა ყულის მტკივან კბილს გამოსდო, მეორე კი ღია კარის სახელურზე დაამაგრა. „ასე" – ჩაილაპარაკა საქმიანად. მერე კარისკენ გაიქცა და მთელი ძალით მიაჯახუნა. საჭურისს შეძრწუნებული ღრიალი აღმოხდა და გაოგნებული იატაკისაკენ დაიხარა. გაშტერებული მისჩერებოდა კბილს, ძაფზე გამობმული რომ მიექანებოდა კარის სახელურისაკენ.

– უთხარი მაგას, ალი ხან, ეგ იმის ბრალია, რომ კბილებს მარჯვენა ხელის სალოკი თითით იწმენდს.

ნინოს ნათქვამი იაირა ყულის სიტყვასიტყვით გადავუთარგმნე. იაირა ყულიმ იატაკიდან კბილი აიღო.

ნინოს ჯერ კიდევ ვერ დაეოკებინა შურისძიების ჟინი და განაგრძობდა:

— უთხარი მაგას, ალი ხან, რომ კარგა ხანს ეტკიება. ლოგინში ჩაწვეს, ექვსი საათი ცხელ-ცხელი ბალიში იდოს ლოყაზე და, სულ ცოტა, ერთი კვირის განმავლობაში ტკბილი არ შეჭამოს.

იაირა ყულიმ მორჩილად დაუქნია თავი და წავიდა. ეტყობა, შვება იგრძნო, მაგრამ გაოგნებულიც ჩანდა. როცა ხადუმი ოთახიდან გავიდა, ნინოს ვუსაყვედურე:

— გრცხვენოდეს, ნინო, საბრალოს სიცოცხლეს უმწარებ.

— ღირსია. — ჩაილაპარაკა გულქვად და ისევ ნარდის დაფა მოიტანა. ეტყობა უნდოდა, ანგარიში როგორმე გამოესწორებინა.

ჭერს შესცქეროდა და თან თითებით ნიკაპზე მეფეერებოდა:

— ალი ხან, როდის დაიკავებენ ბაქოს?

— ალბათ ორ კვირაში.

— თოთხმეტი დღე, — ამოიოხრა მან, — მენატრება ბაქო, თურქების შესვლაზე ვოცნებობ, იცი, აქ უკვე ძალიან მიჭირს. შენ შეიძლება თავს კარგად გრძნობ, მაგრამ მე ყოველდღიურად შეურაცხყოფილი ვარ.

— როგორ — შეურაცხყოფილი?

— აქ ყველა ისე მეპყრობა, თითქოს რაღაც ძვირფასი, ადვილად მსხვრევადი ნივთი ვიყო, მაგრამ არც მსხვრევადი ვარ და არც ნივთი. გახსოვს დაღესტანი?! რა მშვენიერი იყო იქ! ასე დიდხანს ვერ გავძლებ. თუ ბაქო მალე არ გათავისუფლდება, სხვაგან უნდა გადავიდეთ. მე არ ვიცი ის პოეტები, რომლებითაც ასე ამაყობს სპარსეთი. სამაგიეროდ, კარგად ვიცი, რომ ჰუსაინის დღესასწაულის დღეს ადამიანები მკერდს იღადრავენ, თავში ხმლებს იშენენ,

ზურგზე რკინის ჯაჭვებს იცემენ. დღეს ბევრი ევროპელი ტოვებს ქალაქს, რომ ამ სანახაობას გაერიდოს. ეს ყველაფერი ზიზღსა მგვრის. გამუდმებით ველი საფრთხეს, ყოველ წუთს შეიძლება რაღაც დამატყდეს თავს. – მისი ნაზი სახე აღშფოთებით შემომცქეროდა. მუქი თვალები კიდევ უფრო ჩამუქებოდა და ჩასცვენოდა. გუგები გაფართოებოდა, მზერა უფრო დანაზებული და სულში ჩამწვდომი გახდომოდა. მხოლოდ თვალები ამჟღავნებდა ფეხმძიმობას.

– გეშინია, ნინო?

– რის? – მკითხა გულწრფელი გაოცებით.

– ზოგიერთ ქალს ეშინია!

– არა, – ჩაილაპარაკა ნინომ სერიოზულად, – არ მეშინია. შეიძლება თაგვების, ნიანგების, გამოცდებისა და საჭურისების მეშინია, მაგრამ ამისი არა. მაშინ, გამოდის, ზამთარში გაციებისაც უნდა მეშინოდეს?

მშვენიერი თვალები დავუკოცნე. მერე წამოდგა, თმა უკან გადაიყარა და მითხრა:

– ახლა მშობლებთან წავალ, ალი ხან.

თავი კი დავუქნიე, მაგრამ კარგად ვიცოდი, რომ ყიფიანების ვილაში ჰარამხანის ყველანაირი კანონი ირღვეოდა. თავადის ოჯახში თავს იყრიდნენ ქართველი მეგობრები, ევროპელი დიპლომატები. ნინო ჩაის სვამდა, ინგლისურ ნამცხვრებს მიირთმევდა და ჰოლანდიელ კონსულს რუბენსსა და აღმოსავლელი ქალების პრობლემებზე ელაპარაკებოდა. ნინო წავიდა. ნაღვლიანად გავაყოლე თვალი შემინულ ეტლს, ეზოდან რომ გადიოდა.

მარტო დავრჩი და ჭრელ რუკაზე მწვანე ალმებით მონიშნულ იმ მცირე მანძილზე ვფიქრობდი, სამშობლოს რომ მაშორებდა. ოთახში სიბნელე ჩამოწვა. ბალიშებს ისევ ნინოს ნელსაცხებლის სურნელი ასდიოდა. იატაკზე ჩავცურდი და კრიალოსანს დავწვდი. ოთახის კედელზე ვერცხლისფერი ლომი ბრწყინავდა. იმას მივაშტერდი. მძიმე

თათებში ვერცხლისფერი მახვილი უელვარებდა. თავს ისე უღონოდ ვგრძნობდი, თითქოს სილა გამაწნესო. მრცხვენოდა ვერცხლისფერი ლომის ჩრდილში ჯდომა იმ დროს, როცა განჯასთან ტრამალებში ხალხი სისხლს ღვრიდა. მეც აზიზად შეფუთულ, განებივრებულ ნივთად ვიგრძენი თავი. შირვანშირი, ოდესღაც დიდებით მოსილი სასახლის ტიტულის მფლობელი, ახლა კლასიკური ენით დახვეწილ გრძნობებზე საუბრობს, ამასობაში კი ჩემი ხალხი განჯასთან სისხლსა ღვრის. ღრმა იმედგაცრუებამ შემიპყრო. კედლიდან ვერცხლისფერი ლომი მიღიმოდა.

სასაზღვრო ხიდი არაქსზე ჩაკეტილი იყო, და არც ირანიდან ნინოს სულამდე არსებობდა რამე გზა.

თითებით კრიალოსანს ნერვულად ვმარცვლავდი. ძაფი გაწყდა და ყვითელი მძივები იატაკზე მიმოიფანტა.

შორს ტამბურინის შიშისმომგვრელი ხმა ისმოდა ყრუდ, თითქოს მიხმობდა და იდუმალის არსებობას მახსენებდა. ფანჯარასთან მივედი. მტვრიან ქუჩას სიცხის ბუღი ასდიოდა. მზე შემრანის თავზე მარჯვნივ გადახრილიყო. ტამბურინის ხმა თანდათან ახლოვდებოდა და მის რიტმს თან წყვეტილი შეძახილები სდევდა, უთვალავჯერ გამეორებული: „შაჰ სეი, ვაჰ სეი... შაჰ ჰუსეინ... ვაჰ ჰუსეინ..."

კუთხეში პროცესია გამოჩნდა. უამრავ ძლიერ ხელს სამი უზარმაზარი, მოოქროვილი მძიმე დროშა მოჰქონდა. ერთზე დიდი ოქროს ასოებით ეწერა – „ალი" – მიწაზე ალაჰის მეგობრის სახელი. მეორე დროშის ხავერდის შავ ზედაპირზე ფატიმას კურთხეული და ამავდროულად ცოდვილი მარცხენა ხელისგულის ფართო კონტური იყო გამოსახული – ფატიმა წინასწარმეტყველის ქალიშვილი გახლდათ. მესამე დროშაზე, რომელიც თითქოს ცას სწვდებოდა, დიდი ლათინური ასოებით ერთადერთი სიტყვა ეწერა – წამებულისა და მხსნელის, წინასწარმეტყველის შვილიშვილის სახელი – ჰუსაინი.

პროცესია ნელ-ნელა მოიწევდა ქუჩაზე. წინ შავ

სამგლოვიარო ტანსაცმელში გამოწყობილ ღვთისმოშიშ მონანიეთა მკერდმოშიშვლებული რიგი მოუძღვოდა. ხელში მძიმე ჯაჭვები ეჭირათ. დოლის რიტმულ ბაგუნზე ხელებს მაღლა სწევდნენ და ჯაჭვების ნაადგილევზე დასისხლიანებული, დაწითლებული ზოლები მოუჩანდათ. უკან, ნახევარ წრეში მხარბეჭიანი კაცები მოდიოდნენ – ორი ნაბიჯით წინ, ერთი ნაბიჯით უკან. მთელ ქუჩაზე ისმოდა მათი ჩახლეჩილი ხმა: "შაჰ სეი... ვაჰ სეი..." და ყოველ დაძახებაზე იცემდნენ მუშტებს შიშველ, ბანჯგვლიან მკერდში. მერე კი თავგადაპარსული, ქედმოდრეკილი, მათი მდგომარეობისათვის შესაფერის თეთრ, სამგლოვიარო ტანსაცმელში გამოწყობილ მოჰარამის ღვთისმოსავნი მოდიოდნენ, წესისამებრ, წელზე მწვანე ქამარი შემოერტყათ, ხელთ კი გრძელი ხმლები ეჭირათ. მოქუფრულ სახეებზე იდუმალება აღბეჭდოდათ, თითქოს სხვა სამყაროში გადასახლებულანო. „შაჰ სეი... ვაჰ სეი..." – წამოიძახებდნენ ხოლმე, მერე ხმლებს აღმართავდნენ და მოტვლეპილ თავებზე იკრავდნენ. ტანჯულთა სამოსი სისხლით იფარებოდა. ერთი მათგანი წაბორძიკდა და უკან მომავალი თანამოძმეების ჯგრომ ზედ გადაუარა.

ფანჯარასთან ვიდექი. სულში უცნობი გრძნობა ჩამისახლდა. რაღაც ძახილი მაცდურად შემოიჭრა ჩემში და თავგანწირვის მოთხოვნილება მომეძალა. ქუჩის მტვერში არეულ სისხლის წვეთებს მივშტერებოდი. ტამბურინების ხმა დამამშვიდებლად, მაცდურად ჟღერდა და თითქოს მიხმობდა. ეს უხილავის საიდუმლო იყო, ტანჯვის კარიბჭე, რომელსაც ხსნამდე, შეწყალებამდე მიჰყავხარ. ტუჩებს ვკუმავდი, ფანჯრის რაფას მაგრად ვეჭიდებოდი. ჰუსაინის დროშამ ჩემ წინ ჩაიფრიალა, ფატიმას ხელსაც მოვკარი თვალი და, უცბად, ყველაფერი ხილული სადღაც გაქრა, ჩაიძირა. კიდევ ერთხელ ჩამესმა ყრუდ ტამბურინის ხმა, ჩემში ჩასახლებულ ველურ ხმას რომ ჰგავდა და, უცბად, მეც ამ პროცესიის მონაწილე გავხდი. მხარბეჭიანთა რიგში

მივაბიჯებდი და, მოშიშვლებულ მკერდში მუშტებს ვიცემდი. მოგვიანებით ჩემ ირგვლივ ყველაფერი მეჩეთის ცივმა სიბნელემ შთანთქა და იმამის მოთქმა-გოდებაც ჩამესმა. ვიღაცამ მძიმე ჯაჭვი მომაჩეჩა ხელში და ზურგზე მწვავე ტკივილი ვიგრძენი. უკვე რამდენიმე საათი იყო, რაც ამ ჯგროში დავაბიჯებდი. ფართო მოედნისაკენ მივდიოდით და ყელიდან ველური გამყინავი ღრიალი ამომდიოდა: „შაჰ სეი... ვაჰ სეი..." ჩემ წინ ერთი გაწამებული დერვიში იდგა, დამჭკნარი კანიდან ნეკნები მოუჩანდა. მლოცველებს თვალები გაშტერებოდათ. ისინი მღეროდნენ. მოედანზე წამებული ჰუსაინის ცხენი გამოჩნდა. ზედ სისხლიანი ჩული ეფარა. დერვიში ხმამაღლა და ხანგრძლივად ღრიალებდა განწირული სახით. უცბად სპილენძის თასი გვერდზე მოისროლა და ცხენს ფლოქვებში ჩაუვარდა. წავბორძიკდი, კვლავ მუშტებს ვიშენდი მკერდში. ბრბო ხარობდა და განუწყვეტლივ გაჰყვირობდა: „შაჰ სეი... ვაჰ სეი..." ვიღაც თეთრსამოსიანი, დასისხლიანებული კაცი ბრბომ ჩემკენ მოათრია. შორს უთვალავი ანთებული მაშხალა კიაფობდა. ხალხის მასა მიდიოდა და მეც თან მივყავდი. მოგვიანებით მეჩეთის ეზოში ვიჯექი, გარშემო ხალხი ირეოდა, მაღალი, მრგვალი ქუდები ეხურათ და თვალებში ცრემლი ჩასდგომოდათ. ვიღაც ყმაწვილი ჰუსაინზე სიმღერას მღეროდა და მწარედ მოთქვამდა. წამოვდექი. პროცესია უკან ბრუნდებოდა. გრილი ღამე იყო. ჩავუარეთ მთავრობის შენობებს, ბოძებზე აღმართულ შავ დროშებს. ანთებული მაშხალების უსასრულო რიგი მდინარეს ჰგავდა, ზედ რომ ვარსკვლავები დასთამაშებენ. კუთხეებიდან შეშინებული სახეები იყურებოდნენ. საკონსულოს ჭიშკართან პატრუ-ლი იდგა შემართული ხიშტებით. სახურავებიც ხალხით იყო სავსე. ზარბაზნების მოედანზე მლოცველთა პროცესიის წინ აქლემების ქარავანი გადადიოდა. ირგვლივ მოთქმა-გოდება ისმოდა. ქალები მიწაზე ეცემოდნენ. მთვარის შუქზე მოჩანდა, როგორ უთრთოდათ სხეულები. აქლემებზე

აღმართულ ტახტრევანზე წმინდა ყმაწვილის ოჯახი იჯდა. უკან სარაცინის მუზარადით შენიღბული მრისხანე ხალიფა იაზიდი, წმინდანის მკვლელი, შავ რაშს მოაჭენებდა. ქვები წამოვიდა აქეთ-იქიდან და ხალიფის მუზარადს ეხეთქებოდა. მან ცხენი სასწრაფოდ გააჭენა და ნასრ ედ-დინ შაჰის საგამოფენო დარბაზის ეზოში მიიმალა, ხვალ იქ უნდა დაწყებულიყო წამებულის ტანჯვის წარმოდგენა.

მისი უდიდებულესობის სასახლის ალმასის ჭიშკარ-თანაც გამოეკიდათ შავი დროშები. ყარაულში მდგომ ბაჰადარებს სამგლოვიარო მოსასხამები მოესხათ და თავდახრილები იდგნენ. თვით იმპერიის მეუფე აქ არ იყო, ფადეშაჰის საზაფხულო სასახლეში იმყოფებოდა. პროცესიამ ალა-ოდ-დავლეს ქუჩაზე გადაუხვია და უცბად მარტოდმარტო აღმოვჩნდი სიბნელეში ჩაშავებული ზარბაზნების მოედანზე, რომელთა დაჟანგებული ლულები გულგრილად შემომცქეროდა. სხეული ისე მტკიოდა, თითქოს როზგის ათასჯერ დარტყმით დაეგლიჯათ. მხრებს რომ შევეხე, შედედებული სისხლი მომხვდა ხელში. თავბრუ მეხვეოდა. მოედანი გადავჭერი და ცარიელ ეტლს მივუახლოვდი. მეეტლე სიბრალულითა და თანაგრძნობით მიყურებდა.

— აიღე ცოტა მტრედის სკინტლი, აურიე მცირეოდენი ზეთი და ჭრილობებში შეიზილე, უებარია. — მითხრა მან საქმიანად. დაღლილი ეტლში ჩავეშვი.

— შემრანში, შირვანშირების სასახლისაკენ. — გავძახე მეეტლეს. ოღროჩოღრო გზაზე ეტლი აქეთ-იქით ირწეოდა. მეეტლე, ჩემი შემხედვარე, გაოცებას ვერ ფარავდა და მთხოვა:

— გეტყობა, ძალზე მორწმუნე კაცი ხარ. ღამით ჩემთვისაც ილოცე. თავად დრო არა მაქვს, უნდა ვიმუშაო. სოჰრაბ იუსეფი მქვია.

შინ რომ დავბრუნდი, ნინო ატირებული დამხვდა. დივანზე იჯდა, ხელები უღონოდ ჩამოეყარა. ტირილისაგან

ტუჩებთან და ცხვირთან ლოყები დანაოჭებოდა. მთელი ტანი უცახცახებდა ქვითინისაგან. წამწამებზე გამჭვირვალე ცრემლები უბრწყინავდა, და ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე. ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს. დატანჯული ვიდექი მის წინ და აღარ ვიცოდი, რა მეღონა. არც იძვროდა, არც ცრემლებს იწმენდდა, ტუჩები ისე უთრთოდა, როგორც შემოდგომის ფოთლები ქარში. გაყინული პატარა ხელები უსიცოცხლოდ ეწყო კალთაზე. მისი ხელები ჩემსაში მოვიქციე, სველი თვალები დავუკოცნე, მაგრამ ის გაოგნებით, უაზროდ შემომცქეროდა.

— ნინო, ნინო, რა მოგივიდა?! — წამოვიძახე.

ხელი პირთან მიიტანა და ტუჩები მაგრად მოკუმა. დაბლა რომ დაუშვა, ხელზე ნაკბენის კვალი შევნიშნე.

— მძულხარ, ალი ხან! — შიშისაგან შეძრულს ხმა უკანკალებდა.

— ნინო, ავადა ხარ?

— მძულხარ! მძულხარ, მძულხარ! — ქვედა ტუჩი კბილებს შორის მოიქცია და გულნატკენი ბავშვის თვალებით შემომაცქერდა. აღშფოთებული მიყურებდა დახეულ ტანსაცმელზე, დასისხლიანებულ მხრებზე.

— ნინო, რა გემართება?

— მძულხარ!

ის დივნის კუთხეში მოიკუნტა, ფეხები მაღლა აიკეცა და ნიკაპი მუხლებს ჩამოაყრდნო. ცრემლების ნაკადი დროებით შეწყდა. ნაღვლიანი, გაუცხოებული თვალებით მდუმარედ შემომცქეროდა.

— რა ჩავიდინე, ნინო?

— შენი სული დამანახვე, ალი ხან. — თქვა ჩუმად, ძლივს გასაგონი ხმით, თითქოს სიზმარში ლაპარაკობსო. — ჩემს მშობლებთან ვიყავი, ჩაის ვსვამდით. ჰოლანდიელმა კონსულმა დაგვპატიჟა თავის სახლში, ზარბაზნების მოედანზე. ფანჯარასთან ვიდექით. ფანატიკოსების ბრბომ ჩაგვიარა, მესმოდა ტამბურინის ხმა, საშინელი ველური ღრიალი, ვხედავდი

ველურ სახეებს და თავი ცუდად ვიგრძენი.

„ფლაგელანტები...“ — ჩაილაპარაკა კონსულმა და ფანჯარა დახურა, რადგან ქუჩიდან ოფლისა და ჭუჭყის საშინელი სუნი შემოდიოდა. უცბად ველური ღრიალი შემოგვესმა. გარეთ გავიხედეთ და იმ სანახაობამ შეგვძრა, როგორ შეუვარდა დაფლეთილსამოსიანი დერვიში ცხენს ფლოქვებში! და მერე, მერე... უცბად კონსულმა ხელი გაიშვირა და გაოცებულმა მკითხა: „ეს თქვენი...“ და წინადადება ვეღარ დაასრულა. თვალი გავაყოლე მის თითს და იმ ბრბოში შემოგლეჯილი ტანსაცმლით, დასისხლიანებული მკერდით შენ დაგინახე. შენ იყავი, ალი?! მკერდზე მუშტებს რომ იშენდი და ზურგზე ჯაჭვს იცემდი?! ეს შენი ნამდვილი სახე იყო, ალი! სირცხვილისაგან ლამის დავიწვი, სად წავსულიყავი, არ ვიცოდი. მე ამ ფანატიკოსის, ველურის ცოლი ვარ. გაოგნებული შევცქეროდი შენს ყოველ მოძრაობას და კონსულის სიბრალულით აღსავსე მზერას ვგრძნობდი. მერე რა მოხდა, აღარ მახსოვს, ჩაი დავლიეთ თუ ვისადილეთ. თავს ძლივს ვიკავებდი. უცბად ჩვენ შორის უფსკრული აღმოვაჩინე, უფსკრული, რომელიც გვყოფს. ალი ხან, ყმაწვილმა ჭუსაინმა დაარღვია ჩვენი ბედნიერება. ამდენ ცრუმორწმუნე ველურს შორის შენი ველური სახე აღმოვაჩინე, და, ალბათ, სხვაგვარად ვეღარასოდეს დაგინახავ.

მერე გაჩუმდა. გულნატკენი, გატანჯული სახით იჯდა. მე ხომ უხილავში ვეძიებდი სამშობლოსა და მშვიდობას.

— ახლა რაღა ვქნათ, ნინო?

— ვშიშობ, ბედნიერები ვეღარასოდეს ვიქნებით. აქედან წასვლა მინდა სადმე სხვაგან, სადაც ისევ შევძლებ შენთვის თვალებში ჩახედვას, შენს შეცნობას ამ გიჟების გარეშე, ზარბაზნების მოედანზე რომ ვნახე. გამიშვი, ალი.

— სად, ნინო?

— არ ვიცი, — მისი თითები ჩემს ნაჭრილობევ ზურგს ეხებოდა. — რატომ გააკეთე ეს, ალი?

– შენს გამო, ნინო. თუმცა შენ ამას ვერ გაიგებ.

– არა, წასვლა მინდა. საშინლად დავიღალე. აზია საშინელებაა. – თქვა მან სასომიხდილმა.

– გიყვარვარ? – ვკითხე მე.

– ჰო. – თქვა მან. ხელში ავიყვანე და საწოლ ოთახში გავედი. ტანსაცმელი გავხადე. შიშით შეპყრობილი აბნეულ-დაბნეულ სიტყვებს ბუტბუტებდა სიცხიანივით.

– კიდევ რამდენიმე კვირა, ნინო, და ბაქოში წავალთ.

თავი დახარა. თვალები დახუჭა. ძილბურანში წასულ-მა ჩემი ხელი აიღო და გულთან მიიტანა. დიდხანს ვიჯექი ასე. მის გულისცემას, მის თბილ სხეულს ვგრძნობდი. პატარა ბავშვივით მარცხენა გვერდზე იწვა, მუხლები მოეხარა, თავი კი საბანქვეშ ჩაემალა. მერე მეც გავიხადე და გვერდით მივუწექი. საოცრად თბილი სხეული ჰქონდა.

დილით ადრე გაეღვიძა. მაშინვე წამოხტა და გვერდით ოთახში გავიდა. დიდხანს იბანდა და იხეხებოდა, მე არ მიშვებდა. როცა გამოვიდა, თვალს მარიდებდა. ხელში მალამოს პატარა ქილა ეჭირა. დანაშაულის შეგრძნებით მომიახლოვდა და ჭრილობებზე მალამო წამისვა.

– რატომ არ მეჩხუბე, ალი?! – მკითხა მშვიდად.

– არ შემეძლო. მთელი დღე საკუთარ თავს ვებრძოლე და ძალა აღარ მქონდა. – ვუპასუხე მე. მალამო დადო. საჭურისმა ჩაი შემოიტანა. ნინო ხარბად დაეწაფა ჩაის, თან ჩაფიქრებული ბაღში იყურებოდა. უცბად გამომხედა და მტკიცედ გამომიცხადა:

– მნიშვნელობა არა აქვს, ალი. მძულხარ და მეძულები, ვიდრე სპარსეთში ვიცხოვრებთ. სხვაგვარად არ შემიძლია.

ბაღში გავედით, შადრევანთან ვისხედით მდუმარედ. ჩვენ წინ ფარშავანგი სეირნობდა. მამაჩემის ეტლმა ხმაურით ჩაირახრახა ეზოში, კაცების მხარეს. დუმილი ნინომ დაარღვია. თავი გვერდზე გადასწია და მორცხვად მითხრა:

– შემიძლია ნარდი იმასაც ვეთამაშო, ვინც მძულს.

ნარდს უხალისოდ და დაბნეულად ვთამაშობდით. მერე

პირქვე დავწექით და წყალში არეკლილ ჩვენს სახეებს ვაკვირდებოდით. უცბად ნინომ კამკამა წყალში ხელი ჩაყო და ჩვენი სახეები პატარა ტალღებმა დაფარა.

– ნუ ხარ ასეთი ნაღვლიანი, ალი ხან. შენ კი არ მძულხარ, ეს უცხო ქვეყანა მეჯავრება და ეს უცხო ხალხი. და ეს, ალბათ, მანამდე გაგრძელდება, ვიდრე სახლში არ დავბრუნდებით და ვიდრე..." – და უცბად პირი წყლისკენ გადახარა. ცოტა ხანს ასე იყო, თავი რომ წამოსწია, ლოყებზე და ნიკაპზე წვეთები ჩამოსდიოდა:

– ალბათ ბიჭი იქნება, თუმცა წინ ჯერ კიდევ შვიდი თვე გვაქვს. – ჩაილაპარაკა მან დაფიქრებით და ამაყად გამომხედა.

წყლით დანამული სახე შევუმშრალე და გრილი ლოყები დავუკოცნე. მან გამიღიმა.

ჩვენი ბედი იმ პოლკებზე იყო დამოკიდებული, აზერ-ბაიჯანის მზით განათებულ დაბლობზე საბურღი კოშკურებით სავსე ძველი ქალაქისკენ – ბაქოსკენ რომ მიიწევდნენ.

შორს ისევ ტამბურინის ხმა და ველური ღრიალი ისმოდა. ნინოს ხელი მოვხვიე და სასწრაფოდ შინ შევიყვანე. ყველა ფანჯარა დავკეტე. გამოვიტანე გრამოფონი ყველაზე გამძლე ნემსით და ყველაზე ხმამაღალი ფირფიტა დავუდე. და აი, ყურისწამღები ბანის ხმაც გაისმა გუნოს „ფაუსტიდან". და, როცა შიშისაგან აცახცახებული ნინო უცბად მთელი ტანით მომეკრა, მეფისტოს ძლევამოსილმა ბანმა გარედან შემოღწეული ტამბურინის ხმა და ღრიალი „შაჰ სეი, ვაჰ სეი..." ჩაახშო.

XXVII თავი

შემოდგომის პირველი დღეები იდგა სპარსეთში, როცა ენვერის ჯარმა ბაქო დაიკავა და ეს ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელ ბაზარში, ჩაიხანებსა და სამინისტროებში. ქალაქიდან გამოქცეული დამშეული და დაქსაქსული უკანასკნელი რუსი ჯარისკაცები სპარსეთისა და თურქეთის ნავსადგურებს მოაწყდნენ. ისინი ჰყვებოდნენ, როგორ აღიმართა ციხე-სიმაგრის უძველეს გოდოლზე გამარჯვების ნიშნად წითელი დროშა, რომელზეც თეთრი ნახევარმთვარე იყო გამოსახული. არსლან აღამ თეირანის გაზეთებში არაჩვეულებრივი წერილი გამოაქვეყნა ბაქოში თურქების ძლევამოსილ შემოსვლაზე, მაგრამ ბიძია ასად ას-სალთანემ აკრძალა ეს გაზეთები. თურქები სძულდა და ეგონა, ამით ინგლისელებსაც ასიამოვნებდა. მამაჩემი პრემიერ-მინისტრთან მივიდა თხოვნით, გემებით მიმოსვლა განეახლებინათ სპარსეთსა და ბაქოს შორის. პრემიერ-მინისტრი ჯერ ყოყმანობდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც დათანხმდა. ჩვენც შესაძლებლობა მოგვეცა, ენზელისაკენ გავმგზავრებულიყავით, საიდანაც სპარსეთში გადმოხვეწილნი გემ „ნასრ ედ-დინით" განთავისუფლებულ სამშობლოში დავბრუნდით.

ბაქოს ნავსადგურთან მხნედ შემოგვეგებნენ ბეწვის მაღალფაფახიანი ჯარისკაცები. ილიას ბეგი ხმლით მოგვესალმა, თურქმა პოლკოვნიკმა კი სიტყვა წარმოთქვა და თან ცდილობდა, სტამბოლურ თურქულში ჩვენი მშობლიური დიალექტიც გაერია. დავბრუნდით ჩვენს გაუკაცრიელებულ, გამოცარიელებულ, გაძარცვულ სახლში. ნინომ დიასახლისობის შეუდარებელი უნარი გამოამჟღავნა. მთელი დღეები მუშებით იყო დაკავებული, ავეჯის მაღაზიებში დარბოდა, საქმიანი სახით ანგარიშობდა,

ზომავდა ოთახების სიგრძე-სიგანეს, საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა არქიტექტორებთან. სახლი ხელოსნების ხმაურით, საღებავის, ხისა და ცემენტის სუნით გაივსო.

მთელი ამ ქაოსის შუაგულში კი ნინო იდგა გაბრწყინებული და თავდაჯერებული იმით, რომ შეეძლო თავისუფლად აერჩია ავეჯი თუ შპალერი.

საღამოობით მორცხვად და ბედნიერი სახით ანგარიშს მაბარებდა:

– არ გაუჯავრდე შენს ნინოს, ალი ხან, საწოლები შევუკვეთე, ნამდვილი საწოლები, ტახტების ნაცვლად. შპალერები ღია ფერისა იქნება, იატაკზე ხალიჩები ეგება. ბავშვის ოთახს სულ თეთრად შევღებავთ. სპარსეთის ჰარამხანისაგან განსხვავებით, აქ ყველაფერი სხვაგვრად უნდა იყოს.

ამ სიტყვების დამთავრებისთანავე ყელზე მომეხვია, სახელოყაზე მომადო, რადგან სინდისი ქენჯნიდა. მერე თავი გვერდზე გადახარა და შეეცადა, პატარა ენით ცხვირის წვერს მისწვდომოდა. ყოველთვის ასე იცოდა, თუკი რაიმე სირთულის წინაშე აღმოჩნდებოდა: გამოცდების, ექიმთან წასვლის თუ დაკრძალვის წინ. წმინდა ჰუსაინის დღესასწაული გამახსენდა და ყველაფერზე დავთანხმდი. მინდოდა ნინოს გაეხარა, თუმცა ფეხით ხალიჩების გადაქელვა, ევროპულ მაგიდასთან ჯდომა ჩემთვის საოცრად მტკივნეული იყო. მარტო სანაპიროს ცქერაღა დამრჩენოდა ჩემი საკუთარი სახლის ბანიდან. კიდევ კარგი, ნინოს სახურავის გადასხვაფერებაც არ შემოუთავაზებია.

აუტანელი მტვრითა და ხმაურით აივსო მთელი სახლი. მამაჩემთან ერთად ბანზე ვიჯექი, თავი გვერდზე მქონდა გადახრილი, ნინოსავით ვაწვალებდი ენას და მამას დამნაშავესავით შევქცეროდი. მამაჩემის გამოხედვაში დაცინვას ვგრძნობდი!

– არაფერია, შვილო, რას იზამ! სახლის საქმე ქალს

ეხება. ნინო სპარსეთში კარგად მოიქცა. თუმცა ეს მისთვის იოლი არ იყო. ახლა შენი ჯერია. ნუ დაგავიწყდება, რაც გითხარი. ბაქო ახლა ევროპა გახდა სამუდამოდ. ჩაკეტილი ცივი ოთახები და წითელი ხალიჩები კედლებზე სპარსეთის ცხოვრებაა.

— შენა, მამა?

— მეც სპარსეთს ვეკუთვნი. იქ ვიქნები, ვიდრე ბავშვი დაიბადება. ჩვენს სახლში ვიცხოვრებ და დაველოდები, სანამ იქაც საწოლები და თეთრი შპალერები შემოვა.

— მე აქ უნდა დავრჩე, მამა.

— ჰო, — დამეთანხმა იგი გულწრფელად, — ვიცი.

მერე კი განაგრძო:

— შენ ეს ქალაქი გიყვარს, ნინოს — ევროპა. მე მაღიზიანებს ეს ახალი დროშა, ახალი სახელმწიფოს ხმაური და უღმერთობის სუნი, მთელ ქალაქს რომ მოსდებია.

მშვიდად საუბრობდა. ახლა თავის ძმას, ასად ასსალთანეს ჰგავდა.

— მოხუცი ვარ, ალი ხან. გამიჭირდება ამ ყველაფერთან შეგუება. შენ ჯერ ახალგაზრდა და ძლიერი ხარ და აზერბაიჯანს სჭირდები.

ბინდში ჩაძირულ ბაქოს ქუჩებში დავსეირნობდი. კუთხეებში თურქებს პატრული ჩაეყენებინათ. ცივი, უაზრო მზერა ჰქონდათ. ერთ-ორ ოფიცერს გამოველაპარაკე. ისინი სტამბოლის მეჩეთებზე, ტატლი-სუს ზაფხულის საღამოებზე მიამბობდნენ. მოხუცი გუბერნატორის შენობასთან ახალი სახელმწიფო დროშა ფრიალებდა. სკოლაში პარლამენტი დაბინავებულიყო. ძველი ქალაქი თითქოს მასკარადულ ცხოვრებაში ჩაეთრიათ. ფათჰ ალი ხანი პრემიერ-მინისტრი გამხდარიყო — კანონებსა და ბრძანებებს გამოსცემდა. მირზა ასადულაჰი, ძმა იმ ასადულაჰისა, ყველა რუსის ამოხოცვას რომ გეგმავდა, ახლა საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდათ და ხელშეკრულებებს დებდა მეზობელ ქვეყნებთან. სახელმწიფოს

დამოუკიდებლობის შეუჩვეველმა გრძნობამ უცბად მეც მომხიბლა და ეს ახალი გერბი, ფორმები, სახელმწიფო მოღვაწეები და კანონები თითქოს შემიყვარდა კიდეც. თავი პირველად ვიგრძენი ნამდვილად საკუთარ სახლში, საკუთარ სამშობლოში. რუსები მოკრძალებით მეპყრობოდნენ, თვით ჩემი ყოფილი მასწავლებლებიც კი პატივისცემით მესალმებოდნენ.

საღამოობით ადგილობრივ კლუბში მშობლიურ მელოდიებს უკრავდნენ. იქ ვუმასპინძლდებოდით მე და ილიას ბეგი ფრონტიდან დაბრუნებულ ოფიცრებს, ისევ ფრონტზე რომ აპირებდნენ წასვლას. ისინი ბაღდადის დაკავების, სინის უდაბნოს ამბებს გვიამბობდნენ. მათ ტრიპოლის ქვიშიანი დიუნები, გალიციის დამტვერილი გზები, სომხეთის მთების თოვლიანი ქარიშხალი იხილეს. წინასწარმეტყველის მოძღვრების მიუხედავად, ისინი შამპანურს ეტანებოდნენ, გაუთავებლად ლაპარაკობდნენ ენვერსა და თურანის მომავალ სამფლობელოზე, რომელშიც ყველა თურქული წარმომავლობისა და სისხლის ადამიანს შეეძლო გაერთიანება. გაოგნებული, მთელი გულისყურით ვუსმენდი მათ ნაამბობს და, საბოლოოდ, არარეალურად და ბუნდოვნად მესახებოდა, როგორც მშვენიერი, დაუვიწყარი სიზმარი. ქალაქში დიდი სამხედრო აღლუმი გაიმართა. სამხედრო მარშზე, ცხენზე ამხედრებულ, ვარსკვლავებით მკერდდამშვენებულ ფაშას, მთელი ფრონტი რომ ჰქონდა შემოვლილი, მადლიერებით აღვსილნი დიდებითა და პატივით ვესალმებოდით. სუნიტებსა და შიიტებს შორის განსხვავებაც კი დაგვავიწყდა და, მზად ვიყავით, ფაშისათვის დაკუნთული ხელი დაგვეკოცნა და ოსმალთა ხალიფისათვის შეგვეწირა თავი. მხოლოდ სეიედ მუსტაფა იდგა განზე. მის თვალებში ზიზღი, სიძულვილი იკითხებოდა. სეიედმა ფაშის მკერდზე ვარსკვლავებსა და ნახევარმთვარეს შორის ბულგარეთის სამხედრო ჯვარი შენიშნა და მუსლიმის მკერდზე ეს უცხო რწმენის სიმბოლოდ მიიჩნია.

აღლუმის შემდეგ მე, ილიას ბეგი და სეიედი სანაპიროზე ვისხედით. ხეებს შემოდგომის ფოთლები სცვიოდა. ჩემი მეგობრები ახალი სახელმწიფოს ძირითად პრინციპებზე ცხარედ კამათობდნენ. თურქ ოფიცრებთან საუბრისა და საბრძოლო გამოცდილებიდან გამომდინარე, ილიას ბეგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩვენს ქვეყანას რუსების ხელახალი შემოჭრისაგან მზარდი ევროპული რეფორმები თუ გადააარჩენდა.

– ხომ შეიძლება ააგო ციხე-სიმაგრეები, გაატარო ახალი რეფორმები, გაიყვანო გზატკეცილები და მაინც ჭეშმარიტ მაჰმადიანად დარჩე?! – დაასრულა მან პათეტიკურად.

სეიედმა შუბლი შეიჭმუხნა. დაღლილი თვალები ჰქონდა და ცივად უთხრა:

– განაგრძე, ილიას ბეგ. მითხარი ერთი, შესაძლებელია, რომ ღვინო სვა, ღორის ხორცი ჭამო და მაინც ნამდვილ მაჰმადიანად დარჩე? ევროპელები კაი ხანია ღვინის ხიბლს ეზიარნენ და აღმოაჩინეს, რომ ღვინო ჯანმრთელობაა, ღორის ხორცი კი – გემრიელი. მაშინაც შეიძლება, ჭეშმარიტ მაჰმადიანად დარჩე? მთავარანგელოზი ამას არ დაიჯერებს სამოთხის კართან.

ილიას ბეგს გაეცინა:

– დიდი სხვაობაა ღორის ხორცის ჭამასა და საბრძოლო მომზადებას შორის.

– ჰო, მაგრამ ღორის ხორცის ჭამასა და სმას შორის არა. თურქები კი შამპანურს საჯაროდ სვამენ და გულზე ჯვარი ჰკიდიათ.

ვუსმენდი ჩემს მეგობრებს და უცბად ვკითხე:

– სეიედ, შეიძლება საწოლზე იწვე, მაგიდასთან დანაჩანგლით ჭამდე და ჭეშმარიტ მაჰმადიანად დარჩე?

სეიედს გაეცინა და თბილად მომმართა:

– შენ მაინც ყოველთვის ნამდვილ მაჰმადიანად დარჩები. მე გნახე შენ სპარსეთში მოჰარამის დღეს.

ხმა არ ამომიღია. ილიას ბეგმა სამხედრო ქუდი

გვერდზე გადაიწია:

— მართალია, რომ ევროპულ სახლს იწყობ, თანამედროვე ავეჯითა და ნათელი შპალერით?

— ჰო, მართალია, ილიას ბეგ.

— ეგ კარგია, — თქვა გადაჭრით, — ჩვენ ახლა მთავარი ქალაქი ვართ. უცხოელების მიღებაც მოგვიწევს. ისეთი სახლები გვჭირდება, სადაც მათი მიღება შეგვეძლება, გვჭირდება ქალები, რომლებიც დიპლომატების ცოლებთან საუბარს შეძლებენ, ჭეშმარიტად კარგი ცოლი გყავს საამისოდ. სახლიც ზედგამოჭრილი გექნება. ერთი სიტყვით, საგარეო საქმეთა სამინისტროში უნდა იმუშაო.

გამეცინა:

— ილიას ბეგ, შენ ჩემს ცოლსა და სახლზე ისე მსჯელობ, თითქოს ცხენები ვიყოთ, საერთაშორისო რბოლაში მონაწილეობისათვის რომ ამზადებენ. გგონია, სახლს საერთაშორისო მიზნებისთვის ვაშენებ?

— წესით, ასე უნდა იყოს. — ისე დამაჯერებლად თქვა ილიას ბეგმა, რომ ვიგრძენი, მართალს ამბობდა. ჩვენ ახლა ახალი სახელმწიფოსათვის უნდა გვემსახურა და ყველაფერი გვეღონა, რომ აზერბაიჯანი გაბრწყინებულიყო.

შინ რომ დავბრუნდი, ნინომ მკითხა, წინააღმდეგი ხომ არა ხარ, იატაკი პარკეტისა იყოს და კედლებზე ზეთის საღებავით შესრულებული ნახატები დავკიდოთო. როცა გაიგო, რომ თანახმა ვიყავი, თვალები ისე გაუბრწყინდა, როგორც მაშინ, პეხახპიურის წყაროსთან.

ამ ხანებში ხშირად გავდიოდი უდაბნოში. მზე სისხლისფერი დასავლეთისაკენ ეშვებოდა. საათობით დავეხეტებოდი სანაპიროზე. ხშირად ვხედავდი თურქი ოფიცრების დაძაბულ, შეფიქრიანებულ სახეებს. ჩვენი ქვეყნის ალიაქოთი მსოფლიო ომის შორეული ზარბაზნების ქუხილმა ჩაახშო. საღღაც, აქედან შორს, თურქების მოკავშირე ბულგარელების პოლკები მტრის შემოტევაზე უკან იხევდნენ.

— ფრონტი გაარღვიეს, ვეღარ გაუძლებენ. — ამბობდნენ

ისინი. უხასიათოდ იყვნენ, შამპანურსაც აღარ სვამდნენ. ქალაქში მწირი ამბები აღწევდა და ელვისებურად ვრცელდებოდა. მუდროსის შორეულ სანაპიროზე, ბრიტანულ მძიმე კრეისერ „აგამემნონში" ერთი მხრებში მოხრილი კაცი ჩაჯდა. ეს გახლდათ დროებითი ზავის დასრულებამდე დიდი ოტომანის იმპერიის ხალიფის ნდობით აღჭურვილი პირი, საზღვაო ფლოტის მინისტრი ჰუსეინ რაუფ ბეი. საკმარისი აღმოჩნდა მისი ერთი ხელმოწერა ვურცლის კუთხეში, რომ ფაშას, რომელიც ჩვენს ქალაქზე პატონობდა, თვალები ცრემლით ავსებოდა.

ერთხელ კიდევ გაისმა ბაქოს ქუჩებში სიმღერა თურანის სამეფოზე, მაგრამ ამჯერად მას სამგლოვიარო ელფერი უფრო დაჰკრავდა. ცხენზე ამხედრებულმა ლაიკის ხელთათმანებიანმა ფაშამ კიდევ ერთხელ შემოიარა ფრონტი. თურქებს გაოგნებული სახეები ჰქონდათ. ოსმალთა წმინდა სახლის წინ დროშები აახვიეს, დაფდაფებს შემოჰკრეს. ფაშამ, წინასწარმეტყველის მოსასხამს რომ ატარებდა, ხელთათმანიანი ხელი შუბლთან მიიტანა და კოლონებმა ნელ-ნელა იწყეს ქალაქიდან გასვლა, უკან მოიტოვეს სტამბოლის მეჩეთების, ხალიფის და წინასწარმეტყველის მოსასხამის ზღაპრული სილუეტები.

სანაპიროზე ვიდექი, როცა ერთ დღეს შორს, კუნძულ ნარგინის უკან, ინგლისელ ოკუპანტთა ჯარებით სავსე პირველი გემები გამოჩნდა. გენერალს ცისფერი თვალები ჰქონდა, მოკლე წვერს ატარებდა. ქალაქი თანდათან ივსებოდა კანადელებით, ავსტრალიელებით, ახალზელანდიელებით.

იაკის გაერთიანების დროშა აფრიალდა ჩვენი ქვეყნის დროშის გვერდით. ერთ დღეს ფათჰ ალი ხანმა თავისთან, სამინისტროში დამიბარა.

როცა სამინისტროში შევედი, სავარძელში იჯდა, დამინახა თუ არა, ცეცხლოვანი მზერა მესროლა.

— ალი ხან, რატომ არა ხართ სახელმწიფო სამსახურში?

– მკითხა მან.

თავადაც არ ვიცოდი, რა მეპასუხა. მის მაგიდაზე ქაღალდების სქელ შეკვრას რომ გადავხედე, ცოტა არ იყოს, სინდისის ქენჯნა ვიგრძენი:

– მთლიანად ჩემს სამშობლოს ვეკუთვნი, ფათჰ ალი ხან. თქვენს სამსახურში მიგულეთ.

– როგორც ვიცი, თქვენ უცხო ენებისადმი მიდრეკილება გაქვთ, რამდენ ხანში შეძლებთ შეისწავლოთ ინგლისური?

მოულოდნელობისაგან გამეცინა:

– სწავლა არ მჭირდება, დიდი ხანია, ვიცი.

გაჩუმდა, სავარძელში ღრმად ჩაჯდა და ცოტა ხნის შემდეგ მკითხა:

– ნინო როგორ არის?

გამიკვირდა, რომ პრემიერ-მინისტრი, რომელმაც ჩვენი ყველა ადათი იცოდა, ცოლის ამბავს მეკითხებოდა.

– გმადლობთ, თქვენო ღირსებავ, ჩინებულად.

– იმანაც იცის ინგლისური?

– დიახ.

ის დუმდა და ხელით წვერს იწვალებდა.

– ფათჰ ალი ხან, ვიცი, რაც გსურთ. ჩემი სახლი ერთ კვირაში მზად იქნება. ნინოს კარადა, სავსეა საღამოს კაბებით, ინგლისურს ვფლობთ და შამპანურის ყიდვაც შემიძლია.

მან წვერი მოიფხანა, შეფარვით ჩაიცინა და თვალებში სითბო ჩაეღვარა:

– მომიტევეთ, თქვენი შეურაცხყოფა არ მინდოდა – ხალხი ჩვენს ქვეყანაში ღარიბია. იშვიათია ვინმე, ვისაც ევროპელი ცოლი ჰყავს, უძველესი წარმომავლობის გვარისაა და ინგლისურს ფლობს. თუნდაც მე, არასოდეს მქონია იმის შესაძლებლობა, რომ ინგლისური მესწავლა, რომ აღარაფერი ვთქვათ ევროპულ სახლსა და ევროპელ ცოლზე. არადა, დღეს ჩვენ სწორედ ისეთი ადამიანები გვჭირდება, თქვენ რომ ბრძანდებით.

დაღლილი ჩანდა. კალამი აიღო.

– დღეიდან თქვენ ხართ ატაშე დასავლეთ ევროპის დეცენატში. ასადულაჰთან, საგარეო მინისტრთან მიბრძანდით, ყველაფერს აგიხსნით. და ნუ გაბრაზდებით... თქვენი სახლი ხუთ დღეში მზად იქნება, არა? მრცხვენია, ამგვარი თხოვნით რომ მოგმართავთ, მაგრამ...

– რა თქმა უნდა, პატივცემულო. – ვუთხარი მე და თან ჩემს თავს შევნიშნე, რომ სიამაყე დამეუფლა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ჩემში ჩემი ძველი, ერთგული, საყვარელი მეგობარი ბოროტი განზრახვით მივატოვე და უარვყავი.

სახლში დაბრუნებულს ნინო კიბეზე დამხვდა. ხელები სულ თიხითა და საღებავით ჰქონდა მოთხუპნული. კიბეზე იდგა და ლურსმანს ათვალიერებდა, რომელზეც ზეთის საღებავით შესრულებული ტილო უნდა დაეკიდებინა. გაოცდებოდა, ალბათ, რომ მეთქვა, ამ ყველაფრით შენ სამშობლოს ემსახურები-მეთქი, მაგრამ სიტყვაც არ დამიძრავს. უბრალოდ უფლება მივეცი მაცივარი შეეძინა, ევროპული ღვინის ჩასაციებლად. მერე კი ჭუჭყიანი თითები დავუკოცნე.

XXVIII თავი

„– დეიდა გყავთ?

– არა, დეიდა არა მყავს.

– იცით, ჩვენმა მოსამსახურემ ფეხი მოიტეხა.

– მოგზაურობა გიყვართ?

– დიახ, მიყვარს.

– თუმცა ვცდილობ, საღამოობით მხოლოდ ხილი ვჭამო."

– ალი ხან, ვფიქრობ, იმდენ ინგლისურს მაინც მოვახერხებთ, რომ ამ ფრონტზე გავიმარჯვოთ. მართლა, შენ ვისკი თუ გასინჯე?

– ნინო, – ვიყვირე უცბად, – შენ რა, მაგ წიგნის შემდგენელივით ლაპარაკობ?

– იოლი და სულელური ფრაზებია. რა ვქნა, ხომ უნდა შევასრულო სამშობლოს წინაშე ჩემთვის გაუგებარი მოვალეობა?! ჰო, მართლა, დღეს ვინ უნდა მოვიდეს? – მოჩვენებითი გულგრილობით მკითხა და ინგლისურის სახელმძღვანელო დახურა, საიდანაც უაზრო ინგლისურ ფრაზებს იზეპირებდა.

მე ჩამოვუთვალე ინგლისელი ოფიცრებისა და მინისტრების სახელები, რომელთაც თავისი მოსვლით იმ დღეს ჩვენთვის პატივი უნდა დაედოთ. ნინომ ამაყად გამომხედა. მშვენივრად იცოდა, რომ არც ერთ აზერბაჯანელ მინისტრსა თუ გენერალს არ ჰქონდა ის უპირატესობა, რაც მის მეუღლეს: განათლებული ცოლი ევროპული მანერებით, ინგლისურის ცოდნით, არისტოკრატული წარმომავლობის მშობლებით. ნინო საღამოს კაბას ირჩევდა და სარკის წინ ტრიალებდა.

– ვისკი გავსინჯე, მწარეა. ალბათ ამიტომაც ურევენ სოდიან წყალს. – დავძინე მე და მხრებზე მოვეხვიე. ის

ბედნიერებით აღსავსე თვალებით მიყურებდა.

– უჩვეულო ცხოვრება გვაქვს, ალი ხან. ერთ დროს ჰარამხანაში ჩამკეტე, ახლა კი ჩვენი ქვეყნის კულტურულ წინსვლას უნდა ვემსახუროთ.

მერე დაბლა ჩავედით მისაღებ ოთახში. წინასწარ გავარჯიშებული მსახურები კედელთან იდგნენ.

კედლებზე უამრავი სურათი ეკიდა პეიზაჟებისა თუ ცხოველების გამოსახულებებით. ირგვლივ სავარძლები იდგა, მაგიდას ყვავილები ამშვენებდა. ნინომ თავი ჩარგო ვარდების ნაზ ფურცლებში და მკითხა:

– ალი ხან, გახსოვს, როგორ გემსახურებოდი, ხევიდან წყალი რომ ამომქონდა აულში?

– შენ რომელი მომსახურება უფრო მოგწონს?

ნინოს მეოცნებე თვალები გაუხდა, მაგრამ არაფერი უპასუხია. კარზე დარეკეს. მას აღელვება დაეტყო. მაგრამ ეს მხოლოდ ილიას ბეგი და ნინოს არისტოკრატული ჩამომავლობის მშობლები გახლდნენ. სრულ სადღესასწაულო მუნდირში გამოწყობილმა ილიას ბეგმა დარბაზს შემფასებლური მზერა მოავლო და აღფრთოვანებულმა მკითხა:

– ალი ხან, მეც მინდა ევროპელი ცოლის შერთვა. იქნებ ბიძაშვილი ჰყავს ნინოს?

მე და ნინო კართან ვიდექით და სტუმრებს ვეგებებოდით, ხელს ვართმევდით ძლიერ ინგლისურ ხელებს. მოდიოდნენ მაღალი ჩინოსნები, ოფიცრები, ცისფერთვალება, მომღიმარი ცოლებით. მათ მზერაში გაკვირვებას ვკითხულობდი. იქნებ ისინი საჭურისების ნახვას მოელოდნენ, ან მუცლით მოცეკვავეთა ცეკვას. ნაცვლად ამისა კი აქ თავაზიანი მსახურები დახვდათ, საჭმელებს მარცხნიდან რომ სთავაზობდნენ. კედლებზე მწვანე მდელოებითა და ცხენებით მოხატული სურათები ეკიდა. ნინოს სუნთქვა შეეკრა, როცა ერთმა ახალგაზრდა ლეიტენანტმა ვისკით გავსებული ჭიქა ისე გადაჰკრა, რომ

სოდიანი წყალითაც კი არ გაუზავებია. მთელ დარბაზში ისეთივე უაზრო, გამაღიზიანებელი ინგლისური ფრაზები ისმოდა, როგორიც ნინოს სახელმძღვანელოში იყო:

– დიდი ხანია გათხოვილი ხართ, ქალბატონო შირვანშირ?

– თითქმის ორი წელია.

– დიახ, საქორწინო მოგზაურობაში სპარსეთში ვიყავით.

– დიახ, ჩემს მეუღლეს ძალიან უყვარს ცხენით ჯირითი.

– ო, არა, ის არ თამაშობს ცხენბურთს.

– მოგწონთ ჩვენი ქალაქი?

– მოხარული ვარ...

– მაგრამ, ღვთის გულისათვის, ჩვენ ველურები არ გახლავართ. აზერბაიჯანში კარგა ხანია, აღარ არის მრავალცოლიანობა. საჭურისებზე მხოლოდ რომანებში თუ წამიკითხავს. – ნინო თან მე გამომცქეროდა და სიცილისაგან შევარდისფერებული ნესტოები უთრთოდა.

მაიორის ცოლმა ნინოს ისიც კი ჰკითხა, ოპერაში თუ ყოფილხართო.

– დიახ, თქვენ წარმოიდგინეთ, წერაც ვიცი და კითხვაც. – ამაყად უპასუხა ნინომ და მაიორის ცნობისმოყვარე ცოლს ამ ნათქვამით თვალებში ნაცარი შეაყარა.

ახალგაზრდა ინგლისელები, სახელმწიფო მოღვაწეები და ოფიცრები ქედს იხრიდნენ ნინოს წინაშე, მის ნაზ თითებს ეხებოდნენ, მის შიშველ მხრებს თვალს ავლებდნენ. და იძულებული ვიყავი, ამაზე თვალი დამეხუჭა. დარბაზის ბოლოში ასადულაჰი იდგა და მშვიდად ეწეოდა სიგარეტს. ის თავის ცოლს არასოდეს მისცემდა უფლებას, ამდენ უცხო კაცს მოხვედროდა თვალში. მაგრამ ნინო ქართველი, ქრისტიანი იყო. ალბათ ამიტომაც თვლიდნენ, რომ შეიძლებოდა, მისი თვალებისა თუ შიშველი მხრებისათვის ემზირათ უცხოებს. თავში სისხლი მომაწვა. სიბრაზესა და სირცხვილს ვგრძნობდი. ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებიღა მესმოდა, ურცხვად, სულმდაბლად რომ ჟღერდა. ნინო

დარბაზის მეორე ბოლოს იდგა, უამრავი უცხოს გარემოცვაში.

უცბად მისი დამფრთხალი ხმა შემომესმა:

– გმადლობთ, თქვენ ძალიან თავაზიანი ბრძანდებით.

თავი რომ ავწიე, ნინოს შეშინებულ, მთლად გაწითლებულ სახეს მოვკარი თვალი. ჩემკენ მოდიოდა. როცა მომიახლოვდა, ხელკავი გამომდო, თითქოს საყრდენს ეძებდა:

– ალი ხან, ვიცი, ახლა შენც იმას გრძნობ, რასაც მე თეირანში შენს ბიცოლებსა და ბიძაშვილებთან ვგრძნობდი. რა ვქნა, არც მე ვიცი, რა მოვუხერხო ამდენ უცხო მამაკაცს, სულაც არ მინდა, რომ მიყურებდნენ.

ის კვლავ შებრუნდა და სტუმრების გარემოცვაში მოექცა. მაიორის მეუღლეს ხელკავი გამოსდო და გავიგე, როგორ უთხრა:

– ნამდვილად ღირს ნახოთ ადგილობრივი თეატრი. შექსპირი აზერბაიჯანულად ითარგმნა. მომავალ კვირას „ჰამლეტს“ წარმოადგენენ.

ოფლი მოვიწმინდე. ვფიქრობდი სტუმართმოყვარეობის მკაცრ კანონებზე და არაფერი შემეძლო მეღონა.

ძველი ადათის მიხედვით, სტუმარი შენს ოთახში თუ შემოაბიჯებს, შენი საკუთარი ერთადერთი ვაჟის მოჭრილი თავიც რომ მოგიტანოს, უნდა გაუმასპინძლდე და, როგორც სტუმარს, პატივით მოეპყრა. ბრძნული ადათია, მაგრამ ზოგჯერ ძნელია მისი შესრულება.

უამრავ ჭიქაში ჩამოვასხი ვისკი და კონიაკი. ოფიცრები სიგარეტს ეწეოდნენ. კიდევ კარგი, მაგიდაზე ფეხები არავის შემოუწყვია.

– საუცხოო მეუღლე გყავთ და საუცხოო სახლი გაქვთ, ალი ხან. – განაგრძო ჩემი ტანჯვა ერთმა ახალგაზრდა ოფიცერმა. ეს ოფიცერი ნამდვილად გაოგნდებოდა, თუ გაიგებდა, რომ სილის გაწვნას მხოლოდ პოლიტიკურმა მოსაზრებებმა გადაარჩინა. ვიღაც ურწმუნო ძაღლი ჩემი ცოლის მშვენიერებაზე ლაპარაკს ბედავდა! ხელი

მიკანკალებდა, კონიაკს რომ ვუსხამდი. რამდენიმე წვეთი დამექცა კიდეც.

ერთ სახელმწიფო მოღვაწეს, თეთრ სმოკინგში გამოწყობილ თეთრწვერა მოხუცს ნამცხვარი გავუწოდე. ჩაყვითლებული მოგრძო კბილები და მოკლე თითები ჰქონდა:

– ალი ხან, ჭეშმარიტად ევროპული სახლი გაქვთ. – თქვა მან სუფთა სპარსულით.

– ისე ვცხოვრობ, როგორც ჩვენს ქვეყანას შეეფერება.

გაოცებულმა შემომხედა:

– როგორც ჩანს, სპარსეთსა და აზერბაიჯანს შორის უზარმაზარი კულტურული სხვაობაა.

– ო, დიახ, საუკუნით ვუსწრებთ წინ. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენ მძლავრი ინდუსტრია გვაქვს, ჩვენთან რკინიგზაცაა. სამწუხაროდ, რუსეთის მმართველობამ დათრგუნა ჩვენი კულტურული განვითარება და ამიტომაც გვყავს ცოტა ექიმი თუ მასწავლებელი. გავიგე, მთავრობას განზრახული აქვს ნიჭიერი ახალგაზრდობის ევროპაში გაგზავნა, რითაც, იმედია, ავინაზღაურებთ, რაც რუსეთის დროს დავკარგეთ.

კარგა ხანს ვილაპარაკეთ. ვისკი შევთავაზე, მაგრამ არ სვამდა.

– ოცი წელია კონსული ვარ სპარსეთში. – განაგრძო მან, – მტკივნეულია იმის აღიარება და დანახვა, როგორ დაეცა ღირსეული აღმოსავლური კულტურა, როგორ უარყოფენ აღმოსავლელები ჩვენს ცივილიზაციას და როგორ ეჭიდებიან წინაპრების ადათ-წესებს. იქნებ არც ცდებიან. მათი ცხოვრების წესი, ბოლოს და ბოლოს, მათი პირადი საქმეა. ყოველ შემთხვევაში, უნდა ვაღიარო, რომ თქვენი ქვეყანა სავსებით მზადაა დამოუკიდებლობისათვის, ისევე, როგორც ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკები. ვფიქრობ, ჩვენი მთავრობა მალე აღიარებს აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

რაღა თქმა უნდა, ეჭვიანი სულელი ვიყავი, მაგრამ, როგორც ჩანს, საღამოს მისია გამართლდა, მიზანს მიაღწია. დარბაზის ბოლოში ასადულაჰი იდგა ილიას ბეგსა და ნინოს მშობლებთან ერთად. მე დარბაზი გადავჭერი და მათკენ გავემართე.

– რაო, რა გითხრა მოხუცმა? – სულმოუთქმელად მომაყარა ცნობისმოყვარეობით შეპყრობილმა ასადულაჰმა.

– მითხრა, რომ სულელი ვარ, მაგრამ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღიარებაზე ინგლისი იფიქრებს.

მირზა ასადულაჰმა შვებით ამოიოხრა:

– არა, სულელი ნამდვილად არ ბრძანდებით, ალი ხან.

– გმადლობთ, მინისტრო, მაგრამ მაინც მგონია, რომ ვარ.

მან კვლავ გააქნია თავი და სტუმრებს გამოემშვიდობა. გასასვლელთან ნინოს ხელზე რომ კოცნიდა, ნინომ საიდუმლოებით მოცული ღიმილით რაღაც წასჩურჩულა, რა, ვერ გავიგე, მაგრამ იმანაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

სტუმრები შუაღამისას დაიშალნენ. მთელ დარბაზში სიგარეტისა და ალკოჰოლის სუნი იდგა. დაღლილებმა შვებით შევაბიჯეთ საძინებელში. უცნაურმა სიცელქემ შეგვიპყრო. ნინომ თავისი სადღესასწაულო ფეხსაცმელები კუთხეში მიყარა, კაბიანადვე ბუმბულივით შეხტა საწოლზე, ცხვირი დამანჭა, ქვედა ტუჩი გამობზიკა, პატარა მაიმუნს ჰგავდა. ლოყები გამობუშტა, მერე საჩვენებელი თითები დაირტყა გამობერილ ლოყებზე და წამოიძახა:

– აბა, როგორ მოგეწონე დღეს ჩვენი სამშობლოს მხსნელის როლში? ნინო ხანუმ შირვანშირი – აზერბაიჯანელი ჟანა დ'არკი! – წამოიძახა მან, საწოლიდან ისკუპა, სარკესთან მიირბინა და აღრფთოვანებული შეაცქერდა საკუთარ თავს. – ხომ ვუმტკიცებდი მაიორის ცოლებს, თვალით არ მინახავს საჭურისები-მეთქი. – იცინოდა ნინო და ტაშს უკრავდა. ღია ფერის საღამოს კაბა ეცვა, ზურგზე ღრმად ამოჭრილი. ნაზ

ბიბილოებზე გრძელი საყურეები ეკიდა, ყელზე მარგალიტის ფარღულის რამდენიმე წყება უბრწყინავდა სინათლის მკრთალ შუქზე. მუქი თმები გრძლად ეფინებოდა. სარკესთან იდგა და ტკბებოდა თავისი ახლებური მშვენიერებით. უკნიდან მივუახლოვდი ჩემს ევროპელ პრინცესას. ბედნიერებისაგან თვალები ანთებოდა. მოვეხვიე. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ცხოვრებაში პირველად შევეხე. ნაზი, სურნელოვანი კანი ჰქონდა, კბილები მარგალიტებივით უელვარებდა. პირველად ჩამოვსხედით საწოლის კიდეზე. მკლავებში ევროპელი ქალი მყავდა. მისი გრძელი წამწამები, ნაზად რომ აფახულებდა, ლოყებზე მელამუნებოდა. ნინო ჯერ არასდროს ყოფილა ასეთი ლამაზი. ნიკაპი ავუწიე და თვალებში ჩავხედე. ვუყურებდი მის ნოტიო, ოვალურ, სიყვარულს მოწყურებულ ბაგეებსა და ვნებიანად მილულულ თვალებს. მშვენიერი, პატარა სახე უღონოდ ჩაეშვა ჩემს ხელებში. სურნელოვან თმაზე ვეფერებოდი. სულ დამავიწყდა მისი საღამოს კაბა, გაპრიალებული ევროპული საწოლი და თეთრი ზეწრები. გამახსენდა დაღესტნის აული, თიხის იატაკზე დაგებულ ვიწრო ლეიბზე ნახევრად ჩაცმული ნინო. უცბად ძლიერად მოვეხვიე ნინოს, ტანსაცმლიანადვე დავეშვით ღია ფერის ქირმანულ ხალიჩაზე, და ევროპული, მდიდრული საწოლის ფეხებთან აღმოვჩნდით. ვხედავდი ნინოს ტკივილით თუ ნეტარებით აღვსილ სახეს, მესმოდა მისი გახშირებული სუნთქვა, და მის ყოველ მოძრაობას, გამხდარი თეძოების მოხაზულობასაც კი შევიგრძნობდი. იმ წამმა ყველაფერი გადამავიწყა: ინგლისელებიც, ახალგაზრდა ოფიცრებიც და ჩვენი რესპუბლიკის მომავალიც.

მოგვიანებით მშვიდად ვიწექით გვერდიგვერდ და დიდ სარკეში საკუთარ თავს შევყურებდით.

— სულ გამიფუჭდა კაბა. — დაასკვნა ნინომ, მაგრამ ეს სიტყვები დიდ ბედნიერებაში გამოტყდომას უფრო ჰგავდა.

მერე ხალიჩაზე წამოვჯექით. ნინოს ჩემს კალთაში ედო თავი და მეჩურჩულებოდა:

— რას იტყოდა მაიორის მეუღლე ამაზე? — „ალი ხან, რისთვისა გაქვთ საწოლები?“

მერე ზლაზვნით წამოდგა, პატარა ფეხი მუხლზე წამკრა და მითხრა:

— ეგებ ინებოს მისმა აღმატებულება ატაშემ ტანთ გახდა და დიპლომატიური სამყაროს საყოველთაოდ მიღებული წესების თანახმად საწოლში ჩაწოლა? სად გაგიგონია, რომ ატაშე ხალიჩაზე გორაობდეს?

ბუზღუნით წამოვდექი, ტანსაცმელი გავიხადე და ზეწარგადაფარებულ საწოლში ჩავწექი.

ასე გადიოდა დღეები და კვირები. მოდიოდნენ სტუმრები, სვამდნენ ვისკის, აქებდნენ ჩვენს ოჯახს. და ნინოს ქართული სტუმართმოყვარეობა და მწველი გულზიარობა დღითიდღე ძლიერდებოდა. ნინო ცეკვავდა ახალგაზრდა ლეიტენანტებთან, ესაუბრებოდა მოხუც მინისტრებს, უყვებოდა ინგლისელ მანდილოსნებს თამარ მეფის დროინდელ ამბებს და არწმუნებდა, რომ თამარ მეფე აზერბაიჯანზეც ბატონობდა. მე კი სამინისტროში ვიჯექი, ვწერდი დიპლომატიური ნოტის პროექტებს. ვკითხულობდი საზღვარგარეთის წარმომადგენელთა მოხსენებებს და ზღვას გავცქეროდი. ხანდახან სამინისტროში საოცრად ქალური, მხიარული და წარმოუდგენლად მომხიბლავი ნინოც შემოირბენდა ხოლმე. მან არაჩვეულებრივად მეგობრული ურთიერთობა დაამყარა საგარეო საქმეთა მინისტრ ასადულაჰთან. როცა ის ჩვენთან მოდიოდა სტუმრად, ნინო გულით მასპინძლობდა, საზოგადოებრივი თვალსაზრისით ბრძნულ დარიგებებს უზიარებდა. ზოგჯერ ორივე, იდუმალებით მოცული, კუთხეში მიდგებოდა და რაღაცას ჩურჩულებდა.

— რა გინდა მირზასაგან? — ვკითხე ერთხელ. გამიცინა და ამიხსნა, რაოდენ დიდი პატივი იქნებოდა მისთვის, თუ პირველი საქმიანი ქალი გახდებოდა.

ჩემს საწერ მაგიდაზე წერილები, მოხსენებები,

მემორანდუმები იყო დახვავებული. გამალებით შენდებოდა ახალი სახელმწიფო. იყო ერთი წერილებისა და აქტების თხზვა, ახალი გერბიც უნდა შემოეღოთ.

შუადღე იქნებოდა, როცა კურიერმა გაზეთები მომიტანა. გადავშალე. გაზეთის ერთ ფურცელზე ჩემს სახელს მოვკარი თვალი. ქვეშ ეწერა: „ალი ხან შირვანშირი, საგარეო სამინისტროს ატაშე, საუკეთესო მონაცემების გამო წარგზავნილ იქნას ელჩად პარიზში." ამას მოჰყვებოდა მთელი გვერდი ჩემი სრული დახასიათებით, აშკარად აღა არსლანის ხელწერა ემჩნეოდა.

გამწარებული წამოვხტი, მინისტრის კაბინეტისკენ გავიჭერი, კარი გამოვგლიჯე და ვიყვირე:

– რას ნიშნავს ეს, მირზა ასადულაჰ?

– აჰ, – გაიცინა მან, – თქვენთვის მოულოდნელია, ალბათ, არა, ჩემო მეგობარო? ეს მე თქვენს მეუღლესთან შევათანხმე. ნინოსა და თქვენთვის პარიზი სწორედ რომ შესაფერისი ადგილია.

გაზეთი გვერდზე მოვისროლე და ველურმა სიბრაზემ შემიპყრო.

– მირზა, ვერანაირი კანონი ვერ მაიძულებს, წლობით ვიცხოვრო ჩემი სამშობლოდან მოშორებით! – ვიყვირე მე.

გაოცებით შემომყურებდა.

– რატომ, ალი ხან? საზღვარგარეთის პოსტები ჩვენს სამსახურში მართლაც მისწრებაა. თქვენ შესანიშნავი კანდიდატურა ბრძანდებით.

– მაგრამ მე არ მინდა პარიზში. სამსახურს დავტოვებ, თუ წასვლას მაიძულებთ. მე მძულს უცხო ქვეყანა, უცხო ქუჩები, უცხო მანქანები და ზნე-ჩვეულებები. მაგრამ თქვენ ამას ვერასოდეს გაიგებთ.

– ვერა, მაგრამ თუ თქვენ მაგ აზრზე მყარად დგახართ, შეგიძლიათ დარჩეთ. – ჩაილაპარაკა მან თავაზიანად.

სახლისაკენ მივიჩქაროდი, კიბეები ავირბინე:

– ნინო, არ შემიძლია, უბრალოდ, არ შემიძლია.

ნინო სულ გაფითრდა, ხელები უცახცახებდა.

– რატომ, ალი ხან ?

– ნინო, სწორად გამიგე, მე მიყვარს ჩემი სახლის ბანი, ჩემი სანაპირო და ზღვა. მიყვარს ეს ქალაქი, ძველი კედელი, მეჩეთები, ვიწრო ქუჩები. დავიღუპები აღმოსავლეთის გარეშე, როგორც თევზი უწყლოდ.

მან წამით თვალები დახუჭა.

– სამწუხაროა. – თქვა ჩამქრალი ხმით. გული მეტკინა ამ სიტყვების გაგონებაზე. გვერდზე მივუჯექი, ხელი მოვკიდე და ვუთხარი:

– პარიზში მე ისევე უბედური ვიქნები, როგორც შენ იყავი სპარსეთში. ევროპაში უცხოდ ვიგრძნობ თავს. გაიხსენე ჰარამხანა შემრანში. ევროპას მე ისევე ვერ ავიტან, როგორც შენ – აზიას. დავრჩეთ ბაქოში, სადაც ევროპა და აზია შეუმჩნევლად ერწყმის ერთმანეთს. არ შემიძლია პარიზში წასვლა, იქ არც მეჩეთებია, არც ძველი კედელი და არც სეიედ მუსტაფა. დროდადრო მინდა აზიის სულით ვიცხოვრო, რომ ჩვენს სახლში მომსვლელი ამდენი უცხო ავიტანო. პარიზში მე ისევე შეგიძულებ, როგორც შენ შემიძულე სპარსეთში მოჰარამის დღესასწაულზე. მაშინვე არა, მაგრამ ერთ საღამოს, მეჯლისზე ან სხვა დროს უცბად დამეწყება შენდამი სიძულვილი იმ უცხო სამყაროში, საითკენაც შენ მეწევი. ამიტომ აქ დავრჩები, რაც უნდა მოხდეს. აქ დავიბადე და აქ მინდა, მოვკვდე.

მთელი ეს ხანი დუმდა. როცა დავასრულე, ჩემკენ დაიხარა და თმაზე გადამისვა ხელი:

– აპატიე შენს ნინოს, ალი. ძალიან სულელი ვარ. არ ვიცი, რატომ ვიფიქრე, რომ შენც შეძლებდი ისე ხეტიალს, როგორც მე. ჩვენ აქ ვრჩებით და პარიზს აღარც ვახსენებთ. შენ შენს აზიურ სახლს მოუარე და მე ჩემს ევროპულ სახლს მოვუვლი.

მან ნაზად მაკოცა, თვალებში ცრემლები უბრწყინავდა.

– ნინო, მძიმეა ჩემი ცოლობა?

– არა, ალი ხან, ჭკვიანი ადამიანისთვის სულაც არა.

მისი ხელები ჩემს სახეზე დაცურავდა. ძლიერი ქალი იყო ჩემი ნინო. ვიცოდი, რომ ულამაზესი ოცნება დავუმსხვრიე. მუხლებზე მოვეხვიე და ვუთხარი:

– ნინო, როცა ბავშვი გაგვიჩნდება, გავემგზავროთ პარიზში, ლონდონში, ბერლინში, თუნდაც რომში. საქორწინო მოგზაურობაში წავიდეთ. მთელი ზაფხული დავრჩეთ იმ ქალაქში, სადაც შენ მოგეწონება. ყოველ წელს ვიმოგზაუროთ ევროპაში, ტირანი არა ვარ. მაგრამ ცხოვრება იმ ქვეყანაში მინდა, რომელსაც ვეკუთვნი, რადგან ამ უდაბნოს, ამ ქვიშის, ამ მზის შვილი ვარ.

– ჰო, მართალი ხარ, ერთი პატარა ბავშვი და ევროპა სულ დაგვავიწყდება. მაგრამ ბავშვი, რომელსაც შენგან ვატარებ, არც ამ უდაბნოსი და არც ამ ქვიშისა არ უნდა იყოს, უბრალოდ ეს იქნება ნინოსა და ალის ბავშვი, კარგი?

– კარგი! – ვთქვი მე. ვიცოდი, რომ ამით ევროპელის მამობაზე ვთანხმდებოდი.

XXIX თავი

— დედაშენმა გაჭირვებით გშვა, ალი ხან. მაშინ ევროპელი ექიმები არ მოგვყავდა ჩვენი ქალებისათვის.

მამაჩემი ჩემთან ერთად იჯდა ჩვენი სახლის ბანზე და ჩუმი, სევდიანი ხმით ლაპარაკობდა.

— როცა სამშობიარო ტკივილები გაუძლიერდა, დედაშენს დანაყილი ფირუზის და ალმასის მტვერი მივეცით. მაგრამ ამან დიდად არ უშველა. ჭიპლარი ოთახის აღმოსავლეთ კედელზე ჩამოვკიდეთ ხანჯლისა და ყურანის გვერდით, რომ ძლიერი ყოფილიყავი. მერე ეს ჭიპლარი ყელზე თილისმად გეკიდა. ყოველთვის ჯანმრთელი იყავი. როცა სამი წლისა გახდი, თილისმა გადააგდე და ავადმყოფობაც მოგერია. ვცდილობდით, ავადმყოფობა განგვედევნა და ოთახში ღვინოსა და ტკბილეულს გიდგამდით. ერთხელ შეღებილი ქათამიც შემოვუშვით შენს ოთახში, მაგრამ ავადმყოფობა მაინც არ გეშვებოდა. ერთხელ ერთი ბრძენი კაცი ჩამოვიდა მთიდან და ძროხა ჩამოიყვანა. იმ კაცმა ძროხა დაკლა, მუცელი გამოუფატრა, მთელი შიგნეულობა გამოალაგა და ძროხის მუცელში ჩაგსვა. სამი საათის შემდეგ გამოგიყვანა, სულ წითლად იყავი შეღებილი. იმ დღიდან ჯანმრთელი ხარ.

სახლიდან გაბმული, სულისშემძვრელი კივილი გამოიჭრა. უძრავად ვიჯექი და მთელი არსებით ვაყურადებდი. კივილი გამეორდა, გაბმით, მოთქმით.

— ახლა შენ მას სძულხარ. ასეთ დროს ყველა ქალს სძულს თავისი ქმარი. უწინ ქალს მშობიარობის შემდეგ ცხვარი უნდა დაეკლა და მისი სისხლით ქმრისა და ბავშვის დაბადების ადგილები მოერწყა, რომ მშობიარობის დროს წყევლით ნათქვამი ბოროტება განედევნა.

— მამა, რამდენ ხანს გრძელდება?

— ხუთი, ექვსი, ათი საათი. ვიწრო თეძოები აქვს.

მამა გაჩუმდა. იქნებ თავის ცოლზე, დედაჩემზე ფიქრობდა, ჩემზე მშობიარობას რომ გადაჰყვა. უცბად წამოდგა და მითხრა:

– მოდი აქ.

ორივენი ბანის შუაში გაშლილი სალოცავი ნოხისაკენ გავემართეთ. ნოხის ზემოთა კიდეები მეჩეთისაკენ, წმინდა ყაბის მხარეს იყო მიქცეული. ფეხთ გავიხადეთ, ნოხზე შევდექით, მარჯვენა ხელის გული მარცხენის ზურგზე დავიდეთ.

– ეს ერთადერთია, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, მაგრამ ეს ყველა ექიმის ჭეშმარიტებაზე მაღლა დგას. – მამაჩემმა ქედი მოიდრიკა და არაბული ლოცვის სიტყვები წარმოთქვა, – სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა...

მეც მას მივბაძე. სალოცავ ნოხზე დავიჩოქე, შუბლით იატაკს ვეხებოდი:

– ხოტბა – ალაჰს, სამყაროთა მეუფეს. მოწყალესა, მწყალობელს. განკითხვის დღის ხელმწიფეს...

ხალიჩაზე ვიჯექი. სახე ხელებში მქონდა ჩარგული. ნინოს ყვირილი ჩემს ყურამდე აღწევდა, მაგრამ ვეღარ აღვიქვამდი, ბაგეები თავისთავად იმეორებდნენ ყურანის ლოცვებს:

– მხოლოდ შენ გმორჩილებთ და მხოლოდ შენ გთხოვთ შეწევნას...

ხელები მუხლებზე მეწყო. სიჩუმე იყო, მხოლოდ მამაჩემის ბუტბუტი მესმოდა:

– წაგვიყვანე ჭეშმარიტი გზით; იმათი გზით, რომელთაც მიეცი მოწყალება...

ხალიჩის წითელი ხაზები ჩემს თვალებში დალივლივებდნენ. სახით ხალიჩას ვეხებოდი:

– არა – შერისხულთა და არცა – გზააბნეულთა...

ასე ვიყავით ჩაძირულნი წმინდა ლოცვაში. კვლავ და კვლავ ვიმეორებდით ლოცვას, რომელიც ერთხელ წინასწარმეტყველმა არაბ მომთაბარეებს შთააგონა მექაში. ნინოს ყვირილი აღარ ისმოდა. ხალიჩაზე ვიჯექი

ფეხმორთხმული, ხელში კრიალოსანს ვმარცვლავდი, ბაგეებით კი უფლის სახელს ოცდაცამეტჯერ ვიმეორებდი.

უცბად ვიღაც შემეხო მხარზე. თავი ავწიე, მომღიმარი სახე დავინახე. გაურკვეველი სიტყვები მესმოდა. წამოვდექი. მამაჩემის მზერაც შევნიშნე. ნელ-ნელა გადმოვედი ხალიჩიდან.

ნინოს ოთახში ფანჯრებზე ფარდები ჩამოეფარებინათ. ის მშვიდად იღიმებოდა, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, ლოყები ჩასცვივნოდა. უცბად ჩვენს ენაზე, აზერბაიჯანულად, ძლივს რომ ლაპარაკობდა, მითხრა:

– გოგოა, ალი ხან, მშვენიერი გოგო, საოცრად ბედნიერი ვარ.

გაყინულ ხელებზე მოვეფერე, მან თვალები დახუჭა.

– არ მისცე დაძინების უფლება, ალი ხან, ცოტა ხანს უნდა ეღვიძოს. – შემომესმა უკნიდან.

ვეალერსებოდი მის გამომშრალ ბაგეებს. ის მშვიდად, მაგრამ გაწამებული თვალებით მიყურებდა. ერთი ქალი მოუახლოვდა საწოლს, ხელში რაღაც გახვეული ეჭირა. დავინახე პატარა მრგვალი თოჯინა, პაწია თითებით, დიდი, ლამაზი თვალებით. თოჯინა ნებიერი სახით ტიროდა.

– რა მშვენიერია! – თქვა ნინომ აღფრთოვანებით და ხელი თოჯინისაკენ გაიწოდა. შიშით ფრთხილად შევახე ხელი. თოჯინას სერიოზული, შეჭმუხნული შუბლით ჩაეძინა.

– თამარს დავარქმევ, ლიცეუმის პატივსაცემად. – წაიჩურჩულა ნინომ, მეც თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად, რადგან ეს სახელი ქრისტიანებშიც გვხვდება და მუსლიმებშიც.

ვიღაცამ ოთახიდან გამიყვანა. აქეთ-იქიდან ცნობისმოყვარე მზერას ვგრძნობდი. მამამ ხელი მომკიდა და ეზოში გავედით:

– სანაპიროსკენ წავიდეთ, ნინომ უნდა დაიძინოს.

ცხენებზე შემოვსხედით და ველური ჭენებით გავაქრო-

ლეთ ყვითელქვიშიან დიუნებში. მამაჩემი რაღაცას მეუბნებოდა, მაგრამ არაფერი მესმოდა. ამაყი ვიყავი, მრგვალი მძინარე მზეთუნახავი რომ შემეძინა.

დღეები დღეებს ცვლიდა, როგორც კრიალოსნის მარცვლები. ნინოს მკერდთან თოჯინა ეჭირა. შესცქეროდა თავის მრგვალ პაწიას, ასე გასაოცრად რომ ჰგავდა დედიკოს. ღამით ქართულ სიმღერებს უმღეროდა ჩუმად. თავის მრგვალ თოჯინას დაჰყურებდა და თან დაფიქრებული აქნევდა თავს. ჩემთან ურთიერთობაში ისეთი თავდაჯერებული გახდა, როგორც არასდროს, რადგან მე მხოლოდ კაცი ვიყავი, რომელსაც ბავშვის არც გაჩენის, არც დამშვიდების და არც საფენების გამოცვლის უნარი არ შემწევდა. მე სამინისტროში ვიჯექი და გაუთავებლად ვიქექებოდი საქმეებში, დროდადრო ნინო თუ მოიღებდა მოწყალებას, დამირეკავდა და მამცნობდა პაწიას უნებლიე და ახალ-ახალ ქმედებებს:

– ალი ხან, იცი, თოჯინამ გაიცინა და მზისკენ გაიშვირა ხელი.

– ძალიან ჭკვიანია, ალი ხან, ეს ჩვენი პატარა, შუშის ბურთულა ვუჩვენე და თვალი გააყოლა.

– იცი, ალი ხან, თოჯინა პაწია თითებით თავის მუცელს ეთამაშება. ეტყობა, ძალიან ნიჭიერი იქნება.

და იმ დროს, როცა ჩემი თოჯინა შუშის ბურთულას თვალს აყოლებდა, თითებით მუცელს ეთამაშებოდა, დიდები შორეულ ევროპაში საზღვრებით, ჯარებითა და სახელმწიფოებით თამაშობდნენ. ვკითხულობდი ახალ ამბებს, ჩავცქეროდი რუკას, სადაც მომავალი მსოფლიოს მონიშნული საზღვრებიც საეჭვო გამხდარიყო. იდუმალი ადამიანები, რომელთა სახელების გამოთქმაც კი მიჭირდა, ვერსალში ისხდნენ და აღმოსავლეთის ბედს წყვეტდნენ. მხოლოდ ერთადერთმა კაცმა, ქერათმიანმა თურქმა გენერალმა ანკარიდან გადადგა თავზეხელაღებული ნაბიჯი გამარჯვებულთა წინააღმდეგ. აზერბაიჯანი ევროპელ

ძლევამოსილთა მიერ დამოუკიდებელ ქვეყნად იქნა აღიარებული. დიდი ხანი დამჭირდა, ვიდრე ამ ამბით გაოგნებული ილიას ბეგი გონს მოვაგე. არ იჯერებდა, რომ ამის მერე ინგლისელები სამუდამოდ გავიდოდნენ ჩვენი დამოუკიდებელი რესპუბლიკიდან.

– ჩვენ ახლა თავისუფლები ვართ! არც ერთი უცხო ჩვენს ქვეყანაში! – ვერ მშვიდდებოდა ილიას ბეგი.

– შეხედე, – ვუთხარი მე და რუკასთან მივიყვანე, – ჩვენი ჭეშმარიტი საყრდენი თურქეთი და სპარსეთი იყო. ახლა ორივე უძლურია. ახლა ცარიელ სივრცეში ვართ გამოკიდებული. ჩრდილოეთიდან ას სამოცი მილიონი რუსი მოისწრაფის. ჩვენს ნავთობს ეხარბებიან. ვიდრე ინგლისელები აქ არიან, რუსები ვერ მობედავენ, ვერც თეთრები და ვერც წითლები; მაგრამ ინგლისელები გავლენ თუ არა, აზერბაიჯანის დამცველებად მარტო მე და შენ ვიქნებით და კიდევ ის რამდენიმე წარმომადგენელი, ჩვენს ქვეყანაში რომ დარჩება.

– აჰ, არა, – თავი გადააქნია ილიას ბეგმა უზრუნველად. – ჩვენ გვყავს დიპლომატები, ისინი რუსებთან მეგობრულ ხელშეკრულებას დადებენ. არმია კი სხვა რამეს მოიმოქმედებს აქ, – თქვა მან და ქვეყნის სამხრეთ საზღვარზე მიუთითა, – ჩვენ აქ, სომხეთის საზღვართან უნდა დავდგეთ. იქითა მხარეს ამბოხებაა, საომარ საქმეთა მინისტრმა გენერალმა მეჰმანდარმა ახლახანს გასცა ბრძანება.

უაზრობა იყო ილიას ბეგისათვის იმის მტკიცება, რომ მთელ დიპლომატიას მარტო მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა სამხედრო თვალსაზრისით დაცული ხარ.

ინგლისელები გადიოდნენ. ქუჩები სადღესასწაულო დროშებით იყო მოფენილი. ჩვენი ჯარები სომხეთის საზღვრისაკენ დაიძრა. იალამასთან, რუსეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე მხოლოდ სასაზღვრო პატრული და რამდენიმე მესაზღვრე რჩებოდა. სამინისტროში ვამუშავებდით

ხელშეკრულებების ვარიანტებს როგორც წითლებთან, ასევე თეთრებთან. მამაჩემი სპარსეთში გაემგზავრა. ნინომ და მე ნავსადგურამდე მივაცილეთ. ნაღვლიანად გამოგვემშვიდობა, ვეღარც კი გვეკითხებოდა, ხომ არ წამოხვალთო.

– მამა, რას გააკეთებ სპარსეთში?

– ვინ იცის, იქნებ ცოლი შევირთო. – გვიპასუხა მან გულგრილად და მხურვალედ გადაგვკოცნა სიყვარულით. – შიგადაშიგ გინახულებთ. თუ ეს ქვეყანა განადგურდება, რამდენიმე მამული მაქვს მაზანდარანში.

გემზე ავიდა და გემბანზე იდგა ნაღვლიანი. მანამდე გვიქნევდა ხელს, სანამ ჯერ კიდევ ხედავდა ძველ კედელს, ქალწულის კოშკსა და მთელ სანაპიროს.

ქალაქში ცხელოდა, სამინისტროს ფანჯრები შუამდე იყო შეღებული. რუსი წარმომადგენლები ცბიერი, მზაკვრული სახეებით მოდიოდნენ და ხელშეკრულებებს ნაჩქარევად, გულგრილად აწერდნენ ხელს.

ჩვენი ქალაქის ქუჩები მტვრითა და ქვიშით დაიფარა. ცხელი ნიავი ჩემ წინ გადაშლილ ფურცლებს აშრიალებდა. ცოლის მშობლები ამ ზაფხულს საქართველოში წავიდნენ. იალამასთან ისევ იდგა სასაზღვრო პატრული და რამდენიმე მესაზღვრე.

– ასადულაჰ, იალამას იქითა მხარეს ოცდაათი ათასი რუსი დგას. – მოვუბრუნდი მინისტრს.

– ვიცი, ქალაქის კომენდანტი ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ მანევრებია. – თქვა მან ჩაფიქრებით.

– და ვაითუ ასე არ არის, მაშინ?

შუბლშეჭმუხნულმა გამომხედა:

– ჩვენ მხოლოდ ხელშეკრულებების დადება გვეხება, დანაჩენი ღვთის ნებაა.

დავდიოდი ქუჩებში და ვუყურებდი რამდენიმე გვარდიელს, ხიშტებშემართულნი რომ ყარაულობდნენ პარლამენტის შენობას. პარლამენტში პარტიები ჩხუბობ-

დნენ. რუსი მშრომელები აჯანყებით იმუქრებოდნენ, თუ მთავრობა ნებაყოფლობით არ მისცემდა რუსეთს ნავთობს.

კაცები ყავახანებში ისხდნენ, გაზეთებს კითხულობ-დნენ, ნარდს აგორებდნენ, ბავშვები ქვიშაში თამაშობდნენ. ქალაქი მზის მცხუნვარებაში ჩაძირულიყო. მინარეთიდან ძახილი ისმოდა:

— აღსდექით სალოცავად, აღსდექით, ძილს ლოცვა სჯობია.

არ მეძინა. ხალიჩაზე ვიჯექი თვალდახუჭული, და თვალწინ იალამას საზღვარი იდგა, საიდანაც ოცდაათი ათასი რუსი ჯარისკაცი იმუქრებოდა.

— ნინო, ცხელა, თოჯინა მზეს არაა შეჩვეული და შენც გიყვარს ხეები, ჩრდილი, წყალი. არ გინდა, ამ ზაფხულს საქართველოში წახვიდე?

— არა, არ მინდა. — მითხრა მკაცრად.

ცოტა ხნის შემდეგ შუბლშეჭმუხნულმა განაგრძო:

— ერთად უნდა გავემგზავროთ. ალი ხან, ქალაქში ძალიან ცხელა. განჯაში ხომ გაქვს მამული, ბაღ-ვენახით გარშემორტყმული სახლი. მოდი, წავიდეთ. იქ შენს სახლში იქნები და თოჯინაც ჩრდილში გვეყოლება.

ვერ შევეწინააღმდეგე და გავემგზავრეთ. ჩვენი მატარებლის ვაგონი ახალი აზერბაიჯანის პატივსაცემად იყო მორთულ-მოკაზმული.

ფართო, მტვრიანი ქუჩა მიდიოდა სადგურიდან ქალაქ განჯამდე. ეკლესიებსა და მეჩეთებს გარს დაბალი სახლები ერტყა. მაჰმადიანების უბანს სომეხთა უბნისაგან დამშრალი მდინარის კალაპოტი ჰყოფდა. ნინოს ის ლოდი ვუჩვენე, რომელზეც ასი წლის წინ ჩემი წინაპარი იბრაჰიმი რუსების ტყვიით განგმირული დაეცა. ჩვენი მამულის გადაღმა კამეჩები მკერდამდე ჩაწოლილიყვნენ წყალში უძრავად, ზარმაცად. ირგვლივ რძის სუნი იდგა. ყურძნის მტევნებს ძროხის თვალებისტოლა მარცვლები ესხა. აქაურ გლეხებს საფეთქლებთან თმა თითქმის სულ აეპარსათ,

შუაში კი გრძლად გადაევარცხნათ მარჯვნივ და მარცხნივ. ხის ვერანდიანი პატარა სახლი ხეებში იდგა. თოჯინამ ცხენების, ძაღლებისა და ქათმების დანახვაზე საოცრად გაიხარა და სულ იცინოდა.

სახლში შესვლისთანავე გადამავიწყდა სამინისტრო, ხელშეკრულებები და იალამას სასაზღვრო ხაზი. ვისხედით ხოლმე ბალახზე ბაღში, ჩრდილქვეშ. ნინო თივის მწარე ღეროს ღეჭავდა, მზით გარუჯული მშვიდი სახე ისე გაცისკროვნებოდა, როგორც ზეცა განჯის თავზე. ის ოცი წლისა იყო. და ისევ ისეთივე გამხდარი, აღმოსავლელის ხედვით.

– ალი ხან, ეს გოგო ჩემია. შემდეგი ბიჭი გვეყოლება და შენი იქნება. – მერე მომავლის გეგმები დასახა, უნდოდა, ევროპელების მსგავსად თოჯინასათვის ჩოგბურთი, ინგლისური, ფრანგული ესწავლებინა, ოქსფორდში გაეგზავნა.

ვდუმდი, რადგან თოჯინა ჯერ ძალიან პატარა იყო. წინ კი რა გველოდა, არ ვიცოდი. იალამასთან ისევ ოცდაათი ათასი რუსი იდგა.

ხშირად ვჭამდით ხოლმე ხის ქვეშ გაშლილ ხალიჩაზე, ბალახში ვთამაშობდით, მდინარეზე ჩავდიოდით. ნინო ბანაობდა კიდეც, მაგრამ ცოტა მაღლა, იმ ადგილიდან მოშორებით, სადაც კამეჩები იწვნენ. გლეხები ადი-ჩადიოდნენ. ქედს იხრიდნენ თავიანთი ხანისა და მისი ცოლის წინაშე. ხილით სავსე კალათები მოჰქონდათ: ქლიავი, ვაშლი, ყურძენი, ატამი. გაზეთებს არ ვკითხულობდით, არც წერილებს ვიღებდით. ჩვენი სამყარო მხოლოდ აქაურობით შემოიფარგლებოდა და ისევე კარგად ვგრძნობდი თავს, როგორც დაღესტნის აულში.

ერთ დღეს, ოთახში რომ ვისხედით, შორიდან ცხენის თქარათქური მომესმა. ვერანდაზე გამოვედი, სწორედ ამ დროს ცხენიდან ჩერქეზულჩოხიანი შავი აჩრდილი ჩამოხდა.

– ილიას ბეგ! – შევძახე და ხელი გავუწოდე. სალამიც კი არ მომცა, საოცრად შეძრული და ფერდაკარგული ჩანდა.

– რუსები შემოვიდნენ ბაქოში. – თქვა ნაჩქარევად.

თავი დავიქნიე, თითქოს უკვე კარგა ხანია, ვიცოდი. ნინო ჩემ უკან იდგა და უეცრად ყვირილი აღმოხდა:

– როგორ, რა მოხდა, ილიას ბეგ?!

– ღამით იალამადან რუსი ჯარისკაცებით სავსე მატარებლები შემოვიდა, მთელი ქალაქი სროლით აიკლეს და პარლამენტი დაიკავეს. ყველა მინისტრი, ვინც გაქცევა ვერ მოახერხა, დაიჭირეს. პარლამენტში რუსმა მშრომელებმა თავიანთი თანამემამულეები დააყენეს. ბაქოში აღარცერთი ჯარისკაცი აღარ დარჩა. სომხეთის საზღვართან დაკარგულ პოსტებზე არმია დგას. მოხალისეთა შეკრება მინდოდა...

უკან რომ მოვიხედე, ნინო შინ შესულიყო და ვიდრე მსახურები ეტლში ცხენებს აბამდნენ, ბარგს ალაგებდა, თან თავის მშობლიურ ენაზე ბავშვს რაღაცას ეჩურჩულებოდა. ნინოს ბარგის ჩალაგებაში მივეხმარე და ცოტა ხანში უკვე მინდვრებს მივუყვებოდით. ილიას ბეგიც გვერდზე მოგვდევდა. ერთ წამს ვიგრძენი, როგორ ამერია აწმყო და წარსული ერთიმეორეში. ილიას ბეგს ქამარში ხანჯალი ჰქონდა გარჭობილი. ნინოს კი საოცრად ამაყი და შეუპოვარი მზერა ჩასდგომოდა თვალებში, როგორც მაშინ, მარდაკიანის გზაზე. ქალაქ განჯას მივუახლოვდით. ქუჩებში საოცრად აღელვებული, დაბნეული ხალხი გვხვდებოდა. ხიდზე, რომელიც სომხებსა და აზერბაიჯანელებს ერთიმეორისაგან ყოფდა, ჯარისკაცები იდგნენ. ტყვიამფრქვევებიც გაემზადებინათ სასროლად. მთავრობის სახლის აივანზე აზერბაიჯანის დროშას ჩირაღდნები დანათოდა.

XXX თავი

განჯაში დიდი მეჩეთის კედელთან ვისხედით, წინ თეფში მედგა წვნიანით. ეზოში დაღლილი ჯარისკაცები იწვნენ. მდინარის იქით ზარბაზნების ხმა ისმოდა. აზერბაიჯანის რესპუბლიკას სიცოცხლის მცირე დღეებიღა დარჩენოდა. მოშორებით, ეზოს კუთხეში მივჯექი, ხელში რვეული მეჭირა და მკვეთრად ვგრძნობდი, რომ მწველ ფრაზებში წარსულს მინდოდა ჩავჭიდებოდი.

როგორ იყო ეს მაშინ? როგორ იყო ამ რვა დღის წინ განჯის სასტუმროს ერთ პატარა ოთახში?

– სულელი ხარ, ალი ხან. – ჩაილაპარაკა ილიას ბეგმა. ღამის სამი საათი იქნებოდა. ნინოს გვერდით ოთახში ეძინა.

– სულელი ხარ. – გამიმეორა მან.

მაგიდასთან ვიჯექი. სულ არ მაინტერესებდა ილიას ბეგის აზრი:

– აქ დავრჩები. მოხალისეებიც მოვლენ და ვიბრძოლებთ. ჩემი ქვეყნიდან არ გავიქცევი.

ოცნებებში წასული ჩემთვის ჩუმად ვლაპარაკობდი. ილიას ბეგი მიხვდა, უაზრობა იყო ჩემთან ლაპარაკი, მაინც ვერ გადამათქმევინებდა. მდუმარედ, ნაღვლიანად შემომცქეროდა:

– ალი ხან, სკოლაში ერთად დავდიოდით, ერთად ვჩხუბობდით შესვენებებზე რუსებთან, უკან მოგყვებოდი, როცა ცხენით მისდევდი ნახარარიანს. ჩემი ცხენით მივიყვანე ნინო სახლში. ციციანაშვილის ჭიშკართანაც ერთად ვიბრძოდით, მაგრამ ახლა უნდა წახვიდე. ნინოს გამო, შენ გამო, სამშობლოს გამო, რომელსაც შეიძლება კიდევ დასჭირდე.

– ილიას ბეგ, შენ აქ რჩები და მეც აქ დავრჩები.

– აქ იმიტომ ვრჩები, რომ ვიცი, როგორ და საით უნდა

გავუძღვე ჯარისკაცებს, გავუზიარო ომის გამოცდილება. სპარსეთში უნდა წახვიდე, ალი ხან.

–არ შემიძლია სპარსეთში წასვლა, ვერც ევროპაში წავალ.

ფანჯარასთან მივედი – ქვემოთ ჩირაღდნები ანათებდა. თოფის სროლის ხმა ისმოდა. ქუჩებში შეიარაღებული ხალხი მიმოდიოდა.

– ალი ხან, ქვეყანას სიცოცხლის რვა დღეც აღარ დარჩენია.

გულგრილად გავაქნიე თავი. ქვემოთ იარაღის ჟღრიალი ისმოდა.

უკნიდან ნაბიჯები შემომესმა. შევბრუნდი, ნინო იდგა ნამძინარევი თვალებით.

– ნინო, უკანასკნელი მატარებელი თბილისისაკენ ორ საათში გადის.

– ჰო, უნდა წავიდეთ, ალი.

„არა, შენ წადი ბავშვთან ერთად. მოგვიანებით მეც ჩამოვალ. ჯერ აქა ვარ საჭირო. საქმე ისე აღარაა, როგორც მაშინ, ბაქოში. ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. ნინო, შენ აქ ვერ დარჩები, რადგან ახლა ბავშვი გყავს.

ვლაპარაკობდი და ფანჯრიდან ვიყურებოდი. გარეთ ჩირაღდნები ანათებდა. ილიას ბეგი კუთხეში იდგა თავდახრილი და შეცბუნებული შემოგვცქეროდა.

ნინოს ძილი გაუკრთა. ნელა მიუახლოვდა ფანჯარას და გარეთ გაიხედა. მერე ოთახის შუაგულისაკენ წამოვიდა, თავი გვერდზე გადახარა და ილიას ბეგს გახედა. ილიასმა მის მზერას ვერ გაუძლო.

– მე და თოჯინა? და შენ არ წამოხვალ?

– მე არ შემიძლია, ნინო.

– შენი წინაპარი განჯის ხიდთან დაეცა, სკოლიდან, ისტორიის გამოცდიდან მახსოვს მწარედ.

ნინო იატაკზე დაეშვა და უცბად გულისგამგმირავი ყვირილი აღმოხდა. სიკვდილის კარიბჭესთან მდგომი

დაჭრილი მხეცივით ღმუოდა, ცრემლებიც არ გადმოსდიოდა, მთელი სხეული უცახცახებდა. ილიას ბეგმა ვეღარ გაუძლო და ოთახიდან გავარდა.

— მე ჩამოვალ, მართლა ჩამოვალ სამ დღეში. — შევეცადე დამემშვიდებინა, მაგრამ მაინც ყვიროდა. ქვემოთ კი მომაკვდავი რესპუბლიკის ველურ სიმღერას მღეროდნენ.

უცბად გაჩუმდა, გაყინული თვალები მიმოავლო ოთახს და წამოდგა. ერთი ხელით ჩემოდანი ავიღე, მეორეზე ჩემი პატარა თოჯინა დავიწვინე და მდუმარედ დავუყევი სასტუმროს კიბეებს. ილიას ბეგი დაბლა, მანქანაში გვიცდიდა. სადგურამდე გზა გადაჭედილი იყო.

— სამი-ოთხი დღე, ნინო, — ამშვიდებდა ილიას ბეგი, — მხოლოდ სამი-ოთხი დღე, და ალი ხანი ისევ თქვენთან იქნება.

— ვიცი. — მშვიდად დაუქნია ნინომ თავი, — ჯერ თბილისში ვიქნებით, მერე პარიზში გავემგზავრებით, გვექნება სახლი მშვენიერი ბაღით და კიდევ ერთი ბიჭიც გვეყოლება.

— ეგრე იქნება, ნინო, ეგრე. — ჩემი ხმა მტკიცედ და დამაჯერებლად ჟღერდა.

ნინომ ხელი მომიჭირა და თან სადღაც შორს იყურებოდა. ლიანდაგები გველივით მიიკლაკნებოდა. სიბნელიდან მატარებელი ბოროტი ურჩხულივით გამოჩნდა. ნინომ ნაჩქარევად მაკოცა.

— კარგად იყავი, ალი ხან, სამ დღეში შევხვდებით. — გაიმეორა მან.

— რა თქმა უნდა, ნინო, და მერე პარიზში წავალთ. — ვუთხარი მე.

მან ხავერდივით ნაზი თვალებით გამიღიმა. თითქოს ასფალტზე მიმაწებესო, ვეღარ ვინძრეოდი. ძალა აღარ შემწევდა. ილიას ბეგმა ნინო თავის კუპემდე მიაცილა, ის მშვიდად იყურებოდა ფანჯრიდან, პატარა, დაბნეული, შეშინებული ჩიტივით. ხელს მიქნევდა. მატარებელი

დაიძრა. ილიას ბეგი ვაგონიდან ჩამოხტა. ჩვენ ისევ ქალაქში დავბრუნდით. არ მასვენებდა ფიქრი სამშობლოზე, რომელსაც რამდენიმე დღის სიცოცხლეღა დარჩენოდა.

ირიჟრაჟა. ქალაქი შეარაღებულ ბანაკს ჰგავდა. სოფლებიდან გლეხები მოდიოდნენ მალულად, გადანახული ტყვია-წამალი და იარაღი მოჰქონდათ. მდინარის იქითა ნაპირას, ქალაქის სომხურ ნაწილში კანტიკუნტად გაისმოდა სროლა. ქვემოთ უკვე რუსები იდგნენ. ქვეყანას წითელი არმია შემოესია.

ქალაქში ერთი კაცი გამოჩნდა – ხშირი წარბები, მოკაუჭებული ცხვირი, ღრმად ჩამჯდარი თვალები ჰქონდა. უფლისწული მანსურ მირზა ყაჯარი ერქვა. ვინ იყო, ან საიდან იყო წარმოშობით, არავინ იცოდა. ისე კი სამეფო, ყაჯართა გვარისა გახლდათ. ქუდზე ირანის სიმბოლო – ვერცხლისფერი ლომი უბრწყინავდა. ამბობდნენ, მმართველობა თვით დიდი მაჰმადის მემკვიდრის თანხმობით მიიღოო. რუსული ბატალიონები განჯისკენ მოიწევდნენ. ქალაქი ბაქოდან ლტოლვილებით ივსებოდა. მოჰქონდათ ამბები დახვრეტილ მინისტრებზე, დაჭერილ პარლამენტარებზე, ცხედრებზე, ქვები რომ მოაბეს და კასპიის ზღვის სიღრმეში ჩაძირეს. იმასაც ყვებოდნენ, ტაცა-ფირის მეჩეთში ახლა კლუბიაო.

სეიედ მუსტაფა კედელთან ლოცვის დროს მაგრად უცემიათ, გაუკოჭავთ და პირი ღორის ხორცით გამოუტენიათ, მოგვიანებით ბიძამისთან, მაშჰადში გაქცეულა, მამამისი კი რუსებს მოუკლავთ. ეს ამბავი არსლან აღამ გვიამბო. ახლა ჩემ წინ იდგა და მომჩერებოდა, როგორ ვანაწილებდი იარაღს.

– მეც მინდა ვიბრძოლო, ალი ხან.

– შენ? შე მელნით გათხუპნულო გოჭუნავ?!

– გოჭი არა ვარ, ალი ხან, ჩემი ქვეყანა მეც მიყვარს, როგორც ყველას. მამაჩემი თბილისში გაიქცა. მომეცი იარაღი. – გულწრფელად ამბობდა და თან თვალებზე

ცრემლები უბრწყინავდა.

იარაღი არსლანსაც მივეცი. ჩემს კოლონაში მოაბიჯებდა, ხიდისკენ მივდიოდით, რომლის იქითა მხარეს რუსი ჯარისკაცები იდგნენ.

მტრის პირისპირ აღმოვჩნდით. მტვერსა და შუადღის მზის ბრწყინვალებაში ნათლად ვხედავდი მათ წვეტიან ხიშტებს და ველური სიშმაგე მიპყრობდა.

– ირალი! – „წინ!" – დაიძახა ვიღაცამ და ხიშტები დავუშვით. თოფი მოვიმარჯვე. მხარში ტყვია მომხვდა. მტერს კონდახით ვიგერიებდი გამწარებული, თავგაპობილები ცვიოდნენ ძირს და თავიდან გადმონთხეული ტვინი ქვიშას ერეოდა. გვერდზე გავიხედე და დავინახე, არსლან აღა ვიღაც რუსს ხანჯალს ურჭობდა თვალში. შორიდან საყვირის ხმა შემოგვესმა. რომელიღაც ქუჩის კუთხეში გადავინაცვლეთ და ბრმად ვისროდით სომხების სახლების მიმართულებით.

ღამით თანდათან უკან დავიხიეთ ხიდისკენ. იქ ილიას ბეგი იჯდა და ტყვიამფრქვევს საბრძოლოდ ამზადებდა. ღამით ისევ მეჩეთის ეზოში დავბრუნდით. წვნიანს შევექცეოდით, ატამიც დავაყოლეთ. ილიას ბეგმა ბავშვობა გაიხსენა, ზღვაში ბანაობისას კინაღამ ტალღამ რომ დაახრჩო. არსლანიც ჩვენთან იჯდა და მადიანად ხრავდა ატამს.

ღამით არსლან აღა ჩემკენ მოჩოჩდა და მითხრა:

– მეშინია, ალი ხან, მშიშარა ვარ.

– მაშინ დადე იარაღი, მინდვრებით პულას მდინარემდე მიდი და საქართველოში გაიქეცი.

– არ შემიძლია, მინდა ვიბრძოლო, ჩემი ქვეყანა მეც მიყვარს, როგორც სხვებს. მერე რა, რომ სულით მშიშარა ვარ!

სიჩუმე ჩამოწვა. კვლავ ირიჟრაჟა.

შორს ქვემეხები ქუხდა. ილიას ბეგი მინარეთთან იდგა უფლისწულ ყაჯარის გვერდით და გარემოს საველე ჭოგრით აკვირდებოდა. შორს საყვირის ხმა ისმოდა – თითქოს

მოთქვამდა და საბრძოლველად გვიხმობდა. მინარეთთან დროშა ფრიალებდა. ვიღაც თურანის სამეფოს უმღეროდა:

— უამრავი რამ მსმენია, — წამოიწყო ერთმა კაცმა ნაღვლიანი თვალებითა და სიკვდილმისჯილის სახით, — ვიღაც აღდგა სპარსეთში, რეზა ჰქვია. ამბობენ, ჯარისკაცები მოჰყავს ჩვენს დასახმარებლადო. ჩვენი ბრძოლა არ იქნება ამაო, ოცდახუთი ათასი კაცი მოდის ჩვენკენ.

— ოცდახუთი ათასი კი არა — ოცი მილიონი, მთელი მსოფლიოს მუსლიმები-მეთქი, — მაგრამ, ღმერთმა უწყის, დროულად მოვლენ თუ არა.

ხიდისკენ გავემართეთ. ტყვიამფრქვევთან ვიდექი, ტყვიების ლენტი თითებს შუა კრიალოსანივით მისრიალებდა. გვერდით ფერმიხდილი არსლან აღა მეჯდა, მაგრამ იღიმებოდა. ტყვიამფრქვევი შეუჩერებლივ კაკანებდა ხიდზე. სადღაც სომხური სახლების უკან ბუდიონის მარშის ხმა ისმოდა. ხიდიდან გადავიხედე, უზარმაზარი დამშრალი მდინარის კალაპოტი შემომცქეროდა ქვემოდან. მოედანზე რუსები გამოჩნდნენ, ხიდისკენ მორბოდნენ, ერთ კუთხეში ჩაიმუხლეს და მიზანში ამოგვიღეს. მტრის ყოველ გასროლას მეც გამძვინვარებით ვპასუხობდი. რუსები ჩემ წინ მარიონეტებივით ეცემოდნენ, მაგრამ მათ უკან ახალი რიგები ჩნდებოდა. და ჩემი ტყვიამფრქვევი უღონოდ კაკანებდა განჯის ხიდზე.

არსლან აღამ ხმამაღლა, განწირული ბავშვივით დაიღრიალა. გადავიხედე. ხიდზე იწვა და პირიდან სისხლი სდიოდა. ტყვიამრფქვევს მივაჭირე. ტყვია სეტყვასავით დავუშინე მტერს. უცბად ჩემი ქუდი მდინარის კალაპოტში გადაეშვა, ქარისგან, ან იქნებ ტყვიისგანაც. საყელო შემოვიგლიჯე. მკერდი მოვიშიშვლე. შორს მტრის საყვირის ხმა გაისმა. შეტევაზე გადასვლას იუწყებოდა. ჩემსა და მტერს შორის არსლან აღას სხეული იყო. შეიძლება ადამიანი მშიშარა იყოს, მაგრამ გმირივით დაეცეს სამშობლოსათვის ბრძოლაში. დაბლა საყვირის ხმამ უკან

დახევა გვამცნო. ტყვიამრფქვევები დადუმდა. ოფლიანი, მშიერი ვიჯექი ხიდზე და ცვლას ველოდებოდი. და აი, ცვლაც მოვიდა. უხეშმა ხელებმა ტყვიამფრქვევისაკენ გადააადგილეს არსლანის გვამი. ღამით მეჩეთის ეზოში დავბრუნდი.

ახლა აქ ვზივარ, მეჩეთის კედლების ჩრდილში და წვნიანს ვხვრეპ. იქით, მეჩეთის შემოსასვლელში, უფლისწული მანსური და ილიას ბეგი რუკას დასცქერიან. დაღლილობამ მძლია. რამდენიმე საათში ისევ ხიდზე უნდა დავბრუნდე. სჯობს დავიძინო, აზერბაიჯანს რამდენიმე დღის სიცოცხლეღა დარჩენია.

კმარა. უნდა დავიძინო, ვიდრე საყვირი ისევ მომიხმობს მდინარესთან, სადაც ჩემმა წინაპარმა იბრაჰიმ ხან შირვანშირმა თავისი ხალხის თავისუფლებისათვის გაწირა თავი.

ალი ხან შირვანშირი დაიღუპა 5 საათსა და 15 წუთზე განჯასთან, ხიდზე, ზარბაზნის გვერდით, თავის პოსტზე. მისი სხეული ხიდიდან მდინარის მშრალ კალაპოტში გადავარდა. ღამით ჩავედი, რომ დამემარხა. რვა ტყვიით იყო განგმირული. ეს რვეული ჯიბეში ვუპოვე. თუ ღმერთი ინებებს, იმის ცოლს გადავცემ. დილით, გამთენიისას, ვიდრე რუსები შეტევას დაიწყებდნენ, ეკლესიის ეზოში დავმარხე.

დასრულდა ჩვენი რესპუბლიკის სიცოცხლე, როგორც სიცოცხლე ალი ხან შირვანშირისა.

როტმისტრი ილიას ბეგი, ზეინალ აღას ვაჟი, ბაქოსთან მდებარე სოფელ ბინიგადიდან.